# ცისკარი

სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალი 9 | 1998



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუძნებლები:
საქართველოს მწერალთა კავშირი,
და ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია

# ცისკარი

9 | 1998

დაარსებულია 1852 წელს აღდგენილია 1957 წელს

მთავარი რედაქტორი:
გაურ კალანდია

სარედაქციო საბჭო:

ბალათერ არაბული
ირაკლი ბაზაძე
ლევან მალაზონია
ელზა მეტრეველი
(მთ.რედაქტორის მოადგილე)
მიხო მოსულიშვილი
ზურაბ ნარმანია
ჯემალ ქირია
(პასუხისმგებელი მდივანი)

საკონსულტაციო საბჭო:

გივი გეგეჭკორი
ნოდარ გრიგალაშვილი
დავით თედორაძე
ზაზა თვარაძე
ემზარ კვიტაიშვილი
რევაზ მიშველაძე
დავით მჭედლური
გიგი სულაკაური
მიხეილ ქვლივიძე
ჯანსუღ ღვინჯილია
შადიმან შამანაძე
ნუგზარ შატაიძე
როსტომ ჩხეიძე
ჯანო ჯანელიძე

მხატვარი:
გიორგი წერეთელი

მხატვრული რედაქტორი
დავით აგულაძე

ტექრედაქტორი:
ზიული სირაძე

გამომცემელი:
ლევან თითმერია

საქართველო, თბილისი, ხიდის ქუჩა№ 1
ტელ: 99-85-81 მთ. რედაქტორი
98-36-43 მოადგილე

## შინაარსი

3. „ორიოდე სიტყვა..." „სპეკალზე" ( გაურ კალანდია)

### პოეზია და პროზა

4. მანანა ჩიტიშვილი. ლექსები
8. მიხეილ ქვლივიძე . გვალვა კასპის რაიონში. ლექსი
9. ირინე ბაქანიძე . გრძელი, ძველი დღე . ორი ნაწყვეტი რომანიდან
24. ლევან მალაზონია . ქუჩაში, ბაღთან... ნოველა
28. ჯარჯი ფხოველი . ლექსები
34. ირაკლი ბაზაძე . შერწყმა. ლექსი
36. გულო კობიაშვილი . მეუღლის პალტო . მოთხრობა
40. გოდერძი ჩოხელი . ცხენი. მოთხრობა
48. მურმან ჯგუბურია . რომის ისტორიის გაკვეთილები. ლექსები
54. გაურ კალანდია . და აღარ იყო... ომი . ნაწყვეტი რომანიდან
63. დალილა ბედიანიძე . ლექსები
68. ზურაბ ნარმანია . ლექსები
73. ჯემალ ქირია . მზე გაღმა ჩადის.. . მოთხრობა
87. ბალათერ არაბული . ლექსები

### დრამატურგია

92. მიხო მოსულიშვილი. თეთრი ლაშქარი. პიესა

### წინაპრები... წინაპრები...

115. დავით მჭედლური . ოქროს ხანა

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ორიოდე სიტყვა...“ „სპეკალზე“

ძვირფასო მკითხველო.

ამ ნომერში დაბეჭდილ ავტორთა ჯგუფს, დამეთანხმები, წარდგენა არ სჭირდება.

მხოლოდ ერთი რამ შეიძლება იყოს შენი გაკვირვების მიზეზი: რა ნიშნით გავერთიანდით!

ამ ნიშნის მოძიებას არ ვაპირებ.

ეს ერთობ ძნელია და სარისკოც.

ორიოდე სიტყვით მაინც ვიტყვი.

ზოგადად: მწერლის მოვალეობაზე, მწერლობის დანიშნულებაზე თუ გვექნება საუბარი – აშკარად გვაქვს საერთო!

კონკრეტულად: რომელიმე მიმდინარეობით თუ შემოვიფარგლებით – რა თქმა უნდა, არა!

არც ასაკი გვიწყობს ხელს – სხვადასხვა თაობის ხალხი ვართ, ესეცაა – ჩვენს ახალ საძმოს, სხვებივით, ალბათ, ბევრი კიდევ შეემატება და, ბევრი თუ არა, ზოგი მაინც გამოაკლდება – სხვაგან მოძებნის თავისი ჯუფთისას. დღეს კი მწერალთა ასოციაცია „სპეკალის“ წევრები, ძირითადად, ალბათ, დრომ შეგვაკავშირა და

კიდევ: ერთმანეთისადმი კარგმა დამოკიდებულებამ და, რაც უმთავრესია, ჟურნალმა „ცისკარმა“.

„ცისკარი“ ყოველთვის „ერთსულ და ერთხორც“ იყო... ხიდი იყო თაობათა შორის; ნავსაყუდელი და პატრონი ახალგაზრდა, მაძიებელი კაცისა.

საერთოდ, სიტყვა მწერალი უფრო დიდი და ყოვლისმომცველია ჩემთვის. რომელიმე მიმდინარეობისათვის, – ახალი თუ განახლებული „იზმისათვის“ არ მემეტება. მეტიც, მწერალი, ერთი მსახიობის თეატრისაგან განსხვავებით, მაყურებლის გარეშე და მარტოკაცია.

ვიმეორებ: ეს ჩემი აზრია.

თუმცა შენ, ძვირფასო მკითხველო, უკეთესად იცი, რა და როგორ არის!

მთავარია შევხვდით.

მთავარია, ისევ დრო... ის ჩვენზე უკეთ გაართმევს თავს და თითოეულ ჩვენგანს სახელს უმტკივნეულოდ მოუძებნის... დრო გამოაჩენს იმასაც, რამდენად წმინდა ან ყალბია „ქვები“, სპეკალმა რომ შემოიკრიბა!

*ზაურ კალანდია*

საქართველოს
ეროვნული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მანანა ჩიტიშვილი

## ოღონდაც

შემოგცინებდი, სიკვდილო,
გულჯავრიანად მარები,
ოღონდაც, როცა მიხმობ და
სამშეოს მივეფარები,
ჩემს უწინ
ჩემი მტრის სისხლმა
შელეწოს სულეთს კარები.

## შენი ნახვა მენატრება

ტოტზე თეთრი ვარდი კრთება,
ეჯიბრება ვარდებს ფერადს,
შენი ნახვა მენატრება,
შენი აშრიანი მზერა.
მახვილს მომიტეხა ვადა
ჟამმა, გზად დამაგდო მწირი,
ხორცთა გვემას კი არა და
სულის სიბეჩავეს ვტირი.
„სად მოველ ან მივალ სადა?" -
ვბღავი, ჯაჭვის გლეჯას ვლამობ,
გაძაღლებულ აწმყოსა და
უცხო მომავალის გამო.
ცამ ნათელი დამიბინდა,
ნისლში ჩაიკარგა გზები...
არაფერი აღარ მინდა,
ჩემივ მწუხარებით ვთვრები.



ტოტზე თეთრი ვარდი კრთება,
ეჯიბრება ვარდებს ფერადს,
შენი ნახვა მენატრება,
შენი აზრიანი მზერა.

## ჟამი მიდის

ჟამი მიდის უამურად,
სხვას ვის შერჩა დროება...
ჰა, ჯაგლაგი სიბერისა
შენს ღობესაც მოება.

შეგიყვარდა ცეცხლთან ჯდომა,
ფიქრთან განმარტოება,
ელოდები, არა მიწის,
ზეცის მოახლოებას.

## მალე ითოვებს

შემომაფეთე თვალები კვიცის,
თორემ ამ გზაზე მალე ითოვებს...
მე შენ გაჩუქებ ჩემს ყველა სიცილს
და ყველა ტკივილს მე დავიტოვებ.

მზეო, ერთხელაც კიდევ დაქარგე
ჩემი მინდვრები მწვანე ქიტონით,
გახსოვს, რა ძლიერ ადრე დამკარგე,
მერე რა ძლიერ გვიან მიპოვე.

ქარი უდაბურ სივრცეს მიჰყივის
და უსაშველო მანძილით გვთიშავს...
ჩვენი სათქმელი დრომ ნარიყივით
ჩაატარა და შერია ქვიშნარს.

შემომაფეთე თვალები კვიცის,
თორემ ამ გზაზე მალე ითოვებს...
მე შენ გაჩუქებ ჩემს ყველა სიცილს
და ყველა ტკივილს მე დავიტოვებ.

## სიყვარულს შენსას

დღეები მკრთალი
ნაღვლიანი შუქით ივსება,
მიდის საწუთრო დაუნდობლად,
მძიმედ, ნელიად...
სიყვარულს შენსას
ახდენა რომ არ ეღირსება,
სწორედ ამიტომ
ასგზის უფრო მშვენიერია.

ცრემლიან თვალებს
დაგიამებს საღამოს ბინდი.
კვლავ მოგატარებს წარსულის გზებს,
ბევრჯერ გათელილს,
მარტში კი მზერისპირს
შენთან ერთად ლოცულობს შინდი -
მაცხოვრის ხელით დანთებული
წმინდა სანთელი.

რას შესთხოვს იგი
ნეტავ ამ ცას, ქცეულს ნისლებად,
იქნებ შენდარად
ეტრფის სიზმრის ლამაზ ფერიას...
სიყვარულს შენსას
ახდენა რომ არ ეღირსება,
სწორედ ამიტომ
ასგზის უფრო მშვენიერია.

## ყამარი

*„წავიდა ყამარი ზეცაში,*
*მთვარესთან და იქ დაიმალა".*
ხალხური ეპოსიდან

ცაში რა გინდა, ყამარო,
მთვარესთან რად იმალები?
სულ რომ შენს გზაზე გავცვითო
ჩემი თეთრონის ნალები,
მაინც ცრემლს არ გაჩვენებდი
სურვილით განამკრთალები,
ერთს ისეთს ამოგხედავდი,
ცას ჩამოვხევდი თვალებით.

## ყველაფერი წარსულს დარჩა

ვერ ვეგუე ცრუს და ლაჩარს,
ვერ გავუღე ვერც როს ოდა...
ყველაფერი წარსულს დარჩა,
რაც კი მეძვირფასებოდა.
ეს დღეები ისე მღლიან,
მერამდენედ ჩაწყდა ბონდი,
ყველა მგზავრი ჩავლილია,
ვისაც ამ გზით მოველოდი.
ქარი ღრუბლის ფთილებს ჩეჩავს,
ჩუმად ჩაიკაფა ლელი...
ერთადერთი – ხსოვნა შემრჩა, –
ასიც მესისხლე და მკვლელი.

## ვეღარ იხსენებ

როგორც იმედი, კვლავ მოვა მარტი,
გაგთანგავს ისევ სუნი იათა...
შენ ადრე ბევრგან გელოდნენ ნატვრით,
მაგრამ სუყველგან დაგიგვიანდა.
და როცა გარეთ ავდარი ბორგავს,
შველას წარსულში ეძებ ისევე...
რამდენი კარგი დღეები გქონდა,
ახლა ვერც ერთს რომ ვეღარ იხსენებ.

## გათენებისას

გათენებისას, გორისთავს,
თუ ნისლი ჩამოიცილა,
სამი ამოდის ვარსკვლავი,
სამივე თვალებციმციმა.

ნიავს გავანდე გულისთქმა,
კოცნაც ვატანე მრავალი,
ჩავლენ, ღრუბლებზე დარჩება
ჩემი ტუჩების ნავალი.

## დიდი ხნის წინათ სათქმელი ლექსი

დალამბავს მთვარე ვერცხლის გვირისტით
მოიისფერო ღრუბლის ფაჩუჩებს,
ღმერთო, ნუ დამსჯი იმ ღიმილისთვის,
მე რომ თბილისის ღამეს ვაჩუქე.
ნუ გადამირევ სიზმრებს, ოლონდაც,
თვალებისფერი ცის მოჩვენებით,
იმ სიყვარულმა, როგორც მონღოლმა,
გადამიარა გულზე ჭენებით.
იდგნენ ხეები ქარით დახრილი,
წვიმას უწვდიდნენ ფოთლის ფიალებს,
დაჩეხილი და ისარგაყრილი
დიდხანს ვირჩენდი ჩუმად იარებს.
არ დამცდენია რამ სააუგო,
ალბათ, ჩვენს იღბალს ასე ენება...
ჩვენ ვერიდებით, როცა ვსაუბრობთ,
ყოველს, რაც წარსულს გაგვახსენებდა.
დავემშვიდობეთ დიდი ხნის წინათ,
წლები ახლა სხვა სიზმრებს გვისევენ,
ქარი კი გმინავს და ფანჯრის მინას
წვიმის ცრემლები დასდის ისევე.
დალამბავს მთვარე ვერცხლის გვირისტით
მოიისფერო ღრუბლის ფაჩუჩებს,
ღმერთო, ნუ დამსჯი იმ ღიმილისთვის,
მე რომ თბილისის ღამეს ვაჩუქე.

## შორიდან ისე მოჩანდა

მკერდს ნალი მეკრა ვარვარა,
ეს სურდა იღბალს ოჩანს და
თითქოს გულს მთვარე მესვენა,
შორიდან ისე მოჩანდა.
მთანგავედა სიცხე რკინისა
მიწის უსუსურ ბინადარს,
სული ცად ახიმნულიყო,
მარტოდენ ხორცი გმინავდა.
ბურუსში მთები მოჩანდნენ
ძირს დაფენილი მდელოთი,
სულს პატრონობდა უფალი,
ხორცს მე ვერაფერს ვშველოდი.

## ერთსა ვთხოვდი

თუ ამ ტრიალ ველზე დავრჩი,
შენგან შორით, ჩემო სახლო,
ერთსა ვთხოვდი ყვავ-ყორანსა.
რომ დაფრენენ ახლომახლო:

მამყოფინონ ძვალთა დახვრა,
თვალებს კლანჭი აღარ ახლონ,
ჩემი პაწაწინა შვილი
იმ ქვეყანას დავინახო.

* * *

ხან ღრუბელს ერთვი კვამლივით,
ხან ბუხრისპირს ხარ მღვიარი,
თავს არასოდეს მაწონებ
ჭრილობებით და იარით.

რა დაჰატება მჭირდება,
ჩემიც ბევრი მჭირს, ტიალი,
ცრემლს, გულისგულში შენახულს,
ვსვამ დარდის მძიმე ფიალით.

## ის დღე თუ გახსოვს

ის დღე თუ გახსოვს,
როს იდუმალს მივენდეთ გუმანს,
უეცრად შევხვდით,
მიწყდა წვიმის ბოლო აკორდი...
მატარებელი მიჰქროდა და
ვიდექით ჩუმად,
ჩუმად ვიდექით
და სიჩუმით ვლაპარაკობდით.

ტკივილი ჩემი
დღემდე ასე მოთმენით ვმალე,
თუმცა უგუნურთ
არაერთხელ მწყევლეს და მკრულეს,
მე დავუჩოქებ
სიყვარულით დახლეჩილ თვალებს
და უსაშველო მარტოობით
დასერილ გულებს.

ფოთოლი ქარში
უცნაური ცახცახით როკავს,
თრთის შემოდგომაც
დამსხვრეული ჩალის ღეროთი...
შენი უბადლო გულგრილობით
რამდენჯერ მომკალ
და შველას მაინც
მარტოოდენ შენგან ველოდი.

დახურულ კარებს
უსასოო აწყდება გლოვა,
ჩვენ იმ ზეიმზე
სამუდამოდ დავიგვიანეთ...
ვერცხლისფრთიანი ქერუბიმი
ოდესმე მოვა
და სულებს ჩვენსას
ცაში მაინც გაამთლიანებს.

## დღემდე

დღემდე ვიამებ იარებს
ჭინჭრის ღეღით და ღუმფარით,
არ მინატრია სხვა წყალი,
სხვის სუფრა და ნასუფრალი,

ეს მიწა მინდა სასთუმლად,
ცა მყვანდეს ჭირისუფალი,
როს თბილ ხელს
დაღლილ თვალებზე
ჩამომაფარებს უფალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიხეილ ქვლივიძე

## გვალვა კასპის რაიონში



1.

კაშკაშა მზე და მოწყურებულ ბაგესავით დასეთქილი ნიადაგი...

ცხელი, ბლანტი ჰაერი მძიმედ დაწოლია ქედებსა და მინდორს...

უდღეურ სიმინდებს შორის თავდახრილი მზესუმზირები დგანან და მოლოდინით მიწას ჩასცქერიან...

ყველგან უძრაობაა, მხოლოდ სარწყავი არხის ფსკერზე საქმიანად ფუსფუსებენ ჭიანჭველები...

დაღლა და გულგრილობა სუფევს გარშემო და მე თვალის ცეცებით ჩრდილს დავეძებ, რომ გამშრალი ტვინიდან გამოყონილი სტრიქონები ქაღალდზე გადავიტანო.

გვალვაა, გვალვა... ნუთუ წლეულს, ამ „ლექსის“ გარდა, მოსავალი არ ქნება საქართველოს?

2.

შებინდებისას, როცა კოსმიური ჩრდილი პლანეტას მოადგება და ჩემს პატარა სოფელსაც დაფარავს, აივანზე გავდივარ.

ცაში, როგორც ჩამქრალი ხანძრის შემდეგ, ნაკვერჩხლებივით ბჟუტავენ ვარსკვლავები.

ჰაერი გახურებულია, მაგრამ ბაღის მრუმე წიაღში სუსტი ნიავი ფაჩუნობს და ეს იმედს იძლევა თუ...

და მე შიშით დასავლეთს გავცქერი, სადაც ქვეყნის დღევანდელი დამანგრეველი გაუჩინარდა...

ნუთუ ისევ დაბრუნდება? რისთვის? დღის შუქზე თავისი ნახელავით რომ დატკბეს? თუ იმისთვის, რომ საქმე ბოლომდე მიიყვანოს და კაზმული სიტყვის „მოსავალიც“ არ აღირსოს საქართველოს?

3.

განრისხება ლექსს ბადებსო, – ბრძანა რომაელმა პოეტმა იუვენალიუსმა. საინტერესოა, მე რამ გამარისხა? უმოწყალო მზემ თუ საკუთარმა თავმა, გვალვის პოეტური სურათის გარდა რომ ვერაფერი შევაწიე გაჭირვებულ სამშობლოს? პოლიტიკაზე დამეწერა რაიმე, დღეს ხომ საქართველო პოლიტიკით სულდგმულობს: პრეზიდენტით, პარლამენტით, პარტიებით, რეფორმებით, არჩევნებით, ოპოზიციით... რა დიდებული „საშენი მასალაა“ ლექსისთვის?! რაღას ვუცდი? მე ხომ „ადამიანთა სულის ინჟინერი“ ვარ, ამის მეტს რას მასწავლიდნენ იმ საბჭოეთში, საპნის ბუშტივით რომ გასკდა გორბაჩოვისა და მისი კეკლუცი მეუღლის ხელში?!.. ახლა სხვები უბერავენ საპნიან წყალში ჩაყოფილ მილს, ბუშტი კი ვერა და ვერ იბერება!..

უყურე შენ, პოლიტიკაზე დამიწყია ლაპარაკი!

ნუთუ ეს უშველის გაჭირვებულ საქართველოს?!

1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირინე ბაქანიძე



## გრძელი, ძველი დღე

/ორი ნაწყვეტი რომანიდან/

I.

კიბის ბაქანზე ჩაცუცქული ნანა ქვას უბაყუნებდა თუთის ფოთლებს, კიბის თავზე სანდრო იდგა, ფეხები გაელაჯა და წინ და უკან ირწეოდა, წინწახრილი და ჯიბეებში ხელებწაყოფილი აყურადებდა დააფრაკებულ ფიცრის ჭრიალს. ერთხანს ასე იდგა, მერე ერთბაშად მოსწყდა ადგილს, კიბე ჩაირბინა და ვიწრო წყლის საკვალეში ჩამდგარი სახლის გარშემო სიარულს მოჰყვა; ფეხებს ერთმანეთის წინ ადგამდა, წონასწორობის შენარჩუნებას ლამობდა, ცალ ხელს საკვალეს მომდგარ ღობეს ურტყამდა, მეორეთი სალოკ თითს უსვამდა კედელს და ბიჭის ხელიც მიხეტიალებდა დაუმუშავებელი სიპი ქვით ამოყვანილ კედელზე, დარანებში ძვრებოდა, ნაპრალებს თავს ახტებოდა, გარს შემოევლო შვერილზე შემოდგმულ არაყის ბოთლს, ფანჯრის რაფაზე ახტა, აქ შეჩერდა, შემპალი ფიცრის ნახვრეტიდან მრგვალად ამობლანდულ ობობას ქსელს დაემიზნა, იმ ნახვრეტს ეტაკა, კედელზე ჩახტა ისევ, კუთხეში მოუხვია და სახლის მარჯვენა ფერდს მომდგარ მაღალ, ყრუ ყორის კუთხეში დატანებულ კართან შედგა... კარზე იასამნისფერი ფარდა ჩამოეშვათ, სწორედ ისეთი, სამზარეულოს ფანჯრებს რომ ამშვენებდა. პოქსის მოტკბო, მქისე სუნი ასდიოდა იქაურობას, აქა-იქ მიყრილ-მოყრილ, ტურტლიან ჩვრებს, კართან აკოკოლავებულ მინანქარდახეთქილ ჯამებს; ეს გამინძლული ფარდის ნაჭერიც პოქსის და კიდევ შემპალი ტუნგოს სუნად ყარდა... ბიჭმა ფარდის კალთა გადასწია, კართან გადებულ ღირესთან ჩაიმუხლა და ჭუჭრუტანაში გახედვა სცადა. ზედ ღობესთან, მის ცხვირწინ აფუღულმა კრუხმა გამოხედა ჩუმი კრიახით, მოშორებით, დაბალი, თეთრად გაღებილი სახლის ფანჯარაში, კაცი გადმომდგარიყო, სიგარეტს ეწეოდა და მშვიდი ნდომით გასცქეროდა ქათმის სკინტლით მოსისხვლული ეზოს შუაგულში ხის ტახტზე გარდიგარდმო გადებულ ნამჟეურ ლეიბებზე წახრილ ფაშფაშა, სახიერ ქალს. ბიჭმა ხელი მოაფათურა მიწაზე, კენჭს დასწვდა, კარის ღრიჭოში გააკვეხა და წკიპურტით მოისროლა. ქათმის კრიახზე იმ ქალმა ასწია თავი, ღობეს თვალი მოავლო და ბიჭიც წამოხტა, უხმაუროდ გამობრუნდა უკან. კუთხესთან მისულს საეჭვო ჩხრიალი და ქალების ხმები შემოესმა.

- მერე რა? - მაია ამბობდა.

- შენ ჯერ ნახე, რა ტიპია და მერე ილაპარაკე, ლელა პასუხობდა.

- მართლა ესეთი მსუქანია?

- მართლა. აი... ვაიმე, ხელები მაქვს დასიებული, მაია.

- ნერვიულობ, ლელა.

- ვაიმე, ეს მინდოდა მე ეხლა? შენ... იბოპროფანი ხომ არ იცი, რა წამალია.

- ვაიმე, რომ არ ვიცი, ლელა?

- იქნებ გულისაა?

- ვაიმე, რომ არ ვიცი?

ხმები თანდათან მიწყნარდა, სახლიდან გამოსულ ერთიან ხმიანობას შეერია. კედელს აკრული ბიჭი ერთხანს იცდიდა, მერე კუთხეს გამოსცდა, კისერწაგრძელებული, გაფაციცებული მოსუნსულებდა, იმ ადგილის გარჩევას ლამობდა ბინდში, წუთის წინ ქალები რომ დაყუყულიყვნენ. დალტობილ მიწასთან შედგა, ერთხანს იწრიალა, მერე იმ მიწას მიაშარდა და გაიქცა, სანამ ღობესა და კედელს შორის მომწყვდეული ბნელისგან თავდაღწეულს მთვარის ნათელი არ შეეფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეთა. უკან გაბრუნდა, სტარტი კვლავ იმ მოსველებული ადგილიდან აიღო, ისევ გაიქცა, ისევ შეიგრძნო უცაბედი ნათელი სახეზე. მესამედაც გაბრუნდა, გამოიქცა და ის იყო, კედელს უნდა გასცდენოდა, რომ რაღაც ეცა ღაწვზე; წამით შეიგრძნო მწერის უცხო, გლუვი სხეული, მეყვსეული ჩხვლეტა და შედგა, ხელი მიადო სიღრმეში ჩასულ, მერე განფენილ და კოშტად შეკრულ, შედედებულ ტკივილს, დამძიმებულ, თითქოსდა სახეს გამოყოფილ და განცალკევებულ, ერთბაშად გაუცხოებულ ლოყას. ეზოში გამოვიდა, ონკანთან მდგარ ნაწვიმარი წყლით სავსე კასრთან მივიდა, ხელი გაალაღლაღა კასრის მრუმე, ჟანგისაგან დასვრეტილ კედლებს მიმწყდარ წყალში, მერე პეშვით ამოიღო, სახეზე მიიდო სველი თითები.

– სანდრო? – გელა გამოსცქეროდა სახლიდან: – ნანა სად არის, ხომ არ იცი?

– ზემოთ, – თავი აიქნია ბიჭმა: – კიბეზე ზის.

– შემო, – კაცმა ხელი გამოსწია, მომლოდინედ გააჩერა ჰაერში და ბიჭიც მისკენ გაემართა, სახლში შევიდა.

– მოდი, ეს აიღე, – ნესვისნაჭრებიანი თეფში გააცურა მისკენ გელამ: – მერე ნანასაც აუტანე ან დაუძახე, აქ მოვიდეს... ჰა? როგორი ბიჭია? – მაგიდასთან მსხდომთ ჩაეკითხა.

ბიჭი უხერხულად შეიშმუშნა და თეფშს დასწვდა: – ნანას ავუტან, – თითქოს მოიბოდიშაო, ისე თქვა. სახლიდან გამოსულმა შვებით ამოისუნთქა; თეფშიანი ხელი ზურგსუკან წაიღო და ფეხაკრეფით აუყვა კიბეს. კიბის თავში ისევ ისე იჯდა ბავშვი, ფოთლების ნაყვას შეშვებოდა, სიგარეტის ვერცხლისფერ ქაღალდში ხის მომცრო ნაჭერს ახვევდა ახლა: – ნახე ჩემი ბარბი, – მოახლოებულ სანდროს ფიცრის ნაჭერი დაანახვა.

ბიჭმა ზურგსუკან დამალული თეფში გაჰოსწია,

– ეე, ნესვი! – აყვირდა გოგო, ფიცარი მიაგდო და დათხიპნილი თითებით წაეპოტინა თეფშს.

– მოიცა, – შეაჩერა სანდრომ: – ხომ არ გიჭამია წელს?

– ნწუ, – თავი გაიქნია ნანამ.

– ჰოდა, ჩაუთქვი.

– რა ჩავუთქვა?

– ისაა, – ბიჭმა თავი მოიქექა: – ეე, რაც გინდა... მოიცა, ნუ ჭამ, ჯერ ჩაუთქვი.

– მაშიინ, – გააგრძელა ბავშვმა: მაშიინ, იმას რომ ვგავდე, აი, „რიჟაია სონიაში" რომ გოგოა.

– რაო? – აფრუტუნდა სანდრო: – ვისაო?

– რა გეცინება?

– კაი, ჰო, ემგვანები, – სანდრომ თეფში ფიცრებაყრილ, ჩავარდნილ ბაქანზე ჩამოდო და თავადაც ჩაჯდა, გვერდით მიუცუცქდა ნანას.

– კიდევ? – ჰკითხა: – კიდევ რას ჩაუთქვამ?

– კიდეე? – თავი მოიქექა ბავშვმა: – კიდე?.. ლამაზი რომ ვიყო და მაგარი და... ეე...

– სნიკერსები ეხლა ტომრით?

– ფუ! – აიმრიზა ნანა: – ფუ! სნიკერსს ვერ ვიტან. შენ?

– რა ვიცი, სულ ერთია.

ნება-ნება, დაგემოვნებით სრუტავდნენ ნესვს, დროდადრო ერთმანეთისაკენ აპარებდნენ თვალს, თანამზრახველებივით ხითხითებდნენ.

– შენ? – იკითხა ნანამ.

– რა მე?

– შენ რას ჩაუთქვამ, შენ ვის რომ გავდე?

– მე სტალონეს, აბა.

– არა, მართლა, – ნანამ ნესვის რკალიდან ამოჰყო თავი, ბიჭს მიაჩერდა: – რა გინდა რომ იყო?

– მწერალი, – ჩუმად თქვა ბიჭმა.

– როგორ ეგ, წიგნებს დაწერ?

– ჰო, – თავი დაუქნია ბიჭმა.

– რაზე?

– რა ვიცი, რაზე.

– უჟასებზე?

– უჟასებზე არა, იმაზე...

– აბა, რაზე?

– მოფიქრებულიც მაქვს, რაზე...

– ჰოდა, მიდი, მოყევი მერე – რაზეც...

– ეხლაა, – სანდრომ ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს ძალას იკრებსო: – ეხლაა, კაცი ზის რა, რესტორანში, ქალთან ერთად და ქალი რაღაცას აიღებს და ქალი კითხავს – ეგ შრამები საიდან გაქვსო, – მაჯებზე აქვს ამ კაცს შრამები და კაცი მოუყვება... კაცს

გაახსენდება... ბავშვობის ამბები რა; პატარა რომ იყო, სუსტი იყო ეს კაცი და ყველას შესტიორკასავით ყავდა, ყველა მაგას სცემდა და სუსტი ბიჭი იყო, კაროჩე, მაგრამ კარგი, არც ჩხუბობდა და არც არაფერი და მერე გაახსენდება... ერთხელ რომ წავიდნენ, ყველანი რომ წავიდნენ თბილისის ზღვაზე, მთელი მაგათი სასტავი, მთელი მაგათი ბოიაეკა და მანქანით რომ წავიდნენ და ამას არ უნდოდა, ამ ბიჭს, მაგრამ ძალით რომ წაიყვანეს - აშაყირებდნენ და ყველგან თან დაყავდათ, და პლაჟზე რომ არიან, ამას დასცინიან, რასაც იტყვის, საშაყიროს კი არა, ისე, რაღაცას იტყვის და დასცინიან და კიდე ერთი გოგოს გამო, ამას უყვარს და ბიჭებმა გაიგეს და ამან ვეღარ მოითმინა და გამანებეთ თავიო, ამათ ეუბნება - თქვენ თქვენთვის და მე ჩემთვისო, და ბოლოს მერაბაა ერთი და ის დაარტყამს - რას ახურებო და ამას ყელში ამოუვა, მივარდება და იჩხუბებს და ყველანი დაესევიან ცემენ და ეს გდია ბოლოს, მიწაშია თავჩარგული და ისე და მუჭით აიღებს მიწას და შეჭამს, რომ არ იტიროს და ის მერაბა, რომ გითხარი, დანას გადაუსვამს მაჯებზე, აბა, თუ არ იტირებო და ეს იტირებს და მერე ბიჭები წავლენ და, კაი, ჰო, ნუ ტირიხარო, - შეეშინდებათ, სისხლს რომ დაინახავენ და ეს კიდე, გამანებეთ რა, თავიო, რა გინდათ ჩემგანო და ისინი სიცილს დაიწყებენ და კაი, ჰო, წამოო და წავლენ და ეს არ წავა და - კაი, სანდრო, გეყოფაო და...

– სანდრო? - შეაწყვეტინა ნანამ: - სანდრო ქვია?

– სანდრო... ისე რა, ჯერ არ მომიფიქრებია სახელი, - ბიჭმა გადაწყვიტა, - ნუ, ვინცაა, - ყალბი გულგრილობით თქვა: - რა აზრი აქვს, თუნდაც სანდრო... და ბიჭები უყვირიან - კარგი, მოდიო, და ეს არ მივა, ფეხით წავა ქალაქში და ეკლესიაში მივა და ღმერთს ეტყვის, რაღა მე ამირჩიეო, და ღმერთი ხელს გამოიწევს ხატიდან და - წაგიყვან, თუ გინდაო და ეს კიდე, მერე დედა და მამაო, მაშინ მე მოვალ შენთანო და ღმერთი მივა ამასთან და ასწავლის ყველაფერს და წასვლის წინ ეტყვის: დაწყევლე ბიჭებიო და ღმერთი დაწყევლის ყველას და მერე ის ბიჭი წავა იმ ადგილიდან, იმ უბნიდან, გამდიდრდება - ფულს იპოვის ბევრს და წლები გავა და ეს ბიჭი გაიზრდება და ერთხელაც იმ ძველ სახლში მივა და ხედავს - ყველა დაწყევლილია რა, სვამენ, თავიანთ ცოლებს სცემენ, ქურდები არიან, ქეშები და ზარისტები და მორფინისტები და ამას შეეცოდება და ისევ წავა ღმერთთან და აპატიეო - თხოვს, ეს წყევლა შეუცვალეო, კაროჩე... - ბიჭი გაჩუმდა.

– მერე? - იკითხა ნანამ.

– ღმერთიც შეცვლის.

– არა, ის ქალი?

– რა ქალი, - გაღიზიანდა ბიჭი: ქალს უყვება ამას.

– არა, ის ქალი არ შეიყვარებს?

– კი, - ყრუდ თქვა ბიჭმა: -უყვარს უკვე.

– ეს შესტიორკა აღარაა, ჰო?

– არა, თავსაც იცავს და სხვებსაც - უკვე მაგარია.

– კარატისტია თუ ნინძა?

– ნინძასავით რაღაც.

– მერე?

– მორჩა, ვაა! - გაეცინა სანდროს. ნანაც ატკვარცალდა, გაწებილი თითები აიტლიკა: - კიდე მინდა ნესვი. - განაცხადა.

– მეტი აღარაა, ესღა იყო დარჩენილი.

– მართლა სრულდება?

– რა? - ვერ მიუხვდა სანდრო.

– აი, იმაზე რომ მითხარი - ჩაფიქრებაზე.

– აა, კი... აი, თუ გინდა მეტეორზე ჩაუთქვი და აგისრულდება.

– რაო? - თვალები დაყვლიპა ნანამ: - მეტეორი რაღა ოხრობაა?

– აი, ცაში ვარსკვლავი რომ ვარდება, იმას ქვია. სანამ დავარდება, მანამდე უნდა მოასწრო ჩაფიქრება და აგისრულდება.

– თავი აალირეს და თავზე გადმომხობილ მრუმე, ვარსკვლავებით დახალულ ცას ააჩერდნენ. ნელა, შემპარავად ჩაითრია ორივე სიღრმემ, სახეზე ხელი მოავლო, თავი გადაუწია; მირიადი მოციმციმე ვარსკვლავით და მთვარის სავსე, ნაპირებგადმოღვრილი რგოლით, ბნელით შეცურდა, იდუმალ შიშად ჩაიღვარა თვალებში, ბავშვმა ერთბაშად აიქნია თავი: - რომ არ ვარდება? - ჭირვეული, ბავშვურად ჩახრინწული ხმით

თქვა.

- ეგ ეგრე კი არაა, ხშირად უნდა უყურო და მაშინ დაინახავ.

ისევ ახედეს ცას, კართან აყუდებულ, გასხეპილ ბოძზე ასხმულ ვარსკვლავებს. ააჩერდნენ.

- გიყვარს? - იკითხა ნანამ.

- რა? - ჩაეკითხა ბიჭი: - ვარსკვლავები? არა. - თავი გაიქნია მერე.

- რატომ?

- რა ვიცი... ცივები არიან.

- როგორ ეგ?

- აი, თავისთვის არიან, ფეხებზე კიდიათ, აქ რა ხდება, შენ რა გიჭირს, შუქიც ცივი აქვთ. ნახე, როგორი სინათლე აქვთ - ცივი. მაგას სახლის შუქი მირჩევნია - თბილია უფრო.

გატვრენილ, სულგანაბულ ბავშვს მუხლებზე შემოევლო ხელები, თავი გადაეგდო და პირდაღებული, თვალებგაფართოებული ასცქეროდა ზეცას. მთვარის ნათელი ელვრებოდა თაფლისფერ თმაზე, საოცრად ნაზ, რბილ ფერად დაჰკრავდა და ბიჭმა ხელი ასწია, მთელი ძალით დაქაჩა გოგოს თმა.

- ეე, რას მერჩი? - აჭუჭყუნდა ნანა: - როგორი ხარ, იცი, სანდრო? - მაგრამ რომ შეხედა, ბიჭის თვალებში მოკიაფე თბილი, ალერსიანი ნათელი დაინახა და თავადაც გაეღიმებნა სახე, სველი, ტკბილი, გაწებილი ხელი აიქნია, ბიჭს თავში წაარტყა.

მუჯლუგუნებს ჰკრავდნენ ერთმანეთს, ხითხითებდნენ... ბავშვს სული ეგუბებოდა. ნერვული, ხრინწიანი სიცილი ჰქონდა: დებილო, დებილო, - იმეორებდა.

- ბიჭი კიბეზე გაწვა, თავქვეშ ამოიდო ხელები. მოულოდნელად დიდი, უცხო გამოჩნდა და ბავშვი გაკვირვებული მიაჩერდა: - დებილო, დებილო, - ისევ წაიმღერა.

II.

სახლი მარტოობით იყო დაყურსული. არა კეთილშობილური, საზეო გრძნობისა და ფიქრის აღმძვრელი, არამედ შემაშფოთებელი, ავბედითი მარტოობით. მაშინაც ასეთი იყო, პირველად რომ ნახა ლელამ, როცა მამამისი სტიქიით დაზარალებულთათვის მთავრობისაგან სახლის აშენებას არ დაელოდა და რამდენიმე თვე ბარაკებში ცხოვრების შემდეგ ადგილობრივი სომეხისაგან იყიდა ეს სახლი. მიწის ნაკვეთი არ შეუძენია; ჩალიჩა, ფხიანი კაცი იყო, თავისი სოფლის სოფლსაბჭოში მუშაობდა და აქაც გაახერხა, რაიკომში მოეწყო. დარჩენას არ აპირებდა, ფულს მოვაგროვებ და, რახან ასე წავიდა საქმე, ქალაქში ვიყიდი ბინასო - ამბობდა /ქალაქში, რა თქმა უნდა, თბილისს გულისხმობდა/. ამ სახლის შენარჩუნებასაც აპირებდა, მისი ნათესავებიც აქ უნდა ჩამოესახლებინათ და, აგარაკადაც მექნება, თან ახლობლებთანაც არ გავწყვეტ კავშირსო, ფიქრობდა. მუშაობდა იმ თავის რაიკომში, პარალელურად რაღაცას ჩალიჩობდა, საქმეებს აკვარახჭინებდა, სანამ არ გასკვანჩეს და ტელევიზორში არ გამოაჭენეს გადაცემაში რუბრიკით - „აი, ვინ გვარცხვენს ჩვენ“. ციხეში არ ჩაუსვამთ. ის, თბილისში ბინის საყიდლად გადადებული ფული ჩაყარა, ნათესავებმაც გამოიღეს ხელი, აქეთ სტიქიისაგან დაზარალებულის სტატუსს ამოეფარა და პირობით მისცეს სამი წელი. მაინც არ ჩერდებოდა, რაღაცას მაინც ჩალიჩობდა, უკვე ჭკუით, ცოტას ჯერდებოდა. ამასობაში „პერესტროიკის“ მაცოცხლებელმა ნიავმაც დაჰკრა და სხვა რუბრიკა გახდა პოპულარული - „გზა მიეცით ბიზნესს“. კი, ბატონო, გზა მიეცა და ესეც ბიზნესმენობდა თავისი ჭკუით, კვლავ რაღაცას ყიდულობდა... ყიდდა. საკუთარი ჯიხური გახსნა, ყორის კუთხეში სარკმელი გაანგრია, უკან ფარდული მიუშენა, ზუსტად იმხელა, მისი უზარმაზარი ტანის, ზონზროხა ცოლი რომ დატეულიყო. ყიდდა რაღაცებს, მეტწილად წიკომაკრებს, - საღეჭ რეზინას, სიგარეტებს, ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებოდა. რომ ნახა, თბილისში ასე მალე ვერ გადავალო, ამ სახლსაც მიხედა. სამზარეულოში და ეზოში ბეტონი დაასხა. სახლის გარშემო წყლის საკვალე გაიყვანა. მეორე სართულზე საჩეხეს მობჯენილი, სიპი ქვით ფიქალ-ფიქალ ამოყვანილი და გადმოფერდებული კედელი შეასწორა. წინკარიც დაწეულიყო და ქვეშ ბოძკინეტები შეუყენა. ეზოს დასაწყისში, საპირფარეშოს გვერდით მდგარ პატარა, ფასადდაბზარულ შენობას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადრე, ეტყობა, საცხოვრებელი რომ იყო და მერე, ახალი სახლის აშენების შემდეგ სამზადად მოემარჯვებინათ, გვერდები გაუმაგრა. აქვე მოზიდა ათასგვარი სამშენებლო მასალა, კედელთან ცემენტის ტომრები მიაწყო, უზარმაზარ გეჯასა თუ ცხავში გაჯი ჩაყარა. სამზადის წინ, ბოძზე, გრძელი ჯაჭვით ნაცნობი აზერბაიჯანელისაგან ნაყიდი ძაღლი - ჯულბარსა მიაბა, რომელსაც მერე და მერე მისმა შვილმა ვიდეოფილმების გმირი კარატისტი ქალის ჩაინა ო, ბრაიენის საპატივსაცემოდ ჩაინა უწოდა და ასე შერჩა კიდეც ეს სახელი ამ ძაღლს - ჩაინა. მეტის გაკეთება ვეღარ მოასწრო; ეს ძვალმსხვილი, ჯმუხი კაცი, რომელსაც მსხვილი ნაოჭებით დაჩეხილი სახე და ლოთივით თითქოსდა წყალში ამოვლებული, მბრწყინავი, შავი თვალები ჰქონდა, თბილისისაკენ მიმავალი მოკვდა ნაცნობის მანქანაში - ავტოკატასტროფაში მოყვა.

ახლა მისი ცოლი დადიოდა სავაჭრო-საწვრილმანო საქმეებზე. თვეში სამ-ოთხჯერ შეუთანხმდებოდა ნათესავ ბიჭს - ბესოს; ისიც დილაადრიან მოადგებოდა მანქანით. გამოვიდოდა ქალი სახლიდან, მანქანაში ტანს შეტენიდა - სალონს მარჯვნივ დააგვერდებდა. ის ბესოც, გალეული, გაჩხინკული ბიჭი, ცარიელი ცხვირი, შემოუსკუპდებოდა საჭეს და, ჰაიდა, მიდიოდნენ რაიონულ ცენტრში, თბილისში; ერთბაშად, იაფად ყიდულობდნენ საჭირო რამერუმეებს - ისევ იმ სალეჭ რეზინებს, სიგარეტებს... - უცნაური ხიბლი ჰქონდა ამ დევივით ქალს. მთელი ამ ძონძროხა სხეულის შინაგანი ძალა თვალებში მოექცია თითქოს; ცინცხალ, მწვანე, ბავშვურად წრფელ და თან როგორღაც მჩხიბავ თვალებში. ბავშვივით შემოგაშტერდებოდა ხოლმე, თან ისე, უხერხულობასაც არ გაგრძნობინებდა, რადგან კი არ გჭრიდა და გჩეხავდა ასო-ასო, აბა, ვინ არის, აბა, როგორიაო, არა, მთლიანად აღგიქვამდა, ყველაფრიანად - რაც ხარ, რაც იყავი და რაც მერე იქნებოდი; რაც არ იყავი, იმასაც დაგიმატებდა, თავისას, კარგს მოგიძღვნიდა. რბილი, თითქოსდა გულუბრყვილო ხასიათისა იყო. ეს გულუბრყვილობაც როგორღაც ეხამებოდა მის შეუმცდარ ალღოს, უცნაურ შეგრძნება-შეცნობას ადამიანისა. ვერ მოატყუებდი ამ ქალს, ვერც იმ თავის ვაჭრობაში და ვერც ყოველდღიურ ყოფაში. ისეთი გულუბრყვილოც არ იყო, თავად რომ მოეტყუებინა თავი. ასე რომ, რაღაც სიეშმაკეც ჰქონდა - ეტყობა. ქმრისაგან განსხვავებით, რომლის თითქოსდა ნამდვილი მამაკაცის გარეგნული თავდაჯერებულობით შენიღბულ ჩლუნგ, მიმწოლ, ლამის ველურ ძალაში სასოწარკვეთილება უფრო იგრძნობოდა, ვიდრე სიმშვიდე, ამას მუდმივი, შეურყეველი, მშვიდი რწმენა ჰქონდა ყველაფრისა. ამ ვეება სხეულის მიღმაც ძალა იგრძნობოდა. ის ძალა, რა ძალითაც ცხოვრობდა ეს ქალი. დიდხანს უშვილოდ დარჩენილი მკურნალობდა ათასგვარ სანატორიუმსა თუ ბალნეოლოგიურ კურორტში, მერეც, ოცდაჩვიდმეტი წლის ასაკში, მშობიარობის შემდეგ, უძღვებოდა ოჯახს, ზრდიდა შვილს. რა ძალაც ეყო, რათა შეგუებოდა სოფელში მკვიდრად ნაგები სახლ-კარის განადგურებას, ახლობლების დაღუპვას, რაგინდარა ბარაკებში ცხოვრებას, მერე ამ ახალ სოფელს, ახალ ყოფას, ქმრის სიკვდილს ბოლოს და რა ძალითაც დადიოდა ახლა, თავის ვეება, დასიებულ ფეხებს დაათრევდა. ამ სოფელში ბევრს უყვარდა. მრავალ სხვა სტიქიისაგან დაზარალებულისაგან განსხვავებით, თავიანთ ოჯახებსა და ნათესავებში რომ ჩაკეტილიყვნენ, დამხვდურთა, უცხო ჯურისა თუ რჯულის ხალხისაგან განკერძოებით რომ ეჭირათ თავი, ამას აქაურ მოსახლეობასთანაც ჰქონდა ურთიერთობა; და ესენიც მოდიოდნენ - უფრო კი ნათესავები, მეზობლები, დროდადრო ქალაქელი ახლობლები და ნაცნობები, გადმოჭრიდნენ შარას, ჭიშკარს შეაღებდნენ, იმ დუქნად მომარჯვებულ ფარდულში მჯდომ, სიხარულისაგან თვალებაკვარკვალებულ ქალს წამოდგომაში შეეშველებოდნენ, ცალ ხელს იღლიის ქვეშ შეუყოფდნენ, მეორეს წელზე შემოხვევდნენ და ქალის ხორბლისფერი, ფუნთუშასავით ამობერილი და დაფორაჯებული ხელის შეხებასაც შეიგრძნობდნენ მკლავზე, ამ დიდი, მწვანეთვალება ქალისა, რომ იჯდა აქ, იქვე ათასგვარი საქონელი რომ დაეყარა, სარკმელთან მიჭედებულ ფირფიცარზე ქმრისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემორჩენილ, მიჭყლეტილ-მოჭყლეტილ სპილენძის საფერფლეში ხურდა ფული რომ ჩაეყარა. ის საფერფლე და ის ფული, მის ქალიშვილს ახლა სახლის მეორე სართულზე, სასტუმრო ოთახში კომოდზე მდგარი ოჯახური პორტრეტის წინ რომ დაედო, იმჟამინდელი, გვიანი ზაფხულის საღამოს რომ ნახეს უკანასკნელად, გულგახეთქილი რომ იპოვეს აქ მჯდარი, სკამზე თავგადაგდებული, ფეხსაცმლის რეზინის ლანჩისაგან გამოჭრილი ბუზების საკლავით ხელში...

დედის სიკვდილის შემდეგ მარტო დარჩა ლელა. დარჩა ამ სახლის, დუქნის, გასვენებასა და ქელეხზე მოგროვილი, მცირეოდენიც დედის დანაზოგი ფულისა და მასში უკიდურესობამდე მისული, წარამარა ერთმანეთის მონაცვლე, მეყვსეულად მოვარდნილი და ასევე მეყვსეულადვე გამქრალი დედისეული რწმენისა და მამისეული სასოწარკვეთილების ანაბარა, მაშინ, უკვე თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის გოგოს სახეზე უცნაურ გრიმასად რომ დამჩნეულიყო და ყველაზე მეტად მის მეტყველ, ცვალებად, ხან მკაცრ, ხან დამცინავ, დიდ, გრძელ გაწელილ ბაგეებზე გამოიხატებოდა. თავდაპირველად ნათესავებთან ცხოვრობდა, ხან ერთთან, ხან მეორესთან. მერე თავნება, ნალოლიავებ გოგოს შებოჭვა რომ დაუპირეს, გარკვეული ხნის შემდეგ მის ობლობაზე წუხილსაც რომ უკლეს და ჩვეულებრივი პირობები წაუყენეს, ამან ითაკილა, ამგვარი მოპყრობა თავისი უბედურებისადმი ყურწაგდებად მიიჩნია. დაელოდა ორმოცის გასვლას და დაუბრუნდა აქაურობას, ამ თუთის ხის ზურმუხტოვანი თავანით გადაბურულ ციცქნა ეზოს და პომკინტების ომბოხებზე შეყუნცულ სახლს. ცხოვრობდა აქ, სახლ-კარს უვლიდა, სწავლობდა, ჯიხურში იდგა, სახლში თუ იყო, ტელევიზორი და რადიო ერთთავად ჩართული ჰქონდა, შუაღამემდე, სანამ უკანასკნელი გადაცემა არ დამთავრდებოდა და ტელევიზორიც - ტუ-ტუ-ტუ- არ დაგავიწყდეთ გამორთვაო - ტუტუნს არ მორთავდა. გოგო მეორე სართულზე, საძინებელ ოთახში არ იძინებდა, ქვევით, სასადილო ოთახში მდგარ ტახტზე მიწოლილი თვლემდა. - ჰა! - დაფეთებული წამოხტებოდა, ტელევიზორს უაზროდ მიაჩერდებოდა, წამოიზლაზნებოდა, გამომრთველს გააჩხაკუნებდა. მერე ეზოს დაუვლიდა, ძაღლს - ჯერაც ჯულბარსას აუშვებდა, შუქს გამორთავდა... იწვა აქ, დედისეული სურათის ქვეშ; ძველი ფოტოსურათი იყო, ჩაბინდული და გვერდებშეყვითლებული, ზედ წარწერაც შეგეძლო ამოგეკითხა - „ფოტო გურგენ და მიტუშა". საკურორტო დაბის ეგრეთ წოდებულ კულტურის პარკში მდგარი ახალგაზრდა, ტანწერწეტა ქალი იყო ზედ გამოსახული, იცინოდა და არა ფოტოგრაფისათვის განკუთვნილი ღიმილით: აბა, გაიცინეთ, ქალიშვილო, ჩიტი გამოფრინდებაო, - არა, სამაგისო ქალი არ იყო. იცინოდა თავისთვის, თავის თავზე, შესაძლოა იმიტომ, რომ კაი აბრაგივით ჩოხა-ახალუხი ეცვა, მხარზე თეთრი ყაბალახი მოეგდო, თავზეც ფაფახი ეხურა. იდგა წელში გამართული, ოდნავ გადაზნექილი, ცალი ხელი მოჭედილ-მოკაზმულ ქამარზე შემოედო, მეორეთი ხანჯალი ამოეცურებინა ქარქაშიდან და იცინოდა... ხარხარებდა. სახე პირდაპირ ფოტოობიექტივისაკენ მიექცია, მაგრამ თვალს ქვემოთ, შვილისაკენ აპარებდა თითქოს - რომ იწვა ახლა აქ, რომ აყურადებდა ღამეულ ხმებს, შორეულ ჩქამებს; და როცა ეზოს გადაღმა გაყოლებულ თხრილში ბაყაყი გააბამდა თავის რუყრუყა როტოტს, როდესაც ჭრიჭინობელა წამოეგებოდა თავის ხმაზე და სოფელი - ჭრიჭინობელების ერთ მთლიან სიმღერაზე, როცა ბინდი შეუდგებოდა ღამეული ცის თავანს, ნელა, გულდაგულ ჩაბეჭავდა ვარსკვლავებს, ხან სავსე, ხან გალეულ, რქაკავშა მთვარეს, თუთის ხე, ჯერ ზაფხულისეული, მტვრიანი, მუქმწვანე, მერე და მერე შეყვითლებული ფოთლებით და ბოლოს სულაც გაკლერტილი, ზამთრისაგან სათითაოდ გაწიწკნილი და დაჯენჯილი რტოებით მოჩითავდა ფარდებს და სახლიც, სხვენზე გრძელი სადენით მიმაგრებული ნათურით ჩაფხუტზე სანთურმოჩახჩახე მეშახტესავით ჩაეშვებოდა წყვდიადში - მოდიოდა შიში. ჯერ წინა თათებზე ჩაცუცქული მოყნოსავდა იქაურობას, გოგოს მიუჩოჩდებოდა, თავზე დაადგებოდა - აბა, როგორ არის, აბა, დღეს რა შემიძლიაო. ზოგჯერ ამ გოგოში მჯდარი რაღაც, ხან

მკაცრი, სასტიკი გაბოროტება, ხანაც უცნაური ნათელი სულში ხელ-ფეხს უკრავდა, მაგრამ მეტწილად ღია იყო კარი, და შიშიც, ჰაიდა! – მოუხმობდა, ამ გოგოს ტვინიდან გამოსწოვდა, ჭერიდან, ოთახის კუთხეებიდან გამოუშვებდა, კედლებზე აათამაშებდა თავის დათილაზრულ ლანდებს; დედის სურათიდანაც გამოდიოდა, თავზე ხელს აღებდა დედა, მაგრამ ეს დედაც სხვა იყო ისევე, როგორც სურათზე გამოსახული ჩოხაახალუხიანი ქალი არ ჰგავდა იმ ზანტაკ, ზონზროხა დედაკაცს, დედად რომ ახსოვდა. სხვა იყო, სხვა სამყაროსეული იყო, იმ ლანდების სამყაროსი ახლდა მასაც რაღაც და გოგოც თავზე წამოიფარებდა, ფეხის თითებით დაგმანავდა, ტანზე მოიჭუჭკნიდა საბანს, თავისი სხეულით, საკუთარი სურნელით შემოიზღუდებოდა და ფრთხილად, საბანი რომ არ გადახდოდა, პირჯვარს იწერდა; ღმერთო, მიშველე, – ჩურჩულებდა, – ღმერთო, მიშველე! – ღმერთს ცოდვების გამოსყიდვას ჰპირდებოდა, უკვე რომ მოეგროვებინა თავისი ჭკუით; რაღაც აეწაპნა მეზობლის სახლში, იქ, ვილაცისთვის რაღაც ეთქვა, მეტს აღარ ვიზამო, ლუღლუღებდა; ოღონდ კი ახლაო, ოღონდ კიო...

იმ წელს იყო, სკოლა რომ დაამთავრა. სოფლის განაპირას, რკინიგზასთან, ქარხანა იდგა და იქ დაიწყო მუშაობა. მთელი მისი თანაკლასელი გოგობიჭობა, ყველა, ვინც კი ქალაქში სასწავლებლად თუ სამუშაოდ არ გაკრეფილიყო, აქ მუშაობდა. დედის გარდაცვალების წლისთავი ახლოვდებოდა უკვე, ესეც შეგუებოდა ბედს, თანატოლებში გარეულიყო, შინაც ხშირად მოყავდა ამხანაგები. ისინიც სიამოვნებით მოდიოდნენ, მარტოხელა ადამიანის სამყოფელი იზიდავდათ, ეს სახლი რაღაც აკრძალულს, თავისუფალს ჰპირდებოდათ, ამ სახლის გამო იყო, ლელა ამხანაგებში პოპულარობით რომ სარგებლობდა. იმ ასაკში იყვნენ, დასაახლოებელი პირობა რაიმე საიდუმლო რომ უნდა ყოფილიყო და ამათი საიდუმლო კი რა იყო, ეს ერთს ჰყვარობდა, ეს სხვას... ისხდნენ ხოლმე ტახტზე ფეხმორთხმულნი, თავიანთ სატრფოებზე ქაქანებდნენ და რაყიფების წინააღმდეგ ინტრიგებს ხლართავდნენ, ლელას ბიჭი შეყვარებოდა, ჯარმოვლილი იყო ის ბიჭი და ვინმე მოტინგიცო ლაწირაკი კი არა – კაცი ერქვა. ბიჭიც მოწყალე თვალით უყურებდა, ეარშიყებოდა. მერე გაირკვა – თურმე სხვა უყვარდა, ცოლად მოყვანასაც უპირებდა. ლელასაც, როგორც თავისი თავის პატივისმცემელ ყველა გოგოს, „დღიურად“ წოდებული, ყოველ მეორე გვერდზე კინოვარსკვლავების და მემოდელეების სურათებით და ამ ტიპის კითხვებით დამშვენებული ალბომი ჰქონდა: „აუხსნიდით თუ არა ბიჭს სიყვარულს?“ ან: „მოგწონთ თუ არა, ქალი რომ სიგარეტს ეწევა“? ბოლო, კიდეებგაფორმებულ და ფლომასტერით შეფერადებულ გვერდებზე კი ლექსები ჩაეწერა, რომ ვერ გაიგებდი, ვისი იყო, რა იყო. თუმცა ერთიორი გალაკტიონის ლექსიც შეგხვდებოდა – „უსიყვარულოდ“, „მერი“, დიდი მოწონებით სარგებლობდა პეტეფის „მიყვარხარ; მიყვარხარ ძლიერ“ და, უკაცრაული პასუხია და, პოემა მავან ყაჩაღ რეზოზე, ძაან ჩახლართული ამბავი რომ იყო, ეს რეზო დედას ჰყვარობდა, მერე საკუთარ შვილს, დადაც რომ ერგებოდა. ამ „დღიურიდან“ ამოიწერა. თვალდახუჭულმა ჩაიფიქრა და ისე, ალალბედზე აირჩია ლექსი, ბედად მისი ბედკრული გულის შესატყვისი რომ აღმოჩნდა და მეგობარი გოგოს ხელით გაუგზავნა ნანდაურს, ეპიგრაფად საკუთარი გულიდან ამოყრილი სიტყვები მიაყოლა:

*თუკი ოდესმე ცხოვრებაში სადმე შეგხვდები,*
*გთხოვ, გზა დამითმო, გავიარო, წინ ნუ დადგები.*
*შენ ჩემი გული სამუდამოდ მოკალი, კარგო,*
*მე შენ არასდროს, არასოდეს აღარ შეგხვდები.*

იქვე ორი გულიც მიეხატა, ერთზე თავისი სახელ-გვარის ინიციალები გამოეყვანა, მეორეზე – ბიჭისა; თავისი – დალახვრული, ყიაწითელი ისრით განგმირული, სისხლის წვეთებით მოწანწკარე და დაჩუტული; ბიჭის, – ვითომც არაფერი – გალაღებული, თავხედურად გაბრექილი; და მაინც, – ჰაი, ჰაი, ქალის გულს რა ვუთხარი! – მიეწერა: შენ ჩემი სიყვარულის ღირსი არ ყოფილხარ, მაგრამ მაინც ძლიერ, ძლიერ მიყვარხარ“. ბოლოს პოსტ სკრიპტუმი: „სანთელი იწვის, დნება, და ჩემი გულიც კვდება“. ეს უსტარი გაუგზავნა, მოკლედ, იმ ბიჭს. ბიჭმაც არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დააყოვნა, რა თქმა უნდა, და ნაცნობებს, სოფელს წააკითხა. დიდი არაფერი თითქოს, მაგრამ ნათესავები შეუცხუნდნენ, ჰარიქა, ცუდადაა გოგო ამძუვნებული, არ შერცხვეს, არ მოგვჯაყოს თავიო, და სახელდახელოდ გამოუჩხრიკეს კიდეც საქმრო.

ბიჭი დასავლეთ საქართველოდან, იმერეთის რომელიღაც სოფლიდან იყო. თბილისში მემანქანეობას სწავლობდა რკინიგზის ტექნიკუმში და ასე თუ ისე თბილისელი ერქვა. პერსპექტიულიც გახლდათ, ბინას ჰპირდებოდნენ სასწავლებლიდან. პრაქტიკებზე დაჰყვებოდა მატარებლებს, დროდადრო გამოჩნდებოდა ხოლმე ამ სოფელში, ნაცნობის ოჯახში. მაღალი, გამხდარი, ყელზე ბიჭურად ხრონჩგამობერილი ყმაწვილი იყო. ქერა, ფსიტი თმა, უფერული თვალები, სახის ლამაზი ნაკვთები და, რა დასამალია და, დუნე, ლამბი ნიკაპი ჰქონდა. კეთილსაიმედოობის, გარანტიულობის შეგრძნებასა და, რაც მთავარია, საკუთარ ჭკუაზე გადაკეთება-გადმოკეთების პერსპექტივასა და მფარველობის სურვილს აღძრავდა. მორცხვი იყო, ამ თავისი მორცხვობისაც რცხვენოდა, წარამარა წითლდებოდა ხოლმე. გოგო მაშინვე მოეწონა, თუმცა, დედა, ეს რა ვნახეო ვერ იტყოდა, მაგრამ თავისი მამაკაცური გუმანით ხელად მიხვდა, ამ შავტუხა და მწვანეთვალება გოგოსაგან, მაგიდასთან მის პირდაპირ რომ იჯდა, პუწკებოდა და თავისდა გაუაზრებლად „საწყალი, საწყალი ობოლი გოგოს" იერი რომ მიეღო, რა ქალიც დადგებოდა. ოღონდ იმას საიდან უნდა მიხვედრილიყო, ეს ობლობის და დაზარალებულის სტატუსი იარლიყი რომ იყო მხოლოდ, ისიც სენტიმენტალურად გაცვეთილი და გაქექილი, ამის მიღმა მდგარ, ყოველგვარ ვაი-ვიშს დაუქვემდებარებელ დიდ, საზარ ძალას კი რა კვალი დაეტოვებინა გოგოში, ამას საიდან უნდა სცოდნოდა, რომელი ფსიქოლოგი ეს იყო. რადგან ამ გოგოსაც იმდენად არ გალესოდა ჯერ გრძნობები, შიგნეული რომ გამოეჭრათ და სახეზე ამოსულიყვნენ, მართლაც რომ „საწყალი, საწყალი ობოლი გოგო" გახლდათ ჯერაც. თავად ლელასაც მოეწონა ბიჭი. თუმცა თავისი დალახვრული გული და სულ ახლახანს წარუმატებლად დამთავრებული სასიყვარულო ავანტურა ამის აშკარად გამოხატვის უფლებას არ აძლევდა. მაგრამ ის ბიჭი, ისეთი, როგორიც ნახა იმ დღეს, მოკრძალებული და წესიერი, თავისად დაიგულვა და დაინარჩუნა. მერე, რამდენიმე ხნის შემდეგ, კვლავ შეხვდა, ახლა უკვე „პერონზე", მემანქანესთან იდგა, გაბრაზებული, მკაცრი სახე ჰქონდა, სულ სხვაგვარი, უცხო ჩანდა, ასეთი, ამ მატარებელთან მდგარი და კუშტად გამომზირალი გოგოს მიერ უკვე თავისად მითვლილი იმ მორცხვი ბიჭის იერსახეში არ თავსდებოდა და ახლა სხვა სურვილი აღეძრა ლელას - ეს ახალი, უცხო იერიც დაენარჩუნებინა. ნელ-ნელა კრეფდა ლელა ბიჭის ათასგვარ იერს, გამოხედვას და საქციელს, ითავისებდა, თავისად დაგულვებულს და განსაკუთრებულს საკუთარ ყადაღას ადებდა და აყვარებდა, ბიჭს კი არაფერი ეს არ სჭირდებოდა, გოგო როგორადაც აღექვა პირველად, არაფრის დამატებას არ მოითხოვდა...

ამასობაში ბიჭის ახლობლებიც გამოჩნდნენ, გოგოს ახედ-დახედეს, კარ-მიდამოს თვალი მოავლეს, ნათესავებს კბილი გაუსინჯეს ჩვენსას უკეთესი ეკადრებოდაო, - წესისამებრ ცხვირიც აიბზუეს... ნიშნობა დედის გარდაცვალების წლისთავიდან ერთი თვის მერე დათქვეს. ნიშნობის შემდეგ ჩამოდიოდა ხოლმე ბიჭი, იმ თავისი ნაცნობის ბინაში ხვდებოდნენ ერთმანეთს... დადიოდნენ „პერონზე", თუ თემშარაზე, ერთმანეთს ეტოლებოდნენ, ერთად სიარულის რიტმს ამოწმებდნენ, ერთად ყოფნას აჩვევდნენ თავიანთ თავსაც და სხვებსაც. დროდადრო თბილისში ჩადიოდნენ, დედაქალაქს თავიანთ სოფლურ წილს აჭმევდნენ. გაივლიდნენ ორ-სამჯერ რუსთაველის პროსპექტს ლენინის მოედნიდან გრიბოედოვის ქუჩის ასახვევამდე, მერე, ხეტიალით გულს რომ მოიჯერებდნენ, კინოში შედიოდნენ. გოგოს ინდური ფილმები უყვარდა, ბიჭსაც და უყურებდნენ ფსევდომითოლოგიურობით შეფერილ სიუჟეტთა ტრიალს, კონკიათა და კეთილშობილ ავაზაკთა მითების ათასგვარ ვარიაციებს, ცეკვასიმღერებით გამიჯნულ ტრფიალსა და ოხ-

ვრა-შეყვარებას, ამ გოგო-ბიჭისათვის იმდენად ახლობელი რომ ჩანდა, რომ, როდესაც მავანი არამზადა პროტაპ-სინგჰი გმირ ქალ-ვაჟს კუთხეში მიიმწყვდევდა და: - ჰა, ჰა, ჰა! გაებით, ჩიტებო, მახეშიო, - თავის ლაჯუნა კბილებს ააღრჭიალებდა: უ აბა, სწრაფადო! - ხელქვეითებს თითებს გაუტკაცუნებდა და ისინიც დაქიჩმაჩდებოდნენ, გმირ ვაჟს ხელს დაავლებდნენ, ორ ბოძს შორის მაჯის სიმსხო ჯაჭვებით მიაბამდნენ /წვრილს გაგლეჯდა/; ის არამზადა პროტაპი მრავალმნიშვნელოვნად დაატრიალებდა შოლტს ხელში: - აბა, რაჯ, შენთან სხვაგვარი ლაპარაკი არ გადისო, - შემართავდა შოლტს და: - ო, არა, არა! - გმირის სატრფო, სიტა თუ რადჰა შეჰკივლებდა და ისკუპებდა, ამ რაჯს გადაეფოფრებოდა: - მე, მე მომკალით, ოღონდაც ჩემი რაჯი მიცოცხლეთო. და - შენთან კი, ლამაზო, - თვალებს მოწკურავდა არამზადა, - შენთან მე სხვაგვარი ლაპარაკი მექნებაო, - და აქვითქვითდებოდა ლელა, აქეთ ბიჭი გამწარებული მუშტებს მომუჭავდა. ისხდნენ ასე, ჩაბინდული დარბაზის უკანა მერხზე, ფილმითა და ერთმანეთით ბედნიერებს ეს ქვითქვითი და ვიში მომავალი მეუღლეების ნაზი ბუნების თვალსაჩინო გამოვლინებად თუ ენიშნებოდათ. კინოდან ლაღიძის კაფეში შედიოდნენ, რუსთაველის პროსპექტისა არ იყოს, ამასაც წლების მანძილზე ნალოლიევ-ნაპატიევი ხიბლი ახლდა თან; ჩაუყვებოდნენ კიბეს, ბიჭი სკამს გამოსწევდა, მოუქნელად შესთავაზებდა გოგოს, მერე მიდიოდა, გადაჭედილ რიგში დგებოდა, დროდადრო თავს აბრუნებდა, გოგოს უღიმოდა. ხაჭაპურს რომ მოიტანდა, დანაჩანგალსაც თან წამოიმძღვანიებდა, რომელსაც ლელა ამრეზით დააცქერდებოდა, იქვე, პლასტმასის ჭიქაში ჩადებული ხელსახოცით გულმოდგინედ გაწმენდდა, თავისასაც და ბიჭისასაც, და ბიჭს ამ დროს უცნაური სიხარული, რაღაც ახლობლური აწვებოდა ყელში, რადგან ამ ჟესტით ისაკუთრებდა გოგო, რადგან ამ ჟესტს მეტი ინტიმი ახლდა, ვიდრე სადღაც მოფარებულში ხვევნაკოცნას. იჯდა, უყურებდა გოგოს, მის დაუხვეწავ და უხეშ, თან მფრთხალ მანერებს, მის ცოცხალ, წარამარა ცვალებად სახეს, უყურებდა, - როგორ იცინოდა, შავგვრემან სახეზე როგორ უქათქათებდა კბილები, ამ დროს როგორ უჩანდა ვარდისფერი ღრძილები, ოდნავ, სულ ოდნავ, და ბიჭიც სულშეგუბებული გაიცინებდა ხოლმე. უფერული, თევზივით წყალწყალა თვალები ჰქონდა, მაგრამ ამ დროს საოცრად უნათდებოდა სახე. რაღაც სევდაც ახლდა ამ მზერას, მისეული, მასში დაგუბებული და ვერგადმოსული... ისხდნენ, დანით ლამობდნენ დაბრაწული ხაჭაპურის გაჭრას, და რომ ვერ ახერხებდნენ, ხელით ხლეჩდნენ ხოლმე და ამ დროს გრძნობდნენ ერთიანობას, ამ ქალაქის - ქალაქისა, ყოველთვის შორეულ მოძახილად რომ მოისმოდა მათ ცხოვრებაში, ექოსავით ხმიანობდა, ყრუვდებოდა, სანამ კვლავ ახალი მოძახილი არ მოვიდოდა - აქ ქალაქის კაფეში მსხდარნი ერთნი იყვნენ, ერთნაირნი იყვნენ და მაინც ამ ერთიანობის განცდასაც სევდა ახლდა, თან რადგან ისინი არ იყვნენ, ის უცხო და შორეულნი, ზმანებებში მოხმობილნი, თუნდაც ამ კაფეში მორიალე გოგო-ბიჭების მსგავსნი... არ იყვნენ... ეს ბიჭიც არ ჰგავდა იმ საოცნებო უფლისწულს, თავისი უფლისწულობის დამამტკიცებელი საბუთებით - კინო თუ სარეკლამო რგოლის გმირის გარეგნობითა და უცხოური მარკის ავტომობილით აღჭურვილი რომ გამოჩნდებოდა ერთ მშვენიერ დღეს სოფლის შარაზე. უფლისწულს იქ რა უნდოდა?, ისე, რაღაც, მოხდებოდა და შემთხვევით... არა, უცხოელი იყო, კი, უცხოელი, სულაც ქართველი ემიგრანტი, რევოლუციის წლებში გაქცეული არისტოკრატული გვარის ნაშიერი, აქ, სადღაც მამული ჰქონიათ მის წინაპრებს და მის სანახავად მოვიდოდა. გოგოს საყვარელ ვიდეოფილმებში ნანახი კადრების მსგავსად, გაჩერდებოდა მანქანა, გაიღებოდა შავი ლიმუზინის კარი, გალაქული ფეხსაცმლის ჭვინტი გამოჩნდებოდა ჯერ, აცურდებოდა კინოკამერა და უფლისწულიც მთელი თავისი ბრწყინვალებით გადმობრძანდებოდა მანქანიდან. სწორედ ამ დროს გამოივლიდა ლელა. მერე რა, რომ ბამბაზიის ხალათი მოეჯაჯა, შალის რეიტუზი ეცვა და წინდებიანი ფეხიც „კალოშებში" წაეყარა, მერე რა, შეხედავდა ის უფლისწული და ხელად

საქართველო...

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიხვდებოდა, ვინც იყო და რაც იყო ლელა... ბიჭის ზმანებათა გმირიც, რა თქმა უნდა, ასევე რომელიმე პოპულარული მომღერლისა თუ კინოვარსკვლავის გარეგნობის, ოცდაათს კარგა მაგრად გადაცილებული, მდიდარი და ბეხრეკი ბერიკაცის ცოლი, ცხოვრებაზე გულარძნილი, კაცთმოძულე და უშვილო /ეს ორი ბოლო კომპონენტი აუცილებლად/, ზვიადი და ამპარტავანი, ქედმაღალი ქალბატონი ჩანდა, სინამდვილეში კი კეთილი, კეთილი, ანგელოზივით ქალი გახლდათ - მთელს თავის ქონებას ქმრის-ნამალავად ღარიბებს ურიგებდა... ასეთი კარგი ქალი თუა, იმ ხრონც ბერიკაცს რას მიყვებოდა? რატომ და სიცოცხლეს გამოგასალმებო, ბერიკაცი დაემუქრებოდა... არა, ასე არა, ასეთი ქალი სიკვდილსაც არ შეუშინდებოდა. აჰა! მამას გაგიკოტრებო, - ბიზნესმენია ამ ქალის მამა, ოღონდ კეთილი, სამ საგიჟეთს აფინანსებს და სამსაც დავრდომილთა თავშესაფარს - და აი, ასეთ კეთილ, კარგ, ფილანტროპ მამას გაგიკოტრებო, - ის ბოროტი მაფიოზი იქაჩება, არადა, მამა ორჯერაა ნაინფარქტალი, მისთვის ოდნავი ნერვიულობაც კი არ შეიძლება, დედაც ავადმყოფია, ღვიძლის დაშლა აქვს უკანასკნელ სტადიაში? /მამას გული მისმა ტანჯვამ დაუავადმყოფა/, და-ძმა ყავს კიდევ, ოთხი და და ერთი ძმა. რა ამბავია? ბიჭი უნდოდათ მის მშობლებს და... რამდენიც არიან, მოკლედ, - მათ წინაშეც პასუხისმგებელია, იმ გიჟებსა და დავრდომილებსაც მიხედვა უნდათ და ეს ქალიც, ჯერაც ნორჩი ქალწული მივიდოდა იმ ბერიკაცთან და - თანახმა ვარ ცოლად გამოგყვეო, - ეტყოდა, - მაგრამ იცოდე, ჩემს სხეულს შეგიძლია დაეუფლო, მაგრამ სულს კი, სულს ვერაო, და ბერიკაცი სხეულზეც ყაბულს იყო, სულზე მაინცდამაინც დიდ პრეტენზიას არ აცხადებდა... ცხოვრობდა, მოკლედ, ეს ქალი ასე, სანამ ბიჭი არ გამოჩნდებოდა, ისეთი, როგორიც იყო, სახით ზმანებებშიც არ იცვლებოდა, ფართო, მზემოკიდებულ გულმკერდზე პერანგი გადაელელა, დეზებიანი ჩექმები და ქურთუკი ეცვა, თავზეც კოვბოური ქუდი ეხურა, პირში სიგარა გაეჩარა; მთელი ქვეყანა მოეელო უკვე და ბედნიერებას და სიყვარულს მაინც ვერ სწეოდა... ეს გმირები სულის შებერვასავით გამქრალიყვნენ ახლა. არც ბიჭს ეცხო რამე ოცნებაში დახა-ტული მოყმისა, და არც გოგოს - იმ ზვიადი ქალბატონისა, მაგრამ ამას აღარ ქონდა აზრი, რადგან ბიჭს უყვარდა გოგო და გოგოსაც ბიჭის სიყვარული შეჰყვარებოდა.

შუა შემოდგომაზე იქორწინეს და წამოვიდა ლელა თბილისში. ორთაჭალაში, პატარა თბილისური ეზოს ნახევარსარდაფში ნაქირავებ ბინაში, ცხოვრობდა აქ თავისი მყიფე ბედნიერებით მოვარაყებული სანიადაგო ყოფით: საერთო ონკანთან პირის ბანით, იმავე ონკანთან სარეცხის რეცხვით, იქვე მჯდარი დომინოსა თუ კარტის მოთამაშე მამაკაცების მზერის ალყაში საერთო საპირფარეშოში სიარულით, ჩხუბით, მეზობლების დაწიოკებით, ქმართან შეხმატკბილებულადაც თითქოს, მაგრამ მაინც... უფულობის გამო დაძაბულობით, ქმრის ნათესავებთან კინკლაობით, უფროს რძალთან ქიშპობით /იქ „კალიცო“ უფრო დიდი ეყიდათ ამ რძლისათვის, აქეთ დედამთილ-მამამთილი უფროსი ვაჟის ოჯახს უფრო სწყალობდა, რა უნდოდათ ასეთი, მაგათ ნალოლიავებ რძალს გოგოები მიეყარა, ამას კიდევ პირველივე შვილი ბიჭი გაეჩინა; რაღაც „ცეპის“ გამო ჯუჯღუნებდა კიდევ, საეჭვო ამბავი იყო, ეტყობა, „ცეპი“, „ცეპიო“ - იტყოდა ხოლმე, იმ „ცეპზე“ ხომ არაფერს ვამბობო/. რაღაც შეეცვალა, რაღა თქმა უნდა, რადგან ეს გამოფენილი, სამზეოზე გამოტანილი ყოფა თუნდაც იმ საპირფარეშოში სიარული რაღაცის გადალახვას მოითხოვდა მისგან. ქმარი უნებისყოფო აღმოაჩნდა, არც ის ყბადაღებული, მიმწოლი და ყველაფრის გამტანი გლეხური ძალა ჰქონდა, ეგაა, ყველა უნიათო ადამიანივით ჯიუტი იყო, თავისი მამაკაცური ღირსების დამკვიდრებას და უნიათობის კომპენსაციას სიჯიუტით თუ ახდენდა. ჩხუბი და დავიდარაბა არ იცოდა, ცოლსაც არ აჰყვებოდა კინკლაობაში, ხელს თუ მოუქნევდა ხოლმე, ისიც ყასიდად, სხვების თანდასწრებით, მერე კი, მარტო რომ იყვნენ, რაღაცას, თავისას უხსნიდა, სწრაფად, სიტყვების ყლაპვით ელაპარაკებოდა გზებზე, მატარებლებზე, ამ ბინას ახსენებდა, გაჭირვებას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელს, ბავშვობას და დედასაც რატომღაც – მაღალ, კაციივით დაძარღვულხელება და შვილივით თევზისთვალება ქალს. ახსნას ლამობდა, განა ასეთი ვარო, – ამბობდა, – განა ასეთიო, შენ რომ გგონია, ის არ ვარ, არც ამათო, – ხელს გაურკვევლად გააქნევდა, – სულ სხვა ვარ, სულ სხვაო, და ამ დროს აუბრჭყვიალდებოდა თვალები, – რა ვქნა, მითხარიო, აბა, რა ვქნაო და ქალსაც, თავდაპირველად გაგებით რომ უსმენდა და გულშიაც რაღაც თავისი აუხმიანდებოდა, – რადგან ეს ყველაფერი მისი იყო, ისიც კი, საღდაც მის მიღმა რომ მომხდარიყო, ის, რაც ამათ ერთად ყოფნას „მათ“ არ ეხებოდა: ამ კაცის ბავშვობაც და ბიჭობაც, და მერეც, კაცობისდროინდელი წყენები და ოცნებები სხვა შინაარსითა და სიტყვებით მისას ეხმიანებოდნენ მაინც, ის განცდებიც მისეული იყო, როგოროც ცალკერძ ამ კაცისა და როგორც ცალკერძ მისი, მაგრამ ამ ცრემლებისა და ქმრის დაპრანჭული სახის დანახვაზე ზიზღი უდგებოდა თვალებში, ესმოდა ყველაფერი, ეცოდებოდა ეს კაციც და თავისი თავიც, მაგრამ მასში მჯდარ ვიღაც სხვას, ქალი რომ ერქვა, ამ დროს სძულდა ქმარი და მიაჩერდებოდა თავისი დედისეული, წენგოსფერი, მიამიტი და თან მჩხიბავი, ყოვლის მცოდნე და ინტუიტიური გაგებით სავსე თვალებით და გულმოდგინედ, თითქოს პირველად ხედავსო, უყურებდა ქმარს, მზერას არიალებდა მის სხეულზე, თითოეულ ნაკვთს უჩხრეკდა, უყურებდა მის გლეხურად გატყაპნილ კეფას, დუნე, უნიათო ნიკაპს, იმასაც, როგორ იჯდა, ფეხები გლეხურადვე როგორ შეეყარა, ფეხის წვერები შიგნით მიექცია და კაციც აწრიალდებოდა, დაიბნეოდა, შინაგანად რაღაცას მიაწყდებოდა, ის თავისი გლეხურად შეყრილი ფეხები შეუტოკდებოდა, უფრო სწრაფად, სულმოუთქმელად ალაპარაკდებოდა, დროდადრო სასოწარკვეთილი სიმხნევით გადახედავდა ცოლს და ქალს ნაღველი დაუვლიდა ამ დროს სხეულში და მოწყალებასავით მიუგდებდა რაღაც ჟესტს, პოზას, ყურადღების ნიშნად წარბებს წკეპდა, ჰო, ჰოო, – წარამარა თავს უქნევდა...

ოფიციალურად ძველი ცხოვრების ნგრევა და ახლის შენება, ლელასათვის კი ეკონომიური კრიზისი, შტატების შემცირება, ქმრის სამუშაოდან დათხოვნა, შემთხვევითი სამუშაოების ძებნა, სულ უფრო და უფრო უიმედო სახე და ლელას მუშაობის დაწყება ერქვა ამას. სამუშაო ნაცნობმა შესთავაზა: ლილოში, საპნის ქარხანაში მუშაობდა ის კაცი, რაღაც პრეპარატები გამოჰქონდა და შინა ამზადებდა ათასგვარ სარეცხ საშუალებებს და შამპუნებს. შეთანხმდნენ, რომ ლელა გაასაღებდა ამ საქონელს და ლელაც ჰყიდდა ჯერ თავის ეზოში, იქაურ ნაცნობობაში, მერე ახლომდებარე საპარიკმახეროებში, იქიდან – სხვაში. თავდაპირველად ეხამუშებოდა ეს ყოფა, მერე და მერე მიეჩვია ქალაქს, მოიარშია მისი ქუჩები, აქამდე უცნობი, ობობას ქსელივით გაბანდღლული გზები, ორთაჭალის, ავლაბრის, სოლოლაკის, მოფრატუნე ქუჩაბანდები, გარეუბნების ფართო და მტვრიანი გამზირები, გაისაკუთრა და შეიყვარა ქალაქი, რადგან ეს ქალაქი ლელას ჰგავდა ახლა, მასავით გამოსულიყო ქუჩაში, ერთნაირი, თავაწყვეტილი რიტმი ჰქონდა ორივეს, ერთმანეთს კარნახობდნენ, ერთნაირად აჰყოლოდნენ ამ რიტმს, თუმცა რა აყოლა უნდოდა, ეს ყველაფერი მათში იყო უკვე, აქამდე მიყუჩებულს ახლა წაეყარა ალვირი... დადიოდა ასე, წვიმასა თუ ქარში, დარსა თუ ავდარში, კიდით-კიდემდე სერავდა ქალაქს მზეზე გარუჯული, მტვრიანი, ბრბოს, ყაყანსა და გნიასს შეჩვეული და მორგებული. სახე, ყელ-კისერი, მხარ-მკლავები მზეზე დასწვოდა და გასწითლებოდა, კანჭები თითქოს ლაფში ამოთხვროდა, გაშანგულ ქუსლებს მიუყვებოდა რუჯი, კოჭებზე, წვივებზე ადიოდა, ნაკუნთალზე გატოტვილ ვენებს ასდევდა, უფრო ზემოთ კი უკვე თეთრად, რძისფრად უკრთოდა კანი, /ამით ცნობდი, მის საქმიანობასაც ამით მიხვდებოდი/... დაათრევდა ბრეზენტისგან გამოჭრილ, თავისი ხელით შეკერილ მამაკაცის სამხედროქამრიან ჩანთაში მორახრახე ბიდონებს, ქამარი უხეხავდა მხრებს, ხელი ჩანთაზე გარედან მიმაგრებული თასმისთვის ჩაეჭიდა და მძიმედ, მთელი ტერფით ადგამდა ფეხს ატალახებულ თუ მზით გამლხვალ, ხაოიან ასფალტზე. დადიოდა ასე, სულ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უფრო ხშირად ელექტრონგამორთულ, უსინათლო, ბრმა ქალაქში, არარეალური რომ ჩანდა თავისი შიგადაშიგ დანთებული კოცონებით, ცეცხლის შუქზე მოპარპალე შენობებით, კედლებზე აბორიალებული ადამიანების უზარმაზარი, მოცეკვავე ჩრდილებით, თავიანთი კონტურებიდან გამოსულ, დეფორმირებულ და სიბნელეს რბილად შერთულ სახლებზე გამობმული პურის რიგის კუდებით... ერთთავად საკუთარ სხეულში, ფეხების, ხელების, მკლავების სახსრებში მიქცეული ზურგით იჭერდა ხმებს, წამოწეულ ფეხის ხმაზე დაშინებული ნაბიჯს უჩქარებდა, რათა გასცლოდა ამ ხმას, და მაინც ფარული იმედით იქნებ მოახლოებოდა ის ვიღაც, რომლის დანიშნულებაც და პირველი ჟესტიც - ამ ბრეზენტის ჩანთის თასმისთვის ხელის მოკიდება იქნებოდა.

იმ ხანებში იყო, მეზობელ კაცთან რომ დაიწყო სიარული. წვრილი, მონღოლურთვალება, ჯირკუტანა კაცი იყო. მსუქანი არ ეთქმოდა; მაგრამ წინ გამობზეკილი მუცელი და ფართო, ქალური გავა ჰქონდა. ეზოს წინ, ქუჩის პირას იჯდა ხოლმე, მეზობელს თუ ნაცნობს ნარდს ეთამაშებოდა ანდა, მარტო თუ იყო და პარტნიორს ელოდა, კამათლებს ხაჭავდა და აგორებდა, დროდადრო ფართო ხელისგულს დაადევნებდა, ზედ დააფარებდა, ქესტუმო - დასძახებდა, თითებით წამოკენკავდა და ისევ გადააბნევდა. გამვლელ ქალებს, ნაცნობებსაც და უცნობებსაც, დაინახავდა თუ არა, რაღაცას ეტყოდა შეწუხებული სახით, უკაცრავად, ქალბატონოო, რომელი საათიაო? ან: ვაიმე, რა მოხდა, ეს რა სროლა იყოო? ქალიც: რაო? სადაო? - ნაბიჯს რომ შეანელებდა - შეაცქერდებოდა თავისი მონღოლური ცეცხლოვანი თვალებით, სწრაფად ჩასჩურჩულებდა რაიმე უხამსს, ხელის წაპოტინებასაც დაუპირებდა და ქალებიც თავიანთი შესაძლებლობების კვალობაზე, ზოგი თავქუდმოგლეჯილი რომ გაშპებოდა, ზოგი კულტურულად გამოლანძღავდა: - უზრდელო, ურცხვო, როგორ არ გრცხვენიაო და ზოგი ბაზრულად აუქნევდა ხელს და: - ე-ე-ე, შენ ვიღაცაში ხომ არ გეშლებიო, - კმაყოფილი ჩაიხითხითებდა, მიმავალ ქალს ხვნეშით გააყოლებდა თვალს, მზერას თითქოს სხეულსაც ააყოლებდა... ეტყობა, ამგვარად გაიცნო ლელაც, შეიძლება ასე არა და სხვა ვარიაციით, შეიძლება - რომელი საათიაო კი არა, რაღაც სხვა ჰკითხა, შეიძლება არაფერიც არ უთქვამს, იჯდა და კამათელს აგორებდა თავისთვის და ქალი თვითონ მიუახლოვდა შეპარვით და მოიარებით და შეიძლება აქეთ ქალმა ჰკითხა - უკაცრავად, რომელი საათიაო, ან: ვაიმე, ხომ არ იცით, მაღაზიაში კარაქი მიიღეს თუ არაო. მთავარი ეს არაა, მთავარია, რომ, ასე თუ ისე, ერთმანეთის საყვარლები გახდნენ და სულ მალე რაღაც მანქანებით სოფელს მიღწეულ ხმებს დედამთილიც ჩამოჰყვა, ის მაღალი, დაძარღვულხელება და თევზისთვალება ქალი. კაი სტრატეგივით პირდაპირ არ გადასულა შეტევაზე, ჯერ გულდაგულ დაზვერა გარემო, ინფორმაცია დააზუსტა და მერე კი, ნათესავებისა და მეზობლების ამალით შეუცვივდა ამათ იქვე მცხოვრები ლოთი დედაკაცის ბინაში. იანვრის შუა რიცხვებში ჩატარდა სასამართლო. სასამართლოს შენობა სპორტული სკოლის გვერდით, უბნის ბოლოს იდგა. რემონტი ჰქონდათ და განქორწინების და - მერე - დედობის ჩამორთმევის პროცესი ბნელ, ვიწრო ოთახში ჩატარდა, სადაც რამდენიმე გალოპრილი, ჩაშავებული მერხი იდგა მხოლოდ და ჩატეხილი ფანჯრებიდან დაბერილი ქარი ზედ მოსამართლის თავზე ჭერზე ჩამოფხრეწილ შპალერს აფრიალებდა. სპორტული სკოლის დარბაზში ცეკვის გაკვეთილი მიმდინარეობდა და მთელი პროცესის მსვლელობის მანძილზე დოლის ყრუ, ველური ბრახუნი, მოულოდნელად აწივლებული გარმონისა და ჰაა! - ბავშვების ფეხების ბრაგუნი მოისმოდა. რაღაც მხედრულ, მთიულურ ცეკვას სწავლობდნენ თუ რა იყო, სულ ეს ჰანგი ისმოდა, - სულ ის ზემოხსენებული „ჰა-ა“ და „ა-სა-ა!“... მერე ისევ „ჰა-ა“ და „ა-ა-ა-“...

იანვრის ბნელ, ზეცამოსარკულ ღამეს დაუბრუნდა სოფელს. თვალებამდე ჩამოფხატული რუხი, დედაბრული თავშლით თავმობურული ჩამოჰყვა შუაღამის მატარებელს. ჩუმად გალია „პერონი“, ჩუმად აუყვა შარას. ჩუმი, წყნარი წყრომით შეეხმიანა აყეფებულ ძაღლს. სადღაც შორს, ერთბაშად აღმუვლებული მანქანის ხმიანობით დამფრთხალმა

ნაჩქარევად, ხელის ცეცებით მოარგო გასაღები კლიტეს. დაჟანგებულ ანჯამებს ჭრიალი რომ არ გაეღო, ურდულს ჩაავლო ხელი, მთელი ძალით ასწია, ერთხელაც მოავლო თვალი უკაცრიელ თემშარას და კარი შეაღო.

სამ დღეს შუქს არ ანთებდა. სამზარეულოში, ტახტზე იწვა მარტოობითა და მდუმარებით შეკოშტებულ სახლში, შმორისა და მტვრის, ნესტის სუნს თავის წილ სიგარეტის კვამლს ურთავდა, ახლა ამას ალაღებდა აქ. გზად ჩავლილი ადამიანების ფეხის ჩქამზე თუ მანქანის საბურავებიდან ჭიშკარზე ასხლეტილი კენჭების ხმაზე თავს სწევდა, დაძაგრული აყურადებდა იქაურობას კვლავ საბანში ყოფდა თავს. მეზობლის ქალი მოვიდა ორჯერ, ძაღლი ჰყავდა მისთვის მიბარებული. ეზოში არ შემოსულა ის ქალი, ყორიდანვე გადმოაგდო პურის და საჭმლის ნარჩენები. ფანჯარასთან მდგარი, სამზარეულოს იასამნისფერი დაჩრჩილული ფარდის ნასვრეტებიდან რაღაცნაირი უაზრო, შტერული დაინტერესებით უყურებდა, როგორ ცვიოდა საჭმელი ეზოში, როგორ დასუნსულობდა შემოდგომისეული ფოთლების ხმელ ჩხრიალში ძაღლი, საჭმელს ეძებდა, დრუნჩს კრავდა ფოთლებს. მერე ბრუნდებოდა, ისევ წვებოდა, სიცივისაგან აბაბანებული იკუნტებოდა, თავზე იფარებდა საბანს. ასეთი წოლა იცოდა ისედაც, რა საწყლად წევხარო, - დედა ეტყოდა ხოლმე, ქალიშვილ გოგოს არ ეკადრება ასე წოლაო, გულაღმა გააწვენდა, ფეხებს გაუსწორებდა, ხელებსაც ფერდებზე მიაკრავდა, გეგონება არტახებში უპირებს გახვევასო, ასე უნდა იწვეო, - ასწავლიდა, - აი, ასე თორემ რაა ეს, მერე ქმარს დაგრეხილი ხომ არ მიუწვებიო. ვერ გადააჩვია მაინც და დედაც არ ბრაზობდა: ჩემი საწყალი, ჩემი დაშინებული გოგოო, - ეფერებოდა. ახლაც თავზე საბანწაფარებული, მოკუნტული იწვა. ქათმის სველი ბუმბულისა და სკინტლის სუნი ასდიოდა საბანს. შმორის სუნი იდგა სახლში. ეს მარტოობაც შმორის სუნად ყარდა, შლამივით აკვროდა სასას. იწვა ასე, სანამ არ დაღალა ყველაფერმა: თავისმა თავმა, აქ წოლამ, სიცივემ და გაშტერებამ, სანამ არ მოვიდა ისიც, რასაც გაუაზრებლად ელოდა მთელი ეს ხანი, ის, ყველაზე დიდი და მწარე ბოღმა - საკუთარი თავისადმი გაჩენილი ბოღმა რომ არის მხოლოდ; და ამანაც რომ ამოავსო ყველაფერი, ყველა წყენა და დარდი, იმ სირცხვილსა და მარტოობასაც რომ მოაძგა თავზე, მაშინ წამოდგა, ერთბაშად აანთო სინათლე, კარი მოაფიათა, აქაც, შესასვლელთანაც ჩამრთველს ხელი დაჰკრა, რბილი, ყვითელი ნათელი დააფინა ეზოს. ონკანთან მივიდა, წყალი მოუშვა, ტაშტები, საოჯახო ნივთები აახმაურა, ფოთლების შავი და ლოხორო ყორის კუთხეს მიახვეტა, შლანგი მიუმარჯვა ეზოს, ძაღლის კურკლი და ტალახი ჩარეცხა. ოდნავ დაფერდებულ ნათხარებში ბლანტ სითხესავით, მძიმედ წავიდა წყალი, ჭიშკრის ქვეშ გაძვრა, შარაგზის პირას დატბორდა. ფოთლებისა და ნაგვის თავზეც ხრჩოლით ავარდა კვამლი, ყორეს ასცდა, ირგვლივ შებოლილი თევზის სუნი დააყენა. ლელა კი ელოდა, ელოდა, და -: ბრახ, ბრახ! - მოვიდა კიდეც ის, პირველი ვინც უნდა მოსულიყო: ცნობისმოყვარეობისაგან ატაცებული, თვალებდაცეცებული, ამ თავის ცნობისმოყვარეობაში ურცხვი და თან, როგორღაც, ბავშვურად დაუფარავი და უმწეო ქალი. და ესეც გაემართა მისკენ და მერე სხვებისკენ და მერე გარეთ, ყურპარტყუნა ვირის გავაზე უკუღმა გადამჯდარმაც დაიარა სოფელი. ნათესავებმა ცხვირი აუბზუეს, არც ამას დაუღადრავს მათთვის ყელი. არ სჭირდებოდა არც ესენი, არც თავისი გოგოობისდროინდელი მეგობრები, ამ თავის ბოღმასთან ჩადაქალებულს სხვები უნდოდა ახლა, სხვა ხალხი, და ისინიც მოვიდნენ, თავიანთი წილი ბოღმა წამოიმძღვანიეს, საერთო ბოღმის სუფრაზე შემოდეს. მოვიდნენ და გაეჩვივნენ ამ კახპასავით სასურველ, და ყველაფრის ნებადართულობით გაჯერებულ სახლს, რადგან, რა კერა და რის კერა და რომელი ფუძის ანგელოზი, ყველაფერი შეეძლოთ აქ, შეეძლოთ ეფურთხებინათ იმ კერისათვის, ამის სახით იმ სადღაც თავიანთთვის ჩაღუღუნებული სახლებისათვისაც მიეფურთხებინათ, იმ სახლებისათვის და სითბოსათვის, რომლებიც არ ჰქონდათ, რომლებიც არ უნდოდათ ვითომ, რომელთაც შენატროდნენ ფარულად, მაგრამ არ ჩანდა არსად, კერაც ჩამქრალიყო და ფუძის ანგელოზებიც გაკრეფილიყვნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



სადღაც. ისხდნენ აქ, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული თუ რუსული მოდგმის ხალხით ალუფხულ, ფარული შიშით, უიმედობით და უფესვობის შეგრძნებით გაჯერებულ სოფელში, სოფელში, სადაც ერთმანეთისაკენ მიშვერილი, ხახადაფჩენილი ტყვიამფრქვევები შემოედგათ სახლის სახურავებზე. იჯდა ლელა ამ ხალხთან, თავის საყვარლებთან, საყვარლების ძმაკაცებთან, იმათი საყვარლებთან და ყივილითა და ყიჟინით ხელს უკრავდა, აფრთხობდა, ჭიტლაყს კრავდა მარტოობას, გააგდებდა კიდეც ვითომ და - მორჩა, ხომ ვუტირე დედაო, მოვიშორე თუ არა ეს ასეთი და ისეთიო - რომ ეგონა, სწორედ ამ დროს, სწორედ ამ დროს მოდიოდა კიდევ უფრო დიდი მარტოობა, ხელგადახვეულ სიცარიელესა და გულგრილობასაც მოათრევდა. და იმასაც ხვდებოდა; ამისთვის მოსულიყო აქ, ამისთვის სჭირდებოდა ეს სახლი, რათა საბოლოოდ შეეგრძნო თავისი უმწეობა, ტაშ-ფანდურით დამშვიდობებოდა ამაო ილუზიას, თითქოსდა შესაძლებელი იყო სადმე მიმალვა, თითქოსდა შესაძლებელი იყო საკუთარი თავიდან გაქცევა. ასეთ ხანებში, რომ აუმსუყდებოდა გული ამ ყოფით, დაჰკრავდა ფეხს, რაიონულ ცენტრში, თბილისში მიდიოდა, ერთხანს ცხოვრობდა იქ თავის ახლობლებთან, მუშაობდა. იმ ხანებში გადაეყარა თინას, საიდანღაც გადმოქაჯულ უკვე ასაკოვან, კარგა მაგრა ნათრევ ქალს. დიდი ხნის წინათ საბაჟოს იმდროინდელ უფროსს მოეყვანა და ხასად დაესვა აქ. ეს წინათ, ახლა ბინას ქირაობდა მეზობელ სოფელში და - ჩემთან იცხოვრე, რაღა ვიღაც დამპალს აძლიო ფულიო - ლელამ შესთავაზა. კი არ მოწონდა, - ფხიანი, გამოჯეგილი ქალი იყო ეს თინა და ლელამაც იცოდა, რასაც აკეთებდა. ერთად დაიწყეს სიარული. თინას ოდინდელი საყვარლის წყალობით საბაჟოზე თავისუფლად შეეძლოთ გადასვლა და გადადიოდნენ კიდეც, რაღაცები მიჰქონდათ და მოჰქონდათ სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, ზოგჯერ უფრო შორს, რუსეთისკენაც აუშვებდნენ იალქანს. ერთხელ ეგრეთ წოდებულ თხუთმეტსუტკიანშიც ამოყვეს თავი. მატარებლის გამცილებელი გალახეს. დაღესტნიდან მოდიოდნენ მაშინ ისა და თინა და ორიც მათი ნაცნობი ქალი მათთან ერთად. ზაფხული იყო, ცხელოდა, ესენი კი ტიტლიკანები ისხდნენ მთელი გზა და არაყს უბრახუნებდნენ. რაღაც ჭირად წყალი მოუნდა ლელას, ტანსაცმელი არ ჩაუცვამს, ზეწარი შემოიხვია ტანზე და ისე გამობანცალდა დერეფანში. და გამცილებელ თათარს /არხეინად, ნელ-ნელა რომ მოაბიჯებდა და გადარეული რომ შეაჩერდა ზეწარში გახვეულ, თმაგაფოფრილ ქალს/. - ვაი, შეჰეირამ, ეს შენა ხარო? - გულმოდგინედ გადაიწერა პირჯვარი. გამცილებელმა გაარტყა და ამის ჭყივილზე მოვარდნილმა ქალებმა იმ კაცს სცემეს. ჰოდა, ოთხივენი მოაყუჩეს ვირის აბანოში. თქვენს ჯიბეში ფული ძევსო, და ის დაღესტნური ნობათიც /არადა, რა იმედს ამყარებდნენ მასზე/ და ფულიც ჩამოართვეს, რა თქმა უნდა. ეგ არაფერი, უკვე დაღესტნის მატარებელში არ ჯდებოდა, თორემ, ისე, კვლავ დადიოდა იმ თავისი, უკვე ნაცნობი მარშრუტებით. ფული მოაქუჩა და დაჰკრა ფეხი, ახლა უფრო შორს. სად არ მიერეკებოდა ბედი, თუ - პირიქით - ის ერეკებოდა ბედს: ჯერ რუმინეთში, რაღაცები წაიღო გასაყიდად, „ზარალი ნახა“ და უკან დაბრუნებულმა ხელახლა დაიწყო ფულის შეგროვება, გზის ფული მოაგროვა და ახლა საბერძნეთში წავიდა ნაცნობი ბერძნების ოჯახთან ერთად. ფორთოხლის პლანტაციებში მუშაობდა ერთხანს. კვიპროსზე გადავიდა ერთი ღღით, უამრავი ნაცნობი შეხვდა და სამუშაო სეზონის შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულმა თურქული პასპორტი გააკეთა ახლა. საბოლოოდაც თურქეთში ჩარჩა. ენის შესწავლა არ გასჭირვებია, სულ მალე ამოიდგა ენა თურქულად, აქეთ კიდევ მეგრულადაც სართად /ქართულადაც მეგრულად, წამღერებით, რბილად ლაპარაკობდა/. თავი უცხოეთშიც არ ეგონა, ქართველებით იყო სავსე იქაურობა, იმდენად, რომ ბოლოს ყველაზე უფრო ქართველებს უფრთხოდა. სამუშაო კაზინოში იშოვა, მაგიდებს ემსახურებოდა, საფერფლეებს ასუფთავებდა. აშკარა „ოროსპი“ იყოო, ვერ იტყოდი, მაგრამ თავქეიფა, ხუშტურებიანი ქალი იყო და შეიძლება ასეთად მიგეჩნია. კაცი ჰყავდა ვიღაც, ჯერ ერთი, მერე მეორე, სანამ პოლიციელ ალი-

ბაბას არ დაადგა თვალი და ამასთან დაიწყო სიარული. სამუშაო იოლი ჰქონდა, ყრიდა ნამწვებს იმ თავისი საფერფლეებიდან, საღამოს ალი-ბაბაც მოდიოდა და მასთან ერთად იჯდა, რახით იჭყიპებოდა. სიმღერა უყვარდა ერთი, აღმოსავლურად გაწელილი და სევდიანი რიტმი ჰქონდა ამ სიმღერას: „დედა არ მყავს, მამ არა მყავს, დაი არ მყავს, ძმაი არ მყავს, ჰოოოოიი, სულ მარტო ვარ მე საწყალი“. ბოლო სიტყვებზე ამოუჯდებოდა ხოლმე გული /თუმცა იმავე წარმატებით შეეძლო ემღერა: დედა მყავს, მამა მყავს, დაი მყავს, ძმაი მყავს, ჰოოოოიი, სულ მარტო ვარ მე საწყალიო/. დროდადრო ჩამოდიოდა სამშობლოში, სოფელში, თავის სახლში არ მიდიოდა, თბილისელ ნაცნობებთან რჩებოდა. ის თურქი კაცები ფულიანი ხალხი იყო სამივე, ერთს იმ მამაპაპური ოცნების - თბილისში საყიდელი სახლის ფულიც მიეცა, მაგრამ ხელგაშლილი ქალი იყო, ფული არ უჩერდებოდა, ნაცნობებისთვის ჩამოიტანდა ხოლმე ათასგვარ სასუსნავს, ტანსაცმელს იყიდდა, ამათაც ფულს უტოვებდა; ზოგჯერ ვერაფერიც ვერ ჩამოჰქონდა, საქართველოს საბაჟოს, თუ ღმერთმა ქნა და გადაურჩებოდა, გზებზე, სოფლებში გვარდია, ყაჩაღები, ხანაც დამშეული ქალები და ბავშვები ეხვეოდნენ ავტობუსებს. ზოგჯერ უმუშევრად რჩებოდა - ხან კაზინოს დახურავდნენ, სამუშაოს ვერ შოულობდა. ხან პოლიცია დაავლებდა ხელს საზღვარზე გადარეკავდა, ხანაც რამაზანობა იყო და ბაირამობის დამთავრებამდე უნდა მიმალულიყო სადმე, ხანაც თავისი ნებით მოდიოდა - ძვირი ღირდა იქით აბორტის გაკეთება და აქ ჩამოდიოდა.

ეს - ეზოში მოწანწალე ძაღლიანი და რუტუქი ხის ანაბარა დარჩენილი, თავის ჩამპალ კედლებში ჩაყურადებული სახლი კი არცთუ უფუნქციოდ დარჩენილიყო: თინას დაედო ბინა აქ, იმ თავის გზებს რომ არ იყო გაკრული, აქ მოდიოდა. მოდიოდნენ პურის გადამყიდველებიც, ერთნი - თინას ნაცნობები, დენი რომ გამოირთვებოდა და მატარებლის მოძრაობა შეწყდებოდა, აქ ათევდნენ ხოლმე ღამეს, წასვლისას საფასურად თითო-თითო პურს ტოვებდნენ, სხვებისგან კი თავად თინა ყიდულობდა პურს, მერე იქვე, სოფელში ყიდდა ძვირად ანდა ღამით სოფელს მომდგარ, დამშეული სომხეთიდან გადმოსულ გადამყიდველებს აძლევდა.



# ლევან მალაზონია

## ქუჩაში, ბაღთან

შარშან, 1997 წლის გვიანი შემოდგომის სუსხიან დღეს, თბილისში გაუქმებული ვერის ბაზრის თაღოვან შესასვლელისგან მოშორებით, ძველ აფთიაქთან ორი უწვერულვაშო მაღალი მოხუცი ერთმანეთს ღიმილით ელაპარაკებოდა და თან ქარისგან აწეწილ თოვლივით თეთრ თმებს ხშირ-ხშირად თითებით ისწორებდნენ. ისინი იმითაც იქცევდნენ გამვლელთა ყურადღებას, რომ ამ ხნის ხალხს ასეთ სიცივეში ქუდები არ ეხურათ და რუხი ფერის თხელი, გაცრეცილი პალტოები ეცვათ, მუხლებამდე ძლივს რომ სწვდებოდათ - არც ერთს კაშნეც კი არ ეკეთა და ყელი მოღიავებული ჰქონდათ. საუბრით ისე იყვნენ გართულნი, რომ ალბათ, სიცივესაც ვერ გრძნობდნენ. ყოველ მათ ჟესტიკულაციასა, მიხრამოხრასა თუ ბავშვურ, გულწრფელ ღიმილში თავაზიანობა და ურთიერთმოკრძალება იხატებოდა. ერთს მარჯვენა ხელში ძველებური ყავისფერი თავმოკაუჭებული ტროსტი ეჭირა, მარცხენაში კი პატარა ნაქსოვი ბადურა, რომლიდანაც გამჭვირვალე პარკში აკურატულად ჩაწყობილ კარტოფილებს, რამდენიმე ლიმონს და სანთელს გამოეყო თავი. მეორე მოხუცს მომცრო, ლამაზ, ხახვით სავსე ჭრელ ჩანთაში მზესუმზირის ზეთის უცხოური ფირმის ბოთლი ჩაედო და ზედაც სამი კოლოფი სიგარეტი „ასტრა“ დაეწყო. ერთმანეთის მიმართ ისეთ მოკრძალებას იჩენდნენ დროდადრო თავის დაკვრით და ღიმილით გაბრწყინებული სახეებით, რომ აშკარა იყო, პოლიტიკაზე არ საუბრობდნენ. ჰყვებოდნენ, ალბათ, ძველ, ბავშვობისდროინდელ ამბებს და დღევანდელობა თითქოსდა გადავიწყებული ჰქონდათ. ისიც შევნოდათ, რომ სათვალეები არ ეკეთათ, თუმცა მშვენივრად არჩევდნენ ვაკისკენ მიმავალ ტროლეიბუსის თუ ავტობუსის ნომრებს. კარტოფილით და ხახვით სავსე ხელჩანთებით დატვირთულმა თავაზიანმა მოხუცებმა, ამქვეყნიური ჭირ-ვარამი თითქოსდა რომ დავიწყნოდათ, გაუქმებული ბაზრის თაღოვანი შესასვლელიდან გამოსვლისთანავე დალანდეს ნაცრისფერ საშინაო ხალათმოცმული ფლოსტებიანი დედაბერი, რომელსაც ხელში აგორგლილი წითელზოლებიანი თოკით შეკრული ბამბებგამოყრილი ლეიბი აეტატებინა და ძლივსძლივობით მოაბიჯებდა. ქალი ბორდიურთან შეჩერდა, ტროტუარიდან ქუჩაში რამდენჯერმე ფეხის ჩადგმა დააპირა და აქეთ-იქით მიმოიხედა, მერე შემობრუნდა და თვალი იმ შენობას შეავლო, რომლის თაღოვანი შესასვლელიდანაც გამოვიდა. ეტყობოდა, ქუჩის გადაჭრა უნდოდა და მშველელს ეძებდა, მარტო თვითონ კი მანქანების განუწყვეტელი მოძრაობის შიშით ამას ვერ ბედავდა; შორიახლო გვირაბში ჩასვლა მისთვის მძიმე ტვირთით და კიბეზე თრევა, ალბათ, არ შეეძლო. იდგა ასე ქუჩაში ლეიბით ატატებული ღრმად მოხუცი ქალი, აქეთ იქით უმწეოდ იხედებოდა და იმედდაკარგული თავისთვის რაღაცას ჩიფჩიფებდა. მსუბუქი მანქანებისა თუ სამარშრუტო ტაქსების დგრიალი წამითაც არ წყდებოდა და ქუჩის გადაჭრა ახლა უაღრესად სახიფათო იყო. გავიდა ერთი თუ ორი წუთი, მაგრამ ლეიბატატებული დედაბრისთვის გამვლელებიდან ყურადღება არავის მიუქცევია. თუმცა, უამრავმა ახალგაზრდამ ჩაუარა, ზოგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა





შეათვალიერა კიდეც, მაგრამ არც ერთი შეჩერებულა, რომ მიშველებოდა და ქუჩის მეორე მხარეს გადაეყვანა.

მოჰკრეს თუ არა თვალი გასაჭირში ჩავარდნილ ქალს აფთიაქის წინ მდგომმა თეთრთმიანმა სიმპათიურმა მოხუცებმა, ერთმანეთს რომ უდიდესი მოკრძალებით ესაუბრებოდნენ, მაშინვე მისკენ გაეშურნენ, აქეთ-იქიდან ხელკავი გამოსდეს, მანქანებისა თუ ავტობუსების მძღოლებს ხელის აწევით ანიშნეს შეჩერებულიყვნენ, დედაბერი თავის ლეიბიანად ნელი ნაბიჯით ქუჩის მეორე მხარეს გადაიყვანეს, იქ თავი მდაბლად დაუკრეს, უკან გამობრუნდნენ, იმავე ადგილას შეჩერდნენ, სადაც იდგნენ და საუბარი განაგრძეს, თითქოსდა არაფერი მომხდარიყოს. თუმცა ასეც იყო! სასწაულებრივი ხომ არაფერი მომხდარა! ის ჩვეულებრივი გულისხმიერება, რაც დარბაისელმა მოხუცებმა გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანისადმი გამოიჩინეს, გამვლელთათვის სასეიროდ იქცა და ბევრს ამან რატომღაც ღიმილიც მოჰგვარა. დედაბერი კი იდგა ქუჩის მეორე მხარეს ატატებული ლეიბით და გულმხურვალედ ლოცავდა მის მხსნელებს.

ცოტა ხნის შემდეგ საუბრით გართულ დარბაისელ მოხუცებს ვიღაც წვერგაუპარსავი, გამხდარი, შუახნის კაცი მიუახლოვდა. ღილებგახსნილი მოყვითალო პიჯაკი ეცვა, სვანური ქუდი ეხურა, იღლიაში ცარიელი ღვინის ბოთლი ამოეჩარა. ახალმოსულმა ხელის გაშლილი თითების გაქნევ-გამოქნევით მოსაუბრეებს რაღაც ჰკითხა. თითქოს ნასვამი იყო, მაგრამ უფრო უიმედო, ცხოვრებისგან გარიყულ ადამიანს წააგავდა. მოხუცებმა თავაზიანად მაშინვე უპასუხეს, მერე თავის დაკვრით მოუბოდიშეს და ისევ საუბარს შეჰყვნენ, ყვითელპიჯაკიანი, როგორც ჩანდა, მაინც უკმაყოფილო დარჩა. ალბათ, იმის გამო, რომ ვერ აიყოლია ქუჩაში მდგომნი და აჰრეზილი მიაჩერდა მათ. მერე თითებგაშლილი ხელები მაღლა აიშვირა, ცას ახედა და ჩახლეჩილი ხმით დაიღრიალა:

– უარესის ღირსი ვართ, უარესის!

გამვლელებიდან მხოლოდ ერთმა მიიხედა მისკენ და იმანაც სასხვათაშორისოდ შეავლო თვალი, ისე, რომ ნაბიჯი არც შეუნელებია. დარბაისელმა მოხუცებმა საუბარი მაშინვე შეწყვიტეს და უცხო კაცს, მოულოდნელად რომ აღრიალდა, ყურადღებით დააცქერდნენ.

– არ გინდოდათ კომუნისტები, ხომ! – მთელი ხმით ამოიხავლა ყვითელპიჯაკიანმა, თავში ხელები წაიშინა და თან გაიძახოდა, – ამოვწყდებით, ამოვიხოცებით, გადავშენდებით!.. და ამის ღირსი ვიქნებით!..

გამვლელთაგან ვიღაც ქურქიანი წვეროსანი ახმახი შეჩერდა წამით და ყვითელპიჯაკიანს, თითქოს ნათქვამს უდასტურებსო, მხარზე რამდენჯერმე დაჰკრა ხელი.

– მართალია, მართალი! – მკივანა ხმით გამოეხმაურა ღრიალს აფთიაქის წინ მდგომი ვიღაც ფაშფაშა ქალი.

– გადავშენდებით, გადავშენდებით! – ისევ აყვირდა მხარდამჭერებისგან უკვე გათამამებული ყვითელპიჯაკიანი, მერე უცებ სწრაფად შეტრიალდა და ქუჩური გინებ-გინებით, განათლებული ხალხის მისამართით რომ გაიძახოდა და, მათში ალბათ, იმ ორ დარბაისელ მოხუცსაც გულისხმობდა, ვერის ბაღისკენ გასწია. ის დედაბერი კი, რომელსაც ხელში ატატებული ლეიბი ეჭირა, ისევ იქ იდგა. ბოლოს, ლოცვა-კურთხევით გული რომ იჯერა, შებრუნდა და მოკლე ნაბიჯებით აუყვა აღმართს. – დარბაისელი მოხუცები იქით იყურებოდნენ, საითაც ყვითელპიჯაკიანმა გასწია და სინანულის ნიშნად თავს აქეთ-იქით აქნევდნენ. მერე ხელჯოხიანმა თანამოსაუბრეს ღიმილით უთხრა:

– სამწუხაროდ, სიმხნევე და ნებისყოფა ღალატობს დღეს ჩვენში ბევრს, ბატონო გრიგოლ.

– მართალი ბრძანებაა, – უპასუხა მეორემ

მშვიდად, სახეზე ნაღვლიანი გამომეტყველება გამოეხატა, სადღაც შორს გაიხედა, თვალები გაუშტერდა და გააგრძელა, - გალიაში გამომწყვდეულ მაძღარ ცხოველსაც კი ტყეში მშიერი კუჭით თავისუფლად წანწალი ურჩევნია. ადამიანს ოთხფეხზე ნაკლებად რატომ უნდა უყვარდეს, ჩემო ბატონო ერეკლე, თავის ნებაზე სიარული, არ მესმის.

- ციმბირის კოლონიებში ათეული მილიონობით ჩახოცილი უდანაშაულო ადამიანი აღარავის ახსოვს, - სინანულით და დიდის გულისტკივილით თქვა ხელჯოხიანმა და ღრმად ამოისუნთქა, - დღესაც თვალწინ მიდგას ის ჯოჯოხეთი.

- ჩემ დროს ვორკუტის საბადოებზე ოცდაათ კაცამდე იყინებოდა დღეში და იქვე ახლოს ორმოებში ყრიდნენ გვამებს.

- პეჩორაშიც ასე იყო, ბატონო ერეკლე, ყველგან...

- ჰო, რა თქმა უნდა. ბევრი კი მაინც კომუნისტურ რეჟიმს მისტირის. აი, ესაა ყველაზე დიდი უბედურება.

- შიმშილმა და ათასგვარმა გაჭირვებამ ისე ვერ უნდა დააგლახაკოს ხალხი, რომ ჯალათური წყობილების აღდგენა მონატროს. მაინცადამაინც ციმბირის კატორღებში ნამყოფებმა უნდა ვთქვათ ეს? დღევანდელი საქართველოს უბედურებაც ხომ კომუნისტების დანატოვარია!

- რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა, - მაშინვე დაემოწმა ხელჯოხიანი.

- ხალხმა ბევრი რამ არ იცის და ამიტომ ვერც გაამტყუნებ. უფრო დიდი უბედურება კი ისაა, ვისაც ყველაფერი კარგად მოეხსენება, მაგრამ რადგან მოშივდა ან შეცივდა, კომუნისტური რეჟიმის აღდგენას ნატრობს.

- ასეთები კი, ბატონო ერეკლე, ძალიან ბევრნი არიან ჩვენში.

- საუბედუროდ, ჩემო გრიგოლ, საუბედუროდ! მაგრამ მალე აეხილება ყველას თვალი. მზისქვეშ დაფარული არაფერია, როგორც ბიბლია გვასწავლის.

- ღმერთმა გისმინოთ - მეც მჯერა, რომ ჩვენი ქვეყანა მალე დადგება ფეხზე და კომუნისტების სახსენებელიც გაქრება. სხვა, გავიგე, უკვე მეოთხე შვილიშვილს ელოდებით?

- ამ გაზაფხულზე, ალბათ. სამი ბიჭი გვყავს და ახლა გოგოს ვნატრობ ძალიან - ძმებს უსათუოდ დაიკო უნდა ჰყავდეთ;

- მართალი ბრძანებაა, მაგრამ მეოთ[illegible] ბიჭიც ბედნიერება იქნება, მეოთხე ვაჟკაცი.

- ჰო, რასაც ღმერთი გვაჩუქებს...

ამ დროს მოხუცებთან გვერდით ნატიფად ჩაცმულმა ქალ-ვაჟმა [illegible]არა. მიმზიდველი, კარგი გარეგნობის ახალ[illegible]ზრდები იყვნენ. კევს ღეჭავდნენ, რაღა[illegible] ხუმრობდნენ და სიცილით მიაბიჯებდნენ. [illegible] შვილს შავი ჩანთიდან ამოღებისას ნაქს[illegible]ლი ქუდი დაუვარდა მიწაზე და შეჩერდა. [illegible] შედგა ორი სამი ნაბიჯის შემდეგ და [illegible]იდა. ქალიშვილი რამდენიმე წამს [illegible]ოდა კავალერს, ეგონა მიწაზე დავარდნილ [illegible] ის აიღებდა, მაგრამ, როცა დარწმუნდა, [illegible] იგი ამაზე არც ფიქრობდა, ტუჩები აიბზუ[illegible] ჭრელ ნაქსოვს დაწვდა და განაწყენებულმა მკლავზე დაიფერთხა. აფთიაქის წინ მდგომმა დარბაისელმა მოხუცებმა ამის დანახვაზე მხრები აიჩეჩეს და ერთმანეთს მიაჩერდნენ. ქალიშვილმა კი კევის ღეჭვა გააგრძელა და მოღიმარ ბიჭთან ერთად განაგრძო გზა. მოხუცებმა თვალი გააყოლეს ახალგაზრდებს და ისევ აიჩეჩეს მხრები. ქალიშვილი მაღაზიის წინ დაბალ დახლზე ქუჩაში წვრილმანებით მოვაჭრე შავტუხა ჯუჯა კაცთან შეჩერდა, გამოფენილ საქონლიდან ტუალეტის ქაღალდს დასწვდა, აიღო, მოხრილ, ზეალმართულ მარცხენა ხელისგულზე დაიდო და მარჯვენათი ფულს დაუწყო ძებნა ჯიბეში. ამის დანახვაზე კავალერი მკლავში ჩააფრინდა გოგოს, და საფასურის გადახდას არ ანებებდა. ქალიშვილი გაჯიუტდა, ბიჭიც ძალას ატანდა და თან ცდილობდა დაესწრო მისთვის და ჯიბიდან ფული ამოეღო. ჯუჯა მეწვრილმანე ოდნავ შესამჩნევი ღიმილით შეჰყურებდა მათ. ახლა ქალიშვილი მიუბრუნდა ბიჭს და არ ანებებდა ჯიბიდან ფულის ამოღებას, - კავალერიც ჯიუტი ჩანდა და ატყდა ბღლარძუნი და შეხლა-შემოხლა. ბოლოს მაინც ბიჭმა იმარჯვა, მეწვრილმანეს ხურდა ფული დახლზე დაუყარა და კმაყოფილი თუ გამარჯვებული გამომეტყველებით გზა გააგრძელა. აფთიაქის წინ მდგომი დარბაისელი მოხუცები ისევ მიაჩერდნენ ერთმანეთს გაოგნებული სახეებით. მერე შებრუნდნენ და დიდხანს გაჰყურებდნენ გვირაბისკენ მიმავალ ახალგაზრდა წყვილს. ქალი-

შეილი და კავალერი კურკურით მიაბიჯებდნენ და გოგოს ტუალეტის ქაღალდი მარცხენა ხელისგულზე ისე ედო, თითქოს ლანგრით რაღაც ძვირფასი ნივთი მიჰქონდა. მოხუცებმა თავი სინანულით გადააქნიეს, შებრუნდნენ და ნელი ნაბიჯით ვერის ბაღისკენ გასწიეს.

- ახლა კი დავრწმუნდი, ჩემო ერეკლე, - თქვა ხელჯოხიანმა ცოტა ხნის დუმილის შემდეგ, - ქართველი ხალხი გადაშენების გზაზე რომ დამდგარა. მართალი ყოფილა ის ლოთი, წეღან რომ ღრიალებდა.

- რას არ მოვსწრებივარ ციმბირის კატორღებში, მაგრამ მსგავსი სიმახინჯე ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს! ქალი კაცის თანდასწრებით ტუალეტის ქაღალდს რომ იყიდის, იმის მიმანიშნებელია, რომ, ალბათ, მალე გადავშენდებით... ეჰ, აღარ ღირს ლაპარაკი...

- ბიჭიც ისე იქცეოდა, თითქოს შეყვარებულისთვის ყვავილებს ყიდულობდა.

- მართალი ყოფილა ის ლოთი.

თანამოსაუბრემ არაფერი უპასუხა.

ვერის ბაღში უხმოდ შეაბიჯეს.

დამტვრეულ და ტალახით მოსვრილ რამდენიმე ძელსკამზე არავინ იჯდა.

ირგვლივ სიცარიელე იყო გამეფებული.

- დაცემას ხომ ამაღლება მოსდევს მუდამ, ბატონო გრიგოლ, - ხმადაბლა თქვა დიდი ხნის დუმილის შემდეგ მეორე მოხუცმა, - გახსოვთ, ალბათ, ბრძენის ნათქვამი - მზის ჩასვლისკენ მიმავალი გზა დილისკენ მიმავალი გზაა. იმედს ნუ დავკარგავთ. დღევანდელ ახალგაზრდობაში უმრავლესობა იმ უზრდელ და უკულტურო გოგო-ბიჭს ჰგავს. მაგრამ ყველა ხომ არაა მათი მსგავსი; ნამდვილად არაა! აი, ვინც ამათ არ ჰგავს, ის გადაარჩენს საქართველოს. ასე იქნება! მე ეს მჯერა...

ბაღის ქვემოდან, იქ, სადაც პენსიონერების ფარლალალა კლუბი იდგა, ბავშვების ჟრიამული მოისმა.

მოხუცებმა იმ მხარეს მიიხედეს.

ისინი დიდხანს იდგნენ უწყლო აუზთან ახლოს და უხმოდ უმზერდნენ პატარა გოგო-ბიჭების თამაშს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯარჯი ფხოველი



***

გაირღვა ღამე, განაწამები,
და მზის ისარი ზეცას მიესო:
იხსნება უფლის მოსვლის წამივით,
როცა ფეხს აღგამს მიწას იესო...
და წვიმს განხმული მწუხრის ნაპირი,
და წვიმს, ნალევო ცად მორკალულო,
და წვიმს ღიმილი შენი: ზღაპრიდან,
და წვიმს და შორი წვიმა წკარუნობს...
და წვიმს შენს გულში ცა, მარტოსული,
და წვიმს შენს გულში ჯანღის მტევნები...
და წვიმს ქვითინი, ნისლად მოსული,
და წვიმს სიკვდილი, შენი მდევნელი...

1995

***

ზეაიხედავ: მახვილი დამოკლესი.
ქვე დახედავ და: გაშლილა ნარ-ეკალი...
შენი ცხოვრება, ირწმუნე, დღემოკლეა.
საცაა: წასვლის ზარები დარეკავენ.
საცაა: მოდგება უკუნი, დორბლიანი,
მოგიტანს იგი წყლულებს უკურნებელს...
ჩაქრება შენი სანთელი, მობრიალე,
ისმინე: ზარები, ზარები გუგუნებენ!..
განუღე გული სინანულს, ათრთოლებულს,
განაგდე ეშმა. უფალი აღიარე.
ვითარ გავალებენ მამანი ათორმეტნი:
იწამე ჯვარი, სინათლის თაღიანი...
სნებით დასერილი და წუხილმორეული,
ვაგლახად მოსული მიდიხარ უგუნებოდ...
აღიღე ჯვარი. იწამე შორეული.
ისმინე: ზარები, ზარები გუგუნებენ!...

1992

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გადაგედება ლექსი

გადაგედება ლექსი ცოფივით:
მოსდევს ნათებას, ელვის სადარელს...
სიტყვა დევნილი, უარყოფილი,
მთელი ზამთარი უბით ატარე,
ელოლიავე, სუნთქვით გაათბე,
ძვირი სტუმარი, ცის ნათელი..
რომ გძულდა, გაქრა ის საათები:
გადაიკარა ფერი წითელი...
ისევ აენთო ნათლის ტოტები:
ცით მოწურვილი სიტყვის ჩქერები.
თავანზე უკვე სხვა მზე ტორტმანებს:
გათენდა სხვა დღე: დაუჯერები...

1997

## პოეზია წვიმად მოდის

პოეზია წვიმად მოდის,
პოეზია აწვიმს შენს ქალაქს.
პოეზია სიძულვილის ხანძარს აქრობს...

გზისნაპირებსა ნამავს.
ეშხეფება მტვერწაყრილ ბილიკებს.
ლამობს
კაცის ამოკვნესის გათავისებას.
ცეცხლის ჩაქრობა სწყურია...

პოეზია წვიმად მოდის...
პოეზია აწვიმს შენს ქალაქს.
გეუბნები:
ქოლგას ნუ გაშლი...
პოეზია აწვიმს შენს ქალაქს.
პოეზია სიძულვილის ხანძარს აქრობს...
1997

***

კუპრით ნაწერი, ღამენაცხები,
დახურე შენი შავი რვეული...
აქ შენი ფიქრი დაენარცხება,
ჯავრით ნაცემი, ფრთებდამსხვრეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინც გწამდა, უკვე არ გწამს იმათი,
ჩანავლდა ცეცხლი, ჩაქრა ღადარი...
მიწამ იმედი ვერ გაგიმართლა,
იმედი ახლა მარტო ცად არი!

1997

## ხეხმელი

მედლეხვალიე პილიგრიმი. იმედწართმეული ბოგანო.
გაძარცული, სიყვარულის ზურგშექცეული ხალხში
ხესმელივით გამოერევა...

იმის გამომშრალ იღლიებში ფრინველები საბუდარებს არ
დაიდებენ; იმის ქვეშ მგზავრი არ ჩამოჯდება... იმის
ტოტებზე თბილი წვიმები ღვთაებრივ სიმებს არ
გააბამენ...

***

ასწიეს დროის შავი ჯებირი:
ბნელში წითელი გაქრა მცურავი.
დღეები მოდგნენ ობობებივით:
გულიდან სისხლის გამომწურავი.

გაგექცა სიტყვა: ისიც ბებერი
გველის ჭარივით გაჰყვა ნაპრალებს.
შენ არ ხარ მისი დამვიწყებელი,
დავავიწყდიო, სიტყვა გაბრალებს.

ამოზიდული ტოტები ღამის.
და ძველისძველი შენი წყლულები.
არ დაივიწყო, აქ ხვრიპე შხამი,
აქ ჩქვიფე დარდი, დაუსრულები!

1991

***

მინდვრები. პირქვე წვანან მინდვრები.
ქარები. თავქვე ქრიან ქარები.
ჩამჯილავ წუხილს. ვერ დამშვიდდები.
დაღმართს დატოტნი, დაექანები...
ხელებს დაიმტვრევს ქარში ულრანი.
დროს ააჭრელებს სხვა თარიღები.

სიზმრები მოვლენ და დაგმდუღრავენ
და შენს უსახო მზეს წაიღებენ...
ის დღეუმური იწამე... სცადე,
რომ დაივიწყო ცხადი სრულებით,
გადმოიხატე შავეთის ცა და
მთები, ღრუბლებით თავწაკრულები...

1997

***

მოდი, სცადე ამგვარი რამე: გამოვლილ გზიდან გადარეცხე
ჩვენი შავი ნაფეხურები, გადაგავე ჩვენი ლანდები –

სიმწარეს რომ გამოექცნენ ტანჯვის დიდი წუთისოფლიდან
და გრძელ გზაზე, ხარბები და გაუმაძღრები, ტკბილ
შარბათს რომ ეძალებიან...

1997

## პირშავ ველზე

პირშავ ველზე
ვარსკვლავები,
როგორც მზის საკენკი...

შენ,
ამ პირქუში სახილველის მოყურიადე,
ღობესა ხატავ
საკუთარი სახლის გარშემო...

შენ,
ამ ყომრალი ცის ბატონთან
გაშინაურებული,
ელემსა ხატავ
საკუთარი სახლის გარშემო...

1997

## ყველგან, ყველგან...

ქალაქის კარიბჭესთან დაჩოქილ მინდორზე,
ასფალტზე დარჩენილ ნატყვიარებში,
მკვლელის გაშლილ ხელისგულებზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველგან,
ყველგან სისხლის გუბეა.

სიყვარულით დაბრმავებულთა ფერხთით,
ქარით გამოლოკილ პროსპექტებზე...
და ფოთლების თვალისგუგებში...
ყველგან,
ყველგან სისხლის გუბეა...

ჯალათო, შენს ეზო-კარში,
შენი ცოლის კაბის კალთაზე,
შენს სიზმრებში,
შენს გამოვლილ გზისნაპირებზე...
ყველგან,
ყველგან სისხლის გუბეა...

1994

***

ბევრჯერ პირქუში ბოლმა დაცარე.
ჩამჯიღე დარდი და დაიოკე.
განილო ბნელში შენი ტაძარი,
შიგ შემოიჭრა წლების წიოკი.
მოჯარდნენ შორით უხმო ჩრდილები:
ხსოვნის წვეთები და ნაკუწები...
აენთო ისიც, სულ რომ ილევა,
შენი ცხოვრება: ჩქარი, უცები...
ცაში განიბნა, როგორც ძახილი,
ხმა, უხილავის ხელით ნათიბი:
მიწანარევი შენი სახელი,
სამარხში ნაპოვნ ექსპონატივით.

1997

## სარკე

ტბის სარკე,
სადაც მოწმენდილი ცა იყურება,
საყურეებით
და მძივებით აჭრელებული...
სადაც ყოველდღე იძირება
ჩურჩულის ხმა, ცისიქითური...
სადაც, ქამიყამ,

ზაფხულის მზით
მოთენთილი ქალწულები ჩაიხედავენ...

ხოლო ზოგჯერ იმის ზედაპირს
ულაყების შორეული ჭიხვინის ხმა გადაუქროლებს...
და გადაბწკალავს
ქარწანწალა, დაუდეგარი..

1994

***

შორი გზის მგზავრი: დედამიწა ძვლებს არახუნებს,
მიათრევს სხეულს, წარღვნით წალეკილს.
და კვალზე რჩება ჭვარტლიანი ეს ხარახურა
და საფლავების გრძელი წალიკი...
და რჩება სიტყვა: ცეცხლის ტბიდან ამოყვანილი,
ღმერთის ნაზარდი და სათაყვანო:
მაგას აჩნია ზეციერის ცრემლის მარილი,
შიგ ირეკლები, უფლის აკვანო...
და ელავს იგი ანგელოსის ნეტარ მძივივით,
და ზეცას მისდევს, ცეცხლით დაფერილს...
და მიდის მგზავრი... და იმის მხრებს აღარ ამძიმებს
სიტყვაზე წმინდა სხვა არაფერი.

1995

***

სიტყვა, გულიდან ნასროლი
ოქროდ აღარა ფასობს...
შავი ხარ, სისხლიანი ხარ,
ცხოვრებავ: ჭრელო ფარსო!
აქ შენ არავინ დაგინდობს:
აგკუწეს ასო-ასო.
გულს გიწურავენ მჯიღითა,
თასით გასმევენ შხამსო...
ეს ყოფნა ამქვეყნიური
სულ არყოფნასა ჰგავსო...
შავი ხარ, სისხლიანი ხარ,
ცხოვრებავ: ჭრელო ფარსო!

1992

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ირაკლი ბაზაძე

## შერწყმა

(ფრაგმენტი)



*ჩვენ ერთი ბეწო რამ გვანუგეშებს, იმიტომ რომ ასეთივე უბადრუკი წვრილმანების გამო ვეძლევით უნუგეშობას.*

ბლეზ პასკალი

... ვინ დამიძახებს, ვიღას ვახსოვარ,
გადახრიოკდა ხსოვნის ედემი,
საკუთარ თავში ველარ ვეტევით:
სიმართლე, აზრი და უაზრობა.
გაიღება თუ არ გაიღება,
მთვრალი აღსავლის კართან ვირწევი,
ხანდახან ვფიქრობ, მქვია სიმღერა
მიტოვებული მკვდარი მიწების.
ფერი გახუნდა, რომ მიხატავდა
დრო უცნაური ნედლი ყალმებით,
ვერ იმორჩილებს ტკივილს სადავე,
წრიალებს ფიქრი სევდანარევი;
წრიალებს დარდი, კედლებს ემსხვრევა
ყველა ოცნება თიხის თასებად,
ახლა საკუთარ ჯვარცმას ესწრება
და თავის პირქუშ დროს ემსგავსება
სარკეში თავი... მრავლის მოწმეა
თვალი... რამდენის არი მხილველი,
ბევრი ანთებულ მზერას მოცილდა
ბევრიართვალი და საკვირველი.
ბედს კი სიმშვიდეს სურს მიმანებოს
და უძრაობას სურს შემაჩვიოს,
მაგრამ მე ვიცი, თქვენი არჩივი
ვარ, ჩემს კოლხეთზე მქროლო ქარებო,
ჩემში მარადის მდგარო ხმაურო,
ატირებულო ხშირო წვიმებო,
სინათლევ ჭრელო და უცნაურო,
ზეაღსვლის წამო და წამიერო
დიდებავ! ახლა ისე აცივდა
და გამჭვირვალე ცივმა ამინდმა
შემოიხედა შიგნით ნაცრისფრად -
ქალივით ანჩხლმა და მიამიტმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის დავმორჩილდე ან რას დავნებდე,
გადამიარა დელგმამ ღვარებად,
ჩემი ხილვები გრძნობენ განედებს,
გრძნობენ სივრცეთა გამყინვარებას.
გრძნობენ ხილვები ცეცხლში ნაბანი,
ნაწანწალევი და გზად ნათრევი,
ირღვევა ღამე, ღია ნაპრალით
თრთის ვარდისფერი დილის ნათელი,
ვით თოთო ბავშვი ახალშობილი,
მე რა ხანია სიკვდილს ვეჩვევი,
სიკვდილს ირეკლავს ჩემი პროფილი, -
სიკვდილი ცივი და უეჭველი
გახდა მეგზური ჩემი მუდმივი...
ვერ ვურიგდები მაინც ვერაფრით
გავუნაპირდე შიშს მხდალ ქურდივით
დაუსრულებელ გზის მომღერალი.
მე რა ხანია ვითმენ სიცოცხლეს
ძელზე გამობმულ დაღლილ მოგვივით,
მგონია მტვერი ვარ გამოგვილი
სამოთხით - ერთხელ ღვთით დაგმობილი.
დაუსაბამო არის წუხილი,
დაუსაბამო არის იმედიც...
მე მომეჩვენა ღამით წუხელის, -
როცა მთიები მოციმციმენი
თავზე მეყარა ოქროს შხეფებად, -
უცებ განიხვნა ზეცის თავანი,
უცებ ვიგრძენი ფრთების შეხება
და უმთავრესზე უფრო მთავარი
და უდიდესზე უფრო დიადი,
და უმაღლესზე უფრო მაღალი,
უფრო სათუთი და იშვიათი
და უახლესზე უფრო ახალი
ვიგრძენი წამით... დრო გაირინდა
და ისე მჩატე გახდა სხეული,
ჩემში ატირდა ბავშვი სნეული,
როცა შეჩერდა და გაირინდა
დრო... მერე მალე იწყო გალღვობა
სხეულმა... მალე დაცხრნენ ასონი
და თითქო დღემდე აღარ მახსოვდი,
რაც უსაშველოდ ასე ახლოა
ცაო! - გამლღვალი ხორცი - აყალო,
შემომაცალეს ცივმა ხელებმა
და შევერიე მშვიდად სამყაროს,
სამყაროს - ხილულ საკვირველებას.

1998

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულო კობიაშვილი

## მეუღლის პალტო

– იცი შენ, პატივს გცემ, მაგრამ ამ ბოლო დროს ისე ხშირად აგვიანებ და ისე საეჭვოდ დადიხარ! – მკაცრად შემოტრიალდა ფანჯარასთან მდგომი ლერი, როგორც კი ნონამ ოთახში ფეხი შედგა, – რა არის ბოლოს და ბოლოს?!

– ვაიმე, ისე ცუდად იყო ნია, რომ არ მიმეცილებინა სახლამდე... – მუდარით გამოიწია ყელი ქალმა – ხომ იცი, მარტოხელაა, სანამ წამლები, სანამ სასწრაფო...

– კარგი ერთი, კარგი, მიზეზი რომ არ დეგელევა – ყველას ამ ბოლო დროს როგორ გაუჭირდა და ყველაფერი ასე როგორ აეწყო! – გაცეცხლდა უცებ კაცი, – უკანასკნელად გიცხადებ, იცოდე, დააგვიანებ სახლში მოსვლას ერთხელ კიდევ და ... რა არის მართლა და მართლა, რა ყველას ჩხიკვიყვავის მამიდა შენა ხარ. გეუბნები, სადაცაა, მართლა შემეპარება ეჭვი, რომ ვიღაც გაიჩინე და მერე ხომ იცი...

– არა გრცხვენია, ლერი, – წყენისაგან სახეზე წამოწითლდა ნონა – ღმერთო კი მომკალი, შენ თუ მაგას ჩემზე იფიქრებდი და...

– შენ კი არა, ანგელოზივით პატიოსანი ქალები გაუსულელებიათ ვიღაც ვიგინდარებს, იმ ქალებს მერე კიდევ ქმრები. მე რა გარანტია მაქვს ვითომ? – წიგნი გვერდზე მიაგდო წარბშეკრულმა ქმარმა და ტელევიზორს მიუჯდა, – ვაა, არ გადამრია კაცი?!

ნონამ ტანსაცმელი გამოიცვალა, სასწრაფოდ მიალაგ-მოალაგა სახლი, გააკეთა საჭმელი, ცოტა ხანს საკერავსაც ჩაუჯდა და ბოლოს მთქნარებით წავიდა საძინებელში. გაბუტულ, გაბრაზებულ ქმარს უკვე ღრმა ძილით ეძინა. ის იყო, ნონამ ხალათის ღილები შეიხსნა, გაახსენდა: აუცილებლად უნდა დაერეკა ამ საღამოს ლილისთვის და გადაეცა, მოუწერა ხელი დირექტორმა საშვებულებო განცხადებაზე თუ არა.

„ჩემი სიკვდილი. არადა, ამაზეა დამოკიდებული, წავიდეს ლილი ხვალ დილის ექვს საათზე სოფელში თუ მოვიდეს ისევ სამსახურში". ქალმა ყოყმანით გადახედა მეუღლეს.

ხალათის ღილები ისევ შეიკრა, ფეხაკრეფით გამოვიდა საძინებლიდან და საათს შეხედა. თორმეტი სრულდებოდა. „ვაიმე. ხაიკაშვილებსაც ძინავთ ალბათ უკვე და პეტროსიანებსაც. ვისგან დავრეკო. მეტი გზა არაა, ჩავირბენ ისევ ქუჩაში, რა უნდა, ახლოა, გასტრონომის კუთხეში. ლერი ვერც გაიგებს".

ქალმა ჩანთა მოჩხრიკა. ერთადერთი მონეტა იპოვა, მხრებზე ჟაკეტი მოირგო და ფრთხილად გაიხურა გასასვლელის კარი.

გარეთ ციოდა, ირიბად, ძლივსშესამჩნევად თოვდა. ნონამ სირბილით გადაჭრა უკაცრიელი ქუჩა, ჯიხურის კარი სწრაფად გამოაღო და აძაგძაგებულმა ჩაუშვა აპარატში ხუთთეთრიანი. „რა სულელივით ვუცდი. არ გადის". ნომერი ხელახლა აკრიფა, კარი მჭიდროდ მიიხურა და სიცივისაგან შეაჟრჟოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა





მონეტამ გაიჩხაკუნა, მერე კი ჯერ წყვეტილი, შემდეგ გაბმული ზუმერი გაისმა. „ჩაყლაპა“ - წყენით გაიფიქრა ქალმა - რა ვქნა, მთავარია შენს თავთან იყო მართალი, ...ვურეკავდი და არ გავიდა. გინდ დაიჯეროს, გინდ ნუ დაიჯერებს“. - ყურმილი დაკიდა, შეციებული ხელები დაიორთქლა და კარს მიაწვა. კარი არ გაიღო. ქალმა გაკვირვებით შეათვალიერა კარი და უფრო მაგრად მიაწვა. უშედეგოდ!

„გავგიჟდები ახლა“. - ნონა ჯერ მხრით მიაწვა კარს, მერე მიიხედ-მოიხედა და თავისდა სასიხარულოდ ახლომახლო რომ ვერავინ დალანდა, მთელი ძალით ჰკრა კარს ფეხი. კარი არც ახლა შერხეულა. „ღმერთო, ნუ გამაგიჟებ!“ - გაბმით აზუზუნდა ქალი და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა ერთხელ კიდევ ძლიერად გამოუქანა კარს ჩუსტიანი ფეხი. კარი არც ახლა შერხეულა; სამაგიეროდ, თვითონ ქალი ხტოდა რამდენიმე ხანს შეშლილივით ცალ ფეხზე, ღაპაღუპით სდიოდა ცრემლი და გამალებით ცდილობდა ნატკენი თითების დაამებას დაზელვით.

„რაღა ვქნა, პირველის ნახევარი იქნება უკვე. გაგიჟდება ლერი...

ვაიმე, რომ არც გამოჩნდა არავინ, ჩემს ბედზე“.

ქალი თანდათან აიტანა სიცივემ. განუწყვეტლივ მოძრაობდა და ფართოდგახელილი თვალებით გაჰყურებდა ჯიხურის სქელი მინიდან ტროტუარს.

„ძაღლური ამინდია, ვინ გამოჩნდება. ფეხსაცმელი მაინც მეცვას, ჩავამტვრევდი მინას... ვაიმე, ვაიმე... ოღონდ ახლა გამოჩნდებოდეს ვინმე“.

სადღაც შორს უცებ მართლა გამოჩნდა ვიღაც, ლანდისმაგვარი, თანდათან მოახლოვდა და მინაზე ცხვირ-პირით აკრულმა ქალმა ახლა უფრო კარგად გაარჩია ლოდივით ფაფარაყრილი, გოლიათური აღნაგობის მამაკაცი. მამაკაცი ნელა მოდიოდა, დროდადრო ჩერდებოდა, თავის თავს ხელებით უხსნიდა რაღაცას და მერე ისევ ბორძიკ-ბორძიკით აგრძელებდა გზას.

„მთვრალია. დავუძახო ნეტა? ეს მინდა, ამიტეხოს ახლა აქ ბლარძუნი?!

ეჰ, რას მიზამს ნეტა, გამათავისუფლოს ოღონდ აქედან და ისე მოვკურცხლავ, მე შენ გითხრა და შორს ვარ წასასვლელი“.

ნონამ ჯერ ნაზად დააკაკუნა მინაზე, მერე მუშტების რახარუხი ატეხა და ბოლოს კივილიც მიაყოლა ზედ. კაცი შეჩერდა და გაკვირვებით მიმოიხედა. ნონამ უმატა რახარუხსა და კივილსაც; როგორც იქნა, კაცმა თავი ჯიხურისკენ შემოატრიალა და გაოცებული მიაჩერდა ქალს, თავისკენ რომ იხმობდა.

- მე-ე? - ანიშნა კაცმა.

- ჰო, ჰო! - ცხარედ დაუქნია თავი ქალმა, - კარი გამიღეთ.

კაცმა ვერ გაიგონა, რას ითხოვდა ქალი, მაგრამ მაინც წამოვიდა ჯიხურისკენ ბანცალ-ბანცალით და სახელურს წაააავლო ხელი, უკეთ რომ გაეგო, რა სურდა მისგან ქალს.

კარი არ გაიღო.

- გამიღეთ! გამიღეთ! - მინას კვლავ მუშტები დაუშინა და კვლავ ორმოში ჩავარდნილივით აკივლდა ნონა.

კაცი მაინცდამაინც კარგად ვერ გაერკვა, რას მოითხოვდნენ მისგან, მაგრამ კარი მაინც მოზიდა ისევ თავისკენ. კარი მტკიცედ იდგა უარზე. კაცმა გაიხედ-გამოიხედა, უცებ პირადი მოსისხლე მტერივით მიაჩერდა ჯიხურს, ხელებზე დაიფურთხა, ცალი ფეხით კედელს მიაწვა და ორივე ხელით დაეჭიდა კარს. კარი არ გაღებულა. სამაგიეროდ,

ჯიხური ძირფესვიანად მოწყდა ადგილიდან და კაცისკენ დაქანდა.

- დამდგი! დამდგი! - უაზროდ აწივლდა ნონა და მუშტები გამალებით დაუშინა მინას - მკლაავ?!

გაბრაზებულმა კაცმა ისევ ადგილზე დადგა ჯიხური, შეიგინა, ერთხანს თვალებდაჭყეტილმა ათვალიერა ქალი, მერე ხელი ჩაიქნია და ისევ ბორძიკით განაგრძო გზა.

- როგორ დამტოვა ამ უნამუსომ, როგორ?! - ატირდა ნონა და თავში ხელები წაიშინა, - პირველი საათი იქნება უკვე.

კარგა დიდი ხანი იქნებოდა გასული, ჯიხურთან მოტოციკლი შეჩერდა, ახალგაზრდა პოლიციელი სწრაფად ჩამოხტა, ჯიბიდან მონეტა ამოიღო და სტვენა-სტვენით მიადგა ჯიხურის კარს.

ჩაყუნცულ, მისავათებულ ქალს უკვე ადგომის თავიც აღარ ჰქონდა, იჯდა და უბედური სახით ამოჰყურებდა პოლიციელს.

პოლიციელმა კარი მოსწია, ერთხელ, ორჯერ, მერე შიგნით ქალიც დალანდა და გვერდზე გახტა მოულოდნელობისაგან.

ნონა ხელახლა ატირდა და ხმამაღალი მოთქმით ამცნო ბიჭს თავისი გასაჭირი. ბიჭმა უცებ გაიცინა. ხელით ანიშნა, ნუღარ გეშინიაო და უკანვე გატრიალდა. მინაზე აწებებული ნონა ბუნდოვნად ხედავდა, როგორ ფათურობდა მილიციელი მოტოციკლთან, მალევე გამობრუნდა და ერთი წამის შემდეგ კარიც გააღო.

- ვვვ... - ღვარად მოსკდა ცრემლი სიცივისაგან აძაგძაგებულ ქალს. მობუზული უხმოდ შეაჩერდა თვალებში მხიარულ, ღიმილშეკავებულ ბიჭს და მადლობა არც გახსენებია, ისე წახანხალდა სახლისკენ.

მეუღლე შუაგულ ოთახში იჯდა კოსტიუმში გამოწყობილი, ფეხიფეხზე შემოდებული, კუშტი და მრისხანებისაგან ფერდაკარგული.

- ღილი ხვალ ექვს საათზე... - გაურკვევლად ალაპარაკდა ნონა და მთელი ტანით აეკრა გათბობის მილს. - კარი, კარმა... კარს...

- კარის - კარით - კარად - კარო! შენ რა, გრამატიკის გაკვეთილს მიტარებ დილის ხუთ საათზე თუ?! დიახ, დიახ! ხუთი ხდება უკვე, ვისთან და სად ბრძანდებოდი, ქალბატონო, მთელ ღამეს?

- ჯერ ლომივით კაცი... მაგრამ იმან ვერ... პოლიციელმა, ახლახანს... - გაყინული ყბები გამალებით მოისრისა ნონამ და უცებ თავზარდაცემულმა დაიწია უკან.

- აჰ! ჯერ ლომივით კაცმა, მაგრამ იმან ვერ და მერე პოლიციელმა, ხომ?!

ჰალსტუხი შემოიგლიჯა და გააფთრებული წამოვიდა ქალისკენ კაცი.

- კარი... - ხმამაღლა ატირდა უცებ შეშინებული ნონა და კედელს აკრულმა, როგორც იქნა, ჯერ დაულაგებლად, შემდეგ კი ალაგალაგ დალაგებით მოუთხრო თავისი თავგადასავალი მეუღლეს, რომელიც მთელი ამ ხნის მანძილზე მარჯუქმომარჯვებული ჯალათივით ადგა თავზე.

- ესე იგი, შენ გინდა მითხრა, რომ ჯიხურის კარი არ გაიღო, ხომ?! - ჰალსტუხი ისევ კისერზე გადაიცვა ლერიმ.

- ჰო, ჰო - თავი დაუქნია გახარებულმა ნონამ, - ჯერ დაიხურა, შემდეგ არ გაიღო.

- აბა, წამოდი!

ნონა ისევ ფლოსტებითა და ხალათზე წამოსხმული ქაქეტით გაჰყვა პალტომოხურულ მეუღლეს.

კაცი ჯიხურთან მივიდა, კარი გამოაღო და დახურა.

- აბა ახლა... - ამოილუღლუღა ნონამ.

- გამოვაღო? - კბილებში გამოსცრა კაცმა - ა, ბატონო! - გამოაღო და დახურა. გამოაღო და დახურა.

ნონა შიგნით შევიდა. კარი მჭიდროდ შეიხურა, მერე რატომღაც ძლიერად ეტაკა მხრით და უცებ ბურთივით გამოხტა გარეთ.

- პოლიციელმა, - ისევ ასლუკუნდა ნონა - დედას გეფიცები, პოლიციელმა...

- აა, პოლიციელმა, არა? კი ბატონო. კი ბატონო. და შენ გგონია მე მეშინია შენი პოლიციელის?

- თავი არ მომაკვლევინო, ლერი! - ახლა კი ხმამაღლა ატირდა ქალი, - გითხარი, ლომივით კაცმა ვერ გააღო, პოლიციელმა გააღო მხოლოდ რაღაც იარაღით, რატომ არ გჯერა, რატომ? აი, აი, გესმის? მოტოციკლი! დაუძახე, გეხვეწები, დაუძახე!

უთენია ქუჩაში საეჭვოდ ატუზული ორი მოქალაქე შენიშნა თუ არა, პოლიციელი

თვითონვე შემობრუნდა, მოტოციკლი პირდაპირ მათ ცხვირწინ შეაჩერა და ხელი საფეთქლისკენ წაიღო.

- უმცროსი ლეიტენანტი დგებუაძე. თქვენი საბუთები!

ნონამ ჯერ წინიდან ათვალიერა უხმოდ, მერე გვერდიდან შემოუარა და ისე ჩააშტერდა სახეში უმცროს ლეიტენანტს, შეცბუნებულმა კაცმა განზე გასწია თავი.

- ქალბატონო!

- თქვენ იყავით, წუხელის... ამ დილას ჩემთან?

- რას ბრძანებთ, სად ვიყავი?! - ჯერ ქალს შეხედა გაოცებით, შემდეგ კი მდუმარე მამაკაცს პოლიციელმა, - თქვენ შემთხვევით მთვრალები ხომ არა ხართ?

- კარი ჩაიკეტა და... - ნესტოები აუთრთოლდა ქალს, - სად უნდა ვყოფილიყავი, ლერი, სად?

- საბუთები! - მკაცრად გაიმეორა პოლიციელმა.

- რაო, ვითომ არ შეიძლება განთიადისას ცოლ-ქმარი თავისი სახლის წინ იდგეს?! - გააფთრდა უცებ კაცი. - იქნებ მივდივარ სადმე და მაცილებს, ბატონო! აკრძალულია?

- უკაცრავად, უკაცრავად. მე რა ვიცი. ისე იდექით, რაღაც... აი, ხომ ხედავთ, მეორეც მოდის. დაგვინახა და იფიქრა იმანაც რაღაც. რას ვიზამთ, სამსახურია! - კვლავ ქუდისკენ წაიღო ხელი დგებუაძემ და იქვე შეჩერებულ მოტოციკლს მიუტრიალდა - არაფერია, გიო. ცოლ-ქმარი აცილებს თურმე ერთმანეთს და...

- არა, მაგიტომ არა, - გაიცინა და მოტოციკლიდან ჩამოხტა ახალგაზრდა პოლიციელი, - სატეხი დამრჩა წელან აქ და... ქალი იყო, ხომ იცი, ჩაკეტილი.

- მეე... - სიხარულისგან ხელახლა ატირდა ნონა, უცებ გააფთრებით ეცა მკლავში პოლიციელს და ხელი ხელზე მოკიდა, - ხომ ვიყავი, ხომ ვიყავი მართლა?

- ააჰ, ისევ თქვენა ხართ?! - მხიარულად გაიცინა ბიჭმა და ქალის გვერდით ატუზულ კუშტ კაცს გაღიმებული მიუტრიალდა, - რა არ ხდება, არა?

- აბა?! - უცებ ყურებამდე, შვებით გაიღიმა კაცმაც და ხელი გაუწოდა ბიჭს, - გმადლობთ;

- არაფრის, - სატეხი მეორე ხელში გადაიტანა და ხელი ჩამოართვა ბიჭმაც. - კარგად ბრძანდებოდეთ.

კაცმა ჯერ ჯიხურს გახედა, მერე ქალს თავი გადააქნია, შვებით ისევ, ისევ ყურებამდე გაიღიმა და მზრუნველად მოახურა თავისი დიდი, თბილი პალტო სიცივისგან აცახცახებულ მეუღლეს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოდერძი ჩოხელი

## ცხენი

ცა იყო წმინდა... წმინდა...

გამტკნარებული, როგორც სარეცელი.

წვიმდა.

ქიდაქის ყელში ჯუბამოქარგული ბაკურხეველი ხევსური ბიჭები ისხდნენ, დიდი წყლიანი თვალებით ცას შეჰყურებდნენ და უკვირდათ:

- ღრუბელი არ არის და წვიმს.
- მზე იბანს პირს.
- მზე კი არა და...
- აბა მა რა ას.
- იაზმაი ას.

წვიმდა. მერე უცებ გააწკერა ცამ პირი. მზის ოქროსფერ სხივებში ვერცხლისფრად ალაპლაპდნენ საჯიხვეები. ცრემლები მოიწმინდა ქუჩმა, ცხენების ფლოქვებისქვეშ გაინაბა რბილად.

დაიჭიხვინა ცხენთა რემამ და საჯიხვის კალთაზე გადითქარუნა ჭენებით. ჯიშიანი გულის ბაგაბუგით მიჰქროდნენ თაფლისფერი ულაყები. ყელს იღერებდნენ ნისლისფერი ცხენები, მზე იჭყლიტებოდა ჩალისფერი იაბოების ნაწვიმარი ბეწვიდან, თავის ენაზე კაფიას ამბობდა გოხიანი ცხენთა ფლოქვებისქვეშ, ყელს იღერებდნენ და გარბოდნენ მკერდწამოწეულნი.

ბაკურხეველი პატარა ხევსურები ქვენამთის ყელში ისხდნენ და მოჭენავე ცხენთა ცქერით ტკბებოდნენ; იმათ მოწმენდილი ციდან წვიმა უკვირდათ:

- იქნებ მანანაა.
- მზე იბანდა პირს.
- ხვალ კარგი დღეი იქნება, მშრალი ამინდია.
- რამდენი ცხენოსანი იქნება, ნეტავ.
- თორმეტი.
- რაად თორმეტი.
- ერთ დედულთ ცხენი, ერთ სიძეების, ნათლულების, გამბანთი, ცოლასდათი, ძმობილების, მტყობინების, ტალავართ ჩამცმელთი, დედისძმათი...
- ნათლულთ ცხენი ვის გამოჰყავს?
- ბერდისა.
- წილი ჰყარეთა, ბერდიავ.
- ვყარეთ, მე მერგ.

დიდხანს საუბრობდნენ ბიჭები დოღზე. მერე ცხენთა რემა გოხიანში მიიმწყვდიეს, სადოღე ცხენები დაიჭირეს და სოფლისაკენ დაეშვნენ მგლური ძუნძულით.

სოფლისთავში პატარა ბიძაშვილი შემოეყარა ბერდის, ბალათერაი, ექვსი წლის ხევსური.

- ძია ბერდიავ!
- რა იყო, ბალათერავ!
- კატაის მოკვლა ხო არ შეიძლება?!
- არა, ვინ ხკლავს!
- აპარეკაი და მგელიკაი დასდევენ ქვებით.
- რაად ხკლავენ!
- სისხლს ვიღებთო.

ცხენმა თავით დაუწყო მოფერება ბალათერას. მერე პატარა კვიცმაც გაბედა მოახლოება და დააკვირდა ბალათერას.

- ძილაი მოვიდა, ძია ბერდიავ, სტუმრები მახყვნენ უცხონი.

ბერდის და იყო ძილაი, ქალაქში სწავლობდა.

* * *

სოფელში დიდი მზადება იყო. ადუღებდნენ ლუდს, ხდიდნენ არაყს. მედოღეები სირბილით წურავდნენ ნასუქებ ცხენებს. ბანდნენ



და თოფრებით ქერს აჭმევდნენ. რაღაც ნეტარებით ხვიხვინებდნენ დოღს მონატრებული ცხენები. ყელს იღერებდნენ და თვალებს აკვესებდნენ.

მარდი თვალები ჰქონდა ბერდის ცხენს.

ღამით ისე ხედავდა, როგორც დღისით.

ჩალისფერი კვიცი ჰყავდა და უყვარდა.

პატრონიც უყვარდა.

დოღიც.

პირველობაც.

ხარი აჩუქეს შარშან ბერდის.

სოფელში ბაზალუყისა და ლუდის ხოტის სუნი ტრიალებდა.

და კიდევ რაღაც „პირამიდებისა", რომლის სუნიც მარტო სტუმრებს ესმოდათ.

ხევსურები შეჩვეულნი იყვნენ ამ სუნს. მწირის სუნს. ზამთარში წვავდნენ ამ „პირამიდებს".

მთებმა ერთმანეთს რაღაც გადაუჩურჩულეს და შავი ღამის ჩაცმა დაიწყეს ტანზე. საჯიხვეებმაც შემოიხსნეს მზის სხივებით მოქარგული ყელსახვევები და ლურჯად ამოისუნთქეს გრილი ჰაერი.

დაღამდა.

კარგა ხანს თვალმოხუჭული იწვა დედამიწა.

მერე გავსილი მთვარე შემოხვდა გორდაგორ დარბაისელის ნაბიჯებით და ბერდიანთ სახლის ერდოში ჩაიხედა.

ცეცხლი ენთო კერაზე. საკიდელზე ჩამობმულ გამურულ ქვაბში წყალი დუღდა და თეთრად აჩენდა გვერდიან ხინკლებს.

ბერდიას მამა ზემო თავში იჯდა.

ქვემოთ სტუმრები.

ძილაი ვარცლთან ტრიალებდა.

ბერდის სტუმარი გოგოების სცხვენოდა და წამდაუწუმ გადიოდა გარეთ. ცხენს დაეხედავო იმიზეზებდა.

შეშის კვამლი ბალათერაის თვალებში იღვრებოდა და ისედაც წყლიან თვალებს უფრო უცრემლავდა. იჯდა მდუმარედ ბალათერაი და ღადარს ქექავდა ჯოხით. თითქოს ბიჭს ეთამაშებაო, ისე ლაღლაღებდა ნაკვერჩხლები, ტყვრებოდა და ოქროსავით ბრჯღვიალა ჩინჩხლებს აყრიდა ბალათერას. ცეცხლი იცინისო თითქოს. ცეცხლის ყოველ ასეთ გაცინებაზე ბიჭი ნაცარს იღებდა ბუწკით და სამჯერ აყრიდა გავარვარებულ ნაღვერდალს - აყრიდა და თან ეუბნებოდა:

- ჩვენ გახარება, შენ წმინდის კვერი!

- ჩვენ გახარება, შენ წმინდის კვერი!

- ჩვენ სიხარული, შენ წმინდის კვერი!

იცინოდნენ პატარა ბალათერაის მორწმუნეობაზე სტუმრები.

მერე გარეთიდან რაღაცა ხმაური და ხალხის ჩოჩქოლი მოისმა. გარეთ გამოცვივდნენ ყველანი.

მთვარე უკვე კარგა მანძილზე შეცურებულიყო მტკნარ ცაზე და ისე უყურებდა სამზერს.

ქიდაქის ფერდზე, გორის ჩამოყოლებით რაღაც უცნაური სანახავი რამ გამორბოდა სოფლისაკენ. ვერ გაიგებდით, ცხოველი იყო, უზარმაზარი მთის კაცი თუ რაღაც მაგის მსგავსი სასწაული. სოფლის ბანებზე გადმომდგარმა ხალხმა ის კი შეამჩნია, რომ იმ რაღაცას ხარივით რქები ჰქონდა და მთვარის შუქზე სპილენძივით ელვარებდა, მორბოდა სოფლისაკენ და ღრიალებდა.

- აბაიმე ჩემ თოლებსა, ავი სული ეცემა სოფელს! - მუხლებზე იცემდა ხელებს ოთხმოცი წლის ქალთამზე.

ღმერთო შენ შაგვინახე.

ის მოდიოდა და ღრიალებდა, ზურგზე სხვა ფორმის ცხოველი ეკიდა კიდევ. მერე უფრო საზარელი და დიდი გახდა, ბნელ ხევში რომ ჩამოვიდა, თითქოს სიბნელე გახია და ერთიორად გადიდდა.

*წინდა მეცო მუშისა,*
*ქალამნებ ხის ქერქისა,*
*წმინდამ გიორგიმ დასწყევლოს*
*ეშმაკების ფეხისა!*

ჩურჩულებდა ლოცვას ქალთამზე და ჯოხზე დაყრდნობილი მაღლა ცაში იყურე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბოდა. ცაში კი დიდი, ქალწულივით გავსილი მთვარე ნებივრობდა ლაღისფერ ცაზე. როგორღაც ჰგავდა ეგ მთვარე ცეცხლს, რომელიც რაღაცა დიდ სიხარულს აუწყებდა სამყაროს და ისე აყრიდა ირგვლივ ბრჯღვიალა ვარსკვლავებს, როგორც კერაში გადადღადებული ნაღვერდალი ბაღათერას აყრიდა წეღან ჩინჩხლებს.

საშინელება კი მოდიოდა და ღრიალებდა, ხევის თავზე გადმოვიდა და სოფელში შემოვარდა.

– ჩვენი დადაი! – დაიძახა ბერდიამ და ხარისაკენ გაქანდა.

– მაიცა, ბალღო! – დაუღრიალა შვილს ბაძიამ და თოფისათვის გაიქცა სახლში.

შეშინდნენ ძილაის ამხანაგები და ვეღარ მიმხვდარიყვნენ, სიზმარში იყვნენ თუ... ძილას ჩაფრენოდნენ აქეთ იქით. ვაჟა არ იმჩნევდა შიშს, მაგრამ ეტყობოდა, ვინმე რომ გაქცეულიყო, ეგ გაასწრებდა.

ერთი კიდევ დაიღრიალა იალაღებიდან მოვარდნილმა ხარმა და ბანის წინ დაერჭო.

დათვი ეჯდა მხრებზე, დიდი დათვი, ოთხივე ტორით შემოხვეული ხარზე.

დათვს თითქმის უკვე მთლიანად ამოეღადრა ხარის ქედი და ახლა არც კი აუღია თავი, თითქოს სოფელში კი არა, სადმე მიუვალ ღელენში უკვდავების წყაროს შეხვედროდა და ეწაფებოდა, ვიდრე ვინმე დაუშლიდა. არაფრად აგდებდა ხალხის შეძახილებს, ოღონდ უკვდავების წყალი დაელია და... დიდი წყლიანი თვალებით უყურებდა ხარი ხალხს. დაიგრიალა ბიძიაის თოფმა და დაშრა დათვის პირში უკვდავების წყარო. ხარის მხრებიდან გადმოვარდა და სიპებზე ზურგით დაცემულმა გავსილ მთვარეს შეხედა საბოლოოდ. მთვარემ გაუცინა და ჩინჩხლები შეაყარა მის მზერას.

მერე ყველამ მოიტანა თოფი და დიდხანს კრთებოდა მთვარე. სტუმარმაც ამოიღო თავისი რევოლვერი და თავისი ვალი იმანაც მოიხადა.

პატარა ბაღათერას ანთებული მუგუზალი ეჭირა და ვაჟას რევოლვერს თვალს ვერ აშორებდა.

...მერე სხვა დროს ჰყვებოდნენ მწყემსები მაგ ამბავს:

დიდხანს იყო თურმე დათვი ხარავანში, ორ კვირამდის თითქმის; ხარებთან წვებოდა, დღეც ხარებთან დადიოდა. ვერაფერს უბედავდა, ალბათ. რო მიეჩვია ხარავანი, მერე გაბედა და...

ახლა ხარი იდგა ქედმოჭმული და თვალებში რაღაც გაურკვეველი გაკვირვება თუ რაღაც წყენის მსგავსი ჰქონდა ჩაგუბებული. მხოლოდ ბაღათერაი ალოკა ერთხელ, როცა ბიჭი მივიდა მასთან და პატარა ხელებით მოეფერა.

ხალხს კი თითქოს ეწყინა, რო რაღაც საშინელის ნაცვლად ხარი და დათვი შერჩათ. არაფერი უჩვეულო, დათვი და ხარი. თითქოს ზეცის ბრალი იყო, ისე ახედა მზექალამ ცას, რომ ერთხელ ძლივს მიუახლოვდა უჩვეულოს და ჩვეულებრივი კი შერჩა ხელთ.

ბაღათერაისთვის კი უჩვეულო იყო ეს ყველაფერი – დათვი, ხარი და კიდევ პატარა რევოლვერი, რომელიც ვაჟას ეჭირა ხელში და მკვდარ დათვს ესროდა.

ნელ-ნელა მიწყნარდა სოფელი. ბაზალუყისა და ხოტის სუნმა საამო ერუანტელად დაუარა ძარღვებში მაისის ღამეს.

მაღალ კალობანზე, ერთმანეთის გვერდიგვერდ, ჯიხვის ტყავზე გულაღმა იწვნენ ბერდი და პატარა ბაღათერაი. არ ეძინა არც ერთს. იმათ მზერაში თანდათან ახლოვდებოდა ვარსკვლავებით მოჭიქული ცა. იმ წუთში ალბათ ორივე დათვზე ფიქრობდა და და ვარსკვლავთა აურაცხელი სიმრავლე აკვირვებდა. მთვარეც რაღაცას ფიქრობდა. სიწყნარეს მხოლოდ სადღაც მივარდნილ ბნელ ხევში შეყუჟული ბუკიოტის გულისწამღები მოთქმა არღვევდა. მერე ტყავებზე წამომჯდარმა ბაღათერამ თვალებში ჩახედა ბიძაშვილს და შეშინებულივით ჩუმად ჩაეკითხა:

– ძია ბერდიავ!

– რაო, ჩემო ბაღათერავ!

– გძინავსა?!

– არა.

– ძია ბერდიავ!

– ჰაო.

– დათვის მოკვლა შეიძლება?

– ჰო, შეიძლება.

– კაცისა!

– არა.

– ყვავისა?

- არც ყვავისა.
- და არც არაფრისა?
- ჰო.
- და მარტო დათვის მოკვლა შეიძლება?
- ჰო.
- ძია ბერდიავ, წვიმა როცა მოვა, ესკალაის თოფს გამიკეთება?
- გაგიკეთებ.
- დათვს მოკლავსა ესკალაის თოფი?!
- გააჩნია, როგორ მოარტყამ: ხან მოკლავს, ხან არა.
- ყოვსა?
- ყოვს შეაჩხავლებს.
- ვერ მოკლავსა?
- ყოვის მოკვლა არ შეიძლება.
- დათვისა?
- დაიძინე, ჩემო ბალათერავ!
- ხვალ პირველი მოხვალა დოღში?
- მოვალ.
- მერე მე ვასეირნებ შენ ცხენს.

ბალათერამ თავისი პაწია მკლავები ბერდის მკლავს შემოხვია და ტკბილად ჩაიძინა. თბილი სუნთქვით მკერდს უთბობდა ბერდის პატარა ბიძაშვილი. ცა იყო წმინდა, იმ ცასავით შორეულმა ფიქრებმა გაიტაცეს ბერდი. ბალათერაის თბილმა სუნთქვამ შარშანდელი ზამთარი გაახსენა, მერე ისე ამოჰყვენენ მეხსიერების ძაფს განვლილი დღეები, როგორც რძისფერი ნისლი ამოუყვება ხოლმე მწვანე ხევს. მოდის ეგ ნისლი და ვერ გაიგებ, საიდან იწყება ან სად მთავრდება. რძისფერი სიმყუდროვეა ირგვლივ:

...თოვდა.

თოვლმა გზები ჩაკეტა და ერთი კვირა სოფელ კიტოხში იყვნენ გამოკეტილი ბერდი და ბალათერაი. ძაღლი არ გაიგდებოდა გარეთ. დიდი თოვლი მოვიდა. ერთი კვირის მერე აიტეხა ბალათერამ, სახლში წამიყვანეო. ამ სოფელში სკოლაში დადიოდა ბერდი და ჩამოჰყვა ბალათერაი. ტიროდა კვირის თავზე, დედაისკენ მომეწყინაო.

გამოიდარა. დაჯდა თოვლი, ატყდა ზვავების გუგუნი, ჩამოიფხიკნენ ხევხუვები. ერთი კვირა კიდევ გააძლებინა ბერდიმ ბალათერას და, როცა გზა გაიდა, ბაკურხევს წაიყვანა. მანამდე იმით აჩერებდა:

- დარჩი და ესკალაის თოფს გაგიკეთებო.

ბოლოს ველარ გააჩერა. არ მინდაო შენი ესკალაის თოფი, დედაისკენ მომეწყინაო.

გზა მიდიოდა თეთრ სიმყუდროვეში.

- ძია ბერდიავ!
- ჰოო.
- ესკალაის თოფი როგორია?
- ყოვს რო მოარტყა, შეაჩხავლებს.
- მოკლავსა?
- არა.
- დათვსა?
- არც დათვსა.
- თოლში რო მოარტყა?
- თოლს დახუჭავს.
- მერე?
- მერე გაახელს.
- როდის გამიკეთებ?
- როცა ზაფხული მოვა.
- ახლა?
- ზამთარში არ კეთდება.
- რატო?
- ესკალაის სძინავს.
- რო გაიღვიძებს?
- მაშინ ზაფხული მოვა.

ირგვლივ მთები იდგნენ, თეთრი დევები, თეთრად ფიქრობდნენ და გულმკერდზე იზვავებდნენ ფიქრებს.

საქორის პირდაპირ შავოსანი ხალხი გამოჩნდა, ზვავიდან რაღაცებს მოათრევდნენ. მხოლოდ არაგვი ეტყობოდა თეთრკანიან დედამიწას წვრილი, ლურჯი ძარღვივით. მარტო მაგით ეტყობოდა სიცოცხლე დედამიწას, იტყოდი, რომ მაგ ლურჯ ძარღვში მიწის სისხლი ჩქეფდა, ოღონდ წითელი არა, ლურჯი, იისფერი.

ბუცნახევის წყაროსთან ხარ-მარხილი ეყენა ეფრემას. თივას ჭამდნენ მარხილში შებმული ხარები და კმაყოფილნი ქშინავდნენ. ლუკმის ჩანთქმას ყელზე შემოჭდობილი აპეურები უშლიდნენ მხოლოდ.

- ამ ცათა ცვეთაში რამ წამოგასხათ, მოდით აქ, ბალღებო! - დაუძახა მგზავრებს ეფრემამ.
- აიტეხა, დედასთან მინდაო.
- თვალებზე რამ ავაკრათ, თორო არ შაშინდეს.
- რაად?
- მოაქვთ.
- იპოვესა?
- ჰო, სამივე, იქვე სახლთან ჩაეტანა ზვავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- მესამე ვინ?

- დედა, შვილი და შვილიშვილი.

- რატო კარკუჩას არ ცხოვრობდნენ.

- რა ვიცი, კარგა ხანია მანდ ცხოვრობდნენ.

- ქმარი რო არ ჰყავდა?

- ვიღაცამ შეაცდინა და ეყოლა.

- და ზრდიდა?

- შვილს ხო არ გადააგდებდა. ბალღს რამ ავახვიოთ, თორო არ შაშინდეს.

ეფრემას ხელებზე არც ერთი თითი არ ჰქონდა. ბალათერამ პირველად ნახა ასეთი კაცი. მერე იმ უთითო ნებებმა თვალებზე ყაბალახი შემოახვია. მერე ჩუმი ჩოჩქოლით მოვიდა ხალხი. რალაცების თრევის ხმა ესმოდა ბალღს. არა, კი ვერ ხედავდა, გრძნობდა სახეგამტკნარებულ ხალხს. მერე მარხილის თრევის ხმამ შეცვალა ის უსიამო ხმა. იმ უთითო ნებებმა ისევ მოხსნა ბიჭს ყაბალახი და ახლა უფრო თეთრი მოეჩვენა ბალათერას თოვლი. ის შავი ხალხი უკვე წასულიყო.

ერთ ადგილზე მიშტერებული იყურებოდა ბიჭი და, რომ შეგეხედა, გეგონებოდა, უსასრულობას მაგ თვალებში ჰქონდა საწყისი. მსუბუქი იყო ეგ მზერა. ბავშვურად მსუბუქი, თანაც უსასრულობამდე გრძელი. ისეთი მსუბუქი, როგორც შემოდგომის ყვითელი ფოთოლი, რომელიც თავისი სიმსუბუქის გამო არაგვის ტალღებში ვერ იძირება.

- რას გაშტერებულხარ, ბალათერ!

- ხედავა?

- რას?

- ქურცინას, თოვლზე თეთრია, მაგას ვერც ვერავინ დაიჭერს.

- გაზაფხულზე ესკალაის თოფს გაგიკეთებ და მოკალ.

- მაგის მოკვლა არ შეიძლება, - თქვა ბალათერამ.

- რატო?

- დედის სიკვდილი იცის.

- შენ ვინ გითხრა?

- დედამ მითხრა.

მერე ბერდიმაც დაინახა, როგორც იქნა, ქურცინაი. თეთრი იყო, არც ეტყობოდა თოვლში, აღარც ზურგი ჰქონდა წითელი.

- მაგან ეგრე იცის, ზაფხულში გაწითლდება, - უთხრა ბერდიმ ბალათერას.

- ძია ბერდი!

- ჰა.

- შენი დედა სად არის წასული?

ბერდის არაფერი უთქვამს მაშინ. ახლა გაახსენდა, რომ არაფერი უთქვამს და აღარც ბალათერას უკითხავს მეტად. მარტო ეს თქვა:

- დედაისკენ მამეწყინა. - მერე ჰკითხა: - იმ კაცს რატო არ ჰქონდა თითები?

- გზაში დარჩენილიყო ზამთარში გარეთ. ცხენი მოჰკვდომიყო, უნაგირი წამოეღო ხელით და ყინვას თითები დაეძრო.

- რატო აძრობს ყინვა თითებს?

- რა ვიცი, ჩემო ბალათერავ, შენც ხო არ შეგცივდა!

- არა, დედაისკენ მამეწყინა.

თითქოს რაღაცას გრძნობდა ბალათერაი.

გორზე ავიდნენ. იქ მარტო ხე იდგა. ყოველთვის იმ ხესთან ისვენებდა სკოლიდან მომავალი ბერდი. ახლაც იქ დაისვენეს.

ის ხე მარტო იყო, სულ მარტო, დაბადებიდან. არც მაღალი იზრდებოდა. ალბათ, ტყეში რომ მდგარიყო, თავის მოძმეთ შეეჯიბრებოდა მზის ცქერაში და მაღალი გაიზრდებოდა.

ხის ძირიდან აფრინდა მხარკვერიანი არწივი და ისე მძლავრად აჰკრა თოვლიან ხეს ფრთა, თოვლის კორიანტელი დააყენა.

ბიჭებმა დაისვენეს.

- წასულან, - თქვა ბერდიმ.

- ვინ წასულა, ძიავ?

- შველები, დავუნახივართ და წასულან.

ხის ძირში პატარა ნაფეხურები ეტყობოდა. ქვემოთ, ხევში, შავით მოსილი ყორნები გულთმისნობდნენ. იმათ ჩაჰყეფა მხარკვერიანმა არწივმა.

- აგაი, სად მივლენ.

- ვხედავ, ვხედავ.

ძლივს მიდიოდნენ შველები გაუკვალავ ფერდში. მკერდამდე ცვიოდნენ თოვლში, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ. დიდები პატარებს ეფარებოდნენ და ყორნებისაგან იცავდნენ. მერე იმათ ზემოთ თოვლის ზალაყინი გასქდა და თეთრი ბუქი იდგა კარგა ხანს. ჰყეფდნენ შავოსნები.

სოფელში რომ მივიდნენ, თავისი დედა მოიკითხა ბალათერამ.

აღარ იყო.

დაასაფლავეს.

სოფლის ზემოთ ჰქონდათ საქონლის ბაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ იდგა ბალათერაი.

სახლში წამოდი, - უთხრა ბერდიმ.

იუარა.

- სულ აქ ხო არ იქნები!

- ცოდოა კვიცი. ვაწყლევ და წამოვალ.

უნდოდა ეთქვა, არც მე მყავსო დედა, მაგრამ მოერიდა. ალბათ, ეს უკვე იცოდა ბალათერამაც. ისევ ისე იყურებოდა, გაშტერებული, უსასრულობაში.

...აღარ ანებებდნენ მოგონებები ბერდიას თავს. მოდიოდა და მოდიოდა ხსოვნიდან ნისლი. რატომღაც გაჰკრა თავში: - იქნებ ეს დათვი იყოო. და დედა გაახსენდა. მესამე კლასში იყო მაშინ. მასწავლებლებმა მშობლები სკოლაში დაიბარეს და გააფრთხილეს, თუ ვინმეს ბალღს ტილი ვუნახეთ, გაკვეთილებზე არ დავუშვებთო.

სუფთად ჩააცვა დედამ.

არ იცოდა იმ დღეს გაკვეთილი.

თავის თანაკლასელი აპარეკაი შეხვდა სკოლაში მიმავალს.

- გამომაგდეს.

- აპარეკავ!

- რა გინდ!

- მომე ერთი ტილი.

- შენ ეგ მსხალი მომეც და მოგცემ.

მისცა მსხალი და გამოართვა ტილი. შეისვა პერანგში და წავიდა სკოლაში.

გასინჯეს, ვერ უნახეს.

მასწავლებელს სთხოვა, ნახეო კარგა.

მაინც ვერ უნახეს.

დაჰკარგვოდა.

არ გამოაგდეს. გაკვეთილი რო არ იცოდა, ორიანი დაუწერეს.

გზაში დედას გადაეყარა, შეშინებულს, ფერდაკარგულს.

ბელებიანი დათვი დახვედროდა. იმ დათვს ყოველ წელს სტაცებდნენ ბელებს, და, ალბათ იფიქრა, ეს ქალიც მომტაცებსო. გაჰქანებოდა, ცულით იგერიებდა თურმე.

მერე გამოქცეულა და ახსოვს დედის თვალები.

- დიაცებმა რო უთხრეს: - უი, რაზე მოგკლავდაო, - გაბრაზდა.

- ვერ მომკლავდაო.

- რაად ვერაო.

- ჩემ ბერდის ხო უნდა გაზრდაო.

და მაშინ ბერდისაც სჯეროდა, რომ დედამისს ვერაფერი მოერეოდა და იმ დიაცებმაც დაიჯერეს, ორი წლის მერე კი თქვეს, გულმა გაიტანაო...

...იქნებ ის დათვია, - ვერ ისვენებდა ბერდი. ჩამოვიდა, თეთრი გული ჰქონდა მართლა დათვს. იქნებ მართლაც ის იყო.

მერე დიდხანს არ გაეკარა ძილი. მთვარემ, როგორც იყო, იპოვა ღრუბლის ნაგლეჯი და ჩათვლიმა.

* * *

სიზმარი ნახა:

თავის ცხენს დასდევდა დასაჭერად მთაზე.

არ იყენებდა ცხენი ახლომარეთ, ქსუობდა.

კედლის მხარეს მიიმწყვდია და წაეტანა.

წინა ფეხებით დაცურდა ცხენი, თავი ვეღარ შეიკავა და... კლდე იყო მაღალი და წინ გადახრილი.

ბერდიმ იცოდა, რომ თავი სუსტი აქვთ ცხენებს, ცხენი თავს სწევდა ჰაერში მაღლა და, ქვიშაზე რომ დაეცა, თავი ისევ ჰაერში შეინარჩუნა აწეული.

ადგა და თავდაღუნული გაუძღვა ბერდის გზაზე.

ბალათერამ გაალვიძა. მტრედისფერი რიჟრაჟი ჰკოცნიდა სერებს.

* * *

ხალხმრავლობა იყო იმ დღეს ბაკურხევს. სადღეღეღ ემზადებოდნენ მხედრები. დიაცები ჭრელ-ჭრელი ნაჭრებით რთავდნენ სადღეღე ცხენებს. ძილამ დიდი ცისფერი ბანტი დააბნია ძმის ცხენს შუბლზე. სწორედ იქ, სადაც თაქლას თეთრი ნიკორი ჰქონდა.

მერე ძილამ სთხოვა ბერდის:

- ჩემ ამხანაგს უნდა დოღში წასვლა და შენი ცხენი დაუთმე, ბერდიავ!

უყვარდა და ვეღარ გაუტეხა ხათრი. ძალიან უყვარდა, არ ამჟღავნებდა, მაგრამ უყვარდა. მხოლოდ ჰკითხა:

- ცხენოსნობა იცისა?

- ვიცი, - თქვა ვაჟამ, - ოღონდ უუნაგიროზე ვერ ვჯდები.

- უნაგირიანი ცხენით ვერ ივლი დოღში პირველი.

მაინც შეუკაზმა უნაგირით. კვიცი გამოამწყვდია გომურში.

პურობად დასხდნენ მხედრები. მერე გამოიტანეს მიცვალებულის ტალავარი და გაშალეს ბანზე. ტალავართან დაყარეს ქერი. იტირეს დიაცთ. მიცვალებულის ქვრივმა სულის ცხენი შემოატარა წაღმა ქმრის ტალავართ და მხედართუხუცესს გადასცა. მერე მხედრებმაც შემოატარეს ცხენები და ზუსტად თორმეტ საათზე დაიწყო დოღი.

ოთხ ტაბლა იყო გზაში. ფასანაურში იყო ბოლო ტაბლა. სულის ცხენზე შემჯდარმა მინდიამ მხედრებს მათრახები ჩამოურიგა და გაცვივდნენ ცხენოსნები. ჯიშიანი გულის ბაგაბუგით გარბოდნენ ხევსურული ულაყები.

მესამე ტაბლა კიტოხს იყო.

იქიდან მიუშვეს სადავეები.

ცხენთა ძარღვებში აყიალდა სისხლი.

დაჰყიელეს მხედართ.

ფლოქვების თქარათქური...

თვალთა ტალივით დაკვესება...

გზა... ცხენის ფლოქვებით სავსე.

და გავარდა წინ ბერდის თაქლაი, წაართვა სადავე ვაჟას და გავარდა.

რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ექაჩებოდა სადავეს მხედარი. ლაგამმა გახია ყბა.

დედულთ ცხენზე შემჯდარმა თომამ გაასწრო უცებ.

გაგიჟდა თაქლაი, გავარდა ისევ.

თავი ვეღარ შეიკავა ვაჟამ და გადმოვარდა.

უზანგში გაეჭედა ფეხი და გაითრია ცხენმა.

გზადაგზა უსწრებდნენ ხევსურები.

მთლად გაგიჟდა თაქლაი, რა წინ წასულ ცხენებს გახედა. ცხენს უნდოდა პირველობა, იმაში იყო მისი ცხენობა და მიითრევდა მხედარს, რომელსაც ცალი ხელი უნაგირის თასმისთვის არ გაეშვა და ცალი ხელით რევოლვერს იღებდა ჯიბიდან.

გზადაგზა უსწრებდნენ ხევსურები. მათთვის არ არსებობდა ცხენიდან გადმოვარდნილი კაცი, იმათ იცოდნენ, რომ სადღაც ფინიში იყო და უნდა მისულიყვნენ პირველი. ცხენებმაც იცოდნენ და მიფრინავდნენ.

როგორც იყო, ამოიღო რევოლვერი.

როგორმე თავში უნდა გაარტყას, თორემ რომ დასჭრას, შეიძლება დიდხანს ატაროს და სოფელში მიიტანოს ასე.

ცხენისთვის არსებობდა მხოლოდ პირველობა.

გავარდა თოფი და ეგ იყო მისი ფინიში.

* * *

ბაკურხევის ჭალაზე დაჩნდნენ ცხენები.

პირველი,

მეორე,

– ას! ას!

მესამე,

არ ჩანს თაქლაი.

ნასვენები ცხენით მგებრად წავიდა ბერდი. წესი იყო, მხედარი თუ მძიმე იყო, შეიძლებოდა მისი შეცვლა. მგებრი ერქვა ჩამოშვებულს. ცხენი არ იცვლებოდა, მხოლოდ მხედარი.

და მგებრად წავიდა ბერდი.

სიჯანთ ჭალაზე ჩასულს ელდა ეცა.

გზის პირზე ეგდო მისი ცხენი.

დუჟმორეულ კბილებში სისხლის წვეთებს ირეკლავდა რკინის ლაგამი.

ცხენს მზზინავი ბეწვი ჰქონდა და წვრილი ფეხები, რკინის ნალებიანი.

მხოლოდ ერთხელ შეხედა წყლიანი თვალებით ბერდის და გაშრა.

ფოსფორი აბზინდა ცხენის თვალებში.

მერე ვიღაც კაცი ამოვიდა ქვემოდან. კარგა ხანს უყურა ბიჭს და ცხენს და თქვა:

– გაიარა.

ბერდიმ ვერ გაიგო, რა უთხრეს.

– წავიდეთ! – თქვა ისევ იმ კაცმა.

– სად? – იკითხა ბერდიმ.

– სახლში.

ბერდის ხმა არ გაუღია.

– გაიარა უკვე, – თქვა იმ კაცმა, – გარბოდა, ვეღარ მოვაბრუნე, შერცხვა, ალბათ.

გზის პირზე ეგდო ცხენი და იმისი კუნთები ჯერ კიდევ თრთოდა.

– ბუზებს რო იგერიებდა, მაშინ იცოდა ასე, – თქვა ბერდიმ.

მერე სოფელში წაიყვანა იმ კაცმა.

* * *

აჯილდოებდნენ მხედრებს.

ყანწებით ასმევდნენ სვიან ლუდს.

პატარა ბიჭები აქეთ-იქით დაატარებდნენ გაოფლილ ცხენებს.

სოფელში ახლა ბაზალუყის, ხოტის და კიდევ გაოფლილი ცხენების სუნი იდგა.

და პირამიდასავით ნაშენები წივაი კიდევ.

– პირველი მოვიდა ტალავართ ჩამცმელთ ცხენი.

– ერგ ხარი.

– მეორე მოვიდა დედულეთ ცხენი.

– ერგ ძროხა.

– მესამე ცოლის დაძი.

– ერგ მაზვერი...

აჯილდოებდნენ მხედრებს და თან ლუდს ასმევდნენ.

პატარა ბიჭები ცხენებს ასეირნებდნენ.

ბალათერაის მზერაში ისევ ის გარინდება დაიჭირა ბერდიმ, ახლოს კი არ მოეკარა, განზე იდგა.

– ვერ მოვიდა ნათლულთ ცხენი.

– ერგ ბატკანი.

დააჯილდოვეს ბერდი.

არ მიჰყავდა საჩუქარი.

ძალად წააყვანინეს.

ჩამოვიდა და ჯეჯილში გაუშვა.

გაველდა ბატკანი, მთაზე ნისლები დაინახა და იქ გაიქცა.

ჯეჯილში გულაღმა იწვა ბერდი.

– ძია ბერდიავ!

– რა იყო, ჩემო ბალათერავ!

– ესკალაის თოფს გამიკეთებ?

– ჰო.

– როდის?

– როცა წვიმა მოვა.

– ეხლა?

– ეხლა არ გაკეთდება.

– რატო?

– ეხლა მზეა.

– მე ეხლა მინდა.

– რად გინდა?

– ვინც შენ აგატირა, ის უნდა ავატირო.

– როგორ, ჩემო ბალათერავ!

– მავხკლავ!

– კაცის მოკვლა რო არ შეიძლება?

– ყოვისა?

– არც ყოვისა.

– და არაფრისა?

– ჰო.

– მარტო დათვისა და ცხენისა?

– ჰო.

– მა ვინ ხკლავს იმათ!

– ვის, ჩემო ბალათერავ?

– ვისაც არავინა ჰკლავს და კვდებიან.

– სიბერე, ჩემო ბალათერავ!

– სიბერე საიდან მოდის?

– არ ვიცი.

– დიდი რო ხარ?

– მერე რო დიდი ვარ!

– უნდა იცოდე. მე გავიზრდები და გეტყვი.

– მართლა?

– ხო, და იმასაც ავატირებ.

– ვის?

– ვინც შენ აგატირებს.

მერე ბალათერაის თვალები რაღაცას დააშტერდნენ და, ახლა მისი თვალებიდან გამოტყორცნილი მზერა კი არ უერთდებოდა უსასრულობას, თვითონ იყვნენ უსასრულოდ ღრმა. ღრმა და კიდევ ჭრელი, როგორც ხევსურული ჯუბა. რაღაცნაირად დამძიმებული იყო ეგ მზერა, თითქოს ერთ წელში ნანახი ცოდვა ეკიდა ზედ ისე, როგორც ობობას ძაფებს ამძიმებს ხოლმე შიგ გაბმული მწერები. მაგრამ სად შეუძლია ობობას ყველა მწერის მონელება.

სოფლის ბოლოში ჩალისფერი კვიცი დარბოდა და ჭიხვინებდა.

– გაველებულა, ძია ბერდიავ!

– რა, ჩემო ბალათერ?

– ბატკანი.

გორის ფხაზე გარბოდა ეულად დარჩენილი ბატკანი. თავისი ჯოხის ცხენით გაეკიდა ბალათერაი.

ბერდი იწვა და ცას შეჰყურებდა.

ცა იყო წმინდა... წმინდა...

გამტკნარებული, როგორც სარეცელი.

მერე ახლად გამომცხვარი პურის სუნმა სასიამოვნო ჟრუანტელად დაუარა სოფელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მურმან ჯგუბურია

## რომის ისტორიის გაკვეთილებიდან



### ციცერონი

პლუტარქე ამბობს: მხიარული იყავი კაცი
და სიტყვა შენი იყო ცეცხლი, იყო გრიგალი,
სინამდვილეში ვინ რა იცის, შენ რა იყავი,
და მხოლოდ სიტყვით დაბეჭდილით გაფასებთ აწ.

არ გიგემნია არასოდეს კამათში მარცხი
და დიდთა საქმეთ გადაჭრიდი ხოლმე იგავით,
და იყო შენი მოკამათე ფერად მიტკალი,
თუმცა ამაზე შეჩერება ამჯერად არ ღირს.

მე უფრო მიკვირს, რომ ყოველი ისეა ჯერაც,
ვით იყო შენს დროს, არ შეცვლილა აღარა თითქმის,
გულსატკენია თუმცა ჩემთვის ამაზე წერა,

შენ გივერაგეს, თუმც მართალი იყავი ცამდის;
ძველი ანდაზაც, ვით ითქმოდა, კვლავ ისე ითქმის:
მართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული თან უნდა ჰყავდეს.

### იულიუს კეისარი

„მივედი, ვნახე, დავამარცხე“, - აი, სიტყვები,
რომელთა მიღმა გაოფლილი ისვენებს ჯარი,
ჯერ კიდევ ერთად ყრია ველად ცოცხალი, მკვდარი,
და აღარავინ აღარ იცის, ხვალ რა იქნება.

„ხვალ მზე ამოვა!“ – შენ თქვი მტკიცედ და დაფიქრებით
და წამოდექი, გაიხურე დარბაზის კარი,
ქამი გავა და გიღალატებს მეგობრის მხარიც
და სხვებზე მაღლა მყოფი მართლაც მარტო იქნები.

თან ჰგავხარ მუხას, აუჯანყდნენ ხეები რომელს,
თუმც ქარტეხილში იგი იყო მათი მფარველი,
„ბრუტუს, შენც?“ – ერთი აღმოგხდება ძახილი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წამს გაიელვებს საყვარელი თვალწინ მთა-ველი,
ჯერ მოგკლავს, მერე გაგაღმერთებს მშობელი რომი
და თვეს მშვენიერს დაერქმევა შენი სახელი.

## მარკუს ანტონიუსი

განგებამ მოგცა შენ მახვილი და გრძელი ცხვირი,
რასაც ინანებ უცილობლად ადრე თუ გვიან,
და უებარი მეომარი თუმცადა გქვიან,
ქალის კალთაში თავჩარგული ბალღივით სტირი.

დიდი კეისრის მკვლელობაში შენც გიდევს წილი,
მარტო მიდიხარ ხოლმე ველად და ნალის წკრიალს
უსმენ მოწყენით, ფიქრი შენი კორომი ტყეა
და გელანდება საკოცნელი ლამაზი პირი.

ქალმა ჩაახშო შენში დიდი მამულის გრძნობა
და დაგიბრმავა თვალის ჩინი, წაგართვა გონი,
ველარც ბრუტუსმა გაგიწია ბოლომდის ძმობა,

მახვილზე უნდა წამოეგო, სხვა არა დაგრჩა,
ვერა გიშველა სილამაზემ, ოქრომ და ფარჩამ
და რიკტაფელას თამაშს მოჰგავს აწ ყველა ომი!

## ვარუსი

გერმანელებმა შეგიტყუეს გაუვალ ტყეში,
უცხოა ირგვლივ მუხა, ფიჭვი, რცხილა და ძელქვა,
უკანდახევა გადასწყვიტე ჯარებით ერთხანს,
მაგრამ ვაი, რომ აწ ტრიალებ სიკვდილის წრეში.

გულმაგარი ხარ, თვალი გიჭრის და მუხლი გერჩის,
ვისაც მისწვდები, თავს ენგრევი ელვად და მეხად,
მაგრამ იგრძენი, რომ ეგ იყო უაზრო ჩეხვა,
და ხანჯლის პირი გაიტარე ვადამდე მკერდში.

ამოწყდა სამი ლეგიონი, ესკადრა სამი,
ამბის წამღები სამშობლოში არ დარჩა კაცი,
იმპერატორი დგება ხოლმე ხანდახან ღამით,

მოაგონდება წაგებული ოდეს ომები
და სასახლეში ისმის თურმე ძახილი მკაცრი:
„მთავარსარდალო, დამიბრუნე ლეგიონები!“

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ბრუტუსი

თვითონ პლუტარქემ შენთვის დიდად იტეხა თავი,
ვითომ კეისრის მკვლელობაში არ გედო წილი,
მაგრამ შენ იცი ჭეშმარიტი მოვლენის ძირი
და სწორი თუ ხარ, შეგიწყალოს უფალმან, ამინ!

არ გასვენებდა საფიქრალი დღითა და ღამით,
გადაიხადე სასახელო ომები ხშირი,
არ გაიპარსე წვერი, ალთქმა დადევი მწირის,
რომ შეგეცვალა რომისათვის უქამო ჟამი,

მაგრამ წააგე საბოლოო და დიდი ომი,
ქვეყანამ ნახა, როგორ კვდება სარდალი ველად,
მარტო შეები ლეგიონებს, დაჰკარგე გონი,

წამს გაიელვა კეისარმა უეცრად ფიქრში,
და გაგამხნევა: მეგობარო, არა ხამს შიში,
ადრე თუ გვიან, სულერთია, მოკვდება ყველა!

## კალიგულა

ვერაგი იყავ, შეთქმულებმა მოგიღეს ბოლო,
ვერ აიტანა იმპერიამ სიბილწე შენი,
შურისძიების ღაღადებენ ქვანი და ხენი,
ვერაგი უნდა ვერაგულად მოისპოს მხოლოდ.

ლესავენ დანებს, კუპრს ხარშავენ და ქვაბი ბოლავს,
მაგრამ ახანებს და არ ჩქარობს ჯალათის ხელი,
შენ რომ ტკბებოდი რომაელთა წამების ცქერით,
იგემე ახლა, როგორია შიში და ძრწოლა!

გადააჭარბე ტიბერიუსს, ბოროტი თესე
და, რაც კი იყო რიგიანი, იქმნა ურიგო,
ნოხი დაუგე სიბინძურეს, უზნეო წესებს;

გულს გაგიყარეს ალესილი ხანჯლების წყება,
იღვრება სისხლი უკუღმართი და ტარებს ღებავს,
არ ჩამოგახრჩვეს, რათა ხე არ შელანძღულიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ნერონი

შენ ხელოვნების სიყვარული იმთავით დაგყვა,
თურმე იყავი ფიქრიანი, სპეტაკი ბალღი,
ყველაფერს ამას დაივიწყებს შემდგომში ხალხი
და მიაბარებს ხსოვნას შენსას ეშმას და მსახვრალს.

15 წლისა ჯერეთ კიდევ ანგელოსს გავხარ,
17 წლისამ დაიკავე მზაკვრულად ტახტი,
არ გაგიგდია იმას იქით ხელიდან სახრე
და თან დაგყვება ბოროტება, საითაც წახვალ.

გასწირე რომი, მეგობარი, პოეტი, დედა,
14 წელიწადს მოამრავლე ღვარძლი, ვით ნიყვი,
დაქანდა დიდი იმპერია, წავიდა ფერდად,

და მოხდა ასე, როგორც ამბობს ხანდახან ხალხი,
მხოლოდ იმიტომ, ხელოვანი რომ ველარ გახდი,
მაგრამ ამას ვინ დაიჯერებს, თუ არა ბრიყვი.

## ადრიანე

ხელი მიჰყავი მშენებლობას, საჭრეთელს, ყალამს
და გაასრულე დაწყებული ტაძარი ზევსის,
შრომაავიწყებს ადამიანს დარდსა და ვარამს

და, საკუთარი, გაკვირვებით გიყურებს ცოლი,
არ გაპატიებს არასოდეს თუმცაღა რომი,
შენ რომ იყავი მიმდევარი ბერძნული წესის.

## მარკუს ავრელიუსი

გამარჯვებულო, შენ ბრუნდები ზარით და ხაფით,
დაბლა გიხრიან თავს ბრწყინვალე მოქალაქენი,
მიწიდან ცამდე განფენილა შენი საქმენი
და სიტყვას ჩაგრავს შენი ერთი აწევა წარბის.

შენ ეზიარე ადრე სიბრძნეს, იყავი ხარბი,
დღე არ გყოფნიდა და სანთელთან ღამეს ათევდი,
გულის ფიქრებთან ორჭოფობდი და კამათობდი,
გმირიც ბერდება და ლაზარიც, დრო ისე გარბის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშევრდომები ვერ გამჩნევდნენ დარდსა და ჭმუნვას,
ვეღარც სიხარულს, თავი ისე გეჭირა მუდამ,
არ მიაწერდი თუმცა ამას ღვთაებრივ უნარს.

რადგანაც გწამდა, არა რჩება მიწასა ზედა,
„შენ დაივიწყებ სხვას, ალარც სხვა გიწამებს მეტად“,
თუმც სიბრძნეს შენსას გულთან ახლოს მიტანა უნდა.

## ტრაიანე დეციუსი

წვიმს გამთენიას, ჯარი მიდის ტალახში ზლაზვნით,
წაიღო გული შემოდგომამ სველმა და ლიპმა,
ენაწყლიანი არ იყავი აროდეს კაცი,

მაგრამ, ვაგლახ, რომ სამუდამოდ დაკუმე პირი,
რა უსახელოდ დაიღუპე ლომი და გმირი,
გუთებთან ომში ჩაგითრია ჭაობის ჭიპმა.

## ვალერიანე

სასანიდებმა გაგიმწარეს სიბერის წლები,
გუშინ იყავი მეფე და დღეს მონა ხარ მათი,
ჭირვეულია ბუმბუნა ნიადაგ მარტი
და ვერ გაიგნეს ნისლოვანში ფიქრებმა გზები.

რა არის შენს თავს, უკვე იცი და კარგად ხვდები,
იღბალი ისეთს ვერას მოგცემს, რასაც ვერ გართმევს,
არავისა აქვს ქვეყანაზე აწ შენი ხათრიც,
გადაიხარა დიდი რომის ბრწყინვალე ღერბი.

აგერ, შაპურიც! სასახლიდან გამოდის ლხენით,
შენ ოქროს ჯაჭვით გაბოჭილი მიწაზე გდიხარ,
ჰა, გამარჯვებულ მხედართმთავარს მიჰგვარეს ცხენი,

დაგეყრდნო ფეხით ისე, ვით კუნძს, ამხედრდა მეფე
და ხოტბას მისას ქვეშევრდომნი როდესა ჰყეფენ,
შენ თავს ვერა სწევ, მოკაკული, ვით ცოდვის კითხვა!

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ავრელიანე

შენ ბალღი იყავ, როცა გეპყრა ფარი და შუბი,
ერთი რიგითი მეომარი გახდი სარდალი,
სანამ ცოცხლობდი, არა გყავდა ქვეყნად ბადალი
და მზეს ეძახდი საკუთარ თავს, არ ვცდები თუკი.

რომს შემოავლე გალავანი, რომ მტკიცე ზურგი
გქონოდა მარად, რადგან მტერი გყავდა მაგარი,
მაგრამ გაფანტე მომხდურები, ვით ნიავქარი,
და უკვდავების წყალს სვამს რომი დიდების თუნგით.

ცოტა იმეფე, მაგრამ დაგრჩა ღრმა ნაკვალევი,
ტაციტიუსმა დააფასა ამაგი შენი.
სარმატიდები, ვანდალები, ალემანები

ეს ოცდაორი საუკუნე შფოთავენ და ღონენ,
მაგრამ შენც მანდ ხარ, ველარ ომობთ მოსისხლე მტრები,
ქვესკნელში ხართ და უაბჯრონი ერთმანეთს ხვდებით.

## იულიანე

შენ მოინდომე ისტორიის შემობრუნება,
ქრისტეს მიმდევრებს განუდექი, გახდი წარმართი,
მაგრამ ვის ძალუძს, შეუცვალოს დროს მისამართი,
დედამიწაზე აწ მეოთხე საუკუნეა.

წიგნებს უზიხარ სანთლის შუქზე და სიჩუმეა,
ძველის მომხრე ხარ და აწმყოსთან გიყვარს კამათი,
სარკმლიდან უმზერ ბებერ მუხას, ღამეგანათევს,
და მეხთამტყორცნი ზევსი ქვეყნის გაზაფხულია.

შესაწირავით გლეხიკაცი გამოვა ველად
და ციცქნა მარცვალს მიაბარებს მიწას ხვიფლიანს,
მოვა ტაროსი, რომ დაუდგეს მოსავალს მცველად,

აღმოუცენებს საბადებელს წარმართს, ქრისტიანს,
ღმერთია თავად ყოფა ჩვენი, რიგი და წესი,
მაგრამ შენ თითქო რაღაც მეტი იცი და გესმის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ზაურ კალანდია

## და აღარ იყო... ომი

### (ნაწყვეტი რომანიდან)

სამნი დავრჩით.

სადგომი ხისაა, ნახანძრალი, სახურავჩამლილი, განაცარმტვერებული... სიდამპლისა და დრემლის მძაფრი სუნია ირგვლივ, ეტყობა, თხა-ცხვარი იდგა ადრე, მწყემსების თავშესაფარი იყო, ახლა არაფერია, ნადირი თუ დაიბუდებს ზამთარში... კარგი ადგილი კია; გზა ჩანს, ცაში ქორი არ გამოგეპარება და ქვევით, ხევთან შედარებით, უსაფრთხოა, ღამის გადათევა შეიძლება.

გაბო დაჭრილია... ტყვია ორგან მოხვდა გაბოს, ერთი ლავიწზემოთ, რბილში გაუვიდა, მეორე - მარჯვენა მხარში; ბევრი სისხლი დაკარგა გზაში, ახლაც ვერ ვუჩერებთ.

გაბო კვნესის, რაღაცას ბუტბუტებს... ისევ იმას, ალბათ: თუ გადავრჩებით, ერთად გადავრჩებითო!

დიდი იმედი არა მაქვს!

მას მერე, რაც მოხდა, საეჭვოა, რაიმე სასიკეთოდ შეიცვალოს! მეტიც, ეს არც ბედისწერა მგონია მე, ამისი აუცილებლობა ბუნებაშიც არ იარსებებდა, ალბათ!

გიულიმ გამომხედა, შებრუნდიო, მანიშნა და სვიტერი თავზემოთ სწრაფად გადაიძრო.

შებრუნების თავი არა მაქვს, არც გიულის, არც არაფრის; დაღლილობისგან ფეხები მწყდება. გიული მაინც ყოჩაღად მეჩვენება. ბიჭურად შეკრეჭილ კეფას ვხედავ, რაღაც შარიშური რომ ახლავს თან... ჰმ, მისი უხერხულობა რას მივაწერო, რა ქალი ეგა მყავს... ქვეყანამ იცის, ქალურობამ დატოვა და სირცხვილმაც. ან რა სუსტია და გაჩხინკული, ნეკნებზე გადაკრული ტყავია, მალალა... ტაკოც ერთი ბეწო აქვს, მუჭაში ჩაეტევა, თუმცა ეგ კია, რაღაცნაირი, ფარსაგი... იმისი თქმა მინდა, ქალი როა, ამითლა ხვდები და არა, ვთქვათ, ზურგის სიტიტველით ან წახრისას ალმასივით დამჩდარი ხერხემლის მალების ელიფსით - ჯინსის გახუნებულ შარვალში რომ ეკარგება და, რომ მოინდომო, ხელისგული ჩაუყოლო ხერხემალს - ნიძლავზე ვარ, კუდს აღმოუჩენ ამ ალქაჯს!..

გიული პერანგს ხევს, ფართიფურთობს ზურგჩანთაში, ჭრილობის ხელახლა გადახვევა უნდა.

გაბო ტკივილისგან გაფითრებულია, უფრო სწორად, სხვა ფერი ადევს; არც მიტკლისაა ეგა და არც შიშის... შეიძლება, სიკვდილის ფერია სწორედ ეს! ვინ იცის? თავადაც გრძნობს, ალბათ, ამას და იტანჯება. მისი მესმის. მეტიც, ვხედავ, როგორ უნდა სიცოცხლე; ხან გიული უჩანს მხსნელად, ხან მე; მომაშტერდება საწყლად, რაღაც ეჭვითაც, ჩემს მზერაში ცდილობს ნახოს ხსნა და, მიუხედავად იმისა, გაბოს დიდ პატივს ვცემ, ისიც მიყვარს და, რა თქმა უნდა, ჩემი სიცოცხლეც, უსუსური ვინმე ვარ და თვალის არიდებას ვცდილობ ხოლმე.

გიულისაც ვატყობ გაღიზიანებას, უნდილად უცვლის სახვევს და გული მეთანალ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა





რება. კაცმა რომ თქვას, ვერც დაადანაშაულებ; ბევრი სიმწარე ნახა გუშინ და დღეს. არავინ იცის, ხვალ რა გველოდება და ქალია, უჭირს, ქალია და შიში აქვს... ხშირად ეცვლება სახე, თვალები; მოუსვენრობის ჩრდილი გადაურბენს, გაუსხლტება მზერა სადღაც, ჯანდაბაში...

ცას ავხედე.

ნეტავ,.რა დროა?

იმასაც ვერ ვატყობ, მოღრუბლულია ცა თუ საღამოვდება.

გაზაფხული კაი ხნისაა და მაინცცივა, ზამთრის პირი გეგონება, ძვლებში მტეხს.

გიულის, ეტყობა, სიცივისათვის არ ცხელა, არც ჩემთვის, სხვათა შორის, - წელზემოთ ისევ ტიტველია, მე კი დაღლაზე უფრო სიცივის შეგრძნება მაქვს.

შეიძლება ეს ასე სულაც არ არის! ათას უბედურებაში გავმძვრალ-გამოვმძვრალვარ, ღარიც ვიცი და ავდარიც, რა არ გადამიტანია, თუმცა ამეებზე ფიქრი რას მიშველის და ტყუილად ვიმტვრევ თავს ახლა!

კი, ამ ღამეს აქ გადავითენებთ.

მერე?

ჩვენ ვმტრობთ და ჩვენც გვმტრობენ... უფრო ზუსტად, გუშინ ჩვენ ვდევნიდით, დღეს ჩვენ გვდევნიან, გვეძებენ, გვისაფრდებიან, საშიშია ჩვენი გამოჩენა. და გავრბივართ, დღის სინათლეს ვემალებით, ღამესაც... წყვარამიც ვერ გვშველის. განსაკუთრებით გაბო იციან, ჩვენი ასმეთაური, მათი რისხვა, მისი თავი ძვირად ფასობს და, თუ გვიპოვეს, თუ მოგვიხელთეს სადმე, ჩვენი თავებიც იქვე გაგორდება. გაბოს ინტერესი ყოველთვის ჰქონდათ, ჩვენებიც ემტერებოდნენ, ებრძოდნენ... მე ეს მახსოვს, გიულისაც. ახლაც ვიცი, დიდი ფული და ძვირფასეულობა აქვს წამოღებული, მაგრამ არ იმჩნევს, სულთმობრძავიც არ გვიმხელს რა და რამდენია, წელზე მაშველი რგოლივით აქვს შემოხვეული და თითქოს არაფერი... არადა, კაი ცხოვრება რომ იყოს, ანუ ძველი, მშვიდი, ულალატო დრო, ნიძლავზე ვარ - მე, გაბოს, გიულის და კიდევ იმ ორს, გუშინ საღამოს რომ დაგველუპა - სამი სიცოცხლე გვეყოფოდა! ახლა მდევრის მოსასყიდადაც არ კმარაო, თქვა წეღან გიულიმ. კვალი რომ დაფარონ /მკვლელობის კი არა, ნაძარცვის!/, ჩვენს გვამებსაც აღარ დატოვებენო, ამასაც გიულიმ გამენდო.

ვიცი, გაბოს ერთგული უნდა ვიყო!

გაბო თუ გადარჩა, იქნებ ჩვენც გადავრჩეთ.

არადა, გუშინ ხუთნი ვიყავით, დღეს - სამნი...

ჰმ, უფრო ადრე ასჯერ სამი და უფრო მეტი, თითქმის მთელი ქვეყანა ჩვენ ვიყავით...

ჩვენ დავიფანტეთ... ჩვენზეა ამხედრებული და დაგეშილი ჩვენი გუშინდელი თანამოაზრე და მეგობარიც.

გაბო დაჭრილია, მდევარი კუდზე გვყავს შემჯდარი, მაგრამ ჯერხნობით თუ ვართ ცოცხლები, ალბათ, იმიტომ, რომ საყოველთაო შიშია და ძრწოლა ყველგან, მაინც სდევს ვიღაცა კვალში, ჩვენი სისხლის მიხულებსაც. რაც ჩვენა ვართ, ისინიც ის არიან, არც მეტი, არც ნაკლები... და არავინ იცის, ვისი თავი სად და როდის გაგორდება, მდინარე აიმღვრა, აბობოქრდა...იქცევა, ილეწება ქვეყანა და, გვინდა თუ არ გვინდა, ისევ ეგ თუ გვშველის!

გუშინ გიულიმ დაიჩემა, ეკლესიას შევეხიზნოთ, უსაფრთხოდ ვიქნებითო.

გამაგიჟებს ეს ხალხი!

არა, საინტერესოა, მართლა სჯერათ, რომ ასე იოლია ცოდვების გამოსყიდვა?!

ჰმ, მთავარია, ეკლესიაში შეასწრო, ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი გაუსწორო, ორიოდე სანთელი დაუ-ნთო უფალს და, რა ცოდვილიც უნდა იყო, ჩიტივით ლაღი და თავისუფალი ხარ!

ის ორი ქალაქელი ბიჭი /გაბოს ძველი ნაცნობები, ასეულის დაშლისას რომ შემოგ-ვიერთდნენ/, ვიგრძენი, ფეხს ითრევდა გიულ-ის წინადადებაზე და რაღაც სიმპათიით გან-ვეწყვე მათდამი; ისე, ახლა რომ ვუფიქრდები, არც ესენი იყვნენ ნაკლებად საშიში... გაბომ არ დაიჯერა, მენდეო, მითხრა და ჩვენც უხმოდ შევედით გაჭვარტლულ, ყვავებდაბუ-დებულ ქვის მომცრო მონასტერში.

გიულიმ სანთლები იპოვა, დაანთო...

ერთმა, რა თქმა უნდა, ჩემთვის შემთხვ-ევით დამგზავრებულმა /არ ვიცი, რა ჯანდაბა ჩაყლაპა ასე უცებ, უჩუმრად; გაგლეჯილ კაიფში იყო, ავტომატის ლულა ლოყაზე მიე-ხუტებინა, ეტყობა, ლითონის სიგრილე სი-ამოვნებდა/, მეორეს უჩურჩულა: ჩათლახი ვიყო, ღმერთი ამ ეკლესიის გარდა ყველგან იქნებაო...

გამეცინა.

გიულის შევხედე.

მლოცველის კი არა, მიცვალებულის ფერი ედო... მომეჩვენა, არაფერი უშველიდა ამ უბედურს, არც დღეს უშველიდა, არც ხვალ... ჯოჯოხეთიც კი არ მიიღებდა მის ცოდვილ სულს.

მოვტყუვდი.

თუმცა არც იმდენად...

საათიც არ იყო გასული, სწორედ ის ორი ბიჭი დაგვეღუპა.

გაბოც დაგვეჭრა.

ეხ, გაბო მაინც გაბოა!

სროლა რომ აგვიტეხეს, გაბო არ დაიბნა, კარგი პოზიცია დაიკავა, უმთავრესი ძალა ტყვიამფრქვევით ჩაკეტა. მერე, სროლა ცოტა რომ მიწყნარდა, ხოხვით გაძვრა გარეთ და თავაუღებლად, ბალახში ჩაფლულმა ხი-დან ძმადნაფიცი „დრაგუნსკით" /ასე ეძახდა ოპტიკურ „დრაგუნოვს". მართლაც, იშვიათი თოფი იყო, ნებისმიერი ჭუჭრუტანიდან ნების-მიერ პრეზიდენტს გავაგორებო, ამბობდა ხოლმე/ სნაიპერი ჩამოიღო /ზევით, ტყისკენ რომ ავწეულიყავით, - ზურგი ჰქონდა ჩაკე-ტილი/, ბაყვანი გაადინა მიწაზე...

სიხარულით შევყვირე.

მერე ჩვენც სროლით გავვარდით გარეთ...

ეტყობა, ადრე იყო, ვიჩქარეთ, მაშინ მოგ-ვიკლეს ის ორი ქალაქელი. რაღაც საეჭვოდ მოკლეს, სხვა მხარეს გარბოდნენ სულაც, მათი უაზრო, შეშფოთებული ყვირილი მესმ-ოდა და წამით გავშტერდი... გაბო მოგვი-ანებით დაგვეჭრა, თითქმის სამშვიდობოს გასვლისას.

- ჭიჭე!..

ისე იბღავლა გაბომ, თითქოს ნალმი ხე-ლებში აუფეთქდაო.

გიული შორს იყო, ვერც მობრუნდებოდა და, ჩემს გარდა, სხვა ვისი იმედი უნდა ჰქონოდა საწყალს!

ფეხები დამებორკა, ჩავწექი, მისკენ გამო-ვბობღდი...

სისხლში ცურავს, ვერ დგება... მაინც ყოჩა-ღად უჭირავს თავი, თან მზერით მბურღავს, შუბლში ლულასავით აქვს მობჯენილი, აინ-ტერესებს, რას ვიზამ... არადა, წამის წინ ისეთი გრძნობა მქონდა, ისე გავურბოდი ტყვიების წუილს, ხვრელი რომ მეპოვა სადმე მიწაში, მგონია, თაგვად ვიქცეოდი.

ეხ, გაბოს ვერაფერი უშველის!..

ვერც ჩვენ!..

სანთლებისაც ცოტა მჯერა-მეთქი! მეტიც, შიში უფრო მაქვს მათი მშვიდი, უდარდელი ციმციმის...

კი, დიახაც მინდა, რომ მჯეროდეს, ისედაც მორჩილი, მიმნდობი ბუნება მაქვს, მაგრამ... რა ვქნა, ჩვენი ქალაქის მოძღვრის ბუტბუტს რომ ვიხსენებ ხოლმე, გული მეკუმშება. ახლაც ყბას მიქცევს მისი ნათქვამი: გაიგეთ, ხალხნო!.. უფლის ნების გარეშე ბეღურა არ დაეცემა მიწაზე, ხოლო თქვენს თავზე თმაც კი დათვლილიაო!..

როგორია, ჰა?!

ვინ ჭამს მაგას?! არა, მაინც რა გამოდის?.. ვითომ წმინდა, უცოდველი ბატკანი ვარ, სისხლი არ მცხია, არავინ მომიკლავს უფლის ნების გარეშე?! აბა, იმ აბარბარებულ მუგუზალს, ჯანჯალიას რომ ვულაწუნებდი თავ-ყბაში რა იყო და ვისი ხელით?! დავიჯერო, იმან არ გაუხეთქა გული მაგ ჩათლახს?! იქნებ ვცდები, იქნებ ეს მართლა

უულის ნება იყო და მე ტყუილად ვასკდები გულს, ძილიც მშვიდი უნდა მქონდეს?!

ა, ისევ დამეწყო... თავი სკასავით მიზუის, მგონია, რუმბივით მეზრდება, მებერება...

პოზიციებს ვტოვებთო, გამოგვიცხადა გენერალმა.

დავიბენით, სუნთქვა ბაგეებზე გაგვეყინა.

დროებით, რა თქმა უნდაო, ჭირის ოფლი მოიწმინდა, ხავსს ჩაებღაუჭა ჩვენი „უშიშარი" გენერალი.

ეს უკვე დამარცხება იყო, აღიარების მწარე სუსხმა ცხვირ-პირი მოგვილოკა და ასე აშკარად პირველად შევშინდი, მარტო ჩემი თავი შემეცოდა, სხვა არავინ!

რომ ვუფიქრდები, ჩვენ უნდა წაგვეგო ეს ომი!

იმათ, ჩვენს მოწინააღმდეგეებსაც უნდა წაეგოთ ეს ომი და, ჩემი მოკლე ჭკუით, ასეც მოხდა!

უკვე გვიანია, თორემ, რა დიდი ჭკუა იმას უნდა, რომ ორივემ წავაგეთ; ავმაც და კარგმაც, მტერმაც და მოყვარემაც!

ომს სიძულვილი არ იგებსო... არც სამართლიანობა არსებობს და არც სამართალი არსებობს ომში... მახსოვს, გაბრაზებულმა თქვა ვაჩემ: როდის გაუმარჯვნია სიმართლეს, ახლა რომ გაემარჯვა?! სიმართლე რა ჩემი ფეხებია! იმარჯვებს ძალა და აი, ის ძალა უნდა ვიყო მეო!

ვაჩე მოკლეს...

გაბოს არ ეყო ძალა... ისიც კვდება.

მე ვინ ვარ... მე ეს არ მეხება.

მე ის ვარ, ვისაც არასოდეს გაუმარჯვნია, მაგრამ... არც არასოდეს დამარცხებულა!

არ ვიცი, საიდან ვიცი ეს, მაგრამ ნიძლავზე ვარ, რომ ეს ასეა!

ეხ, ჩემო კარგებო, მე ისიც ვიცი, ყველა დევნილი როდი ეწამება სიმართლისათვის! ვიცი, მაგრამ რად გინდა, ამის თქმის უფლება არა მაქვს! ადრე არ მქონდა, ახლა გინდ გქონია, გინდ – არა!

ჰმ, პოზიციებს დროებით ვტოვებთო...

რა უწყინარი ნათქვამია!

პოზიციებს არა, ჩემი ფეხები!.. სიცოცხლეს ვტოვებთ, ჰე, რა ხანია; გზადაგზა, თითოთითოდ ვანთხევთ სისხლსა და ტვინს... ჩვენს ნაკვალევზე ბალახი არ ამოვა... არც მათ ნაკვალევზე ამოვა ბალახი.

გუშინ ხუთნი ვიყავით...

დღეს?..

ეხ, ბედნიერია ვაჩე, რომ ამ დღემდე, გაბითურებამდე გაგვასწრო, კაცურად წავიდა... სიკვდილიც გამორჩეული ერგო-მეთქი; როგორც ყველგან და ყოველთვის, სიკვდილშიც გვაჯობა.

ის თითოეულ ჩვენგანს სჭირდება დღეს, განსაკუთრებით მე, მისი დიდებული სიკვდილის შემსწრე ნაგავ ძმას!..

მისმა არყოფნამ მოგვსპო და მოგვითავა ხელი!

ვაჩე, ძმაო, აღარ არსებობს შენი დიდებული, ლაღი, იდუმალი, მართალი, ამაყი ქალაქი... სიკვდილი ბოგინობს, სიძულვილი მეფობს მის ქუჩაბანდებში... ყვავები დაყაშყაშებენ მის ცას და მინდორს...

შენ მოკვდი და შენი ქალაქიც მოკვდა.

აბა რა: შვიდჯერ რომ დაირბინო დღეში ქალაქის ქუჩები, ზეიმს, მხიარულ განწყობას ვინღა იტყვის, ერთ შეყვარებულ წყვილს ვერ გადაეყრები, ღიმილს ვერ დალანდავ სადმე, მარტო შიში და უნდობლობა, ძრწოლა და ღალატი გცემს ქარივით სახეში; ცოცხალი ხარ და აღარცა ხარ...

ერთხელ თქვი: ჩემი ქალაქი დღითი-დღე ხრწნად გომბეშოს ემსგავსებაო და, სამწუხაროდ, ასეც მოხდა, სულ უფრო ჩაეფლო ჭაობში...

მკვდარია შენი ქალაქი...

შენი სიმღერა „ოუ ნანა", სმენას კი არ მიტკბობს, მტკივაო, რომ ამბობდი, მოკვდა.

გაბოც კვდება...

იმდენი სისხლი დაკარგა, მეეჭვება, რომ გადარჩეს.

კვდება ნელა, ძნელად, წვალებით...

მეც ჩავძაღლდები, ალბათ, სადმე...

გაბო კი ამბობს, თუ გადავრჩებით, ერთად გადავრჩებითო.

შეიძლება ასეც არის, შეიძლება არც არის ასე... სხვა რაღაცაზე მწყდება გული... გაბოს, სიკვდილმა რომ მოულოკა ცხვირ-პირი, მაშინ გაახსენდა ძმები ჯანჯალიები! მაშინ, როცა ზურგზე მეკიდა და ვათრევდი, ტყვიები

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქოჩორს მიტრუსავდა, ყურში მიჩურჩულა, ქეძაფივით ჩამაწვეთა: თავს რომ დაგვესხნენ, ჯანჯალიები იყვნენო...

შევშინდი. დაჭრილის სიმძიმეც ორჯერ მეტად ვიგრძენი.

მაინც არ დავიჯერე!

სად იყვნენ აქამდე, ერთ ქალაქში არ ვცხოვრობდით? ასი ჯანჯალია ვერ ამიქშ-ევდა ბუზს!

რა, დრო იხელთეს?

ვითომ ყველასგან ყველაფერია მოსალო-დნელი?

ჭიჭე!

გიულის ხმაა.

ის გაბოსთან არის ჩამუხლული, წამით არ შორდება, თავს ევლება.

საინტერესო კია! არა, რაც გაბომ ფოთი დატოვა და ჩვენს ქალაქში ჩამოვიდა, სულ ერთად იყვნენ. თავიდან ბევრს უკვირდა გაბოს საქციელი, ამ ჩარუმ-ჩათლახთან რა ესაქმებაო, თუმცა ხმამაღლა ვერ უბედავდ-ნენ, უახლოესი მეგობრებიც კი! აშკარად ვაჟკაცი კაცი იყო, სიტყვა უჭრიდა და გონ-ებაც, ან ქალის მეტი რა იყო, გიულის რომ არ გადაეჰკიდებოდა. ეტყობა, ჯერომ ვერ მოითმინა და ერთხელ, ვაჩესთან ქეიფისას, არავის მოერიდა, ცალკე სუფრაა ჩათლა-ხებისთვის გაშლილიო, გიული მაგიდასთან არ დასვა. გაბოც იქვე იყო, მაგრამ არ შეიმჩნია, მოგვიანებით ადგა, წავიდა. იმ ღამეს ჯერო მე მივიყვანე სახლში. მანქანა არ მქონდა დაქოქილი, ჯერო-ო, ძახილი მომესმა და ორი ტყვიაც ზედიზედ გავარდა. დავიბენი, იარაღი მოვსინჯე, გაქცევაც მინდა... გაბო შევიცანი, მანქანისკენ მოდის და რევოლვერი ლაჯებშუა ჩავმალე... ჩამი-არა, მიხედე მაგ ახვარსო, დამიბარა და წავიდა. ორი ტყვია ჰქონდა ჯეროს, ორივე ფეხში. დიდი ალიაქოთი მოჰყვა ამ ამბავს. გაბომ თავი იმართლა: ქალი კი არა, ქართ-ული სუფრა შეურაცხჰყოო, თავისაზე მტკიც-ედ იდგა და სადღაც სწორიც იყო. მას მერე ყველანი გავფრთხილდით, გაბოს შიშით თუ ხათრით არ ვუხსენებდით გიულის წარსულს, რაც ერთობ ძნელია ჩვენისთანა პატარა ქალაქში. უკვე ვერც გიულის გასცემდი ხმას უბატონოდ, შუბლს ტყვიით გადაგიხსნიდა. გაბო ჰყავდა გვერდით, საშოვარზეც და ომშიც ტოლს არ უდებდა...

წყალი მოიტანეო, მათარას მიჩვენებს.

ადგომა მეზარება.

ჰმ, ისე ურცხვად აქვს ტაკო ჩემკენ მობ-ზეკილი, იმისი ეშმაკი მქნა, განგებ შევბა ამას, ჩემი გაგიჟება უნდა თუ?!.

მე ეს მაინცდამაინც არ მადარდებს... ისე, ეტყობა, ქალს არასოდეს ავიწყდება, რომ ქალია. კი, უეჭველად არის ამაში სიმართლის მარცვალი.

ვდგები, მათარას ვართმევ.

გაბოს დავხედე.

თვალები გაუბრწყინდა, რაღაცის თქმა უნდა. ვერ ამბობს, პირი ღია დარჩა. ენა გასიებია, პირში არ ეტევა, ბლუყუნებს... ჰმ, რომ შეეძლოს, ისევ ჯანჯალიებზე მეტყვის, ალბათ, ან: თუ გადავრჩებით, ერთად გადავ-რჩებითო.

გარეთ გამოვედი.

ცა მოწმენდილია.

ამწვანებული, გადარეცხილი მთა-გორები განათდა, გადაბრწყინდა...

სუნთქვა გამიიოლდა.

ხევში, მდინარისკენ ჩავდივარ.

●

წლეულს ზამთარი დიდხანს გაგვიგრ-ძელდა.

ჩვენში, თებერვლის შუა რიცხვებში, გაზა-ფხულის სუნთქვას გრძნობ; ხეს კვირტი გამოეკვრება, ია და ენძელა შემოგეფეთება სადღაც და უცებ, მოულოდნელად მარტში მოთოვს და მოყინავს... გგონია, ზამთრისგან თავგაბეზრებულს, ბუნებასთან ერთად შენც კვდები, სიცოცხლის ხალისი გეკარგება.

თოვს.

გაბო და მე „ჯიპით" მივდივართ.

უკეთესს ვერ ინატრებ, ზღაპრული მან-ქანაა. თურქებს აართვა „ჯიპი" ჯერომ და გაბოს უფეშქაშა. ვიცი, არ უნდოდა, დაეთმო, ორი კვირა მალავდა, მაგრამ, მიხვდა, საბო-ლოოდ გასკდებოდა, სხვებიც იყვნენ იქა, თურქებზე თავდასხმისას და რას იზამდა! არაა წესი, პოლკოვნიკი „ვოლგით" დადი-ოდეს, მისი ოცმეთაური - ამერიკული „ჯი-პით". გაბო მალე გენერალიც გახდება, თუ,

რა თქმა უნდა, ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ჩვენ გვინდა. ადრე ფოთში ვიყავი დოკერადო, იტყვის ხოლმე გაბო. ნეტავ, რა ჯანდაბაა ეს დოკერი; ისე პოლკოვნიკზე ნაკლებად არ უნდა ქღერდეს, თუმცა გენერლობა მაინც სხვა მგონია და მიიღებს კიდეც ამ ჩინს. მთავარია, ვაჩე გვყავდეს კარგად. ჩემი თანადგომის იმედიც აქვს, ცხადია, ვაჩესთან.

მოვსულვართ.

ამ სიცივეში ცხვირის გარეთ გაყოფა მეზარება.

უნდა ჩავიდე.

ბიჭები შემოუკრებია გაბოს, დავალებებს აძლევს.

ტეხურის ხიდთან გზა გვაქვს გადაკეტილი. ორი „ბეტეერი" და ოცამდე ავტომატიანი მებრძოლი გვიდგას.

ჭიჭე, აქაურობას მიხედე, დილით გამოგივლიო, მოულოდნელად მიბარებს გაბო და „ჯიპში" ჯდება.

გაუქმებული ავტოინსპექციის ჯიხურში ვართ. უფრო სწორად, მე ვარ უფროსი, დროდადრო შემოვლენ ბიჭები, გალულუნებულ „ფეჩზე" ხელებს გაითბობენ, შემას შეუკეთებენ, ხუხავენ თითო ჭიქა არაყს და ისე გადიან პოსტზე.

სკამ-ლოგინზე წამოვწექი, სითბომ თვლემა მომგვარა...

მესმის, გაბოს კითხულობენ.

ჭიჭე აქააო, პასუხობს ვიღაცა.

საოცრად მსიამოვნებს. ეს იმას ნიშნავს: მართალია, გაბო არ არის, მაგრამ ჭიჭე აქ ბრძანდება და, რა საკითხიც უნდა იყოს, გადაწყდება.

რაშია საქმე-მეთქი, ჩვენებს ვეკითხები.

პურის ფქვილიაო, მპასუხობენ.

დატოვოს მერე, რაც საჭიროა, და წავიდეს, ბრაზს ვურევ ხმაში, ასეთ უმნიშვნელო რამეზე რომ მაწუხებენ. ვდგები.

არ შევბაო, მესმის.

ეს უკვე სხვა რამეა.

შევხედე. თმაშევერცხლილი, ზონზროხა კაცია... მეცნაურა, თუმცა, ღმერთო, ზოგჯერ როგორ გადაგეკეტება გონება...

ჰმ, ვატყობ, არც მას ესიამოვნა ეს შეხვედრა, რაღაც უხერხულად იმშუშნება და...

აჰა, ჩამივარდი ხელში, ჩიტუნია, ამიხდინე საუკუნო ოცნება...

ხელებს ვიფშვნეტ, ქრუანტელი მივლის ტანში.

ფქვილი მდინარეში ჩაუშვით, მთლიანად, ოღონდ ცოტა ზემოთ, ხვალ საქონელმა არ შეგვაწუხოს, ვამბობ, ბიჭებს თვალს ვუბრიალებ.

ამ შტერებს ჰგონიათ, ვხუმრობ და უაზროდ იკრიჭებიან.

ჩემი ძველი, ძველისძველი ნაცნობი ფერდა-კარგული მიახლოვდება, გაბოს ან ვაჩეს დამაკავშირეო, მთხოვს.

რაცია მოუნდა ჩემალალას!..

სკამ-ლოგინზე ვხტები, ხელებს მსუყედ ვიკიდებ შარვლის უბეზე და: ამას დაგაკავშირებ-თქვა, ვეუბნები. ნუ დამღუპავო, ლამისაა დამიჩოქოს. ფეხებიც რომ დამიკოცნო, ასე იქნება ეს! – ვყვირი და ასეც მაქვს გადაწყვეტილი. არ გაპატიებენ ამას ჩემი ბიჭებიო, კიდევ მეღიდგულება ეს ახვარი და ეს არ მომჭამონ-თქვა, გიჟივით ვხარხარებ.

შენი ჭიჭე დედაცო...

უცებ არ შემომიტია!

„ჩლახ-ხ-ჩლუხ..."

მის ზურგს უკან ავტომატის ფიცხი, შეწყობილი ხმა ისმის.

ჰა, ჰა, ჰა!.. რა უცებ დაიჩუტა ჯანჯალიას ზვინივით სხეული... გაფუჭდა, მუხლებზე დაეცა...

მთლად გავცოფდი და რატომღაც „ფეჩის" კარს ვეცი, კარგა აბირბილებული მუგუზალი გამოვათრიე იქიდან და: ჰო, ჭიჭე ვარ, ჭიჭე, შენი დედაც-მეთქი და ყურის ძირში ლაზათიანად ვლეწე, დავცხე და დავცხე დაუზოგავად...

ახ-ხ... ამოიხროტინა, მკლავის აფარება სცადა სახეზე და გადავარდა... აა, ასე არ გაშეშდა მამაძაღლი!

რა უმწეო და ბითურია ადამიანი!

რაღაც ჩამწყდა გულში, მკვდრის უფრო შემეშინდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

მახსოვს, სკოლას რომ დავანებე თავი, ჩაის ფაბრიკაში დავიწყე მუშაობა. ყუთებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ვჭედავდი ორ შაურად, სამი-ოთხი მანეთი გამომდიოდა დღეში, მაგრამ ძნელი და მოსაწყენი სამუშაო იყო, სულ დაჩეჩქვილი მქონდა თითები და მივატოვე. ისევ ვაჩემ მიშველა, მარმარილოს ფილებით ბუხარი მოუპირკეთა დირექტორს აგარაკზე და ქარხნის შემოსასვლელში დამსვეს მეკარედ. სამ დღეში ერთხელ დილიდან დილამდე ვმორიგეობდი, ეს იყო და ეს.

ჯიხურში ვიჯექი, ღია ფანჯარასთან, საათში ერთი მანქანა გამოჩნდებოდა, მომისიგნალებდა, გავხედავდი, ჩვენი თუ იყო, დავაჭერდი თითს წითელ ღილაკს, წამოხრიგინდებოდა რკინის უშველებელი, ცხაურიანი კარი ჩემკენ, შემოვიდოდა ან გავიდოდა მანქანა. ახლა დავაჭერდი შავს, წახრიგინდებოდა უკან, დაიკეტებოდა და ვიყავი, ხელფასი მქონდა, პაწა ჯიბის ფულიც და, მყოფნიდა.

ერთხელ, გვიანი ღამეა, ვმორიგეობ, ჩამიჩუმი არ ისმის. მარტო ვარ, მგონია, ფაბრიკაში და, უცებ, ვხედავ, ფარებჩამქრალი მანქანა მომადგა ეზოდან, გარეთ გასვლა უნდა... სამნი არიან კაბინაში; ერთ-ერთი შევიცანი, ჯანჯალიაა ;გვარად, გადამწონ საამქროში მუშაობს, ბრიგადირია თუ რაღაცა; უსალმო, უქმური კაცი. არ მესიამოვნა, თან, ვხვდები, რაღაც იმნაირი ხდება, საეჭვო და: ასე არაა, ძამა, საქმე-თქო, ვფიქრობ; საბუთებს მკაცრად ვითხოვ. საბუთები კი არა, ჩემი შაშიო, მანქანის კარი გამომიღო ჯანჯალიამ, ფეხები უშნოდ გამომიჩაჩხა... მეწყინა, ბრაზი ყელში მიწევს და: მაგი ჩემი რო ნახო, უფრო გაგიხარდება-თქვა, არ დავიხიე უკან, მანქანას ცქაფად შემოვურბინე, ძარაზე აძრომა მინდა, მაინტერესებს, რა მიაქვს ამ ახვარს...

ვეღარ შევწვდი.

გავღიზიანდი.

მესმის, ჭიშკარი გაგრიხინდა, იღება...

გინებით გავვარდი ჯიხურისკენ...

ეტყობა, ფეხი დამიდო რომელიღაცამ, კინჩხი წამწყდა, ასფალტზე გავიშხლართე...

წამოდგომა ვინ გაცალა! გამკოჭეს, გადამიგრიხეს მკლავები, რაღაც ჩვარი ჩამჩარეს პირში... ხელს მაინც არ მიშვებენ, მიმაკონწიალებენ სადღაც თიკანივით და, ჩემი გატაცება ხომ არ უნდათ-მეთქი, შევშინდი.

ჯანღაბას ამათი თავი და ტანი, მანქანაც უკვე გავიდა... არადა, მე მაინც გაკავებული ვყავარ. მესმის, მოგრიხინებს ჭიშკარი დასაკეტად, მისი დგანდგარი ყურებში ავად მიგროვდება, მიჯაყჯაყდება და გამწარებული ვბორჯღიკობ, ვშმუი, მათი ხელიდან დასხლტომა მინდა... უშედეგოდ. მერე გახურებულ საფეთქლებზე რკინა მხვდება, მეჯახება და გონს ვკარგავ.

აზრზე რომ მოვედი, თავი ჭიშკარსა და რკინის ბოძს შუა მაქვს გაკვეხილი... განძრევა აღარ შემიძლია, საშინელი ტკივილები მტანჯავს, ეს-ესაა, სული გამძვრება...

ლუსიამ მომისწრო...

ლუსია მეეზოვე ქალია, დილა-საღამოს ქარხნის შემოგარენს ხვეტავს. ის მარტოხელაა, ჩემზე ბევრად უფროსი და კვირაში ერთი-ორჯერ, თუ სადმე დათვრა-გაილეწა, მეც მომაკითხავს ხოლმე. ალკოჰოლის სუნი არაფერი, ისე ყარს სიგარეტით, რა მისთვის გიკოცნია, რა საფერფლის ფსკერზე ენის წვერი მოგიტარებია... მოვა, არც მოსაკითხი ავიწყდება, ნახევარლიტრიანი ქილით მწვანილის სუპი ან ბორშჩი მოაქვს, მერე იმდენხანს რჩება, რაც ერთ გაიმასქნებას სჭირდება და ჩემს თავმომწონე, მდიდრულ ხითხითზე ერთბაშად გამოფხიზლებული გაწყდა თქვენი სინსილაო, იძახის, დამღუღრული ძაღლივით განგან და წყევლა-კრულვით გამირბის...

კიდევ კარგი, ლუსიამ იყოჩაღა, წითელი ღილაკისათვის დაეჭირა თითი და არა შავისთვის, თორემ თავს კვახივით შუაში გადამიხსნიდა...

სამი დღე საავადმყოფოში ვიწექი. დირექტორმაც მინახულა. ის მამაძაღლი ჯანჯალია დავსაჯეო, წასვლისას ყურში მიჩურჩულა და ბალიშქვეშ ასმანეთიანი შემიცურა.

რა შეღავათი ეს იყო!

მას მერე, მგონი, ორჯერ გამიდიდდა თავი, ცალი ყურის ბარაბანი გამისკდა, ახლაც ჩირქი მდის, ნახევრად დაყრუებული ვარ.

ლუსიას და ჩემი ამბავიც გამჟღავნდა, ჩვენზე ჭორაობდა მთელი ქვეყანა და გავბრაზდი, ფაბრიკიდან წამოვედი.

მთის მდინარის ერთი ნაკადია, მძლავრი ტოტი, ალაგ-ალაგ თავდაღმართი, ხმაურიანი, გაშლილი... მისი ხმა იდუმალებით ავსებს ხეობას და ყურებში გიგუბდება...

წყალი სუფთა და კრიალაა, ფსკერზე კენჭები დაითვლება.

აქ, ხევში, წყლის პირას, სხვა დროა, სხვა სამყაროა, ზემოური არაფერი იგრძნობა... რაც მთავარია, ადამიანის კვალი არ ჩანს, არც სისხლის კვალია სადმე, არც მდევრისა და დენთის სუნი გაჟრჟოლებს, გბურძგლავს, მარტო ჩიტების გალობა და წყლის შხუილია - პირველყოფილი ბუნებით, რაღაც მარადიულ სიმშვიდეში გადასული.

შევება ვიგრძენი, რაღაცნაირი სიმშვიდე დამეუფლა.

სიცოცხლე კარგია, სიცოცხლე ღირს... ყოველ შემთხვევაში, ისე აუტანელი არაა, როგორც იქ, ზემოთ და ეს ბევრ რამეს ნიშნავს... რა ვიცი, იქნებ ესაა ბედნიერებაც!

ტანზე ვიხდი და საცვლის ამარა ჩავდივარ წყალში.

წყალი მუხლამდე მწვდება.

უცებ ვჯდები; გამაკანკალა, სიამოვნებისგან გამაჟრჟოლა, წამი და დათბა წყალიც, ამამზატა, გაველაღდი...

ვარ ჩემთვის, თითქოს ყველაფრისგან თავისუფალი, უდარდელი... ვჭყუმპალაობ, მკერდსა და კისერს ვიზელ, შავი წუწები გამდის, ჭუჭყსა და დაღლილობას ერთბაშად ვატან წყალს... არ მინდა, არც მახსოვს თუ სადმეა საფრთხე, ღალატი, შავი ჭირი და დოზანა... ყველაფერი შორს არის, თურმე ყველაფრის დავიწყება შეიძლება... თურმე რა ცოტა კმარა... ჩიტების ჟივჟივი, მთის ანკარა წყარო კმარა ამისთვის... აბა რა, ვახუფხუფებ საოხრეს კალმახივით ცივ წყალში და... სიცოცხლე მინდება, სხვა რამეც...

რაღაც ხმა მესმის; უცხო, არაბუნებრივი... რა ხდება?

უმალ ვფხიზლდები... ვიძაბები... ავტომატისკენ ვაპარებ მზერას; შორსაა, შარვალ-ხალათზე გაუდის ლაპლაპი, მათარაც მხვდება თვალში.

ჰმ, ქალბატონი გიულია. ფეხაკრეფით, კატასავით მომეპარა... ნეტა, რა ჯანდაბა უნდა?

შედგა. მიყურებს.

ეტყობა, გაბო გახდა ცუდად, კვდება და ჩემს მოსაძებნად გამოვიდა.

მე კი სადა ვარ და რას ვშვები. ჰმ, ლაღად, უსირცხვილოდ ვჭყუმპალაობ მდინარეში, არც სულთმობრძავი ძმაკაცი მახსოვს, არც მოსალოდნელი საფრთხე, რომელიც არსად და არასოდეს მოგვცილდება ჩვენივე ცხოვრების წესისა და ყოფის გამო.

მაინც რა არის და რას ნიშნავს ეს?! ავადმყოფობაა თუ გულგრილობა? ან ერთი რაა, ან მეორე? იქნებ მახსოვრობის ღალატია, შეგნებული ღალატი?.. არ ვიცი. ვერც იმას ვიტყვი, რაიმე მრწამსი მქონდა-მეთქი როდისმე. მე ის ვარ, ვინც უნდა აჰყვეს ფეხის ხმას, მე სხვანაირად არ ძალმიძს, მაგრამ, როცა ფეხის ხმა მეკარგება და მარტო ვრჩები, მაშინ ვხვდები, რომ არარაობა ვარ და ღრიალი მინდება... ასეა, მე არასოდეს ვმოქმედებ ჩემი ნებით. ასეთ და სხვა შემთხვევაში ყოველთვის ვიღაც უნდა იყოს ჩემს წინ, ჩემს უკან, ირგვლივ და ეს მაბზრიალებს ჩიკორივით... და, ვბზრიალებ, სანამ ცხვირს ტლაპოში არ ჩავკრავ...

გიული პირდაღებული, გაშტერებული მომჩერებია და ახლა ვხვდები, ტრუსში ძლივსღა ვტენი მისი გაოცების ობიექტს და პირქვე, დარცხვენილი ვწვები წყალში...

- რა იყო?

ვეკითხები.

არაფერიო, ეშმაკურად იღიმება, თან გახდას იწყებს.

ხელებდაყრდნობილი ვარ წყალში, მკერდქვეშ მდინარე გამდის, ნიკაპზე მეხლება...

გიული ნიფხვის ამარა ჩამოტყაპუნდა წყალში...

შედგა, წვივებს სველი ხელებით ისრესს, ფრუტუნებს... სულ თეთრია, ქათქათა... ჰმ, კუდი ნამდვილად არა აქვს, ზემოთ, სადგომში თუ დატოვა ამ ალქაჯმა. მკერდი არაფერი, ერთი ფიცარია რაღა, აი, თეძოები კი აქვს მართლა ქალური...

ჩემს გვერდით სიცილ-კისკისით ჩაჯდა, წყალი შემომაშხეფა სახეში, გათამამდა, გალაღდა... კი არ იცინის, წკავწკავებს, ლამის კბილი გამკრას მხარზე ძუკნასავით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბო სადგომში წევს...

დაჭრილს წყალი უნდოდა, ამიტომ ჩამოვედი ხევში...

- ჭიჭე... უნდა მოვილაპარაკოთ...

ამბობს ჩუმად, თავდაჯერებით. თითქოს სხვა ქალია, ფერიც იცვალა; თვალებში ზანტი, საშიში სხივი გაუწევება...

- რა იყო?

დაახლოებით ვხვდები, რაც უნდა თქვას, მაგრამ არ ვიმჩნევ, არც ისეთი სულელი ვარ, როგორც მას ჰგონია.

- დაღამდება თუ არა, უნდა წავიდეთ აქედან... ეს ადგილი გუშინდელზე უფრო საშიშია.

- რა იცი?

- ვიცი და დამიჯერე.

- კი მაგრამ... გაბო?

ძლივს ამოვთქვი, წყალიც გადამეყლაპა. გადმოვბრუნდი, მოხერხებულად დავჯექი.

- გაბო კვდება...

- ჰო, ბევრი სისხლი დაკარგა...

თითქოს ხორხში ხიწვი შემესო, ხველება ამიტყდა.

- გაბოს ფული აქვს... ის ჩვენი ფულიცაა... მაგრამ გაბო სანამ ცოცხალია...

ქოჩორში წამავლო ხელი, მომქაჩა.

- გეყო!

ხელი ხელზე ავუკარი.

მომცილდა, გაიტრუნა.

ჩუმად ვართ.

ამ სიჩუმეს მდინარის შხუილი ამძაფრებს, ხევი გუგუნებს თითქოს, თავშიც გუგუნი მიგუბდება და ახლა იმ აზრზე ვარ, საკუთარ თავს ვერსად დაემალები... ვერც გიულის, ვერც ვერავის...

ვინ გაგყო? შენც ამათნაირი ხარ, იგივე ცომისგან მოზელილი, რომც გინდოდეს, მათ სურვილს და ნებას ვერსად გაექცევი. სხვა უფრო გაქვს საფიქრალი...

მართლაც, მისი წამიერი განაპირება და დუმილი უფრო მაშინებს... არ შემიძლია ახე დიდხანს ყოფნა, რაღაცა უნდა მოვიფიქრო, თუმცა რა, არ ვიცი...

- კარგი. მე წავედი...

ამბობს და დგება.

- მეც მოვალ, მოგვიანებით...

შედარებით მშვიდად ვარ, თავში მაინც არაფერი მომდის.

ნაპირზე ავიდა. ხტუნვა-ხტუნვით იცმევს შარვალს. სახეზეც ეტყობა, რაღაცით კმაყოფილი ჩანს; თავდაჯერებულია და თამამი.

- ჭიჭე... - ვერც იცნობ, ისეთი განაზებული ხმა აქვს. - ლუსია გახსოვს? - ეშმაკურად იღიმება.

- რა, ლუსია...

აშკარად დავიბენი.

- ერთხელ ვკითხე, მართლა ამხელა აქვს ჭიჭეს-მეთქი? უი, ახლაც მგონია, შიგა მაქვსო...

თქვა, გადაიკისკისა, ენა გამომიყო და გაიქცა...

გიულის საშველი არ იქნება!

უკან უნდა მივყვე.

ვიცმევ, მათარას წყლით ვავსებ.

ნუთუ გაბოს მოკლავს? მოკლავს!.. ისე ამოაცლის სულს საცოდავს, წარბიც არ შეეხრება. ვიცი, მან ეს ჩაიფიქრა და ხელი უნდა შევუშალო... თუმცა არც ისე იოლია ეს ჩემთვის. მაშინ რას მივსდევ, ვყოფილიყავი წყალში, ეს ეჭვიც მღრღნის და, მანამ ხევს ავაღწევდე, დავინახავდე სადგომს, ერთი რამ ხდება ცხადი: ჩვენ ყველანი განწირულები ვართ, ყველანი ვკვდებით, ბატონებო, ოღონდ, ვინ ცოტა ადრე, ვინ - ცოტა გვიან...



# დალილა ბედიანიძე

## ოცი წლის წინათ



მე თქვენ მიყვარდით ოცი წლის წინათ.
ახლაც მიყვარხართ ისევ ისეთი, როგორიც თქვენ იყავით
ოცი წლის წინათ,
მაგრამ არ მინდა, სადმე გნახოთ თუნდაც შემთხვევით,
ისედაც ვიცი, რომ შეიცვალეთ
და სიყვარულის ასაკიდან გამოსული ხართ.
მე მირჩევნია, სულ არ გნახოთ,
ისევ ისეთი მახსოვდეთ - ოცი წლის წინანდელი,
ვიდრე გნახოთ და დავიჯერო,
რომ თურმე მართლა გასულა ეს ოცი წელი.
მეც შევიცვალე - მეც აღარა ვარ უკვე ის ბავშვი,
ვინც თქვენ გიყვარდათ ოცი წლის წინათ
და ხანდახან, მხოლოდ სიზმრებში თუ იელვებს თქვენი სახე
ისევ ისეთი, როგორიც გნახეთ პირველად და
მეც ისეთი ვარ, როგორიც მნახეთ თქვენ პირველად.
ალბათ, ერთად რომ ვყოფილიყავით,
ვერ შევნიშნავდით, რომ დრო გავიდა,
ახლა კი უკვე გვიანია ჩვენი შეხვედრა.
სადაცაა ხმელი ფოთოლი ტოტს მოსწყდება
და ძირს დაეშვება ტრიალ-ტრიალით.
სადაცაა დაგვიზამთრდება.

* * *

დაუწერელი ლექსებით სავსე
ამ საგულეში გული ვერ დგება.
მოულოდნელად დამატყდა თავზე
დაუწერელი ლექსების დელგმა.

დაუწერელი ლექსები მახსოვს
მოუშუშები, როგორც ჭრილობა,
როგორც ჩარღვეულ თვალწასულ ნაქსოვს,
მივყვები, გული რასაც ცდილობდა.

დაუწერელი ლექსების ბოლმა
სულში ტრიალებს გამოუსვლელად.
სული გათელა ათასმა დღემა,
ლექსი კი მაინც არ დასცდა! ვერა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ვერ დავწერე, რაც უნდა მეთქვა,
რაც უნდა მეთქვა, ჯერ კიდევ ველი.
უცნაურია ამ გულის ფეთქვა -
ტრიალებს ლექსი გამოუსვლელი.

## ნაცრისფერი ფორთოხლის დატირება

ყოველ ჩვენგანში ანთია მწიფე ფორთოხალი,
რომელიც ბნელში ნაცრისფერად გადაიქცევა.
ყველაფერი სკოლაში დაიწყო
აბსტრაქტული სკოლის მერხზე,
რომელსაც უხდებოდა მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი
გოგო და ბიჭი.
რა იყო მაინც მოსწავლის ფორმა?
უსახური, ერთფეროვანი, პერსონის წამშლელი,
ადამიანის წვრილ ჭანჭიკად გარდამქცეველი.
მაგონდება, როგორც ბავშვობაში მოხდილი დიდი სასჯელი
და მაინც გული შემიტოკდება, მოსწავლის ფორმა რომ დავინახო,
რადგან იგი პოლიტიკას კი არ უკავშირდება,
არამედ ჩვენს გაქცეულ ახალგაზრდობას.
ახლანდელები ბედნიერები არიან,
ისინი ოცდამეერთე საუკუნეს მოესწრებიან,
თუმცა უკვდავი არავინ არის
და ბოლოს ყველა ფორთოხალი ნაცრისფერდება,
თუ არ შეჭამეს,
ბჟუტავს და ქრება.
ვიღას ახსოვს ფორთოხლის ყვავილობა ანდა მწიფობა?

* * *

სიგარეტი მოვწიე და ზიზღმა დამიარა მთელ სხეულში,
სწორედ ისე, როგორც ბავშვობაში,
როცა მოპარული სიგარეტი მოვწიეთ სკოლის სხვენზე.
ახლა კი იმდენად მომენატრა ბავშვობა,
რომ სიგარეტი მოვწიე, რათა ბავშვობის შეგრძნება გამომეწვია.
მახსოვს, პიონერთა ბანაკის ახლად შეთეთრებულ კედლებს
კირის სუნი ასდიოდა.
დღეს კირის სუნი ასდის ჩემი ბავშვობის კიდევ ერთ მოგონებას
და მაშინ საძულველი კირის სუნი
დღეს ისე მიყვარს, თითქოს ბავშვობას მიბრუნებდეს.
ლექსები სიცივეში იმალებიან.
ისინი მხოლოდ სითბოში გამოდიან კვირტებივით,
რათა გაიშალონ და გაიფურჩქნონ.
ბავშვობაში თბილოდა.
მე არ მახსოვს, შემცივნოდეს მაშინაც კი, როცა ცივ ზამთარში

უპალტოოდ ვთამაშობდი გარეთ და დედა მიბრაზდებოდა.
ბავშვობა თბილი ქვეყანაა, რომელშიც ვერასოდეს ველარ გადაფრინდები
და მხოლოდ მეყსეული შეგრძნებებით უკავშირდები.
ახლანდელ სიცივეში, ახლანდელ თამაშებში
ბავშვობა უფრო და უფრო იშვიათად იგრძნობა,
თვალსაწიერი უდაბურდება და წინ რა რჩება -
გაქცეული ახალგაზრდობა? სიბერის მოლოდინი? სიკვდილის შიში?
რა შორსაა ბავშვობის ლექსები - ცრემლებამდე შორს.
დამიბრუნე ბავშვობის ერთი დღე და, რაც დამრჩა, მოგცემ.

## სასაფლაოსა და სხვათა შესახებ

ჩემი წინაპრები ყვარლის სასაფლაოზე განისვენებენ.
საფლავებზე აკაციები და ბალახი ამოიზარდა.
დედამ თქვა, რომ საფლავებს მოვლა უნდა და სასაფლაოზე წავედით.
მას ერთი თავისუფალი ადგილი აქვს ამორჩეული მამაჩემის საფლავის გვერდით.
და ამბობს, აქ უნდა დავიმარხოო.
მისი სიკვდილის შემდეგ ყვარელში არავინ გვრჩება ახლობელი
და მე შეძრწუნებული ვფიქრობ იმ დღეზე,
როცა ჩემი მარტოხელა დედა უფალს სულს მიაბარებს.
ცხოვრება ასე აეწყო - შვილები ჩვენ-ჩვენი გზებით წავედით
და ის დარჩა მარტო თავის ბუდეში,
როგორც დედა ჩიტი, ბარტყები რომ დააფრინა და დააფრთიანა.
ხანდახან სანახავად თუ ჩავალთ თბილისიდან
ან ის ჩამოვა და ერთად ყოფნის წუთები ისე მიქრიან,
ერთმანეთის მოსურვილებას ვერ ვასწრებთ.
სასაფლაოზე ბევრი მიტოვებული საფლავია
ბალახებით და ეკალ-ბარდებით დაფარული
და მე ვფიქრობ იმ დღეზე, როცა მოვკვდები.
დედაჩემმა იცის, სადაც დაიმარხება და გულმოდგინედ უვლის
თავის მომავალ საფლავს.
მე ეგეც კი არ ვიცი.
თუ მაინც უნდა მოკვდე და დაიმარხო,
ისევ შენიანების გვერდით სჯობს, ასე უფრო იოლია,
მე კი უცხო მიწა მელის და გვერდით უცხოები.
ასეთია ყველა უშვილოსა და გაუთხოვარის განაჩენი.
სასაფლაოზე ჩიტები ჭიკჭიკებენ,
თითქოს გარდაცვლილთა სულები გვესაუბრებიან გაღმიდან.
ისეთი სიმწვანეა, ისეთი სიწყნარეა, წამოსვლა აღარ მოგინდება.
ყვავილები მთელი ძალით ჰყვავიან, სადღაც ფუტკარიც ზუზუნებს.
წუთისოფლის ორომტრიალი აქამდე ვერ აღწევს.
არის რაღაც ამაღლებული სიკვდილში,
ამქვეყნიური ამაოების მჯობნი და მძლევი.
აქ აღარ არის საჭირო ბრძოლა.
ყველაფერი გარკვეულია, ყველას თავისი ადგილი აქვს.
ბედნიერია, დამმარხავი ვისაც ბევრი ჰყავს,
მარტოხელამ კი რა უნდა ქნას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენს მოელის სამედიცინო ინსტიტუტის პრაქტიკანტთა
საჯიჯგნად ყოფნა!
მათი სული წრიალით მიდის განსვენებულ მშობლებთან და,
მიიღონ, ემუდარება.
ჯერ დამარხვას ვინც ეღირსება, იმათი საფლავები რჩება მოუვლელი
და ახლა უპატრონოს გვამს რა მოელის.
მწარეა ფიქრები უპატრონობაზე,
ატყევებული სასაფლაო კი ისეთი ლამაზია,
უნებლიეთ გამშვიდებს და ფიქრობ - სიკვდილი არც ისე ძნელია.
ხომ დადგება ის წუთებიც
და მაშინ, მაშინ ვინ დაგვიფარავს?
ო, რა ძნელია მარტო სიკვდილი!
ახლობლები ხომ სიკვდილის დროსაც გეხმარებიან.
მე ვცდილობ, დედას დავეხმარო, როცა თავის მომავალ საფლავს უვლის
და თან იცინის - რაღაცას ჰყვება.
სულში იღვრება მძიმე ცრემლი, მაგრამ მეც ვიცინი.
სიცილით საფლავების მოვლა უფრო იოლია.

## მამისეული სახლი

მამისეული სახლი ყვარელში ახლა უკვე გაყიდულია..
უკვე სხვისია,
მე კი იქ ბავშვობა გავატარე.
ასე მგონია, ამ სახლში შევალ და ბავშვობაც დამიბრუნდება.
სახლს მივადექით მე და დედა,
მაგრამ ახალი პატრონი სადღაც წასულიყო.
ბევრი ვუარე ქვითკირის ღობეს,
რკინის კარის ჭუჭრუტანებიდანაც ვცადე, შემეჭვრიტა,
მაგრამ ამაოდ,
ვერაფერი ვერ დავინახე.
ასე მეგონა, თითქოს ვიღაცის უხეში ხელი
ბავშვობის წმინდა და შორეულ მოგონებებს ძალით მართმევდა.
სახლს ზურგიდან მოვუარეთ და დიდხანს, დიდხანს ვიდექით იქ,
ჩემი ბავშვობის საპატიო ყარაულში.
დაბერებულა ჩვენი სახლი, დაძველებულა, ჩამონგრეულა.
ო, რა პატარა მომეჩვენა სახლის უკან თუთის ხეები.
ამ ხეებზე ხომ ძლივს დავცოცავდი, როცა პატარა ვიყავი, მაშინ.
ო, რა პატარა მომეჩვენა ჩვენი სახლი, ძველი სახლი
და გამიკვირდა - ამდენ ხალხს და ამდენ ცხოვრებას როგორ იტევდა.
უცბად მომინდა, ხელისგულზე დამედგა და მოვეფერებოდი,
მერე თბილისში თან წამომეღო.
ჩვენს უბანში ახლა სხვები იზრდებიან - მათ აღარ ვიცნობ.
ძველებიდან ზოგი დაბერდა, ზოგი მოკვდა, ზოგი სხვაგან გადავიდა.
თანატოლებიც გაფანტულან.
მშვიდობით, ჩემი ბავშვობის სახლო!
მამისეული სახლი ყვარელში ახლა უკვე გაყიდულია.

***

გასაჭირია ჩვენს მძიმე დროში,
სიტყვა აღარ ღირს აღარცა გროში.

სიტყვა აღარ ღირს აღარც შაური,
ტრიალებს ქვეყნის აურზაური.

აბა, უსიტყვოდ ვის უცხოვრია,
ეს რა რთული და უხმო როლია.

რამდენიც გინდა, ილაპარაკე,
არვინ გიფასებს იგავ-არაკებს.

მხოლოდ ფულია მმართველი ყოვლის,
მე კი წილად მხვდა სიტყვების მოვლა.

მე კი წილად მხვდა, ვთქვა ყველაფერი,
სული კი მაინც მღერის და მღერის.

ჩიტივით ვცხოვრობ - არ მინდა ბევრი.
და წუთისოფლის ტრიალებს კევრი.

პოეტი უკვე გლახაა, გლახა!
ვინ უწყს, სიკეთეს როდისღა ნახავს!

რომ მოიფხანო გული, ეგ რად ღირს,
როდესაც ნატრობ ვახშამს და სადილს.

ებრძვიან პოეტს. ვინც მოერია,
ის საქართველოს დიდი მტერია.

ქართული სტყვის მადლი და ფასი
არ ჩანს. ლარს ლარი იგებს ათასი.

გასაჭირია, აბა, რა არის,
აღარც მზე გახსოვს და აღარც მთვარე.

ამ წუთისოფელს ნუ ეხუმრები,
თუ, მითუმეტეს, ჩვენ ვართ სტუმრები!

მაგრამ რადგანაც ჯერ იყო სიტყვა,
სათქმელი უნდა ბოლომდე ითქვას.

გასაჭირია ჩვენს მძიმე დროში,
სიტყვა აღარ ღირს აღარცა გროში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ზურაბ ნარმანია

* * *

სადა ვართ, მგზავრობა
მთავრდება თუ არა
სიცოცხლის, ცხადად და
სიზმრად რომ ქრის,
ხშირად რომ ტიროდა
და ლურჯ მატყუარას
ბავშვური სიხარბით
რომ წოვდა ცის?
უკვირდა: რადა ვართ
ანდა რად ვილევით?
და ღმერთს დაეძებდა
ისე, ვით სხვას.
მალავდა სიმართლეს.
ყალბი ყვავილებით
უქმად აღელვებდა
ფიქრების ზღვას.

* * *

დედამიწამ მკაცრი ფიცით
ზეცას მისცა პირობა,
გაეზარდა უნდა მისთვის
ბავშვი - უნაპირობა.

ვერც ზღაპრების აღწერს ენა,
ისეთია სინათლე...
მაგრამ ბოლოს იმუქრება
ღამის მწარე სიმართლე.

ზამთარი და გაზაფხული,
ზაფხული და სამკალი;
სიმწიფისგან გასკდა გული, -
დაიბერტყა კაკალი.

## წინ! წინ!..

წინ! წინ მძიმე ჯვარია,
უკან მხოლოდ - წყვდიადი,
ლანდიც საძებარია
დღეს ძველი სიდიადის...

შვეს ბრძოლებმა მარცხი და
ამის გამო გმირობას
ეპარება მარცხნიდან
ბნელი უნაპირობა.

შენ კი, ჭეშმარიტებავ,
ცრუ თვალებში გულისა
ველარ ხედავ დიდებას
უღვთოდ დაკარგულისა.

...წინ! წინ! შესდგეთ, არ მინდა,
დრო გაუდის ბელზებელს,
დაცემული კარვიდან
გასასვლელი ეძებეთ.

* * *

ცოდვათა ციხის მცველია
ეშმა განკითხვის სახითა,
წინ ბრალდებები გველიან,
ჩვენივე სიტყვის მახითა.

წინამორბედი შიშის და
კარები ორგულებისა, -
ჩვენ თავზე ზრუნვა გვიშლიდა,
გვეგრძნო ტკივილი სხვებისა.

დღეს რაც სხვებისთვის ვისურვეთ,
ხვალ ჩვენი მხოლოდ ის არის.
ჩვენი მზე გადავიწურეთ
სხვისთვის ნასროლი ისარით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

არასდროს, არსაით, არაფერს, -
არარსსაც ჰქონია ბზარები...
უსულო, უგულო ქარებმა
შეაღეს სიცოცხლის კარები...
ფერადი, მღერადი, ტანადი
ბაღებით, მთებით და ტყეებით
გამქღავნდნენ ფიქრები, სინდისმა
ამხილა წამხდარი დღეები;
ფრინველის ფრენა თუ გალობა,
დინება დროის თუ მდინარის,
თუ კაცის ჯიუტი ნაბიჯი,
რომელმაც არ იცის, ვინ არის...
გედების სიმღერა, ღელვა თუ
სიმშვიდე ცისა და ზვრებისა, -
ბავშვობა... მკვლელობა... ჭაღარა
თუ ტვირთის ტარება სხვებისა;
ვარდების, იების ფერის და
სურნელის სიღრმე და სინაზე;
ვარსკვლავთა ჩურჩულის ჩრდილები
თვალების შიშნარევ მინაზე.
ტკივილით ირღვევა საზღვარი
ბნელის და სინათლის გამყოფი,
სიკეთის გრძელდება სიცოცხლე,
სიავის იმსხვრევა ნაყოფი.

და როცა ტანიდან სრულიად
ამოვალ, ვერავინ მომძებნის
სხეულში, რომელსაც ქუჩაში
დავაგდებ დახეულ ძონძივით.
არასდროს, არსაით, არაფერს, -
არარსსაც ჰქონია ბზარები...
უგულო, უსულო სიკვდილმა
დახურა სიცოცხლის კარები.

* * *

ოდეს მზე ჩადის და მთვარეც არ ჩანს,
თავის საფუძველს დაეძებს შიში,
როგორც გჯეროდა, ისევე დარჩა,
თითქოს სიკვდილის შვილებად ვიშვით.

ცხრა მთა და ბარი გადავიარე
და მიმალავდნენ, რომ მქონდა ფრთები...
ახლა ჩემსავე სულში იარებს
ვეფიცხები და ამგვარად ვთბები.

თავდება ზეთი და ხდება მკრთალი
ვნებათა ცეცხლში დამწვარი ფრთები
და იძირება ნისლებში ვალი,
რომლის წინაშეც ვიწვით და ვქრებით.



## ბულბული

ცის ულურჯესი წიაღების მოხიბლა ფსკერი,
ერთი უბრალოდ დაბუმბლული ჩიტის გალობამ, -
არემარეებს სევდას ჰგვრიდა სამყაროს მტვერი -
უკვდავებაში გაჩენილი წარმავალობა:
ვერ ვეწევიო ამ ლაქვარდებს სივრცისფრთებიანს,
არც არვინ ჩანსო გზების გამგნები.
შემოდგომების შეწუხებულ სულში რჩებიან
ვარდები - მკვდარი ფარშევანგები;
ვინც ამ ცოცხალი სალამურის გათლა ინება,
მისი ხატების ნახვას ნატრობენ...
სულაც არ ფიქრობს ჭეშმარიტი გულმოდგინება
- ნახავს თუ არა ბაღებს პატრონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



* * *

ისვრის ბილიკებს მზე და ცაში უმისამართოდ
ღრუბლების ტყეში წითელ ჩონჩხებს მიასეირნებს,
ცა იღებება, ენაცვლება თეთრ დღეს საღამო,
ვემშვიდობები, გაფითრებულს შიშით, ხეივნებს.
მზე მოაშორა ციდან ლანდმა და ბელურების
უღრან თვალებში მგლოვიარე ღამეს ვათენებ,
დინოზავრების ცარიელი ნაფეხურებით
ცის მნათობები შუბლზე მთვარის ხელებს მადებენ.
გაფითრებულან ყვავილებიც და ნეტარებით
ბნელმა სინათლის იმედები დააზიანა
და სინამდვილეს მწუხარების ლურჯი ნარებით
გავაღვიძებო, იფიცება დედა-დიანა.
კვლავ გასატეხად განწირული ფიცი იღება,
თმებს ჩამოშლიან თვალებიდან, ცრემლის, ქალები.
თუ დაუნგრიე სამალავის კედლებს დიდება...
ჭეშმარიტებავ, სხვაგან ნუღარ დამემალები.

* * *

გულში ყმუოდა მგელი, ცას გატეხოდა ტუჩი,
რაზე ხარხარებს ნეტა ადამის თავის ქალა?..
წვიმს, არაფერი მესმის ატირებული ქუჩის,
დღე, როგორც სირაქლემა, მხოლოდღა თავს იმალავს.

ფრენას უკრძალავს სახლებს მუხლში ჩასხმული რვალი
და მეგობარი ქალი ითხოვს ბეჭედს და მძივებს...
ო, ღმერთო, ვხედავ, მალე ცის შეიკვრება რკალი,
მე კი მივათრევ ცოდვას, მკვდარი ბავშვივით მძიმეს.

## ჯერ არდამდგარი დღეც ჩავლილია

...თითქოს ცის მღვაში, რამ შუქურა ინთება, ქრება, -
დასაბამიდან მოირღვევა დასალიერი,
აკლებული ჰყავს ვარსკვლავების გრძნეული კრება,
რომ მიწიერში მან თავისი შექმნას იერი.
მზე სივრცეების ტანწერწეტა, მშვენიერ ქალში
იწვის ვნებათა ალის ამარა
და იმ ბედნიერ წამებს ხატავს, რომელთა რკალშიც
მარადისობამ შეკრა კამარა...
ნათლის ჯვალოთი შემოსილი, თბილი და სრული, -
როგორც კვერცხს სინჯავს დედაბერი, ცარგვალს ლილიანს
და წუხს: სიცოცხლის წიწილაში ქამთასვლის ურმით
ჯერ არდამდგარი დღეც ჩავლილია...

## მწყალობელო

მწყალობელო რწმენისა და წარუშლელი იმედის,
შენ მაჩუქე თვალის ჩინი, სიყვარულის ხატება,
დაუმკვიდრე გულით მდაბალს მწვერვალები დიდების, -
ვისაც თავის სიღატაკის ტვირთი ეამაყება.

გამიცხადე, გამიმხილე სიბრძნის გულში ნადები,
შემეშველე, რომ სიკეთემ დამიმონოს სრულიად,
რადგან, სულში ხელმეორედ თუ არ დავიბადები,
მიწიერი ჩემი ტანჯვა უქმად დაკარგულია.

დამანახე გზები - შენკენ მომავალი ფარულად,
მომიკიდე გულში ცეცხლი, რომ მდუღარე ცრემლებით
განბანილი ცთომათაგან ვიქცე კვლავ სიყვარულად,
რომლის ალსაც, ვით შვილს მამა, ისე შემოევლები.

სიკეთე და სათნოება ყოვლად უზენაესის
უსაშინლეს ცოდვებსაც კი, ფასად სინანულისა,
შეგვინდობდა და ეს გვესმის, გვესმის, მაგრამ... არ გვესმის,
რა მძიმეა მომავალი გატეხილი გულისა.

## რადგან თავს ზემოთ...

შორეული და უსაშველოდ მძიმე გულიდან
მოგმართავ ნათელს, რომ ამიძრა სინანული და
არ განიკითხო ჩემი საქმე, ჩემი ცხოვრება,
რომელიც, ვიცი, მისხალ-მისხალ გემახსოვრება...

ცეცხლი შეუნთე ჩემში ბნელს და ყველა სიავეს,
საკუთარ თავზე წარმოდგენა გაანიავე,
აღარ წამართვა სასჯელის და სიკვდილის შიში,
რამეთუ იგი უსაფუძვლო სიხარულს მიშლის.

არ მიმატოვო და საკუთარ თავზე მზრუნველი
არ შემიძულო ვნებათაგან განუკურნელი.
მაქციე მონად, უერთგულეს მონად კეთილის,
ჩემივე სულის ჯურღმულებში გამოკეტილის.

მე მსურს გაქებდე, ვისაც ბრძენნი გიძღვნიან ქებას
და ვისი სახის ბრწყინვალებაც არასდროს ქრება,
გემორჩილება ვისაც დრო და არე და მხარე,
სუფევ რომელიც ხილულსა და უხილავს გარეთ.

რათა ვერ მოგწვდე, ვერ გიამბო გულში ნადები,
მელობებიან ცოდვა-მადლის ბარიკადები.
თავს საკუთარი სინდისის და განსჯისგან ვმალავ,
რადგან თავს ზემოთ სხვებზე მეტი არც მე მაქვს ძალა.

## თაობა

სულ მალე ღამის ვარსკვლავები გაიღვიძებენ,
მე კი აქამდის ვერ ნათელვყავ, რამ მქმნა, რამ მშობა?
ჩუმად! - მიწაზე იასავით ამოდის ღამე...
ჩუმად! - მთვარეში მეორდება ჩემი ბავშვობა...

ახრჩობს შუადღეს თებერვალი თეთრი ხელებით,
მე უკვე მათრობს ცარიელი თოვლის მთქნარება;
დღეებს აბოლებს ჩემი ქოხი ხველებ-ხველებით
და სხეულიდან თვითონ სუნთქვა მიიპარება...

მოდის მევალე, ვისიც მზე და ოცნება მმართებს,
სადღა ვიქნები? - სიჩუმეში, არც შორს, არც ახლო...
მივდივარ, მაგრამ, შვილო, გითმობ თეატრში პარტერს,
რომ ამ ცხოვრების მშვენიერი სპექტაკლი ნახო.

* * *

სივრცის მსუბუქი კაბის ღილი -
შუქი მთვარისა
შევხსენი ღამეს. თქვეს, გიჟია,
ცასთან დადისო...
და უეჭველი მოლოდინით
საჩუქარისა
ცა ჩემში ვპოვე სამარადისოდ...



# ჯემალ ქირია



## მზე გაღმა ჩადის...

სამი დღე გავიდა უკვე, რაც გადარჩენილებმა მიტოვებულ ფერმას შეაფარეს თავი. ორი გრძელი შენობა სახურავახდილი და გაძარცული იყო. მონგრეულ კედლებს ეკალბარდები მოსდებოდა. სანეხვეზე ჭინჭარი და გვიმრა კაცის სიმაღლეს უწევდა. მხოლოდ სახბორეს არ აწვიმდა და მის ჭერქვეშ შეიყარნენ. ამასაც კარ-ფანჯრები ამოღებული ჰქონდა, რაც ამჟამად დანაკარგად არც ჩაითვლებოდა, რადგან სუსტ ნიავს ნესტი გაჰქონდა, თუმცა ალაგ-ალაგ იატაკი მაინც დაფუტუროებულიყო, ობის სუნი იდგა...

პირველ დღეს უთავბოლოდ ეყარნენ. ისე მოულოდნელად აეხვეტა ქარს, გონს ვერ მოდიოდნენ. დაღლილობა, შიში და ზაფრა, სიცოცხლის გადარჩენის სიხარული - ყოველივე ერთმანეთს გადაეწნა და არავინ იცოდა, რა მოემოქმედა, როგორღა მიეღო ბედის ეს დარტყმა... ცხადი ერთი რამ გახდა: ყველაფერი დაიკარგა - სამშობლო, სარჩო, იმედი! სახელდახელოდ, ნაჩქარევად ხელს გამოყოლილი მცირე ქონება - ფუთები, ცელოფნის პარკები, ტოპრაკები, წვრილი ხაბაკხუბაკი, სულის მოთქმის შანსსაც არ იძლეოდა... ღამე-ბნელში ნერვულ ცახცახს ვერ იოკებდნენ და გათენებას ელოდებოდნენ, რათა კითხვებზე პასუხი მიეღოთ...

მეორე დღეს თითო პური რომ ჩამოურიგეს, მაშინღა ძლივს გაიცნობიერეს, სიცოცხლის გარდა რომ არაფერი ებადათ, თუმცა არც ის იცოდნენ, რაში უნდა გაეხარჯათ ეს დარჩენილი სიცოცხლე. ამ ალგზნებულ გონებებს დაფიქრების ილაჯი აღარ შერჩათ, განსჯის წუთები ჯერაც არ დამდგარიყო, ჯერჯერობით გულიდან სისხლის ლეკერტებად ჩაგუბებული ბოღმა უნდა ამოერეცხათ... უმრავლესობა, უფრო კი ქალები, წყევლაკრულვით იოხებდა გულს, ისტერიული აჩემებულობით ყვებოდა საკუთარ უბედურ სვეზე, ერთის ნაამბობი ჰგავდა მეორისას და ცრემლს ეხსნებოდა ღარი, რადგან ცრემლში მწუხარება თითქოს ლბება, ცრემლის ნაკადს სიმწარე გამოაქვს... სხვათათვის სხვანაირი ბუნება შეურჩევია იღბალს, ამათ ტირილის ნიჭი წართმეოდათ, თვალებში ხურვება ედგათ, გულისგულში მეხი ჩაკირვოდათ, შურისძიების ღველფი ნელ-ნელა იფერფლებოდა და, ალბათ, ბოლომდე ვერასოდეს ჩაქრებოდა...

მესამე დღეს გაღმელმა ტარასიმ, გვარად გაბედავამ, ხარი დაკლა. დიდი მდინარის ახლო სანახებში აძოვებდა პირუტყვს, გასაქცევად მოკლე გზა ჰქონდა, დროულად იგუმანა, უბედურება ახლოვდებაო და საქონელი გადმორეკა. ეგერ, ფერმის ეზოში მიმოფანტულიყვნენ დამშეული ძროხები, ლამისაა, მიწისპირიდან აძრობდნენ მწირ ბალახს და ფერდები ჩასცვენოდათ. ხარისათვის ვისდა ეცალა და ამიტომაც ჩამოკიდეს, გაატყავეს, აქნეს და ახლა უზარმაზარი, საარაყე ქვაბი შემოედგათ ზედადგარზე, გუზგუზა ცეცხლი შეენთოთ. „ამ ცხოვრების ყოფა ვატირე, ვჭამოთ, სანამ არი!" - გულს იმაგრებდა ტარასი, თუმცა თვალი უწყლიანდებოდა, სივრცეს დარდიანად გაჰყურებდა და, როცა მოხარშული ხორცი ჩამოატარეს, იქაურობას გაეცალა, მდინარის გადასახედზე, ჭადართან ჩამოჯდა.... წყლის ზედაპირს ზოლებად დაჰყვებოდა ბინდისფერი, ვერცხლისფერი და სისხლისფერი, გაღმა ჩამავალი მზის სხივები ირიბად წვებოდა...

გამოღმელები მოვიდნენ, ქალები და კაცები, ზოგს პურები მოჰქონდა, ზოგს კარდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაში ჩაზელილი ცხელი ღომი, ორ ზორბა მამაკაცს კი ოცლიტრიანი ბოცა... მორიდებულად ირჯებოდნენ, თითქოს რცხვენოდათ, რომ თავად ჭერი ეხურათ და საკუთარ ლოგინებში ეძინათ... „ვახშამი, ვახშამი!“ – წაუმღერა ახალგაზრდა ხუხუტი დუნდუამ, რომელსაც იღლიაში ფანდური ამოედო, ერთადერთი ქონება, შინიდან რომ გამოჰყვა... ვისაც როგორ შეეძლო, ისე ინაწილებდა ლუკმას. ზოგს თეფში შეხვდა, ზოგს ქალალდის ნახევი, ზოგი ცხელი ხორცის ნაჭერს პურზე იდებდა და სულს უბერავდა... ღვინო ჩამოასხეს, ჭიქებმა ჩამოიარა, გადარჩენილების სადღეგრძელო ითქვა, დაღუპულთა სული მოიხსენიეს, მთავრობაც გულიანად გალანძღეს და გრძნობამოჭარბებულმა ხუხუტიმ იყვირა, დუნდუამ:

– იმათი დედაც!.. ჩვენი ცრემლი და წუხილი იმათ ახარებს, დავცხოთ სიმღერა და ტაშ-ფანდური!

თითები სიმებს ჩამოჰკრა, აალულუნა, აახმიანა და ოდნავ ჩახლეჩილი ხმა ააყოლა: „სახე სქვამი ჭყუნტურუა, გიშერიშა გიგუ თუმა...“ აგერ, ასეთი გოგოც, პირმშვენიერი, ქორფა-ჭყუნტურუა, გიშრისთმება... ლოყები შეუხურდება, თვალებს გან-გან წაიღებს და მიუმღერებს: „ბოშ, მუშენი მუკმახვილი, ჩქიმიცალი ბრელი რე...“ დიახაც, ლამაზო გოგო, შენისთანა ბევრია! ზოგი გადარჩება, ზოგი ვერა! ზოგს დარდი და მწუხარება შესჭამს, ზოგი სევდას არ შეეჭმევინება, ხელებს გაშლის, ცეკვა-ცეკვით ჩამოუვლის... გასკდით გულზე, ჩვენ ვართ, ჩვენ არ დავხოცილვართ!..

– ტაში, ტაში, ტაში!.. – გაჰკივის ხუხუტი, ლამისაა, ფანდურს სიმები დააწყვიტოს.

სიმღერა, ტაში, შეძახილები, ფეხების ბრაგუნი...

ხმები მიტოვებულ ფერმას სცილდება, გზაგზა სუსტდება, სუსტდება, მაგრამ გაღმეთს მაინც აღწევს, მავანთა ყურს სწვდება... უსახელო ლანდები ერთმანეთს გადახედავენ, გაკვირვებულნი მხრებს აიჩეჩენ და საღამოს ბინდში ქრებიან...

ტარასიმ კენჭების ჩხაკუნი გაიგონა. წყლისპირას პისტიმ ჩამოიარა, მინჯიების ქვრივმა. შავი სატინის კაბა აცვია, გახუნებული და ფერგადასული, თმაც ასეთივე სატინის მანდილით წაუკრავს. აღრე ლამაზი და სხარტი დედაკაცი ახსოვდა ტარასის, მაგრამ, რაც გუჯა დამარხა და ზვიადის კვალი დაკარგა, უცბად ჩამოჭკნა, დაბერდა... ახლა კაცი ვერ შენიშნა, წყალთან ჩაცუცქდა, ხელები დაისველა და შუბლზე და საფეთქლებზე მიიდო...

ცივი და მღვრიე მდინარე დუნედ მიედინებოდა, ნაპირს სუსტი ტალღები ეთამაშებოდა...

ტარასიმ ჩაახველა, ამოიოხრა:

– მღერიან!

– იმღერონ! – ხმადაბლა თქვა პისტიმ, ერთხანს იყუჩა, მერე დაუმატა: – პირუტყვი ნუ დაგენანება, მეზობელო, გულს ნუ იხეთქავ!

– ხარი კი არა, ოჯახი დავკარგე, შე ქალო! – იწყინა ტარასიმ. – ზარალი არ მანაღვლებს მე, შვილივით ვზრდიდი, ჩემი ხელით ვაჭმევდი... დღეს კი ჩემივე ხელით დანა გამოვუსვი ყელში.

მზე ხის კენწეროებზე ჩამოიხა, სისხლი დასდინდა, ხეთა ჩაშავებული გრაგნილი კიდით კიდე წითლად შეიღება. წითელ ზოლს ერთგან კვამლის სვეტი ასცდა, ცისკენ აიწია...

– ვისი სახლია ნეტავ? – იკითხა პისტიმ.

– ჭყოლარიასი თუა? – ჭოჭმანით თავი გააქნია ტარასიმ. – მკითხაობას რა აზრი აქვს, ყველას სათითაოდ გადაწვავენ.

– დანა ჩვენ თვითონ გამოვისვით ყელში, მეზობელო, – მანდილი შეისწორა პისტიმ, ჭაღარანარევი თმა შიგ დამალა. – მტერმოყვარის გარჩევა რომ გაგვიჭირდა, მაშინ გამოვისვით ყელში დანა. – დადუმდა, წყლის ლიკლიკს მიუგდო ყური, მერე ხმადაბლა თქვა: – აქ ვერ გავჩერდები, ამაღამვე უნდა დავბრუნდე... სახლს დავხედავ!

ტარასიმ გამომცდელად შეხედა, არაფერი თქვა.

– ვიცი, რაც უნდა მირჩიო, მაგრამ, მირჩევნია, იქ მოვკვდე, ჩემს ეზოში, გუჯას საფლავთან დავიმარხო. – პისტიმ მდინარის ვარკალა სივრცეს გახედა. – აწი მე სხვა მიწას ვერ გადავბარავ და ვერც გავთოხნი, სხვა ადგილს გული ვერ შეიყვარებს... თექვსმეტისა შევედი იმ ეზოში, დამავიწყდა კიდეც, რაც მანამდე იყო... ქალის სამშობლო ქმრის ოჯახია, ასეა ეს!

მზე თითქმის ჩაგორდა, ჰორიზონტის

ეროვნული ბიბლიოთეკა



სისხლიანი ფერი თანდათან ჩაქრა, ჩაინავლა... წყლის ზედაპირს ჯერ ვერცხლი დაეფინა, მერე ბინდი ჩამოწვა... ცაზე ვარსკვლავები აჩახჩახდნენ...

გაღმა, შორს, ძალიან შორს ჩქარი კაკანი გაისმა.

– ისვრიან? – თავი ასწია ტარასიმ.

იქნებ მართლაც ისროდნენ ან იქნებ ეჩვენებოდათ მხოლოდ, ბაყაყის კრუალი ფარავდა შორეულ ხმებს...

ფერმაში კვლავ ფანდურს აჩხაკუნებდნენ, ხმას აყოლებდნენ...

– მღერიან! – სევდიანად თქვა ტარასიმ...

თვალი გაახილა. ბნელოდა, ფანჯრიდან ვარსკვლავიანი ცა ჩანდა. ისე ჩახჩახებდა, გათენებამდე, ალბათ, შორი არ იყო. მირიად ვარსკვლავეთში ერთი ერია, სხვაზე კაშკაშა – „ზვიადის ვარსკვლავი“. პატარაობისას იმისკენ იწევდა ხელს, თითქოს მოწყვეტას ლამობდა. ამიტომაც დაარქვა პისტიმ „ზვიადის ვარსკვლავი“. როცა ახედავდა, ეჩვენებოდა, ამით ზვიადს სალამს ვუთვლიო...

ჩაცმული იწვა და სამზადისი არ დასჭირვებია, ფეხებით უხმაუროდ მოძებნა დაბალქუსლიანი „ჩუსტიკები“... იატაკზე მიყრილ ადამიანებს ღრმა ძილით ეძინათ... უსიზმრო ძილით, როცა კაცი ყოველგვარი საწუხარისაგან თავისუფლდება და ღონეს იკრებს, რათა მომავალ დღეებს გაუმკლავდეს...

ეზო უჩუმრად გაიარა.

ვარსკვლავიანი ცარგვალი თავზევით ბრუნავდა, სუსტი, ბინდიანი ნათებით ავსებდა ეთერს.

ნელი ტყლაშუნი მოესმა. მდინარე ნაპირთან ბნელ ხაროს ჰგავდა, რაკი ჭადრების ფართო ვარჯებით იჩრდილებოდა. მოშორებით წყალი ოდნავ ლიცლიცებდა, გაღმეთი კი ბნელ ბურუსში იკარგებოდა.

– მეზობელო! – ხმადაბლა გასძახა.

– აქეთ! – შეეპასუხა ტარასი.

პისტიმ ფრთხილად გასწია იქითკენ. ნაპირთან ნავი ქანაობდა. ბნელში ძნელი იყო რაიმეს გარჩევა. ხელის ფათურით მოძებნა ნავის ცხვირი, გადაძვრა და სკამზე დაჯდა.

წყლიდან სიგრილე მოდიოდა და პისტის გააჟრჟოლა.

– წავედით?

– წყნარად! მდინარეზე ხმა შორს ისმის! – შიშიანი ჩურჩულით უპასუხა ტარასიმ.

ნიჩბები ფრთხილად მოუსვა.

უხმოდ მიცურავდნენ... წყლის ზედაპირზე ვერცხლისფერი ათინათები ირეკლებოდა, მსუბუქი ტალღა ტალღას მოჰყვებოდა და ჩქარ დინებას ნავი ქვევით მიჰქონდა.

წინ ავტომატმა გაიკაკანა, ალბათ, ძალიან შორს... ხმამ ღამის მდუმარებაში გამოაღწია.

ნაპირი ზვავივით ამოიზარდა. ცოტა ხანს ჩუმად ისხდნენ, ყურს უგდებდნენ. აქ არავინ იყო და ტარასი აჩურჩულდა:

– ვერც ვერაფერს დაგავალებ და ვერც ვერაფერს აგიკრძალავ. დროა ისეთი, ზოგი სიცოცხლეს იზოგავს, ზოგი იოლად წირავს. დიდი ჩაუქი ვინმე არც ადრე ვყოფილვარ, ახლა შიშმა მთლად დამაძაბუნა. შენ ქალი ხარ და კიდეც მჯობიხარ. ჩემს სახლთან თუ გაიარე, ცალი თვალით მაინც შეხედე და ამბავი მომიტანე!

– მხდალი რომ იყო, ამ ნაპირზე ვერ გადმოხვიდოდი! მადლობელი ვარ, რომ გაისარჯე! – უთხრა პისტიმ, ნაპირზე გადახტა და ნავს უბიძგა.

ტარასიმ ნელა გაცურა. წყლის ზედაპირზე ნავი კარგა ხანს შავ ლაქად ჩანდა, მერე ბნელ სივრცეს შეერწყა.

პისტი ხაბოზე ავიდა და სოფლის თემშარას გახედა, წუთის სავალს იქით მიდამო ბურუსში იკარგებოდა.

ფრთხილად მიდიოდა, ცდილობდა, ღობის ჩრდილს არ გასცლოდა. სმენა გამახვილებოდა. მიტოვებული სოფლის მდუმარება შიშსა გვრიდა. შავად წამოყუდებული ოდასახლებიდან ჩქამი არ ისმოდა. ეზოში ძაღლი არ წკმუტუნებდა, ტოტებში ქათმები არ ყუტყუტებდნენ. ერთადერთი სტუმარი – მდინარის ამონასუნთქი თუ ფაჩუნობდა ფოთლებში.

ამ გზით დადიოდნენ ქალაქში გუჯა და პისტი. თავდაპირველად ცხენის ორთვალათი, სანამ კოლმეურნეობა ცხენს გაწყვეტდა, მერე ურმით, სანამ საძოვრებს ჩაი გადაუვლიდა. მოგვიანებით პისტიმ იყოჩაღა, აბრეშუმის პარკითა და ჩაის კრეფით ფული გამოიზოგა, იმდენი დაუგროვდა, წითელი „მოსკვიჩი“ გამოუყვიდათ და გუჯაზე ადრე მანქანის ტარების ხელოვნებას ზვიადი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოერგო, დედისერთა ნებიერა... „მოგიკვდეს, სქუა*, დედა!“ – პისტიმ მჯიღი მკერდზე დაიკრა და ხმადაბალი სლუკუნი აღმოხდა... წამით შეჩერდა, მანდილის ბოლოთი უპეები ამოიწმინდა და გზა განაგრძო... ვერა და ვერ დაიწყნარა გული, ვერა და ვერ ამოშრა მონატრება და იმედი... თექვსმეტისა იყო ზვიადი და უფრო მეტისა ჩანდა. ლაღად მხრებგაშლილი დადიოდა, შავი, ხუჭუჭა თმები ჯიუტ შუბლზე გადმოეყარა, „უჩა ბოში“** იყო, შავზე შავი თვალებით გოგონებს გულს უკლავდა... არც ჩხუბით იღლებოდა, არც სიყვარულით, ბევრი მეგობარი ჰყავდა, მტერიც უთვალავი... მისი სიცილი – კვიცის ჭიხვინი, ბაგეზე – გულღიაობა და სიამაყე... „შინ დარჩი, მაგ ავტომატის სიგრძისა არცა ხარ!“ – უბრძანა გუჯამ, თვითონ კი ამ დროს იატაკზე იჯდა, ფარდაგზე ნაწილ-ნაწილ დაშლილი ტყვიამფრქვევი ეწყო და ზეთით წმენდდა... ბიჭს ხმა არ ამოუღია, მაგრამ კოპი შეჭმუხნა, კისერი დაეძაგრა და პისტი მიხვდა, ამბოხი გარდაუვალი იყო. შიშმა შეიპყრო, ყველაფერი მოერღვა და ხმააკანკალებულმა შესთხოვა: „ცუდი სიზმრები მაქვს, სქუა, დაუჯერე მამაშენს!“ ოღონდაც, ახალგაზრდებს ცუდი სიზმრებისა არა სჯერათ, არც სიკვდილისა სჯერათ, მოკლე წუთისოფელი უსასრულო ჰგონიათ! ზვიადის ამაყი სული ვერ იგუებდა განდგომას, იგი დედის კალთას ვერ ამოეფარებოდა, ღამეხნელში გაუჩინარდა და აღარც დაბრუნებულა... „მოგიკვდეს, სქუა, დედა!“ ხმები მოდიოდა, ზვიადი უნახავთო, ხან ავტომატით ხელში, ხან ტანკზე მჯდომი, ხან ცხენს მიაჭენებდაო... მერე შავი ჭორი გაკრთა, სანგარში ყუმბარა ჩამოვარდა და ზვიადი ნაფლეთებად იქცაო... დედის გულიც ნაფლეთებად იქცა, მოკვდა... ალბათ, მართლაც მოკვდებოდა, მაგრამ მავანმა ფიცით უთხრა, ტყუილია ზვიადის სიკვდილი, ჩემი თვალით ვნახე, ბიჭებს გუმისთისაკენ მიუძღოდაო... ჭორი და მართალი ენაცვლებოდა ერთმანეთს, პისტის დაღლილი გულიც ხან კვდებოდა, ხან ცოცხლდებოდა და თანდათან მისი „უჩა ბოში“ სიზმრისა და ზღაპრის გმირად გადაიქცა, ნამდვილისა და მოგონილის ზღვარზე არსებობდა, მიწაზე დაიარებოდა და ზეცაშიც მიფრინავდა... „ზვიად, სქუა!“ მლოცველის მზერით ახედავდა პისტი ლურჯი ცის თავანს, თითქოს იქ უნდა ეძებნა სამყაროში ლანდად განფენილი ძე...

ახლაც ვარსკვლავებით მოჭიქულ ზეცას ახედა პისტიმ, „ზვიადის ვარსკვლავი“ მოძებნა, პირჯვარი გადაიწერა და ფეხს აუჩქარა... უფალი მოწყალეა, იქნებ მისი ზვიადი ჯერაც ცოცხალია, იქნებ ისე შორს წასულა, უკან გზას ვერ იგნებს, ანდა ტყვედ ჩავარდნილა და ბორკილები ადევს, ან შურისძიების გრძნობით შეპყრობილი უსიერ ტყეებში მიმალულა და იარაღის დაგდებას არ აპირებს... ეჭვისა და იმედის ზღვარზე ცოცხლობს პისტი და ესღა აძლებინებს...

წინ ლანდი გაკრთა. პისტის გული გადაუქანდა, შეჩერდა. მაღალ ღობესთან იდგა და გასაქცევი გზა არსაით იყო. გრძნობდა, ფეხები ეყინებოდა... რა ძნელია სიკვდილი მაშინაც კი, როცა სიცოცხლე არაფრად გიღირს!

შარაზე რაღაცა მოძრაობდა, სიბნელეს თანდათან გამოეყო... ხბოსტოლა ძაღლი აღმოჩნდა, გაჩერდა, ყრუ ღრენა აღმოხდა.

– რა გინდა, შე უპატრონო, რა გული გამიხეთქე! – ხმადაბლა უთხრა პისტიმ. ბოთვერა იყო, უზარმაზარ შავ გორგალს ჰგავდა. თვალები წყვილად უნათებდა, მაგრამ ღრენას წკმუტუნი გაურია და პისტი მიხვდა, ძაღლი კუდს აქიცინებდა.

– მოდი, მოგეფერო! – პისტიმ ხელი ბანჯგვლიან კისერში ჩაუყო, მოუალერსა. „ტაბაღუებისაა! – გაიფიქრა. – აქ დარჩენიათ ეს საცოდავი!“

გზა რომ განაგრძო, ძაღლი ცოტა ხანს აედევნა, მაგრამ საკუთარ ჭიშკარს ვეღარ გაშორდა, ერთი-ორჯერ შეუყეფა, ნუ მიდიხარო...

თითქოს უფრო ჩამობნელდა, ღამემ იგრძნო აღსასრულის მოახლოება და საწუთრო არ ეთმობოდა.

სულ მალე თემშარაზე უსაფრთხოდ ვერ ივლიდა. აგერ გერონტი ფეტელავას ჭიშკარს მიაგნო, ხელის ფათურით საგდული მოძებნა და გასწია. ჭიშკარმა მსუბუქად დაიჭრიალა. პისტიმ ფრთხილად გაიკეტა... ფეტელავები შეძლებულად ცხოვრობდნენ. კარ-მიდამო ისე

---

* შვილო (მეგრ.)

** შავი ბიჭი (მეგრ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



იყო გაკრიალებული, ავ თვალს არ ენახვებოდა. სიღრმეში აღმართული ორსართულიანი ოდა-სახლით მთელი უბანი ამაყობდა. სახლიც და უბანიც ჯერჯერობით გადაურჩა განადგურებას. ახლა ბნელში გაყუჩებული ოდა თავისი მდუმარებით აფრთხობდა პისტის. ფეხაკრეფით გადაჭრა ეზო და, ლაფაროს რომ ჩაუარა, უცბად ქვედა სართულის კარი ძალუმად მიჯახუნდა. პისტი კედელს აეკრა. მანამ ასე იყო მიწებებული, სანამ აჩქარებულ გულისცემას დაიოკებდა. „იქნებ გერონტი შინაა! ან იქნებ ქურდია, გერონტიმ ხომ ვერაფერი გაზიდა!“ კარმა დაიჭრიალა და მეორეჯერ მირახუნდა... პისტის თითქოს დაარტყესო, ააკანკალა, მაგრამ ადგილიდან არ დაძრულა... ცოტა ხანს იყუჩა... ისევ დაიჭრიალა კარმა და კვლავაც რახუნით მიიკეტა. „ფუი, ეშმაკს, ნიავი არახუნებს!“ – მიხვდა პისტი. ბოლომდე გულდაჯერებული არ იყო, ხელის ცეცებით იმ კარისკენ წავიდა. ბნელში ისევ გაიჭრიალა კარმა და პისტი მისწვდა, შეაჩერა, ნელა მიხურა, კლიტეში ჩარჩენილი გასაღები ორჯერ გადაატრიალა და გაშორდა.

ჩქამი არ ისმოდა. ქუჩის ბოლოს შეჰყეფა ტაბაღუების ბომბორა ძაღლმა.

პისტი უკანა ეზოთი ბოსტანში გადავიდა. ფეტელავების დიასახლისს დომნიკას მუდამ სანაქებო ბოსტანი ჰქონდა. ვინ იცის, ვისი ნაშრომით აწი ვინ იხეირებდა. პისტი ვიწრო თირით მიიკვლევდა გზას, რათა უნებლიედ ჩითილები არ დაეტკეპნა.

ბოსტნის მიღმა თხილნარი იყო, ოჯახის შეძლებისა და უბედურების წყარო, რაკი თხილი ოქროა, ოქრო კი შორიდან ბრჭყვიალებს და მომხდურს იზიდავს.

ძველი ნაშენი და კარგად გაზრდილი თხილნარი ჰქონდათ. სწორად გაწყობილ რიგთა ბოლოს დღისითაც ვერ მიაწვდენდი თვალს. ახლა კი მაღლა გაშლილ ტოტებში ვარსკვლავეთი ჩაქრა და ძირს მყუდრო უკუნი გამეფდა. პისტი ვერაფერს ხედავდა, გუმანით მიდიოდა. ხელები წინ გაეშვირა, რათა თხილის ამონაყარს არ გადაყროდა. ეგონა, გავშორდი ცხადს და სიზმრეთში მივცურავო. იმ სიზმრეთში ზვიადის ლანდი გაკრთებოდა ხოლმე, „უჩა ბოშის“ ხატებას მამის ლანდი ასდევნებოდა, არ შორდებოდა...

„მოგიკვდეს, სქუა, დედა!“ – ფიქრობდა საწყლად პისტი... სიზმარში გუჯას ზვიადი თან მიჰყავდა, ცხადში კი გუჯა ზვიადის კვალმა გაიყოლია. „რა დროს შენი ომია!“ – ესდა შეჰბედა პისტიმ, გუჯამ კი მძიმედ შეხედა, თუმცა დაყვავებით კი უთხრა: „ზვიადი ომობს, მე კი შინ ვიჯდე, ქალო?“ დიდი კაცი იყო გუჯა, ეზო-გარემოში ვერ ეტეოდა, სოფელი ეპატარავებოდა; მკლავებს რომ გაშლიდა, ალბათ, მთელ სამურზაყანოს შიგ მოიქცევდა, თუმცა სამურზაყანომ მხოლოდ მტკაველი მიწა მიუზომა... წავიდა გუჯა, შინ კი ტრაქტორის ლაფეტით დაბრუნდა, მისი ძლიერი მკერდი ტყვიას შეენგრია, მისი დაფლეთილი გული მეტს ვეღარ გულობდა, მის გაყინულ თვალებში ზეცა ცივად ისარკებოდა... იქნებ იქ, ზეცაში ერთად არიან მამა და შვილი, ან იქნებ, ღმერთი ხომ მოწყალეა, მამა ცად ავიდა და შვილი კი ჯერაც აქაა, ამ საწუთროში დააბიჯებს და დედისაკენ მომავალ გზას ეძებს...

სადღაც წინ კაკანი მოისმა... ეს მსუბუქი, მოკლე ჯერები ავტომატისა იყო, უფრო ძლიერი და უწყვეტი – ტყვიამფრქვევისა... უცბად აღმუვლდა, ხაფი ხმით აკივლდა... რა უნდა ყოფილიყო? ნაღმი, ჭურვი... იქ რაღაც ხდებოდა!

თხილნარის ბოლოს თითქოს თაღი გადაიხსნა. ცა უკვე გაბაცდა, ვარსკვლავებს ელვარება მოაკლდა. ცის კაბადონზე მიჭედილი ლურსმნის თავები გაქრა, მხოლოდ აქა-იქ თუ ანათებდა... „ზვიადის ვარსკვლავი“ აღარა ჩანდა.

ფეტელავების მამული მაღალი ძეძვით იკეტება, შავ გრაგნილად გადმომხობილა. აქ სადღაც საქონლის ბილიკია და ვიწრო კუტიკარი. აგერ ოდნავ გაცრიატდა გზატკეპნილი. იმის ბოლოს აკაციის ლარტყით შეკრული კარია. მავთულის რგოლი აქვს წამოცმული. პისტიმ რგოლი ასწია, კუტიკარი გააღო და ადგილზე გახევდა.

ჩაის ფართო პლანტაცია თეთრ ნისლოვანებაში იკარგებოდა. იმის მიღმა სიმინდის ყანა და ბაღ-ბოსტნები იგულისხმებოდა, მერე ოდა-სახლების გრძელი მწკრივი და სწორედ იქ, თვალსაწიერის მთელ სიგანეზე წითელი დაფიონი გიზგიზებდა.

– ვავა, ჩქიმიშენი!* – აღმოხდა პისტის.

აქამდე გულში იმედის ნატამალი მაინც ღვიოდა, იქნებ უბედურებამ გვერდი აგვიაროს, ამჯერადაც გადავრჩეთო. ახლა კი ველის კიდეზე დანთებულ კოცონებში მეზობელთა სახლები ამოიცნო – გერასიმეს სახლი, იპოლიტეს სახლი, გუგუჩის სახლი, გურამის სახლი, გამეგრელებული სომხის კარაპეტას სახლი, ტარასის სახლი („საწყალი ტარასი!“)... პისტის სახლი... დიახ, მინჯიების სახლიც იწვოდა...

თექვსმეტისა იყო პისტი, ოცდაორი წლის გუჯამ აქ რომ ჩამოიყვანა. მანამდე ობოლს მამიდა ზრდიდა სამაღლოდ. მთის მიყრუებულ სოფელში ცხოვრობდნენ, ორ ტყიან ფერდობს შორის რომ ჩამჯდარიყო, და ორიოდე აფხაზური ოჯახი რომ ემეზობლებოდა... მამიდა მალე გაშორდა წუთისოფელს და პისტიმ იქითკენ გზა დაკარგა, თუმცა მეხსიერებაში რამდენიმე აფხაზური სიტყვა შერჩა. ეს ღვთისკალთადაბერტყილი, გახასხასებული, ხილიან-მოსავლიანი ეზო გახდა მისი სამშობლო. თავდაპირველად ალიზით შეთხიპნილ ფაცხაში ცხოვრობდნენ. წლიდან წლამდე, კაპიკს კაპიკი დააწებეს, ხან აგური იყიდეს, ხან ცემენტი... ჯერ ქვედა სართული ამოშენდა, გაეწყო... წლების შემდეგ /ზვიადი უკვე ათისა იქნებოდა!/ მეორე სართულიც წამოიმართა... დრომ ისე გაირბინა, თურმე კიდეც შეაბერდნენ ამ სახლის შენებას. ასეა ქართველი კაცის ცხოვრება, თავისი დღე და მოსწრება სახლის შენებას უნდება, მეტი ვერაფრისთვის იცლის... ხუთი წლის წინანდელ რბევას უბანი გადაურჩა, მაგრამ აგერ, ახლა პისტის თვალწინ იწვოდა და ნადგურდებოდა მთელი მისი ცხოვრების ნაშრომ-ნაჯაფარი.

ჩაის რიგები აქედან იქითკენ გაწოლილიყო და პისტი რიგთაშორის ბილიკს მიჰყვა. ჩაის მოსავლელად ვერავინ იცლიდა, მერამდენე წელია არც უკრეფიათ და ტყესავით იდგა, ბილიკიც დაევიწროებინა და, რაც დარჩა, ისიც სარეველას ამოევსო. დილის ქვავმა ფეხები დაუსველა, თუმცა სიცივეს ვერა გრძნობდა. მზერა წინ, კოცონისაკენ მიემართა და ხმადაბლა წყევლიდა თავის მტერსა და მაოხარს. ბოლომდე ისე ჩაირბინა, ეგონა, წამმა გაიელვაო... ბინდი უკვე ილეოდა და ვერ გაეგო, რიჟრაჟმა მოაწია თუ ხანძრების ნათებამ სივრცე აავსო, ჰაერი თითქოს მხურვალედ გუგუნებდა.

– ვავა, ჩქიმიშენი! – ერთხელაც წამოიძახა პისტიმ.

უცებ ავტომატის ჯერმა ხოშკაკალასავით მოაყარა, ტრასირებულმა ტყვიებმა ჰაერი წივილით გახაზეს. პისტი ჩაის ბოლოს, ბარდებში ჩაცუცქდა. მალევე მიხვდა, ამ რიბირაბოში ვერავინ შეამჩნევდა და ტყვიები მისთვის არ ყოფილა გამიზნული. წინ ორმხრივი კაკანი ერთიერთმანეთს პასუხობდა. მინჯიების კარ-მიდამოს ირგვლივ შედლუხი გაემართათ და, ალბათ, გაცლა ჯობდა, მაგრამ ისევე, როგორც ჭირისუფალს უჭირს მიცვალებულთან გამოთხოვება, პისტისაც გაუჭირდა საკუთარი სახლის ნახანძრალის მიტოვება.

სროლა მოულოდნელად შეწყდა. მდუმარებას უკვე აღარაფერი არღვევდა. ცეცხლს შთაენთქა, რისი შთანთქმაც შეიძლებოდა, უხმო ბოლი ჯერ კიდევ ბოლქვებად მიიწევდა ცისკენ.

პისტი წელში გაიმართა, თხრილის ბოგირზე გადავიდა, კუტიკარი შეაღო და სიმინდებში შევიდა. თითქოსდა ღამებნელი კუტიკარის უკან დატოვა, წინ, მის ეზოში უკვე ნათდებოდა. სიმინდი წელამდე უწევდა, სუსტი შრიალით ეგებებოდა. გასათოხნი იყო. გაქცევამდე მოასწრო კუთხის გათოხნა და ის მხარე უფრო მუქი ჩანდა. დანარჩენს სარეველა მორეოდა. პისტი წაიხარა, ერთ-ორ ძირს ბალახი მოაცილა, მაგრამ ახლა ამისი დრო არ იყო და ასევე წახრილმა განაგრძო გზა. ყანის ბოლოდან უკვე მიხვდა, სახლი არ არსებობდა, მაგრამ მომცრო ორთვალიანი სამზადი გადარჩენილიყო, ხანძარი ვერ მისწვდენოდა და ამისთვის უფალს მადლი შესწირა.

სულის მოსათქმელად შეისვენა, მიაყურადა. ნახანძრალიდან მსუბუქი ფშუტუნი ისმოდა, ნაკვერჩხლები იფერფლებოდა.

შორიახლო ლეღვს ტოტები გაებარჯღა, კარგ საბოსტნეს ჩრდილავდა და თავის დროზე მოჭრით დაექადნა, მაგრამ გუჯამ დაუშალა, ეგ ლეღვი ზვიადს უყვარსო. ახლა

------

* ვაი, ჩემს თავს (მეგრ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



იმის ჩრდილში რაღაც ამოძრავდა და შესაბრალისი ზმუილი მორთო.

პისტის გული შეუქანდა – „ძიკი, გოლუ-აფირო*, გადარჩი?“ ძროხას ბაწარი დამოკ-ლებოდა, შიგ გახლართულიყო. ალბათ, ში-შისაგან აქამდე ხმას ვერ იღებდა, ახლა კი პატრონს იმედიანად შეეხმიანა.

– სუ, სუ, ჩუმად! – ქედზე ხელი გადაუსვა პისტიმ, კისერზე გადაეხვია და უცბად გული ამოუჯდა, ცრემლი ღაპაღუპით გადმოს-ცვივდა.

პირუტყვი თითქოს გრძნობდა პატრონის გასაჭირს, ხვნეშოდა და მორჩილად ელოდე-ბოდა, თუ როდის ახსნიდნენ. არადა, ცური გატიკნოდა, რძე ძუძუს კერტებიდან წვეთა-ვდა...

გონს მოეგო პისტი, თვალები ამოიმშრა-ლა, მიმოიხედა... ღლე დამდგარიყო.

ბაწარი ახსნა და ძროხა უკეთეს ადგილას გადააბა. ღობის გასწვრივ მაღალი, ლორთქო ბალახი ხარობდა და ძიკის ის ადგილი მიუჩინა, თან ეფერებოდა და ეჩურჩულებოდა:

– ახლავე, ძიკი, ჩემო კარგო, ჩემო ლამა-ზო!

ბოსტანზე გადაირბინა. პამიდორი მუხლა-მდე უწევდა, ყვითელი ყვავილები ესხა. ესეც გასათოხნი იყო. ასეთ დროს ყველაფერი ჩაწიკწიკებული ჰქონდა... ვინ დააცალა! ანდა რა დროს ბოსტანზე ფიქრია, სახლი ნასა-ხლარი გახდა, კვამლის ბოლქვიც ჩაწყნარდა, სუნი დგას, გაძლება ჭირს, აქა-იქ მსუბუქად ბოლავს... დახედა და კვლავ ცრემლი მოაწვა, მაგრამ გული გაიმაგრა: „ნეტავი ზვიადი ცოცხალი მომცა და ყველაფერი ცეცხლსაც წაუღია!“ სამზადის აივანზე ვედროს დაავლო ხელი, ჭის წყალი გამოავლო, შიგაც ცოტა ჩატოვა ცურების ჩამოსაბანად და ძიკისაკენ შებრუნდა. ძროხა მორჩილი და თვინიერი ჰყავდა, მადლიერებით შეხედა პატრონს. პისტიმ ცურები ჩამოჰბანა, კერტებზე მოსწია და რძემ ვედროში ჩხრიალი დაიწყო.

წველიდა პისტი ძროხას, თან ათასი ფიქრი და საწუხარი ეძალებოდა – გუჯას საფლავი, ზვიადის გაქრობა, ოჯახის იავარქმნა, წუთის წინანდელი შედლუხი... რას ნიშნავდა ეს სროლები და რას ნიშნავს ახლანდელი მდუმარება?

ვედრო თითქმის გაავსო.

– ჩუმად, ჩუმად, ნუ იხმაურებ! – ძიკის დაუბარა.

ძროხამ თითქოს გაიგო პატრონის სიტყ-ვები, მშვიდად შეხედა და ბალახი გემრიელად მოძოვა, წეღანდელი შიში და გან(ც)და უკვე დავიწყებოდა.

პისტი სამზადისაკენ გაემართა, რძეს დავაბინავებ და გუჯას დავხედავო, ფიქრობ-და. გუჯა იქვე, ეზოში ემარხა. დრო იყო ისეთი, მეზობელი სატირალში ვერ მოვიდო-და, ჭირისუფალი თავის მიცვალებულს სასაფ-ლაოზე ვერ აკითხავდა. „ჩამოვა ჩემი ზვი-ადი და მამამისს მერე გადავასვენებ!“ – მტკიცედ გადაწყვიტა პისტიმ. ბოსტანსა და წინაეზოს ტრიფოლიატის ღობე ჰყოფდა და იმ ღობის ძირას დამარხა პისტიმ გუჯა. მიწა მოასწორა, ზედ კოინდარი აჰარა, რათა მტერსა და მაოხარს ვერ მიეგნო. ელოდა უკეთესი დროის მოსვლას, რათა მის ქმარს ქრისტიანული საფლავი ღირსებოდა. სამწუ-ხაროდ, უკეთესი დრო ვეღარ დადგა და პისტის გული ეთანადრებოდა, ვაითუ, თვი-თონაც ისე გამქრალიყო, შინ დაბრუნებული ზვიადისათვის ვერაფერი დაებარებინა...

სამზადის კარამდე მიაღწია, ვედრო ძირს დადგა, კარის სახელურს ხელი მოჰკიდა და ამ დროს ხმადაბლა დაუძახეს:

– დეი*!

პისტი სწრაფად შემოტრიალდა.

იქვე, თუთის ძირას, მწვანე მოლზე ახა-ლგაზრდა იჯდა, ზურგით ხეს მიყრდნობოდა, მუხლებზე გარდიგარდმო ავტომატი ედო, ძირს დაცლილი მასრები ეყარა.

ჯინსის ლურჯი შარვალი ეცვა, ჯინსის კურტაკი, იმის ქვეშ ნაცრისფერი პერანგი სისხლის უზარმაზარ ლაქას გაეჟღინთა.

– დეი! – ბაგე ძლივს შეარხია.

ჯაგარივით თმა ჰქონდა, მზისა და ქა-რისაგან გარუჯულ სახეს ახლა სიფითრე დასდებოდა. დიდრონ, თაფლისფერ თვალე-ბში მუდარა ეხატა.

– დეი, წყალი!

– ახლავე, სქუა, ახლავე! – დაფაცურდა პისტი, ჭის წყალი მოურბენინა, პირთან

------

* (.ოგნ) ძიქეძ

------

* (.ოგნ) ცლეცცონცნ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიუტანა, ხელი უკანკალებდა და წყალი ეღვრებოდა. დაჭრილმა ყლუპი ძლივს გადაყლაპა.

- დეი, არ გამყიდო, იცოდე! - ჩურჩულით შესთხოვა.

- ვაი, ჩემს თავს, უბედურს, რას ამბობ, სქუა! ნუ გეშინია, ახლავე გიშველი რამეს!

პისტიმ ავტომატი განზე გასწია, დაჭრილი გამოცოცხლდა, თვალი გააყოლა.

- ეე, იარაღი!

- აგერაა შენი იარაღი, არ დაგეკარგება! მისმინე, გოლუაფირო, ეზოში შენი დარჩენა არ შეიძლება, ვინმე თვალს მოგკრავს!

ზურგიდან იღლიებში ხელები შეუყო, წამოყენება მოუნდომა.

ძვალმსხვილი და მძიმე იყო, ვერც მოერეოდა, მაგრამ დაჭრილმა თავს ძალა დაატანა, თან ავტომატიც დაითრია, დაეყრდნო.

პისტი იღლიისქვეშ შეებჯინა.

- აბა, ყოჩაღად, ნაბიჯი გადავდგათ!

- მე გია მქვია, ალშიბაია! - თქვა უცებ ახალგაზრდამ.

- აფხაზი ხარ, ბიჭო? - ეჭვით ახედა პისტიმ.

- აფხაზების დედა ვატირე! - კბილები დააღრჭიალა გიამ. - დავბრიდე ყველანი! იმათ მკვდარი ვეგონე, მე კი ჯერი მივუშვი!

პისტიმ არაფერი ჰკითხა. დაჭრილს მოძრაობა უჭირდა, ზოგჯერ გონს კარგავდა და ქალს მთელი სიმძიმით აწვებოდა. ძლივს მიაღწიეს სამზადის კარამდე, ძლივს გადალახეს დაბალი ზღურბლი.

გუჯამ თავის ხელით ააშენა ეს სამზადი, აგურ-აგურ ააწყო. პატარა სამზარეულო და მოხერხებული საძილე გამოუვიდა. მაშინ რა იცოდა, ომი თუ მოვიდოდა. რაც ქვეყანა აირია, გუჯა აქ იძინებდა. მერე პისტიც ჩამოვიდა. ოდა მაღალი იყო, შორიდან ჩანდა, სამიზნედ გამოდგებოდა. სამზადი კი მოფარებულში იდგა, ზევიდან ხეხილის ტოტები იცავდა. მომხდურს სიხარბეს ვერ აღუძრავდა, უკანა კარიდან სიმინდებში გაქცევაც ესწრებოდა.

ძველი ყაიდის რკინისზამბარებიანი წყვილი საწოლი იდგა აქ. ადრე კარგ შენაძენად ითვლებოდა ეს საწოლები. მერე მოდა შეიცვალა. გერმანული საძილეები იყიდეს და ოდა იმით დაამშვენეს. რკინის საწოლები გადასაყრელად ვერ გაიმეტა გუჯამ და აქ ჩამოიტანა.

პისტიმ დაჭრილი საწოლამდე მიიყვანა. გია უღონოდ გაიშხლართა, ავტომატი ძირს დაუვარდა, ზამბარებმა კი საცოდავად დაიჟღრიალა. აჩქარებით სუნთქავდა, მთლად გადაფითრდა.

კურტაკის ღილები შეუხსნა პისტიმ, დიდი წვალებით გახადა. სისხლიანი პერანგი დანით შეაჭრა. ჭრილობა გამჭოლი იყო, სისხლი უკვე შეხმობოდა. გია ყრუდ კვნესოდა, გონს მოდიოდა და უმალვე უფსკრულში იძირებოდა. პისტიმ ზეწარი ნაჭრებად დაფხრიწა. ნაჭრილობევი არყიანი ჭინჭით მოწმინდა. ადრე, ალბათ, სისხლის დანახვაზე გული შეუღონდებოდა, მაგრამ გაჭირვებამ ბევრი რამ ასწავლა და ჭრილობა მტკიცედ შეუხვია.

- დაიძინე, დაიძინე, მე კი რძეს მოგიდუღებ!

გიამ თითქოს ჭიდან ამოიხედა, თვალი გაახილა და შეშინებულმა შესთხოვა:

- დეი, არ დამტოვო!

- აგერა ვარ, სქუა, ნუ გეშინია, შენი ტოლსწორის დედა ვარ, ჩემს ზვიადს ვენაცვალე!

- ზვიადი, ზვიადი... - გაიმეორა გიამ. - ბევრი ზვიადი შემხვედრია...

- ცოცხალი ნახე? - სულსწრაფად შეეკითხა პისტი.

- ზოგი ცოცხალია, ზოგი დაიღუპა... - ახალგაზრდის ფიქრები სხვა მხარით ქროდა, მოჩვენებებს ეჩხუბებოდა, ნიშნს უგებდა. - ხომ დაგბრიდეთ!... ჩემი მოკვლა გინდოდათ, მე კი დაგასწარით...

- გია, სქუა! - შუბლზე ხელი დაადო პისტიმ, სიცხიანი იყო და ქალის ხმა, ალბათ, არც გაუგონია.

- ჩემი კვალი აიღეს, მოსაკლავად დამედევნენ, მე კი ჩავუსაფრდი და, ჯერი მივუშვი, სამივე მივაწვინე... ერთმა დამასწრო და, აჰა, როგორ მატკინა... მატკინა...

- იძინე, იძინე, მე კი რძეს მოგიდუღებ! - უფრო საკუთარ თავს ეუბნებოდა პისტი. - დაღამებამდე როგორმე გავძლოთ... ვინ იცის, ტყვიამ რა ქნა? ექიმია საჭირო...

რძე ქვაბში გადაწურა. ნახანძრალისკენ წაიღო, თავისი ლამაზი ოდისაკენ, რომლისგან მხოლოდ ქვედა სართულის ჩაშავებული, სიცხისაგან დამსკდარი კედლები დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩენილიყო. მინჯიების ნაჯაფარი - გერმანული საძილეები და კედელი, მოსკოვური პიანინო /ზვიადი უკრავდა ხოლმე!/, ჩეხური სერვანტი, ფაიფურის ჯამ-ჭურჭელი, დივანი და სავარძლები, მატყლის ლეიბები და საბნები /ზვიადის ქორწილისათვის გამზადებული!/, ნოხები და ხალიჩები, ჭაღები და ზვიადის სამეცადინო წიგნები... ყველაფერი დაიფერფლა, გაქრა, მაგრამ ახლა ამისი წუხილის დრო არ იყო, ჯერ კიდევ ნაკვერჩხლები ღვიოდა და რძის ქვაბი შიგ ჩადგა... ნახანძრალის მხურვალებამ პირისახე აუწვა, გამოაფხიზლა, თავი ასწია და ჭიშკართან დაინახა ის სამი „დაბრ-ედილი"... გუჯას უჩინარი საფლავის სიახლოვეს ეყარნენ სამივენი.

ერთხანს გარინდებული იდგა, მერე ნელ-ნელა წაჩოჩდა იქითკენ. გული გამალებით უცემდა, საფეთქლებს ტკივილი აწვებოდა... რამდენი ტვირთი უნდა ეზიდა პისტის გულს ამ ერთი გრძელი დღის მანძილზე, კიდევ რამდენ შიშსა და თავზარდაცემას გაუძლებდა იგი?

ერთმანეთისაგან ხელის გაწვდენაზე დაცვენილან. ტყვიას არც ერთი ეპუებოდა, ალბათ, მან კი სამივე მონახა.

ყველაზე უფროსი, ქერათმიანი ვაჟკაცი გულაღმა ეგდო. ცისფერი თვალები ფართოდ დაეჭყიტა, შიგ სიცოცხლე ჩამკვდარიყო. სწორი თმა უკან, ბალახში გადაეყარა. მკლავები ფართოდ გაეშალა, თითქოს აფრენა სწადიაო. მარჯვენათი ხელის ტყვიამფრქვევი ჩაებღუჯა, დათმობას არ ეპირებოდა. რუსი კაზაკი იყო, ალბათ. საშოვარზე ჩამოსული, აქ კი მხოლოდ სიკვდილი იშოვა.

ერთი შავტუხა კაცი /სომეხს მიამგვანა პისტიმ/ მარჯვენა მხარზე იწვა, ფეხებმოკეცილს ავტომატი გულში ჩაეხუტებინა. გრძელი, ცნობისმოყვარე ცხვირი ბალახში ჩაერგო, თითქოს აკვირდებოდა, ეს რა ჭიანჭველა მოცოცავს ბალახის ღერზეო.

ყველაზე ახალგაზრდა, ჩვიდმეტს ოდნავ გადაცილებული ყმაწვილი მკერდით გაწოლილიყო, პირისახე ბალახში ჩაერგო, წაბლისფერი თმა კინკრიხოდან წინ გადაცვენოდა. გამხდარი, მოსხლეტილი ტან-ფეხი ჰქონდა, ბავშვურად წვრილი კისერი. სირბილის დროს კაცს რომ ფეხი დაუცდება, ისე იყო გაჭიმული... ავტომატი ხელიდან გავარდნოდა და ლულით მიწა მოეჩხვერა...

- თქვან დიდაში ცოდა*, ნანა! - გულჯავრიანად წამოიძახა პისტიმ და პირჯვარი სამჯერ გადაიწერა.

ოღონდაც, მოთქმა-ტირილის დრო არ იყო. რაღაც უნდა ეღონა, რაღაც უნდა მოემოქმედა! მაძებარი თუ მოაგნებდა, ეზოს კოინდარიც ვერ გადარჩებოდა... ან უპატრონო ძორი შემოეხეტებოდა და გვამებს დაჯიჯგნიდა...

ვაი-ვიშს თავი გაანება, ნახანძრალისკენ გაბრუნდა. რძე უკვე მაღლა იწევდა, ქვაბის კიდემდე ამოსულიყო. სამზადში შეარბენინა, ჭიქაში ჩაასხა, გასაგრილებლად სული შეუბერა და გიას დახედა.

დაჭრილს მშფოთვარე ძილით ეძინა, შუბლზე ოფლის წინწკლები დაყროდა.

პისტიმ ნაჭრით შეუმშრალა. გია მხოლოდ შეიშმუშნა, ძილს თავი ვერ დააღწია. რძე იქვე, ტაბურეტზე დადგა, თვითონ კი საჩეხიდან ბარი გამოიტანა.

ტრიფოლიატის ღობესთან, გუჯას ფერხთით დაკრა ბარი მიწას, სამარხის გათხრას შეუდგა, თან ხმადაბლა ტუტუნებდა:

- ვო, გუჯა, სი უხანე**, ნუ გამიჯავრდები!.. ამ კაცებსაც დედები ჰყავთ, ალბათ, ცოლ-შვილი ელოდებათ... ადრე მტრები იყვნენ, ახლა მხოლოდ მიცვალებულებია... ნუ, ნუ გამიჯავრდები! სიკვდილის შემდეგ მაინც უნდა შერიგდეთ, იმქვეყნად არც ტყვიაწამალია, არც თოფ-დამბაჩა... უხანე, უხანე, ჩქიმი გუჯა!

დაახლოებით ასეთ სიტყვებს მოთქვამდა პისტი, თან სამარეს ბეჯითად თხრიდა... მოწითალო მიწა, დიდი მდინარის მოტანილი ლექი, რბილი და მორჩილი, ნოყიერი და მოსავლიანი, თავის წიაღში უდრტვინველად მიიღებდა ყოველს, მტრად მოსულსაც, რადგან დაღუპულთა სულებს მტრობა აღარ ძალუძდათ, ისინი, ალბათ, უკვე უფლის სასამართლოს წინაშე იდგნენ.

დრო სწრაფად გადიოდა. მზემ ხეთა კენწეროებს აასწრო, გადამწვარი სოფელი გაანათა, დაცარიელებული ეზო-კარები, უკაცრიელი ორღობეები სინათლით აავსო... დაცხა...

- - - - - - -

* საცოდავი დედათქვენი (მეგრ.)

** შე, უხანო (მეგრ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

პისტიმ შეისვენა. სამზადში დაჭრილს დახედა. გიას ისევ ეძინა, ძილში კბილებს აღრჭიალებდა. ბოდავდა. სიცხის ალმური ასდიოდა. პისტიმ ბოსტანში ნაზამთრალ კეჟერას ფოთლები შეატეხა და სიცხიანს შუბლზე დაადო.

გიას სიგრილე ეამა, ამოიხვნეშა და ძილი განაგრძო.

ქალი კვლავ ორმოს მიუბრუნდა. ფართოდ თხრიდა, სამივეს სამყოფს. მომხდურნი იყვნენ, მაგრამ მაინც ადამის ძენი ერქვათ, საფლავის ღირსი კი ყველაა... დადგება, ალბათ, მშვიდობიანი ჟამი, გამოჩნდებიან ამათი მოკეთეებიც, წაასვენებენ თავიანთ დედებთან, რადგან დედა ყველგან დედაა, ამათ უბედურ დედებს კი, ალბათ, აღარცა სძინავთ, ცოცხალი შვილები ელანდებათ.

გუგუნი მოისმა. პისტი მსხლის ტოტებს შეეფარა. თავზევით გადაიგრიალა რუსულმა ვერტმფრენმა. ღია კართან მჯდომმა რუსის ოფიცერმა ბოლო წუთს პირი მიაბრუნა, ეტყობა, თანამგზავრს რაღაცა გადაულაპარაკა და ამიტომაც ვერ შენიშნა ეზოში დაყრილი გვამები და ტრიფოლიატის ღობესთან გათხრილი სამარე.

კარგა ხანს ისმოდა გუგუნი, თანდათან სუსტდებოდა... პისტიმ კაზაკს ხელი ფარაჯაში წაავლო და შეეცადა გამოეჩოჩებინა. მიცვალებული ლოდივით მძიმე და ყინულივით ცივი იყო. ქალმა უღონობისა და შიშისაგან ტირილი მორთო, მაგრამ ცრემლი ვერას უშველიდა. კაზაკი ჯიუტად არ აპირებდა ადგილიდან დაძვრას, არ ენება ფართოდ გაშლილი მკლავების მოხრა და რაც მთავარია, ხელის ტყვიამფრქვევს არ ეშვებოდა, თან მიჰქონდა სამარეში...

– ვო, გუჯა, უბედურიში გინარჩქინა*, მე რაღად შემატოვე ამ ჯოჯოხეთს!.. – თავისთვის მოთქვამდა პისტი, სლუკუნებდა, თან კაზაკის ჭრელ ფარაჯას ჩაფრენოდა და ცოტცოტაობით, ძალისძალათი მოაჩოჩებდა. ორმაგი ოფლი გადაასკდა შუბლზე, თითები გაუშეშდა, ეგონა, ტვირთის სიმძიმეს ვერანაირად დაემძლევო, მაგრამ მაინც შეძლო შეუძლებელი, თხრილის კიდემდე მიათრია, ტყვიამფრქვევიანი მარჯვენა ასწია და კაზაკი გადაყირავდა, არც თუ ღრმა ხაროში თავდაღმა ჩავარდა.

– უბედური დიასქანი**, რუსო! – ჩურჩულებდა მიწაყრილზე წუთით ჩამომჯდარი პისტი. – ვინ იცის, როგორ მოგელის, შენ კი სად გადაიხვეწე და ვისი ტყვია მოგეწია!

დრო ერეკებოდა და ახლა მეორე მიცვალებულს მიაშურა პისტიმ. შავტუხა მსუბუქი აღმოჩნდა, მაგრამ ისე მოკრუნჩხულიყო, ვერა და ვერ გააშლევინა ხელფეხი.

– დედაშენმა რაღა ქნას, სომხის ბიჭო, სხვის ქვეყანაში რას იკლავდი თავს! – ახლა ამას ეტუტუნებოდა, თან მიაჩოჩებდა და ბოლოს კაზაკის გვერდით ჩააგდო.

– შენს სახელს ვენაცვალე, ღმერთო, მაპატიე, რომ ასე უდიერად ვეპყრობი მიცვალებულებს, ღონე აღარ მყოფნის მე უბედურს! – პირჯვარი გადაიწერა პისტიმ და ახლა მესამესთან, თავდაღმა დამხობილთან მივიდა, ამოაბრუნა და მოულოდნელად მიცვალებულმა ამოიკვნესა:

– ნან***!

წამით შეჩქვიფდა პისტი. ბიჭი მშველელად დედას უხმობდა... იქნებ ზვიადიც ასე იწვა უგონოდ, ისიც დედის სახელს ახსენებდა, ეძახდა...

„ვინა ხარ, პატარა ბიჭო? ვინ მოგაშორა დედის კალთას?.. იქნებ შენ იდექი ჩემი ზვიადის პირისპირ, იქნებ შენმა ნასროლმა ტყვიამ წამართვა... ოჰ, ზვიად, სქუა, ჩქიმი უჩა ბოში!“

ამ არეულმა ფიქრმა ელვის უსწრაფესად გაირბინა ქალის ტვინში, მაგრამ პერანგის ღილებს უკვე ხსნიდა... ამასაც, გიასავით, სისხლიანი მაისური ტანზე მისწებებოდა... სუსტად სუნთქავდა, მწყაზარი პირისახე სისხლისაგან დასცლოდა... ნიკაპსა და საულვაშეს პირველი ღინღლი მოსდებოდა.

პისტი სამზადისაკენ გაიქცა, ჭინჭებსა და არყიან ბოთლს დაავლო ხელი.

– რა მოხდა? – იკითხა უცებ გიამ.

თვალი გაეხილა, ეჭვით ათვალიერებდა.

– გაგალვიძე, გოლუაფირო? უკეთა ხარ? აგერ, რძე დაგიდგი!

– ვინა ხარ?

------

* უბედურებაში გაჩენილო (მეგრ.)

** უბედური დედაშენი (მეგრ.)

*** დედა (აფხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა



– მასპინძელო! პისტი მქვია! აგერ რძე დალიე და ისევ დაისვენე. დასვენება შენთვის მარგებელია!

თავქვეშ მკლავი ამოუდო და ჭიქა პირთან მიუტანა, ყლუპ-ყლუპ დაალევინა.

გიამ ამოიოხრა, ბალიშზე თავი მიდო და თვალები მილულა.

– დაიძინე, დაიძინე! – ჩასჩურჩულა პისტიმ და ოთახიდან გაფარფატდა.

ორმოში ჩაყრილ კაცებს თვალი აარიდა, დაჭრილთან ჩაჯდა. ბიჭი წინანდელივით ძლივს სუნთქავდა.

პისტიმ მაისური შემოახია. ორგან მოხვედროდა ტყვია. მიმხმარი სისხლი და ჭრილობები არყით მობანა. ისეთი გამხდარი იყო, ნეკნები დაეთვლებოდა. მკერდზე მსუბუქი ბუსუსი ეყარა, ძუძუს ორი ბიჭური კერტი, ოდნავ ამობურცული კუნთები – ეს ადრინდელი ზვიადის გულმკერდი იყო, სანამ იგი დავაჟკაცდებოდა, კაცად იქცეოდა – „ენაცვალოს დედა!“

თავის ყურუშ სიკვდილეთში, ალბათ, ტკივილმა ჩააღწია, ბიჭმა კვლავ ამოიკვნესა:

– ნან!

„ჰო, დედა ვარ, ზვიადის დედიკო!.. ვინ იცის, იქნებ ისიც ნატყვიარი წევს და დედაშენი უვლის... ზვიად, სქუა, მოგიკვდეს დედა!..“

ჭრილობები მტკიცედ შეუხვია. იღლიებში ხელები შეუყო, წამოსწია, მკერდზე გადმოიწვინა. კისერთან ბიჭის სუნთქვა იგრძნო... მოეჩვენა, თითქოს თავის ზვიადს იხუტებდა, მისი სუნთქვა ელამუნებოდა კისერზე. კვლავ ცრემლი მოეძალა, მაგრამ ცრემლი ღონეს აცლიდა და თავი შეიკავა. წამოიმართა და დაჭრილი ბიჭიც აიყოლია, ასევე ჩახუტებული წამოიყვანა... უგონოს ფეხები მდელოზე მოსთრევდა, კვნესა აღმოხდებოდა და თავის დედას ჭირვეულად უხმობდა:

– დია, იან!

– ნუ გეშინია, მეც დედა ვარ, დაწყნარდი, დაწყნარდი! – ჩასჩურჩულებდა პისტი.

ასე მიაღწია სამზადამდე, მეორე საწოლზე წამოაწვინა. ფეხებზე „ბატინკები“ გახადა, შარვალი გააძრო. ბიჭს თეთრი, ქათქათა ბარძაყები ჰქონდა, დედიკოს შვილობა ეტყობოდა. პირველად თუ გავიდა შინიდან – ამათ ასაკში ხომ თოფს ეთამაშებიან, სიკვდილი ეიოლებათ.

გიასკენ მოიხედა. შფოთიანი ძილი შებრუნებოდა, ოხრავდა, კბილებს ახრჭიალებდა, სიზმრის ომს განაგრძობდა სიზმრის მომხდურებთან.

„იქნებ მეც სიზმარში ვარ!“ – ფიქრობდა პისტი. ალბათ, მთელი საუკუნე გავიდა იმ წუთიდან, როცა დიდი მდინარე გადმოცურა, რათა საკუთარი სახლის ნახანძრალი ეხილა, მზე კი მხოლოდ შუბისტარზე ავიდა, ჩრდილები დამოკლდა, ჰაერი დაიხუთა.

როგორღა უნდა მოევლო ორი მძიმედ დაჭრილისათვის, ეს თვითონაც არ იცოდა, მაგრამ ის კი იცოდა, რომ ორი დაღუპულის კვალი დროზე უნდა გაექრო.

ძიკის ზმუილი მოესმა. ძროხას, ალბათ, მზე მიადგა. პისტიმ ახლა იმას მიაშურა. ძიკის ბაწრის სიგრძეზე ბალახი წმინდად მოეძოვა და პირს სიმინდისაკენ იშვერდა.

პისტიმ ძროხა სხვაგან გადააბა, მზერა ყანას გადაავლო, „გასათოხნია!“ თავში გაუელვა და ეზოში შებრუნდა. საჩეხში მიგდებული ძველი ჭილობი წამოათრია, მიცვალებულებს გადააფარა. მიწა სწრაფად მიაყარა, მოასწორა. მორჩენილი ბოსტანში გაზიდა. ახალ საფლავზე დამტვრეული ტოტები დაყარა შესანიღბად.

„მაპატიე, გუჯა“ – ერთხელაც მოუბოდიშა ქმრის სულს.

კვლავ გადაიგუგუნა ვერტმფრენმა. პისტი ჩრდილში გაჩერდა და იქიდან უყურებდა. ვერტმფრენი სამზადის თავზე დაეკიდა, ნელა შეტრიალდა. პისტი მიხვდა, ძიკი შეამჩნიეს. ღია კართან გადმომჯდარმა კაცმა ავტომატი გადმოიღო, დაუმიზნა. პისტის უნდოდა ჩრდილიდან გამოსულიყო, შეეძახა, მაგრამ დაჭრილები გაახსენდა და თავი შეიკავა... იმ კაცმა ავტომატი უკან წაიღო, ვიღაცას სიცილით გადაულაპარაკა. ვერტმფრენი შექანდა და გაფრინდა.

შვებით ამოისუნთქა პისტიმ. ნახანძრალთან შეყოვნდა. ნაკვერჩხლები თითქმის ჩაფერფლილიყო. მსუბუქი ბოლი ფოფინობდა აქა-იქ. ნემსის სალირალი არაფერი დარჩა, ესაა, ერთი ქვაბი რძე წამოადუღა. გაახსენდა, რომ დღეს პირში ლუკმა არ ჩაუდვია, დაჭრილებსაც რძეს თუ დაალევინებს...

სამზადის კარს რომ მიუახლოვდა, ზამბა-

რის ჭრიალი მოესმა. გიამ შეიგინა.

პისტი სწრაფად შევიდა.

გიას თავი ბალიშიდან აუწევია, თვალები უელავს... მეორე საწოლზე მიგდებული დაჭრილიც გონს მოსულა, გაკვირვებული აქეთ-იქით იყურება... გიას ბრაზიან მზერას რომ წააწყდა, შიში დაეტყო... ამასაც თაფლისფერი თვალები ჰქონდა.

- ია ანჩვა*! - უნებლიეთ ღმერთი ახსენა.

- პისტი-დეი, ეგ ვინ მოგითრევია! - მღელვარებისაგან გიას ტკივილები დაავიწყდა. - ეგ ხომ დავბრიდე!.. ორი დანარჩენიც!.. გადარჩენილა ეგ ძაღლთაპირი! მაგისი დედა... მოიტა ავტომატი! სადაა ჩემი ავტომატი!

ავტომატი აქამდე საწოლის თავზე ეკიდა, პისტიმ ჩამოხსნა და უფრო შორს, კუთხეში მიაყუდა.

გიამ განცვიფრებით გააყოლა თვალი.

- აფსუას იცავ, ჩვენს მტერსა და მოძულეს?!

- დაწყნარდი, ის დაჭრილი და უღონოა! - ხმადაბლა, შეუვალი სიმტკიცით თქვა პისტიმ.

- Что он хочет? он хочет меня прикончить? - იკითხა რუსულად აფხაზმა.

- ნუ ღელავ, ანრა-ჭკუნრა**, ხელს ვერავინ გახლებს!

აფხაზურმა ბიჭი გააოგნა, თვალები გაუფართოვდა და გულუბრყვილოდ იკითხა:

- დი, აფხაზი ხარ?

- არა! - უნებლიეთ გაეღიმა პისტის. - მე ნან ვარ, ზვიადის ნან!

- ესაა ზვიადი?

- არა, ზვიადი ომშია! სადმე ხომ არ შეგხვედრია ჩემი ზვიადი?

აფხაზმა თავი გააქნია, მის თვალებში კვლავ შიში და უმწეობა აისახა.

- რძე დალიე! - აუღელვებლად უთხრა პისტიმ, თავქვეშ მკლავი ამოუდო, გულში ჩაიხუტა და ჭიქა პირთან მიუტანა.

სიცხიანი ჰყავდა ერთხელ ზვიადი, ასე იხუტებდა მის თავს და ასე ასმევდა რძეს.

- რა გქვია?

- ასტამურ წვიჟბა!

- ჰო, ასტამურ, იქნებ სადმე ჩემს დაჭრილ ზვიადს შენი იანი ასმევს რძეს! საცოდავი დედაშენი!

- ეგ სახლებს წვავდა, სულ გადაწვა აქაურობა! - ჯავრით ამოიხრიალა გიამ. - შენს სახლსაც მაგან მოუკიდა ცეცხლი! მერე ტყვია მესროლა, დიახ, მაგან მესროლა!

პისტი გაყუჩდა, თავდახრილი უსმენდა, მერე ასტამურს შეხედა.

ბიჭის თვალებში უიმედობა ამოიკითხა.

- სახლი არაფერია, სახლს ახალს ავაშენებთ! - ამოიოხრა პისტიმ. - ამან გესროლა, შენც ესროლე, ომია და იმიტომ, - ხმაში მღელვარება შეეპარა, თავი მოთოკა და წყნარად დაამატა: - რაც იყო, უკვე მოხდა, უკან ვერ მოაბრუნებ! ახლა ორივენი უღონონი ხართ!

- რას ამბობ, პისტი-დეი, რას?! ეგეთები რომ ვართ, იმიტომ გვჭირს, რაცა გვჭირს! ვიღაც გადამთიელი ოხერი საიდანღაც ჩამოეთრა, ჩემს მიწას დაეპატრონა, გამათახსირა, გამაუბედურა!.. ეს აფსუა-ნაძირალები, ეს გამყიდველები, ჩვენი მოძულენი, უსამშობლონი!.. - გიას ხმა გაებზარა, ხელზე იკბინა, თითქოს არ კმაროდა ნატყვიარი, იმ ტკივილს ამ ტკივილს ამატებდა.

- Что он мелет, что? - მოულოდნელად ღონე მოეცა ასტამურს, იდაყვებზე წამოიწია. - უარა უზუსდა*? Ты сам убирайся из моей Абхазии, вот за рекой и есть твоя родина... უნწ-უნწ!

ღონე წაერთვა, ბალიშზე მიესვენა, ხშირ-ხშირად სუნთქავდა, სიბრაზისაგან ტუჩებს იკვნეტდა და უღონოდ იმეორებდა:

- ია სარა, ია უარა, უნწ-უნწ**!

- ა, რა უნდა გააგებინო ახლა ამას? - გია სასოწარკვეთილ ჩურჩულზე გადავიდა.

-Ты сам ничего не понимаеш! - ძლივს წაიჩურჩულა ასტამურმა. - ახეილაგა***!

შუბლი დაეწინწკლა, გაყუჩდა, იქნებ გონი დაკარგა ან ჩაეძინა.

პისტიმ შუბლი შეუმშრალა, თმაზე ხელი გადაუსვა, „დამშვიდდი, ახშიარა, დამშვიდდი!“ - ჩასჩურჩულა.

- დი! - თავისი სიზმარეთიდან ამოსძახა

------

* ღმერთო (აფხ.)

** დედაშვილობა (აფხ.)

-----

* შენ ვინ ხარ? (აფხ.)

**ან მე, ან შენ, გაეთრიე! (აფხ.)

***ტვინარეული (აფხ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა


ასტამურ წვიჯბამ და სუნთქვა დაუამდა. პისტიმ მოიხედა. გიამ პირი კედლისკენ მიაბრუნა, ჯიუტად სდუმდა.

- თუ ასე იჩხუბებთ, უტყვიოდაც დახოცავთ ერთმანეთს. - შუბლზე ხელი შეახო, სიცხე ოდნავ დაკლებოდა. - დამშვიდდი, სიმშვიდე შენი წამალია! გავალ, ძროხას მივხედავ!

მზე დასავლეთისკენ გადაიწია, ჩრდილები დაგრძელდა. ძიკი სიცხისაგან დარეტიანებული იდგა, იცოხნებოდა.

პისტიმ ძროხა წინაეზოში გადაიყვანა, წყავის ჩრდილში დააბა. ვედროთი წყალი მოუტანა, დაელოდა, სანამ ამოსვლეპდა.

სამზადში უხმაუროდ შეიპარა, ბიჭებს დახედა.

ასტამური ღრმა ძილში ჩაფლულიყო. ხანდახან გრძელი, ქალური წამწამები შეუთრთოლდებოდა, შუბლი შეეჭმუხნებოდა, თითქოს ტირილს აპირებსო, ბაგე დაემანჭებოდა.

გიას არ ეძინა, თვალი მოარიდა ქალს.

- გტკივა? - ჰკითხა პისტიმ.

- ყრუდ! - ერთხანს იყოყმანა, მერე ალალად ახედა. - მაპატიე პისტი-დეი, ძალიან ავღელდი!

- ჰო!

- გული ბოლმით გამისივდა, იმდენი უბედურება ვნახე, ასი წლის კაცს არ დაესიზმრება. ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ასე მგონია, დიდი ხანია დავბერდი... იცი, ესენი რას გვიშვრებოდნენ?

- ვიცი, სქუა! - ამოიოხრა პისტიმ. - ეგერ ჩემი გუჯა ლობესთან მიმარხია. ამდენი წელი ერთად ვიცხოვრეთ, მე კი წესიერად ვერც დავიტირე... ნეტავი ჩემი ზვიადი მელირსებოდეს!

გიამ ცოტა ხანს იყუჩა.

- ეს ლაწირაკი მართლაც პატარაა!

- ჰო, პატარაა!

- სულელია!

- ჰო, სულელია!

- გამოუტენეს თავი სისულელეებით, ხელში ავტომატი მისცეს...

- ჰო!

- მართლა კი არ მინდოდა ამისი მოკვლა, დაჭრილის მოკვლა რა ვაჟკაცობაა!

- ჰო, სქუა!

გიამ კვლავ იყუჩა, მოუსვენრად აწრიალდა.

- იცი, პისტი-დეი, შეიძლება ჩვენებმა მოძებნონ, ამას რომ იპოვნიან, დაბრიდავენ. ხომ გესმის, ძალიან გამწარებულები არიან.

- მესმის!

- მოდი რა, ვუთხრათ, ვითომ შენი ზვიადია, მეგრელი ბიჭია, მე რომ მესროდნენ, ამასაც მოხვდა... ჯერ პატარაა, ვინ იცის, ხვალ რა იქნება!

- ჰო, სქუა, ასე ვქნათ! გული დაიწყნარე, სიცხიანი ხარ და ნუ დაიღლები. დაღამებამდე რომ მივაღწევთ, სოფელს დავივლი, რაიმე ორთვალას ვიპოვი, აქაურობას გაგარიდებთ.

გია კედლისაკენ შებრუნდა.

პისტი ჯორკოზე ჩამოჯდა, ზურგით კედელს მიეყრდნო. ახლაღა იგრძნო, რა საშინლად დაქანცულა, ხელ-ფეხი უბჟუოდა, სახსრებში ამტვრევდა... თვალი მილულა, ბურანში ჩაიძირა. ფიქრი ნელა, ზარმაცად ზოზინებდა. ვითომ გუჯას ხედავდა. ახლად მომთავრებული ოდის წინ ისხდნენ ის და გუჯა. პისტის დაღლილი ხელები მუხლებზე დაეწყო, გუჯა კი ყალიონს ექაჩებოდა ნებიერად. ზვიადი ეზოში იდგა, წყავის მაღალ ტოტს მისწვდენოდა, ჩაშავებულ მტევანს წყვეტდა. „რამსიმაღლე გაიზარდა! - თქვა გუჯამ. - გამასწრო კიდეც! თუ დამიჯერა, გაისად ცოლს შევრთავ! თოდუების თინიკოს მოვუყვან, ისეთი გოგოა, ჩვენს ზვიადს რომ შეეფერება!"

ცხადად ჩაესმა პისტის ეს სიტყვები და უცებ თითქოს მიწა იძრა. სახლი შექანდა. გუჯა და პისტიც შექანდნენ, ზვიადი კი დაილია, დაილია და გაუჩინარდა... „ზვიად, სქუა!" - ამოიკვნესა პისტიმ და გამოეღვიძა.

ასტამურს თვალი გაეხილა და უყურებდა.

- უკეთა ხარ?

ბიჭმა თავი დაუქნია, მერე ზურგით შებრუნებულ გიასკენ გაიხედა.

- Он спит?

- ჰო!

- Знаете, დი, наши раненых не бросают, они придут и если его найдут, - თვალებით გიაზე უჩვენა, - расстреляют!

- ჰო ვიცი! - წყნარად შეეპასუხა პისტი.

- Если наши придут, скажем, что он абхаз, что он мне родственник!

ეროვნული ბიბლიოთეკა



პისტიმ გიას გახედა, იმას თვალი გახელილი ჰქონდა, კედელს მისჩერებოდა.

- გია, გესმის?

- მესმის! - გიამ თავი ნელა მოაბრუნა, ასტამურს გახედა და ჩაილაპარაკა: - უყურე შენ ამ წვიჟბას! - ბალიშიდან თავი ასწია, ტკივილისაგან შეიჭმუხნა და ყური მიუგდო: - ჩუმად!

სადღაც მანქანის ხმა მოისმა, ჯერ სუსტად თუხთუხებდა, მერე მომძლავრდა, ღმუილში გადაიზარდა.

- ბეტეერია! - თქვა გიამ. - რუსები იქნებიან! პარტიზანს ისინი თავზე ხელს არ გადაუსვამენ!

- Абхазов они не трогают, - ასტამურმა დაიმორცხვა, ხმა ჩაუვარდა. - я им скажу, что вы тоже абхазцы!

- სუ! - პისტიმ თითი პირზე მიიდო. - იქნებ ვერც შეგვამჩნიონ!

უხმოდ უგდებდნენ ყურს. ბეტეერის ხმა რახრახითა და ღრიალით მოიწევდა.

- აქეთ გადმოუხვია! - პისტიმ სარკმელში შეაღო და ფრთხილად გაიხედა. სარკმელი ასტამურის თავთან იყო და ბიჭიც ცდილობდა გაეხედა.

- ჩვენს ორღობეში მოდის... გაჩერდა!

ბეტეერი მინჯიების ჭიშკართან იდგა, ძრავა თანაბრად გუგუნებდა, ალბათ გზის გაგრძელებას აპირებდნენ.

უკანა კარიდან ოფიცერი და ჯარისკაცები გადმოხტნენ, ხელში ავტომატები ეჭირათ, ერთს კი ყუმბარმტყორცნი.

- А вот и корова! - მხიარულად შესჭიხვინა ერთმა.

- Осторожно, может кто увидит, гауптвахту не оберешся!

- Да нет здесь никого.! - კვლავ პირველმა წამოიძახა.

ეზოში შემოცვივდნენ და ძიკის შემოეხვივნენ. შეშინებული პირუტყვი განზე გახტა, მაგრამ მოკლე ბაწარს ვერ გაექცა და წუთის შემდეგ ხორხოცით მიარბენინებდნენ ჭიშკრისაკენ.

- ძიკი წაიყვანეს! - საწყლად დასცდა პისტის და სარკმელს მოშორდა.

უცებ ასტამურ წვიჟბამ ტკივილებს სძლია, ძალა მოიკრიბა და სარკმელში გასძახა:

- აურუს*, Я абхаз, а это моя корова! - ხორხოცი შეწყდა, ნირშეცვლილი რუსები შემობრუნდნენ, სამზადისაკენ გამოიხედეს.

- Йо-мое, засекли! - წამოიძახა ოფიცერმა.

და მაშინ იმ ერთმა, ყუმბარმტყორცნიანმა, იარაღი შემართა.

- არა, არა! - შეჰკივლა პისტიმ და იმ წამს რაღაცამ იქუხა, თითქოს მთელი დედამიწა დაიმსხვრა... ცეცხლი, ზრიალი, გუგუნი - ყველაფერი ერთმანეთში აირია და პისტი სადღაც ბნელეთში გადავარდა.

დიდხანს ეგდო უგონოდ, მერე გუჯას ხმა მოესმა: „ადე, ქალო, რა დროს ძილია, მიხედე ბავშვს!" პისტიმ თვალი გაახილა, მიმოიხედა. თავზევით ჭერი ჩამოწოლილიყო და ცეცხლი ლოკავდა. სამზადის წინა კედელი შემოენგრია ჭურეს, აფეთქების ტალღამ კი უკანა კედელთან მიაგდო პისტი.

„ბიჭები" - თითქოს თავში ჩაქუჩით ჩააჭედეს ეს ერთადერთი სიტყვა.

ასტამური ნაფლეთებად ქცეულიყო, მხოლოდ მწყაზარ, ბავშვურ პირისახეზე არ ეცხო წვეთი სისხლი, ღია თვალებში გაკვირვება იკითხებოდა.

გია გარდიგარდმო ეგდო, თავი საწოლის კიდეზე ეკიდა და მის თაფლისფერ თვალებში სიცოცხლე ჩამქრალიყო.

- ვაია, ვაია, სქუალეფი! - შეჰკივლა პისტიმ და მკერდზე მუშტი დაიშინა...

***

მზე დასავლეთში ჩაესვენა, ბნელი, კუნაპეტი ღამე მოვიდა.

პისტი ეზოში, პატარა ჯორკოზე იჯდა.

ხელმარცხნივ გია ესვენა, ალშიბაია, ხელმარჯვენივ ასტამურ წვიჟბა.

ცა მოიჭიქა დიდრონი ვარსკვლავებით, „ზვიადის ვარსკვლავი" დასციმციმებდა პატარა, ბნელ ეზოს.

ცვილისფერი დაჰკრავდა გიასა და ასტამურის სახეებს, ოცდამეერთე საუკუნის მოქალაქეებად დაბადებულებმა ვერ გადაცურეს სიძულვილის ქარაშოტიანი ოკეანე.

„ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო არაბი და არც მეორე ვენეციელი.

ორთავენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ".

2. 08. 98

* რუსო (აფხაზ.)

# ბაღათერ არაბული



## ამავე ლექსს

მიტოვებული დარში, ავდარში
იცხოვრებ ქვეყნად
უცხო დარდებით,
შენს სახილველად არვინ გადაშლის
იმ გვერდს, რომელზეც დაბინავდები...

გამომწყვდეული ფურცლების შიგნით
ინატრებ დახსნას ცრემლით,
ღაღადით
და შენთვის ციხე იქნება წიგნი,
ხოლო საკანი - თეთრი ქაღალდი...

მიუსაფარმა,
ტრელმა, ობოლმა
ეკლიან გზებით უნდა იქროლო,
შენ მარტოობის ფრთებზე შობილო,
მარტის კვირტივით ნედლო სტრიქონო...

* * *

თანდათანობით იბინდება მდინარის სიმი,
ქრება მინდორიც რომ ელავდა ათას ფერებად
და უთრთის ფრთები,
გალუმპული ღამეულ წვიმით,
უბედნიერო ბედნიერებას...

ყვითელ ფოთლებით
იფარება ბილიკი ბოლოს,
ჭკნება სურვილიც
და ოცნებაც ცაში აფრენის;
ბედნიერება გაზაფხულის ნისლია მხოლოდ, -
ღმერთებისაგან საცდუნებლად გადმონაფენი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ოკეანე

ელება თრთოლვად სევდა ფარული
და ყინულივით მზეზე კრიალებს,
წევს მოთენთილი და დაღალული
მიძინებული თვლემს ოკეანე...

შემოსალტვია: სივრცე ვრცეული
და მობიბინე მწვანე ნაპირი,
ქარი ზეციდან ჩამოქცეული,
ჩამოქროლილი, ჩამონაბერი..

და ემმანება უცხო და შორი,
სულ მოგუგუნე და მოფრიალე,
ვით მეგობარი და გულისსწორი,
სხვა სამყარო და სხვა ოკეანე...

სიმწრით ილვიძებს და ყალყზე დგება,
სივრცეს ველური გნიასით ავსებს,
თავგამეტებით აწყდება გემბანს
და ქაფის თრთვილი აყრია ტანზე...

მიუკარები, ბნელი და ქუფრი,
ქვეყნიერების შიშით მზარავი,
მოანთხევს ტალღებს და გვემუქრება
ქვესკნელს ჩაქცევით, ჩანთქმით, ჩალალვით...

ჯერ კი ერევა სევდა ფარული
და ყინულივით მზეზე კრიალებს,
წევს მოთენთილი და დაღალული,
მიძინებული თვლემს ოკეანე...

* * *

... მორჩა.
      გათავდა.
უკვე პრაქტიკულ
და ყოველდღიურ წვრილმანს ვეჩვევით
და სილამაზის მძიმე რიკულიც
გზაზე ბუზღუნით მიგვაქვს ბეჭებით...

მორჩა.
      გათავდა.
დღეს შორეული
სიმაღლეები აღარ გვიზიდავს
და მოთენთილი ჩვენი სხეულიც
ვერ აფრინდება უკვე მიწიდან...

ეროვნული
ბიბლიოთეკა



* * *

შენ საით მიხვალ?
ან რა სევდა გაწევს, ღრუბელო?
მონარნარეო ცათა დარბაზში,
შორეულ გზების ეკლიანი ქარი უბერავს
ბოროტი მეტრფე მაგ სილამაზის...

ნუ მიენდობი, მაცდურია ისევ და ისევ
მისი ალერსი, ვნებიანი მისი ფერება,
სევდა გერჩივნოს
და სიკვდილი საკუთარ ცის ქვეშ
უცხო მხარეში ბედნიერებას...

* * *

(ფრაგმენტი)

უბელო ცხენის ჭენებ-ჭენებით
მე ვბრუნდებოდი შენი გულისთვის
ენაცვლებოდნენ ჭალებს ჭალები
ხშირი ფოთლების ყვითელ ბურუსში...

შორს კი დამეულ ნისლით და ქარით
დასახლებული ქედები იწვნენ
და ფოთოლივით ფერმკრთალი მთვარეც
იდუმალებით ავსებდა სივრცეს...

## ქარი

ლემადღედ უნდა უვლიდე თავზე
მთებს
და მაგ ხმაზე თრთოდნენ ქედებიც,
შენ კი... შეუცნობ წუხილით სავსე
ქალაქის მტვრიან ქუჩებს ედები...

და მილეული ბუღით და ხვატით
მტკვრის დაღლილ მხრებზე ჩუმად ისვენებ;
სიზმრად გდევს ვრცელი მინდვრების დარდი
და ნისლიანი მთების სისველე...

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ტაძარი ღამით

(ესკიზი)

თრთოდა ტაძარი და სანთლის შუქი
ირგვლივ არხევდა სინათლის სიმებს
და ღლით დაღლილი ლანდებიც უკვე
გადმოდიოდნენ კედლიდან მძიმედ...

ჩუმი ჩურჩულით,
ლიცლიცით, მღერით
ქართან ცეკვავდნენ ჩრდილების ცეკვას
და რიყრაყამდე ისმოდა მერე
ძილგამკრთალ ტაძრის ზარების რეკვა...

## წარწერა ტაძარზე

...ვის მივაყენო კარზე მწყეველი?
ან დასაწყევად რა დავუბარო?
ვინ ხელჰყო შენი სასუფეველი,
ან სიძლიერე შენი, უფალო?..

ჩამოშლილია ტაძრის კედლები
და წვიმის ცრემლი ჩამოსდის ფრესკებს...
ვის აღვუვლინო ლოცვა-ვედრება?
ან სად გეძებო? - ზესკნელს თუ ქვესკნელს?..

სად?
სად? გიგულო ყოვლის მძლეველი
და მზის შუქივით წმინდა, უბრალო?!
სად ვპოვო შენი სასუფეველი
და სიძლიერე შენი, უფალო?!

* * *

(ციკლიდან „დაცლილი სოფლები“)

დაშლილ ლობეზე იჯდა მამალი
(მამალი, რა თქმა უნდა, ამალით!).

ამალა ყველა მსხვილ-მსხვილ, წვრილ-წვრილით,
ყველა ღელღით და ყველა წიწილით...

ბევრის მომსწრე და
ბევრის მომთმენი
იქვე ლობესთან იჯდა თითელიც...

თოთელს გულ-ღვიძლში ეჯდა მაცილი,
თოთელს შვილ-ბოლო ჰყავდა გაცლილი...

•

დაშლილ ღობეზე იჯდა მამალი,
(მამალი, რა თქმა უნდა, ამალით!).

## მუცოს ციხე

გტკივა სხეულზე ყველა იარა,
და განკურნების დღეებს მოელი..
ნისლში ინთქმება დასალიერი, -
თეთრი საზღვარი უსაზღვროების...

და სასახელო ბრძოლებით სავსე
გიხმობს წარსულის დიადი ლანდი
და ღამის ბინდად გეხვევა ტანზე
უკვე ჩავლილი დღეების დარდი...

* * *

ო, შაღრევანო, რას შეგადარო? -
შენ, სევდიანი ბაღების მკვიდრო...
ოდეს ციური გერქვა ავდარი,
უკვე წასულა ის ჟამი, ის დრო...

დღეს კი გედივით ყელაწეული
და მოწკრიალე, როგორც ექვანი,
დგახარ და მზეზე გითრთის სხეული,
სავსე წუხილით და კაეშანით...

* * *

ვუძღვნი ბიძის ხსოვნას

მორჩა თამაში,
შენ გძინავს დაღლილს
და ფარდასავით ეშვება მიწა,
სევდით ავსილი სამარის სახლი
გარე სამყაროს სცენისგან გიცავს...

მოწყენილია შენი გუთანი
და მოშიშარი შენი სიშორის
წუხს ყანა ასე ნასათუთარი -
ყვითელი დროშა მარადისობის...

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მიხო მოსულიშვილი

## თეთრი ლაშქარი

/პიესა ორ მოქმედებად/



შესასრულებელი როლები:

1. პეტრე შალიკაშვილი - პროფესორი, იგივე სიმონ ჩალაძე.
2. პოლკოვნიკი ვახანია, „პანტერას" მეთაური - პოლკოვნიკი იბრაჰიმ ბეკ-იდრისოვი, „ჯიგიტის" მეთაური.

| „პანტერას" მებრძოლები: | „ჯიგიტის" მებრძოლები: |
|---|---|
| 3. ჯიქი | - უბაიდი |
| 4. ნინძა | - აკულა |
| 5. არსაითი | - ჯიბრაილი |
| 6. ბაგირა | - გიურზა |
| 7. რემბო | - კაზაკი |
| 8. მანაგუა | - ასსა |

9. ქანრი ქარდავა - უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
10. ჯერი ადამსი - ვიცე-პოლკოვნიკი } — გაეროს სამხედრო დამკვირვებლები
11. ტომ სიბბერი - კაპიტანი }
12. ჩუმადანა - კაცი ჩემოდნებით.

შაოსანი მშობლები, ოფიცრები, ჯარისკაცები.

მოქმედების დრო: 1993 წლის აგვისტო.
მოქმედების ადგილი: ქალაქ სოხუმის შემოგარენი.

---

### I მოქმედება

#### სცენა I

/ჩამონგრეული, ნახანძრალი შენობები. ჭურვებით გადათხრილი ქუჩა. ერთგან მიცვალებული აგდია. შემოდის ორი ჯარისკაცი ლაქებიანი ფორმით. ჯიქის შავი ნაჭრით წაუკრავს თავი, შავი სათვალე უკეთია და, რა თქმა უნდა, შეიარაღებულია „აკაესის" ავტომატით, ლიმონკებით, რევოლვერით. უკეთია „პორტუპეი" - მხრებზე გადაჭერილი თასმებით ქამარი. აცვია ჟილეტი, თორმეტი მჭიდით. მეორეც ასევეა შეიარაღებული, „პორტუპეის" გარეშე - ეტყობა, ოფიცერი არაა. ასაკით პატარაა, საკაცე მოაქვს, ქუდი უკუღმა ახურავს, ზონზროხია და მოუსვენარი - ეს ნინძაა/

ჯიქი. ესეც გავასვენოთ და გავუშვათ.

ნინძა. ჰო, გაივსო უკვე /საკაცეს დადებს მიცვალებულთან/.

ჯიქი. /დაბარბაცდება/ უხ, შენი!..

ნინძა. რა იყო, გაქრიალებს?

ჯიქი. ორი ღამეა ვერ დამიძინია, ვეღარც საჭმელს ვჭამ და თავი მისკდება... რემბოც როგორ დაიკარგა, ტო!

ნინძა. სიგარეტი მაინც გვქონოდა.

ჯიქი. ცალკე ეს მიშლის ნერვებს! გული მერევა ამდენი უბედურების გახსენებაზე!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინძა. აუ, როგორ დაუფლეთია! მე ფეხებიდან ავწევ, რა! /გვამს ფეხებში წაეტანება და თვალებს დახუჭავს/.

ჯიქი. ავწიოთ /იღლიებიდან ასწევს და საკაცეზე დაასვენებენ/. მოიცა, თავბრუ დამეხვა! /ჩამოჯდება/.

/შემოდის ბაგირა, ლაქებიან ფორმაში გამოწყობილი, მომხიბლავი ქალი, მოკლედ შეჭრილი თმით. შავი სათვალე უკეთია, მხოლოდ ავტომატის მაგიერ „ესკედე", სნაიპერის ვინტოვკა ჰკიდია/.

ბაგირა. ჰა, რავა ხართ, ფოთლებო?

ნინძა. ეს ვერ არი, გული უფართხალებს.

ბაგირა. ჰა, არ მოკვდე, ლომო! აჰა, კოფეინი დალიე! /ჯიბიდან წამალს ამოიღებს, გაუწვდის/.

ნინძა. სწორია, ხო იცი, დალიე ერთი კაკალი კოფეინი და გაგივლის.

ჯიქი. /წამალს გამოართმევს, დალევს და ბაგირას საყურეზე გაეთამაშება/ „ვითა პეპელა არხევს ნელ-ნელა..."

ბაგირა. /წამოდგება/ ეგ ლექსი ბებიაშენს უთხარი! ეს არი ავად? ოხ, თქვენი ბაცანა დედა ვატირე წარამარა!

ჯიქი. რა გინდა, ბაგირ, რას გადაგვეკიდე, ნინძა უდედმამოდ გაიზარდა ბავშვთა სახლში, დედაჩემს კიდევ ტირილი უნდა?! ბებიაჩემი კიდევ მუხათგვერდში წევს...

ნინძა. ისეთ ხასიათზე ჩანხარ, შეიძლება ჯიბიდანვე გვესროლო!

ბაგირა. ჰო, ამ გახსენებაზე, ვიღაცას ჩემი „ქვუტი" ისევ მოუპარავს და მიფრთხილდეს, ცუდად არ დავუმთავრო ბიოგრაფია!

ნინძა. შარია რა! მე რა შუაში ვარ, მანაგუას ჰკითხე!

ბაგირა. ჩემი „ქვუტი" მოიტანონ, თორემ მანაგუა იქნება თუ რემბო, ადგილზევე ეტირება ყოფა!

ნინძა. წადი რა, ქალო, თავი დაგვანებე, რას გადაგვეკიდე...

ბაგირა. რემბოს მაგიერ მე წამოვედი, მითხარით, რა გავაკეთო!

ჯიქი. შენი არაფერი გვინდა, იქნებ სიგარეტი მოგვიტანო.

ბაგირა. მოგიკვდეთ ბაგირა! /ენერგიულად სცემს ბოლთას/. მოკლედ, ეგრე სჯობია, გავალ-გამოვალ, იქნება მოვნეც მოვიყვანო, მაგათი სისხლი გაშრა.

ჯიქი. ომობანას თამაშობ, ბაგირ, და ფრთხილად იყავი, თავი არ წააგო!

ბაგირა. ჩემი საქმისა მე თვითონ ვიცი! /გადის/.

ჯიქი. რა სიაბანდია ეს რემბო, ბაგირა გვინდოდა?

ნინძა. ან ჩვენ რას ვაკეთებთ? ვერ გავიგე, რა საჭიროა ამ გაგანია ომში მკვდრების აკრეფა!

ჯიქი. ეპიდემია იფეთქებს, ჩემი ბიჭი!

ნინძა. წადი შენი... ვინაა შენი ბიჭი! დებილები ხართ ყველანი!

ჯიქი. /დაუყვავებს/ რაკი ამბობ, ალბათ, ვართ კიდეც!

ნინძა. აფსუს, თავი სადღა გამოვყო, ნინძა მაინც არ ვიყო.

ჯიქი. მაიცა, რატო გიტყდება, სვიმონ?

ნინძა. დაზვერვაზე მაინც გავეშვით! „გრობოვშიკებად" გვაქციეს, რა!

ჯიქი. აწიე, თორემ „გრობოვშიკს" გაჩვენებ ახლა.

/საკაცეს ასწევენ და გააქვთ. სიჩუმეა. ისმის ხმა - მანქანა დაიქოქება და მიდის. შემოდის კაცი ორი ჩემოდნით. დაინახავს დაბრუნებულ ჯიქის და ნინძას/.

ჩუმაღანა. ბოდიში, ხომ ვერ მეტყვით, როდის გავა კატარღა მაინცდამაინც ფოთისკენ?

ჯიქი. ეგ შტაბში ეცოდინებათ, ჩვენი ძმა.

ჩუმაღანა. სადაა შტაბი მაინცდამაინც?

ნინძა. შენ აქაური არა ხარ, ბიძა?

ჩუმაღანა. ფოთში მივდიოდი და აქ ამოვყავი თავი.

ნინძა. საიდან მოდიოდი რო?

ჩუმაღანა. ბათუმიდან.

ჯიქი. /გაეცინება/ ეგ როგორ, ტო!

ჩუმაღანა. სამხედროებმა ეიყვანეს კატარღა. რაცხარუცხები წამეიღეს.

ჯიქი. რას იზამ, ომია, ეგეც მოსულა.

ჩუმაღანა. ე, ბიჭო, გამიშვით ფოთში და ჩემზე იყოს პატივისცემა ძალიანი!

ნინძა. ეს მოგზავნილი ხო არ არი, ჰა?

ჯიქი. რატო, რა შეატყე?

ნინძა. ეს ჩემოდნები იქნებ ბომბებით აქვს გამოტენილი? /თვალს ჩაუკრავს/.

ჯიქი. ეშმაკს არ ძინავს, უნდა შევამოწმოთ! /იცინის/.

/იწყება დაბომბვა. ჩაირთვება სირენები. ჭურვები აქა-იქ ფეთქდება. ჩუმაღანა ძირს განერთხმება, ჩემოდნებს იფარებს ზემოდან. ერთი გაიხსნება და სიგარეტის ბლოკები, ბოთლები, კონსერვები გადმოცვივა, რაღაც სხვა ნივთებიც/.

ნინძა. /აფეთქებების ხმაზე წელში იხრება,

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავის მხრებში ჩამალვას ცდილობს/ „გრადებით“ გვირტყამენ ხმელეთიდანაც და ზღვიდანაც, ამათი დედა!..

ჯიქი. /რეაქცია არა აქვს აფეთქებებზე. გახსნილ ჩემოდანთან მივა, სიგარეტის ბლოკს დასწვდება, გახსნის, ერთ კოლოფს აიღებს, იმასაც შემოაცლის ცელოფანს, ღერს ამოიღებს და ეწევა/ ყველაზე ძალიან „ვინსტონი“ მევასება და სწორედ ეს არ გამომიგზავნა ღმერთმა? /ახლა ბოთლს აიღებს, ეტიკეტს კითხულობს/ „ნაპოლეონია“, მე ვიყო კალონკის დირექტორი!

ნინძა. მეც მომაწევინე, რა?

ჯიქი. გამოშტერდი, შე ჩემა?

ნინძა. რათა?

ჯიქი. ტიპი ლიანდაგზე იჯდა, მიიწიე, მეც დამსვიო, - ვიღაცა „ჩმორიკი“ გაეჩითა, ეს პონტია სუფთად. მთელი ბლოკია, მოდი და აიღე!

ნინძა. /მიდის/ უხ, შენი... ერთი უყურე! /ისიც აიღებს ერთ კოლოფს, გახსნის, მოუკიდებს, თან წარამარა იფურთხება/.

ჯიქი. მოიშალე რა ფურთხება, ამაზე კარგი რა უნდა მოწიო, შე ჩემა!

ნინძა. /კონსერვს აიღებს, დაჰყურებს/ თევზისაა.

ჯიქი. /ბოთლს სახურავს მოხსნის/ საიდან მიხვდი?

ნინძა. თევზი ახატია, „ჩმორიკ!“

ჯიქი. მე კი ვიფიქრე, ინგლისური კითხვა ისწავლა-მეთქი. /ბოთლიდან მოსვამს/. რა ხანია, „ნაპოლეონი“ აღარ დამილევია!

ნინძა. მეც დამალევინე, რა! /ბოთლს წაეტანება/.

ჯიქი. სიცოცხლეს არ გაცლის რა ეს კაცი! /უკმაყოფილოდ დაუთმობს/.

ნინძა. /მოსვამს, პირს ააწკლაპუნებს/ ასწორებს!

ჯიქი. /სხვა ნივთებს ათვალიერებს ჩემოდანში/ რა მოგზავნილი, რაის ბომბები, ვერ ხედავ, შე ჩემა, ვაჭარია ვიღაცაა... ეს რაღაა? /ერთ ყუთს გახსნის, ცელოფანს ამოიღებს/ განდონი!

ნინძა. განდონებიც წამოუღია, ამის ახვარი დედა ვატირე... /ერთს აიღებს, გახსნის, გაბერავს/.

ჯიქი. თურქეთიდან მოდის.

ნინძა. ნუ, ჩუმაღან, პაგადი! /მუშტს დაჰკრავს პრეზერვატივს, გახეთქავს/. უნდა დავკითხოთ!

ჯიქი. ეი, ჩუმაღან, საბუთები!

ჩუმაღანა. ვერ გავიგე?!

ნინძა. დოკუმენტები!

ჩუმაღანა. რა დროს საბუთებია?

ნინძა. /ნაგანს ამოიღებს, შუბლზე დაადებს/ ახლავე კომენდანტურაში გადაგცემთ, შე განდონო! პასპორტი-მეთქი! /ჩუმაღანა გაუწვდის პასპორტს/

ნინძა. /ათვალიერებს/ შენ ნახე რა, ვერაფერი გამიგია! /ჯიქის მიაწვდის/.

ჯიქი. /გადაფურცლავს/ საზღვარგარეთისაა. ერთი უყურე, სად არ უვლია - დუბაი გინდა, სალონიკი, რამე, ტრაპიზონი, ისტანბულიც...

ნინძა. მოდი, მეორეც ვნახოთ! /მივარდება, ჩუმაღანას. მეორე ჩემოდნის წართმევა უნდა, ვერ წაურთმევია/.

ჯიქი. გამოიწიე! /ნინძას გამოსწევს, რევოლვერს ამოიღებს/ ამის ახვარი დედა!.. აბა, თქვი: „ააა!“

ჩუმაღანა. რა გინდათ, ბატონო, ჩემგან, რა დავაშავე? გამიშვით და პატივს გცემთ, ნამეტნავად, ძალიანი!

ნინძა. შენი ნამეტნავად ძალიანი დედა...

ჩუმაღანა. რა გინდათ, ძმებო, ჩემგან?

ჯიქი. შენი ძმის დედაც... ახლა დამშვიდდი! დამშვიდდი! ხო „დასპაკოინდი?“ აბა, ახლა პირი გააღე და თქვი: „ააა!“ თქვი-მეთქი! თქვი, რო გეუბნები!

ჩუმაღანა. აააა!

ჯიქი. /რევოლვერის ლულას პირში ჩასთხრის/ ახლა კბილები მოუჭირე, იქნებ არ გავარდეს!

ნინძა. დაიცა, ჯიქი! დაიცა, არ მოკლა!

ჯიქი. ზედ განდონებზე უნდა დავაკლა, ამისი დედა...

ნინძა. /ხელს უჭერს/ არ მოკლა, სულს ნულარ დაიმძიმებ!

ჯიქი. მე რო დავიბრიდები, ჩემი სულის წასაღებად „ვერტალიოტი“ დაჭირდებათ და ეს ერთი გინდა აქეთ ყოფილა, გინდა იქით!

/ჩუმაღანა რაღაცას ლუღლუღებს/.

ნინძა. /იარაღიან ხელს გამოუწევს/ არ გინდა, რო გეუბნები! მოეშვი რა!

ჯიქი. /ბოთლს აიღებს, მოსვამს. ხელები უკანკალებს/ დამებრიდა, რა გინდოდა! ჩვენ აქ ვწყდებით, ამისთანებს კი „კალგოტკები“ და განდონები მოაქვთ, სპილენძი მიაქვთ, ბოზები დაყავთ, ყიდიან, ყიდულობენ... კარგია, არა, კარგი ცხოვრება? ოხ, შენი დედა... თუმცა მე რატო მოგკლა, გადაგეხდება! /რევოლვერს „კაბურაში“ შეინახავს/.

ნინძა. /მეორე ჩემოდანს წაართმევს, სინჯავს/ აქ „კალგოტკები“ და „საროჩკებია“.

ჯიქი. ხო გითხარი! /კონიაკს მოსვამს/.

ჩუმაძანა. რა გინდათ, ბიჭებო, მეც ხომ უნდა ვიარსებო, ძარცვა-გლეჯის საფუძველზე ვერ ვიცხოვრებ ზოგიერთივით და ვჩალიჩობ რაცხას ჩემთვის. სამი მშიერი ბავშვი მელოდება შინ, მოხუცი დედა და ავადმყოფი ცოლი, გულით...

ნინძა. მაიცა, მაიცა ახლა, ნუ შეგვაცოდე თავი!

ჩუმაძანა. რა დავიფიცო, რომ დამიჯეროთ, არ ვიცი პირდაპირ, მართლა მშივრები მელოდებიან!

ნინძა. ამ ჩემ ჭაღარა მთაწმინდას, თუ გელოდებიან. ამას, იცი, რამდენი უცდის? /ჯიქზე ანიშნებს/.

ჯიქი. /ნინძას/ ჩემი ოჯახი არ ახსენო! /ჩუმაძანას/ ეი, ჩუმაძან! მოხიკე ახლა ეს განდონები და აახვიე აქიდან, სანამ გადამიფიქრებია! დროზე ქენი, თორე ბაგირა თუ მოვიდა, ბოზი ვიყო, თუ არ მიგახვრიტოს!

ჩუმაძანა. დიდი მადლობა, ბატონო, დიდი! /ფაციფუცით კრეფს ნივთებს, ჩემოდანში ტენის, კეტავს. მეორე ჩემოდნის ჩაწყობასაც აპირებს/.

ნინძა. კონიაკი და კონსერვ-სიგარეტი ჩამორთმეულია, ხელი უშვი!

ჩუმაძანა. /ერთ ჩემოდანს აიღებს/ აბა, სულ კარგად იყავით, ბატონო, ჯანმრთელობის საფუძველზე, სულ კარგად! /წასვლას აპირებს/.

ჯიქი. /გააცინება/ მოიცა, ფული გაქვს?

ჩუმაძანა. აღარაფერი დამრჩა, სულ აღარაფერი!

ჯიქი. ნუ გეშინია, არ წაგართმევ! სამხედროებს დაუძახე და მანქანით ჩაგიყვანენ ოჩამჩირეში, იქიდან ფოთში აღარ გაგიჭირდება. მოეშვი ამ კატარღას.. თუ თბილისში მიდიხარ? არ დამიმალო!

ჩუმაძანა. კი, დედაქალაქში, ნამეტნავად...

ჯიქი. აბა, რაის ფოთი აგიტყდა! აეროპორტში გადი, მიეცი მაყუთი და გადაგაფრენენ.

ნინძა. აბა, პლეტი აქედან! ჰა-მეთქი! /რევოლვერზე გაივლებს ხელს, ჩუმაძანა გარბის/.

ჯიქი. მაქეთ კი არა, აქეთ, შე იდიოტო! /ჩუმაძანა ახლა მეორე მხარეს გამოიქცევა. სამხედროებს მოშორდება და უცებ თვალწინ ფაფახიანი, ოქროსკბილებიანი ასსა აესვეტება, შუბლზე მიადებს რევოლვერს/.

ასსა. /ჩურჩულით/ თიხა ი ბეზ ზვუქა, ა თო მოზგი ვიშიბუ! პაშლი! პაშლი, გავარიუ! ა თო, ქლიანუს ალლახამ, სრაზუ ქავქაზსკიი გალუსტუქ ნადენუ! თვოიუ მამუ... ფაშლი! /ჯიკავ-ჯიკავით მიჰყავს/.

ჯიქი. ნინძა, ეს აქ დავაყუმბაროთ, დანარჩენი „პანტერაში" წავიღოთ. მოსულა?

ნინძა. მოსულა. /ჩემოდანში აწყობს ბოთლებს, კონსერვებს, სიგარეტის ბლოკებს, დაკეტავს/ მეც დამიტოვე! /გახსნილ ბოთლს გამოართმევს, ცოტას მოსვამს/.

ჯიქი. /კიდევ ერთ სიგარეტს უკიდებს/ სუ არ დალიო, თორე ბაგირა გაიჩითება სადაცაა და ორივეს დაგვბრიდავს!

ნინძა. /ბოთლს შეანჯღრევს/ მართალი ხარ, ხო იცი! პირდაპირ ჯიბიდან გვესვრის!

/შემოდის ბაგირა, კარაბინის ჯიკავით მოყავს პეტრე/.

ბაგირა. აი, მესამე ხმაც მოვედიი! ნახეთ, სიმონ, მოენე მოვიყვანე! მოვიყვანე, ამის ნაბოზვარი დედა ვატირე! პონტი ააგდო, ხო აზრზე ხარ, პროფესორი ვარო! /პეტრეს/ ბაგირასთან ეგეთი პონტები არ გადის, ბიძა! აბა, ჩამოფქვი ახლა, ვინა ხარ, აქ საიდან გაჩნდი, რა გინდა თორეემ... თორემ ჩემი დაგლეჯილი ვენები დამიფიცია, თუ ბოზი კურდღელივით არ გაგაგორო!

პეტრე. მართლა პროფესორი ვარ, გოგონა.

ბაგირა. – არ გვინდა რა, ბიძა, „რიქა" ბაზარი!

/ამათ მახლობლად ძლიერი აფეთქება. ნინძა და ბაგირა ძირს განერთხმებიან. ჯიქი და პეტრე კვლავ ფეხზე დგანან. ჯიქის ფეხებზე ჰკიდია ის აფეთქება, პეტრემ დაწოლა ვერ მოიფიქრა/.

ნინძა. /მოწონებით ამოხედავს/ რაო, ბიძა, შენც ქეიფში ხარ?

პეტრე. /ყურებს ისრესს, აფეთქების ხმამ დააყრუა/ რა ბრძანეთ?

ჯიქი. /ყვირილით/ არ გეშინია-მეთქი?

პეტრე. როგორ არ მეშინია!

ნინძა. /წამოჯდება/ დაწექი მერე, შე ჩემა, მოკვდები!

ჯიქი. /ნინძას ჩააფარებს/ წესიერად ებაზრე! რა იცი, ვინაა!

ბაგირა. ბოზი ვიყო, გინდა ბომბი ჩამოვარდნილა, გინდა ვერხვის ფოთოლი, ერთნაირად მეტირება ორივეზე! ეგრე არ დაიბრიდნენ ტარაკანა და დარიდურა?!

ნინძა. /ბოთლს მიუტანს/ აი, „ნაპოლეონი" დალიე, იუზგარ!

ბაგირა. ჯიგარი ხარ, ჩემი ბიჭი! /მოსვამს/ ისე, საიდან?

ჯიქი. საიდან და გრიქულას ღუქნიდან! შენ დალიე!

ნინძა. რაც მართალია, მართალია - მაგრად გადავრჩით!

ბაზირა. /ცარიელ ბოთლს მოისვრის/ ჯიქი, იცოდე საღამოს „ვერხვები" უნდა მიმღერო, - გადარჩენისა. მოსულა?

ჯიქი. ვნახოთ.

ნინძა. შენც თურქეთიდან ხო არ მოდიხარ, ბიძა?

პეტრე. არა, თბილისიდან.

ჯიქი. /ისევ ჩააფარებს ნინძას/ მოკეტე! გამარჯობა, ბატონო პეტრე!

/ხელს ჩამოართმევს/.

პეტრე. /დაბნეული/ გამარჯობა, მაგრამ ვერ გიცანით.

ჯიქი. /სათვალეს მოიხსნის/ ამ ათიოდე წლის წინ თქვენს ლექციებზე დავდიოდი უნივერსიტეტში. თუმცა საიდან გემახსოვრებით, მე კახა ჯიქიძე ვარ...

პეტრე. აა, ახლა კი გიცანით! თქვენ ჯონ ლენონის სიმღერებს მღეროდით, ქართულადაც თარგმნიდით და სელინჯერი ჰემინგუეის გერჩივნათ. ხომ სწორად მახსოვს?

ჯიქი. მართალს ბრძანებთ.

პეტრე. მერმე დაგიჭირეს, არა?

ჯიქი. კარგად გცოდნიათ, ბატონო პროფესორო, დამიჭირეს და რამდენიმე გისოსებიანი დაწესებულებაც მომატარეს...

პეტრე. ახლა რაღას აკეთებთ, აღარ თარგმნით?

ჯიქი. ახლა? აგერ ჩვენი ბაგირას აზრით, ვერხვის ერთი ჩამოსავარდნი ფოთოლი ვარ და ავტომატს შაშვივით ვაჭახჭახებ ხოლმე...

ნინძა. რა კარგად მოხია, არა?

ბაზირა. დაგლიჯა!

პეტრე. ომი სულ გადამავიწყდა!..

ნინძა. ეს რა კაი ტიპია, ე!

ჯიქი. საომრად ჩამოხვედით?

პეტრე. რაღა დროს ჩემი ომია, „პანტერას" დავეძებ, აღრე აქ იდგა.

ნინძა „პანტერას"?

პეტრე. დიახ.

ბაზირა. რატო ეძებ?

პეტრე. იქ ჩემი შვილი იბრძვის.

ნინძა. სახელი და გვარი გვითხარი.

პეტრე. ლევანი... ლევან შალიკაშვილი.

ნინძა. ეგ რა თქვი, ბიძა! აბა, საბუთი მაჩვენე!

ჯიქი. არ უნდა საბუთი!

პეტრე. /პასპორტს ამოიღებს, მიაწვდის/ ნახოს!

ნინძა. პეტრე ლევანის ძე შალიკაშვილი! მე ვიყო შპროტის ცარიელი კასრი!

ბაზირა. /ისიც კითხულობს/ ვააჰ, ჩემი... ვიბრიდებოდი! აზრზე მოდი, ხიდზე გადი, სიმონ! ჩვენი შალიკას მამა ყოფილა! /პასპორტს დაუბრუნებს/.

ჯიქი. ახლა ხო მიხვდით?! /რაღაცას ანიშნებს/.

ნინძა. მე ვიყო შპროტის ცარიელი კასრი!

პეტრე. თქვენც „პანტერელები" ხართ?

ბაზირა. ჰო.

/სიჩუმეა. იშვიათად ისმის „გრადების" გრიალი/.

ნინძა. მგონი, ამთავრებენ ეს ნაბოზვრები.!

პეტრე. ცუდი ხომ არაფერია?

ჯიქი. არა, არაფერი...

ნინძა. თქვენი სახელი დამავიწყდა...

ბაზირა. ბატონი პეტრე!

ნინძა. ბატონო პეტრე, „პანტერა" აგუძერაშია, მორჩება დაბომბვა და ერთად წავიდეთ.

პეტრე. მითხარით, ცოცხალია ლევანი?

ნინძა. შალიკა ჯიგარი მასტია, მხეცად იბრძვის.

ბაზირა. მაგან „ზადნი" არ იცის!

პეტრე. მაშ, ცოცხალია, არა?

ჯიქი. ვერხვის ფოთლების თეთრ ლაშქარშია! არა, ბაგირა?

ბაზირა. /ჯიქის/ იცოდე, საღამოს უნდა მიმღერო.

ჯიქი. ვნახოთ-მეთქი.

/ქვემეხების კანონადა წყდება/.

ბაზირა. მორჩნენ.

ნინძა. მანქანას დავუცადოთ?

ჯიქი. ის მანქანა მომსვლელი აღარაა.

ბაზირა. აბა, ავახვიოთ აქედან.

ნინძა. წავედით და მეორედ აქ აღარ წამოვალ!

ჯიქი. წავედით.

ნინძა. ეს ჩემოდანი?

ბაზირა. გეკადრება? ჩემი ბიჭი, ჩემი ფოთოლი, ვერხვის ფოთოლი, მოკიდე ხელი!

ნინძა. ამას რა ათრევს იმსიშორეზე?!

ჯიქი. ეგ არაფერი, მოგეხმარები.

პეტრე. მე წამოვიღებ! /ჩემოდანს დასწვდება/.

ბაზირა. /ნინძას საყვედურით/ ეს გინდოდა?

ნინძა. არა, თქვენ არა! /ჩემოდანს აიღებს/ მე წამოვიღებ!

პეტრე. ეს ჩემთვის არაფერია.

ჯიქი. წავედით.

/ყველანი გადიან/.

სცენა 2

/სამხედრო ნაწილ „პანტერას“ დისლოკაციის ადგილი. წვიმს. ერთ მხარეს „პლაშჩ-პალატკაში“ გამოწყობილი მანაგუაა პოსტზე. მოშორებით რკინის კასრი დგას, შიგ ცეცხლი ანთია - იქ არსაითი და რემბო თბებიან/.

მანაგუა. დარიდურ, ტარაკანას დაუძახე და აქ მოდით, რაღაცა უნდა გითხრათ... რა იყო, ტარაკან, სიგარეტი გინდა? არა, არა მაქ, არავის არა აქ, ამათი დედა... ცოტა მოითმინეთ და დავიადებთ, გამოჩნდება ვინმე... ჰო, რა უნდა მეთქვა... /თერმოსს და ჭიქას გამოიღებს ლაბადიდან/, მანაგუა მაქვს, დალევთ? /თერმოსს მოხდის, დაასხამს/ ეს შენ, დარიდურ! /ჭიქას დაცლის/ მხეცი რამეა, „ტრუხა“ კი არაა, შუა აზიისაა! /კიდევ დაასხამს/ ეს შენ, ტარაკან! /იმ ჭიქასაც დაცლის/ მაგრად გაგისწორდებათ! მეც დავლევ, აბა, რას ვიზამ! /კიდევ დაასხამს ჭიქაში, დალევს/. საიდან? გუშინ მაგარ გატეხილში ვიყავი, გავიხედე და ჩაქუჩა არ გაეძრო?! დარიდურ, შენ ხო იცი ჩაქუჩა?! „მეშოკით“ ჩამოიტანა, ხო აზრზე ხარ. ბიჭო, გავსინჯე, მხეცია, მხეცი! ჰა, ტარაკან, ააქ „პრიხოდი?“ ეს ხო მოეხარშე, რაც დარჩა, ცეცხლზე გამოვახმე, გავამზადე და, სხვა გზა არ იყო, ჩაქუჩას მაყუთი უნდოდა, ნახევარზე მეტი იქითა მხარეს გავყიდე - ერთი კაზაკი და ერთიც ასსაა, მაგრად ევასებათ პლანი. არ მენდნენ, ხო აზრზე ხარ, ჯერ შენ მოწიეო. მოვუწამლავდი თუ რა... არა, შეწერება არ წასულა, კაცურად გადაიხადეს... მაიცა, მაიცა, მაიცა დარიდურ, ვიღაც მოდის, თუ სიგარეტი ვიშოვეთ, დავბოლდეთ კიდეც...

/მოდიან ბაგირა, ჯიქი, ნინძა და პეტრე/.

მანაგუა. /ავტომატს „ზატვორს“ გამოუწევს/ სდექ, ვინ მოდის?

ბაგირა. ვინ მოდის კი არა, ჩემი „ეგუტი“ დააბრუნე, თორეე...

მანაგუა. პაროლი!

ჯიქი. „რიწა“!

მანაგუა. /ავტომატს დაუშვებს/ გაიარეთ! /ნინძას/ ეს რა ჩემოდანი დაგიადებია, სიმონ?

ნინძა. თურქეთიდან „დაგვიპადაგრევეს“!

მანაგუა. შიგ სიგარეტიც ხო არ არი?

ბაგირა. სანამ „ეგუტს“ არ დააბრუნებ, მანამდე...

მანაგუა. /„ეგუტს“ მისცემს/ არ გეწყინოს, პონტერ, ტარაკანას და დარიდურას სჭირდებოდათ და ცოტა ხნით ავიღე...

ბაგირა. შენი სისხლი გაშრა, შენი!..

ჯიქი. ნინძა, მიეცი სიგარეტი.

/ნინძა ჩემოდანს გახსნის, ბლოკს მიაწვდის/

მანაგუა. ეს ერთი მე, ერთი დარიდურას, ერთიც ტარაკანას! /სამ კოლოფს აიღებს/.

ბაგირა. ეგრე არა, ისინი აღარ ეწევიან!

ნინძა. გაუშვი, აიღოს და სამი დღე თავისუფალია!

ჯიქი. /ხელს ჩაიქნევს/ იმათ წილს მაინც არ მოწევს!

პეტრე. კი, მაგრამ, აკი ისინი აფეთქდნენო?

ჯიქი. ამისთვის ისევ ცოცხლები არიან.

მანაგუა. ეს ვიღაა?

ნინძა. ჩვენი შალიკას მამაა!

მანაგუა. აუჰ, ეგ რა მითხარით! შალიკა ჯიგარია!

ბაგირა. წავედით /მიდიან ცეცხლთან/.

არსაითი. რა არი, ნინძა, რა მაიტანეთ?

რემბო. /თავის კანტურით ლაპარაკობს, კონტუზია აქვს/ ძალიან მძიმე კი ჩანს, აი!

არსაითი. სტუმარიც მოუყვანიათ.

ჯიქი. /ცეცხლთან ჩამოჯდება/ გაიცანით, პროფესორი პეტრე შალიკაშვილი.

რემბო. /ხელს ჩამოართმევს/ რემბო, „ელპეჩნიკი“ რემბო.

ნინძა. აგი ძილშიაც „ელპეკას“ სროულობს, დეიცობს ყურებს „აკაესის“ ტყვიებით და მიდი-მოვდივარ. ეს ნამეტნავი კანტუზიაც ამიტომ ეიკიდა. /იცინის/.

რემბო. მოკეტე!

არსაითი. /ხელს ჩამოართმევს/ არსაითი!

ნინძა. ამასა კიდევა, ბატონო პროფესორო, თავისი „ტრაფეინი“ „ბერეტა“ აქ. არ გეწყინოთა და ვერც თქვენ გაჩუქებთ, „ტრაფეინია“ და... /ისევ იცინის/.

არსაითი. დადექ, პატრაბიჭო, თორენა იქნება სილაც გამამტყუო!

რემბო. ცეცხლთან მობრძანდით, გათბით. /მოსულებიც ჩამოსხდებიან/.

ჯიქი. /ჩემოდანს გახსნის, ბოთლებს, კონსერვებს და სიგარეტის ბლოკს ამოიღებს/ ეს ვაჭრობის საფუძველზე მცხოვრებმა ტიპებმა გამოაგზავნეს, სულ კარგად იყავით ჯანმრთელობის საფუძველზეო!

რემბო. /სიგარეტს აიღებს, გახსნის, უკიდებს/ დაგლიჯა!

არსაითი. /ბოთლს უყურებს/. კანიაკია?

ნინძა. /იცინის/ მააშ!

რემბო. ეს კანსერვებიც ფირმენიაა?

ბაგირა. მორჩით ეხლა!

ნინძა. მე რა შუაში ვარ?

რემბო. ვქეიფობთ?

არსაითი. გაიქე, ნინძავ, პური და ჭიქები წამაიღე!

ჯიქი. ჩვენ სამი ბოთლი გვეყოფა, დანარჩენი იმათ შევუნახოთ! /ჩემოდანს დახურავს/. ეს წაიღე, ნინძა.

ნინძა. ფეხზე ვეღარ ვდგავარ და მაინც მე უნდა წავიღე?

არსაითი. კარქი, მე წავალ მაშინ /ჩემოდანს დასწვდება და მიდის კოჭლობით/.

პეტრე. რა მოუვიდა?

პანტერა. დაზვერვაზე იყო, ღალმართში ნაღმს დაადგა ფეხი და კოჭამდე გააგლიჯა. პროტეზში უკეთია და მაინც ჩვენთანაა.

ჯიქი. ბატონო პეტრე, ჩვენც ახლავე მოვალთ. წამოდით! /მოშორებით გამოდიან/.

რემბო. აუ, რომ შეხედავ, ეგრევე მიხვდები, რომ შალიკას მამაა ეგ უბედური! იცის?

ჯიქი. არ მითქვია.

ნინძა. გააფრინე? მაგას როგორ ვეტყვი?

ჯიქი. რემბო, შენ ვაჟკაცი ხარ, იქნებ შენ უთხრა?

რემბო. რას ამბობ, ბიჭო, მაგას რავა ვეტყვი?!

პანტერა. /ჯიქის/ შენ უთხარი!

ჯიქი. მე ვერა...

რემბო. ბაგირა, შენ რომ გეთქვა? ქალი ხარ მაინც და...

ბაგირა. ვარიანტი არ არსებობს!

ჯიქი. ნინძა, მოდი, ისევ შენ ივაჟკაცე, ჰა?

ნინძა. მეე? მე რა შუაში ვარ! აი, არსაითი მოდის, იქნებ იმან უთხრას?

რემბო. არსაითო, მეიწი აგერ!

არსაითი. /პურები და ჭიქები მოაქვს/ რა იყო?

ჯიქი. ეტყვი შალიკას ამბავს?

არსაითი. ვისა?

ბაგირა. ვირეშმაკობას მოეშვი, კარგად იცი, ვისაც!

ნინძა. ეტყვი?

არსაითი. რა ბებიათქვენი მუთაქებსა ჩეჩამთ! თუ კარქია, თქვენ უთხარით!

რემბო. ვჩეჩამთ თუ ვართავთ, ვიღაცამ ხომ უნდა უთხრას?

ჯიქი. შეჯდა ვირზე და აღარ ჩამოვა, მოეშვით!

ბაგირა. არადა, როგორი სათქმელია!

ნინძა. მოდი რა, არ გვინდა!

არსაითი. ძაან მეცოდება, ბჯოოვ!

ბაგირა. გეცოდება და გეთქვა!

არსაითი. ბუს უთხრეს, შენ დიდი თავი გაქ, შენ უნდა იტიროო, თუ როგოა, განაღა მახსომს. მეც იგრე ვარ ეხლა...

რემბო. მაშ, ეტყვი?

არსაითი. მეც კაცი ვარ, მკერდში გული მაქ, ქვა კი არა!

ჯიქი. კარგი, მოვა დილაზე ვახ-ვახ-ვახხხ...

ბაგირა. ჰოდა, იმან უთხრას.

ნინძა. ახლა, რა ვუთხრათ.

ჯიქი. წინა ხაზზეა-თქო, არა, პოსტზეა ვითომ.

არსაითი. ჰო, ეგრე აჯობებს.

/მაგიდას დადგამენ, გააწყობენ/

ჯიქი. ბატონო პეტრე, შალიკა პოსტზე ყოფილა და ხვალ მოვა.

პეტრე. მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალია.

ბაგირა. ამაღამ აქ მოისვენეთ და ხვალ ნახავთ.

რემბო. სუფრასთან მობრძანდით, ბატონო პეტრე. აგერ დაბრძანდით. /ყველანი მაგიდას შემოუსხდებიან/.

ჯიქი. თამადად, როგორც ყოველთვის, არსაითი იქნება!

არსაითი. მე რათა, კაცო? ეგე, ნინძა იყოს, მაგან მაგარი შეტევა იცის!

ნინძა. აუ, ეგ რამ გაგახსენათ?

ჯიქი. /პეტრეს/ ეს მაგარი „ბოევიკი" გვყავს. ერთხელ დათვრა და შეტევაზე გადავიდა ღრიალ-ღრიალით, მარტო. კიდევ კარგი, არ ესროლეს.

ბაგირა. ეგრევე იყიდეს, რო მთვრალი იყო!

ჯიქი. იქიდან დაუყვირეს, - იდი გრუზინ დამოი, ტი პიანიო!

არსაითი. ეს ვირგლა კიდევ აზრზე მოვიდა და ისევ უკან მოძუნძულდა... ეხ, ბატონო პეტრე, ნეტაი სუ ეგრე სასაცილოდა გვქონდეს საქმე. ხანდისხან თქვენისთანა კარქი სტუმარი თუ გაგვახარებს ხოლმე, თორენა ძაღლური ცხოვრებაა: უძილობა, პოსტი, სიცივე, მკვდრები... მოდით, ბიჭებო, თქვენი კი ძაან ჭირიმე, თქვენი, აემითი /ჭიქას ასწევს/ ამ პატიოსან კაცს გაუმარჯოს, სტუმარსა, ჩვენი შალიკას მამაა, დიდი განათლებული,

პროფესორი კაცია და ჩამააკითხა შვილსა... იცოცხლეთა და იდღეგრძელეთ! /ჭიქას მიუჭახუნებს ყველას, სვამენ/ ჯარისკაცის მამასავით არ ჩამააკითხა შვილსა?

რემბო. მახარაშვილი! გოდერძი!

ბაგირა. არსაითო, გურჯნი ავტობუს მაიყე?

არსაითი. ეგე რა დღეში მაგდებენ, ბატონო პეტრე!.. დადექ, ბაგირ, თორენა ეხლავე მოვყვები, ჰოენე როგო დაიკითხე!

ბაგირა. მიდი, მიდი, დაგვალევინე, გაშრა ყელი!

არსაითი. ჰო, თან საქმე! აბა, შაამსეთ! /შეავსებენ ჭიქებს/ ამითი კიდევა ჩვენ დაცხრილულ ბიჭებს გაუმარჯოთ! აემ მიწაში რო ჩაკრიფეი ძვლები, იმათი ჭირიმე, იმათი, - ტარაკანასი, დარიდურასი, ოქრო ვანუასი, ტრამალასი... რავი, აბა, ყველასი, მაპატიეთ, თუ ვინმე გამამრჩა... /სვამენ სადღეგრძელოს/.

ბაგირა. კახელო, შე მართლა არსაითო!

არსაითი. ხო არ გაჩერდი, არა? ეხლა მიყურე! ამანა და დარიდურამ, მაშინ ცოცხალი იყო ის საცოდავი, მოენე შაიპყრეს. შიშით იყო გათანგული და ერთი-ორი რო მოედოთ, ყველაფერს დაფქვავდა. ბაგირამ უთხრა დარიდურასა, მოდი, დავალევინოთ და ყველაფერს იტყვისო. ერთი საწყალი ბოთლიღა გვქონდა, აიღეს, წაუთაქეს და ძალით ჩაასხეს. დათვრა ი ჩემი ცოდვით სამსე, გული მოეცა, წამოუხტა და აღრიალდა, - სტრელიაიტე, გადი, ნიჩევო ნე სკაჟუ!

/ყველანი იცინიან/.

ნინძა. დარიდურაზე გამახსენდა, დღეს რა მაგრად გადავრჩით, იცი?

ბაგირა. აბა, ბიჭო, ყურისძირში აფეთქდა...

ჯიქი. მოვრჩეთ რა, დაღლილი იქნება სტუმარი, დავასვენოთ.

ბაგირა. ფუფლო ჭრელია, ჯიქი, მე იმ შეპირებულ სიმღერას ველოდები, მანამდე არსადაც არ წავალ!

ნინძა. მოვიტანო გიტარა?

ჯიქი. მაიცა რა, ბაგირა, ახლა მაგისი თავი ნაღდად არა მაქვს! თუ გინდა, „საყურეს“ გეტყვი.

ბაგირა. ხმამაღლა და გამოთქმით, არა? ეგ ლექსი ბებიაშენს უთხარი! მე კი ვერხვის ფოთლებზე მიმღერე...

ჯიქი. „ვითა პეპელა არხევს ნელ-ნელა სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს, ასე საყურე, უცხო საყურე, ეთამაშება თავისსა აჩრდილს...“

ბაგირა. წადი, შენი...

ჯიქი. „ნეტავი იმას, ვინც თავის სუნთქვას, შენსა ჩრდილშია მოიბრუნებდეს.

შენის შერხევით, სიო მობერვით გულისა სიცხეს განიგრილებდეს!

ჰოი, საყურეო, გრძნებით ამრეო, ვინ ბაგე შენ ქვეშ დაიტკბარუნოს?

მუნ უკვდავების შარბათი ვინ სვის? ვინ სული თვისი ზედ დაგაკონოს?“*

ბაგირა. ვერაფერიც ვერ გავიგე! /ცრემლები ჩამოსდის/ მე ფოთლები მინდა!

ნინძა. მორჩი, ქალო, ცოცხლად ნუ დაგვტირი!

ჯიქი. წამობრძანდით, ბატონო პეტრე, შალიკას საწოლში დაგაწვენთ.

პეტრე. მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალია. აღარა ვჩივი, მთელი სანოვაგე რომ გზაში წამართვეს და ხელცარიელი ჩამოვედი თქვენთან...

არსაითი. ვინა?

პეტრე. არა, არ გვინდა, რა სათქმელია!

ჯიქი. ვხვდები, ვინც წაგართმევდათ. ჩვენ აქ უზურგოდ ვომობთ და ისიც ველარ გაგვიგია, გვაქვს სამშობლო თუ ჩვენ გამოვიგონეთ...

პეტრე. ღმერთი მაღალია, ყველაფერს ხედავს.

ჯიქი. ღმერთი რომ იყოს, ამას დაუშვებდა?

პეტრე. რას?

ჯიქი. რაც აქ ხდება... გინახავთ კოლუმბიური ჰალსტუხი? ცოცხლად დამწვრები? დაკოდილები? დასახიჩრებულები? ღმერთმა ნურც განახოთ! უარესებიც ხდება...

ბაგირა. ჯიქი, არ გინდა, რა.

ჯიქი. რაღაც ისეთი აზრები მაწუხებს, მეშინია, ადამიანი არ შემძულდეს...

რემბო. სტრესი გაქვს და გაგივლის, ნუ გეშინია.

ჯიქი. შენ რო არ იცოდე, ისეთი ხო არაფერია!

არსაითი. აემ ბოლო ჭიქითა, ძმებო, მოდი ჩვენ მტრებსაც გაუმარჯოს! და ისინიც გაანათლოს, ვინც ჩვენ შემოგვაკვდა.

/უხმოდ სვამენ. სიჩუმე ჩამოვარდება ამ დროს ჩოჩქოლი, გინება, გაურკვეველი ხმები აღწევს. ისმის ქალის კივილი. „მხეცებო! ნაძ-ირებო! თქვენ

------

* ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურე“.

არ გაიხარეთ!“ ყველანი ფეხზე წამოდგებიან/.

ჯიქი. მანაგუა, მოდი აქ!

მანაგუა. /მოირბენს/ ამათი დედა...

ბაგირა. რა ხდება?

მანაგუა. დაიცა, ტარაკან, დამაცადე! გაჩუმდი, დარიდურ! მე მათქმევინეთ!

ნინძა. თქვი, რა!

მანაგუა. აფხაზებმა ნეიტრალურ ტერიტორიაზე დაანთეს ცეცხლი და იქიდან ისმის.

/ქალის კივილი/ „მიშველეთ! ხალხი არა ხართ? მიშველეთ! მეხი დაგეცეთ, მეხი! გათახსირებულებო! არაადამიანებო! მიშველეთ! მიშველეთ!“

რემბო. /წამოდგება, იარაღს მოიმარჯვებს/ მე მივდივარ!

ნინძა. მოიცა, მეც წამოვალ!

რემბო. არავინ არ მინდა, მარტო მანაგუა წამოვიდეს!

მანაგუა. მიდი, მოვდივარ! /ორივენი გადიან/.

ბაგირა. მეც დამიცადეთ, თქვე ნაბოზვრებო! /ისიც გარბის/.

ჯიქი. დარჩი, შენ სადღა მიდიხარ!

ბაგირა. წადი, შენი ფუფლო... /გადის/.

ჯიქი. წავედი!

ნინძა. დაიცა, მეც მოვდივარ!

არსაითი. დამიცადეთ!

ჯიქი. შენ აქ დარჩი!

/სცენაზე რჩებიან პეტრე და არსაითი/.

/ქალის კივილი/ „მიშველეთ, ხალხი არა ხართ, მიშველეთ!“

პეტრე. /დაიჩოქებს და პირჯვარს გადაიწერს/. „აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი. ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღმრთივ-დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე და საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ: უფალო, დიდება შენდა“.

/ისმის აფეთქების გრგვინვა/.

არსაითი. მოგვატყუეს, „მასადა“ მოაწყეს! /ორივენი გარბიან/.

სცენა 3

/ძირს რემბო, მანაგუა და ბაგირა ასვენიან. დასცქერიან ჯიქი, ნინძა, არსაითი და პეტრე/.

არსაითი. გასკდა ეს გასახეთქი გული, ბჯოოვ!

ნინძა. /სლუკუნით/ ვერხვის ფოთ-ლებს გვეძახ-და!

ჯიქი. /დრიალებს, რკინის კასრს მივარდება, წიხლებს და მუშტებს ურტყამს/

უხ, შენი! უხ, შენი დედა! უხ, თქვენი ყველაფერი...

პეტრე. კარგი, გეყოფა, დაწყნარდი! დაწყნარდი, კახა!

ჯიქი. აი, ხედავთ? ბაგირას გაუკეთეს კოლუმბიური ჰალსტუხი! გამოჭრილი ყელიდან გადმოგდებული ენა! ეს ვინ ჩაიდინა! ვინ წაბილწა! ღმერთიო! /მკერდს მოიღლავს, ჯვარს ჩამოიგლეჯს/ სადაა ღმერთი! თუ არის, რას უყურებს! რას გააჩინა ეგეთი კაცი! ნახეთ, კარგად შეხედეთ, ყურებიც მოუჭრიათ! ძუძუებიც! ათჯერ ჩაურტყამთ დანა! /ჯვარს ძირს დააგდებს/ არა მწამს, არა! არ მეშინია მისი! ამას რატომ გვაყურებინებს! რატომ! რატომ! /ქვითინი აუვარდება/.

პეტრე. /დაიხრება, ჯვარს აიღებს, რომლის ძეწკვზეც „აკაესის“ ტყვიაც ჰკიდია/ ეს რაღაა?

არსაითი. ეგ? ეგ სათავისო ტყვიაა.

პეტრე. ვერ გავიგე?

ნინძა. ცოცხლად რომ არ ჩავუვარდეთ ხელში.

არსაითი. მაგნაირი ტყვია ყველას გვაქვს შემონახული.

პეტრე. /ჯიქისთან მიდის/ აჰა, ჩამოიკიდე, ოღონდ ტყვია ცალკე და ჯვარი ცალკე. /გაუწვდის/ და იცოდე, ის მაინც არის და ყველაფერს ხედავს...

ნინძა. შალიკაც მაგას ეუბნებოდა...

პეტრე. ეუბნებოდა? /ძირს ჩაჯდება, სახე გაუქვავდება/.

/პაუზა/

ნინძა. მაშინ ტრამალა ცოცხლად აიყვანეს. მკვდარ პონტერას რა უქნეს და ცოცხალს რას უზამდნენ! მაგათი დედა...

არსაითი. ეხლავე მოვალ! /გადის, ცოტა ხანში გიტარით ბრუნდება უკან, ჯიქს გაუწვდის/ გამომართვი, შენ გეუბნები!

ჯიქი. რა გინდა? /გიტარას შეხედავს/ შენ ხო არ დაიცენტრე, რად მინდა გიტარა?

არსაითი. შენ ბაგირასი ვერხვის ფოთლები გმართებს.

ჯიქი. როგორ არ შევუსრულე თხოვნა... /გიტარას გამოართმევს, მოიმარჯვებს, სიმებს ჩამოჰკრავს/ არ შემიძლია! /გიტარას დადებს/ ხელები მიკანკალებს!

პეტრე აი, სწორედ ახლა უნდა იმღერო, შვილო! /ცრემლები ჩამოსდის/.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნინძა. „დავაი“, ჯიქი, იმღერე, ამის ღმერთიც არ იყოს!

ჯიქი. მაშინ... სასმელი მომიტანე, თუ ძმა ხარ.

/ნინძა მაგიდასთან მივა, ბოთლებს შეანჯღრევს, ერთს აიღებს, მიუტანს. ჯიქი სვამს, ბოთლს მოისვრის, წინ წამოწეულ ხელებს უყურებს. დაჯდება, გიტარას მომართავს და ხრინწიანი ხმით მღერის/.

ჯიქი. *„ყოველთვის, როცა დაბერავს ქარი*
*და ხისლს მთებისას გაიფენს აფრად,*
*ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი*
*აშრიალდება უშორეს ზღაპრად.*

*ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს*
*ძველი ღვინის სმით, უგონოდ, მძაფრად,*
*სადაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს*
*მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.*

*ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ...*
*სად, როდის, რისთვის? არ ვიცი, არა!*
*იყვნენ ოდესღაც და მიეძინათ...*
*ღელავს ფოთლების მწყობრი კამარა.*

*მას შემდეგ ბედი და იალქანი*
*ქარის სიმძიმით გადაიხარა,*
*შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი?*
*რისთვის ან ვისთან? არ ვიცი, არა!*

*ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ,*
*ეს იყო ვერხვის ფოთლების კვნესა.*
*დრომ ყვავილებით დააგვირგვინა,*
*მე პაჟი ვიყავ, შენ კი - პრინცესა.***

/სიმღერას მორჩება/

ჯიქი. მორჩა! მე აღარ ვიმღერებ! /წამოვარდება, გიტარას მოიქნევს, ძირს უნდა დაჰკრას და გადაამტვრიოს/.

რემბო. გიტარამ რა დაგიშავა?

ნინძა. სწორია, ხო იცი /გიტარას გამოართმევს/. გიტარა რა შუაშია! /გადის/.

/კოჭლობით შემოდის პოლკოვნიკი ვახანია. მიდის მიცვალებულებთან/.

ვახანია. რა არის ეგი! რას ჰგავს! ასე თუ იყო, ვერ მითხარით! ამის შემ-შემ-შემდეგ თუ ვართ ადამიანები! იმათი დე-დე-დე-და.. ყვე-ყვე-ყვე-რებით უნდა და-და-დაკიდო... /დაინახავს პეტრეს/ ეს ვინაა?

არსაითი. შალიკას მამაა, გუშინ მოვიდა.

ვახანია. აუჰ, გა-გა-გა-მარჯობათ! /ხელს ჩამოართმევს/ ვახ-ვახ-ვახ-ანია!

პეტრე. პეტრე.

ვახანია. თუ შე-შე-შე-იძლება, გარეთ მომიცადეთ ერთ წამს, ბიჭებს უნ-უნ-უნ-და მოველაპარაკო!

/პეტრე გადის, ნინძა ბრუნდება/.

ვახანია. ეს რა უბედური დღე გა-გა-გამითენდა! ღმერთო! /სიგარეტს მოუკიდებს/ რომელი საათი იქ-იქ-იქ-ნებოდა?

არსაითი. თორმეტი ან პირველი, რა ვიცი... პოსტზე მანაგუა იდგა, ჩვენ ბოჭკასთან ვიჯექით და ვლაპარაკობდით...

ვახანია. სვამდით?

ნინძა. არა, ბატონო პოლკოვნიკო, ისე ვლაპარაკობდით.

ვახანია. ვიცი მე თქვენი ამ-ამ-ამ-ბავი, მერე?

არსაითი. მოვარდა მანაგუა... არა, ჯერ წივილ-კივილი გავიგევით, ვიღაცა ქალი კიოდა, მომეშველენითო. მოვარდა მანაგუა, ის და რემბო გავარდნენ. სხვებიც მიჰყვნენ. აქ მე და შალიკას მამა დავრჩით. ავეთქების ხმაზე ჩვენც იქით გავიქეცით... რემბო და მანაგუა მიწაზე ეყარნენ, ცეცხლი ოდნავღა ბჟუტავდა და იქვე მაგნიტოფონი ეგდო, დინამიკებიანი. იქ იყო ჩაწერილი იმ ქალის კივილი... მერე ბაგირა ვეძებეთ დიდხანს. აქვე ვიპოვეთ, ნაწილთან...

ჯიქი. /კბილებს აკრაჭუნებს/ ვიღაცაა გველი და ისე არ მოვკვდები, ხელში ვერ ჩავიგდო!

ვახანია. ეს რა დღე გამითენდა? აქ სამი კაცი მისვენია, გა-გა-გა-რეთ კიდევ შალიკას მამა მიც-მიც-მიც-დის!

ნინძა. ნინძა არ ვიყო, თუ შევარჩინო! /საკინძეს გაიხსნის, კბილების მძივს ამოიღებს/ აქ იმდენი კბილია, რამდენიც იქით გავისტუმრე! ვფიცავ, სამი კიდევ დაემატება!

არსაითი. რას ამბობ, ბიჯო! ეგრე როგორ უნდა იცხოვრო! მაიგლიჯე და გადააგდე! მტრობით დანგრეული სიყვარულითა შენდება, აეგრე იცოდე!

ნინძა. მე ვიცი და ჩემმა მძივმა! აესე „იავნად“ ვატარებ!

არსაითი. ვერ გაიგე, რა გითხარი?

ჯიქი. მოეშვი, თვითონ იცის თავისი საქმისა!

ვახანია. /ბოლთას სცემს და ვიშვიშებს/ იქნებ შენ გეთქვა, არსაითო?

- - - - - - -

* გალაკტიონ ტაბიძე - „ვერხვები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსაიძი. რა მეთქვა?

ვახანია. შალიკას ამბავი!

არსაიძი. პროფესორს? /შეცბება/ მენა?

ჯიქი. უკვე გაიგო! ნინძამ უთხრა!

/ნინძა ხელს ჩაიქნევს. პაუზა/.

ვახანია. ეს რა წყე-წყე-წყე-ული დღეა! შემ-შემ-შემ-ოიყვანეთ!

/ნინძას პეტრე შემოიყვანს/.

ვახანია. მძიმე ამ-ამ-ამ-ბავი უნ-უნ-უნ-და გითხრათ...

პეტრე. როგორ მოკლეს?

ვახანია. ვინ იცის, იქ-იქ-იქ-ნებ არც მო-მო-მო-უკლავთ...

პეტრე. დაწვრილებით ხომ არ მომიყვებოდით.

ვახანია. ექვსში შვე-შვე-შვე-ბულება ითხოვა და მივეცი კიდეც, მაგრამ საბ-საბ-საბ-უთი არ იყო მზად, მე-მე-მე-ორე დღეს უნდა გა-გა-გა-ემზადებინათ... მეორე დღეს ვთხოვე, კი-კი-კი-დევ ერთი დღე დარ-დარ-დარ-ჩენილიყო. შრომა-კამ-კამ-კამ-ანში უნდა წას-წას-წას-ულიყვნენ პოსტებზე, ხალ-ხალ-ხალხი არ მყავდა საკმარისი. ერთი „სუტ-სუტ-სუტ-კა" იმორიგევებდნენ და სხვები შეც-შეც-შეც-ვლიდნენ. მაგრამ რვაში შემცვლელი ბიჭები არ მო-მო-მო-ვიდნენ და ისევ ისინი დარ-დარ-დარ-ჩნენ პოსტებზე. ჩვენც იქვე ვიდექით შტა-შტა-შტა-ბი, ყარაული. ოცდაოთ-ოთ-ოთ-ხი კაცი. ცხრაში და-და-და-იწყო ძლიერი შე-შე-შე-ტევა და, ყველანი ამოვ-ამოვ-ამოვ-წყდებოდით, შალიკა რომ არ დარ-დარ-დარ-ჩენილიყო გორაკზე. მტერს იგერიებ-იებ-იებ-და...

პეტრე. მერე, ვერავინ მიაშველეთ?!

ვახანია. ვერა! ალ-ალ-ალ-ალყაში გვაქცევდნენ და უკან ვი-ვი-ვი-ხევდით! შალიკას რომ „პრი-პრი-პრი-კრიტია" არ გაეკეთე-თე-ბინა, ვერ გა-გა-გა-მოვიდო-დო-დო-დით. დამ-დამ-დამ-რტყმელი ძალა მან შე-შე-შე-აჩერა...

პეტრე. რა მოუვიდა?

ვახანია. არა-არაფერი ვი-ვი-ვი-ცით! ჩვენი პრესცენტრიდან გა-გა-გა-დავრეკეთ გუ-გუ-გუ-დაუთაში, მოგ-მოგ-მოგ-ვაწოდეს ტყვეების სია /ფურცლებს ამოიღებს ჯიბიდან, გაუწვდის/.

პეტრე. /გამოართმევს, კითხულობს/ აქ არ არის! /უკან დაუბრუნებს/.

ვახანია. ჰო, არაა... მაგარი „ბო-ბო-ბო-ევიკი" იყო, მი-მი-მი-ლიონად ჰყავდათ შე-შე-შე-ფასებული... ერთია კი-კი-კი-დევ, ნაიქვამი ჰქონდა, ცოც-ცოც-ცოც-ხლად არ ჩავ-ჩავ-ჩავ-ბარდებიო და თან „ლი-ლი-ლი მონკა" დაჰქონდა...

ჯიქი. შეიძლება ცოცხალია.

ნინძა. იქნებ ამ სიაში არ შეიტანეს?

არსაიძი. ყველაფერი ხდება...

პეტრე. როგორ მოვიქცეთ, პოლკოვნიკო?

ვახანია. გეტყვით, ბატ-ბატ-ბატ-ონო! ჯიქი და ნინძა გა-გა-გა-მოგვყვებიან, ტყვეთა გაც-გაც-გაც-ვლაზე ერთი კაპიტანი მუშაობს და იქნებ იმან გა-გა-გა-პოვნინოთ!

სცენა 4

/ჯიქი სიგარეტს ეწევა, მოშორებით პეტრე დგას, ნინძა გარშემო უვლის. უკანაც მშობლები ტრიალებენ/.

ნინძა. ნინძა კი არა, მეტრუპე დამარქვით!

ჯიქი. მორჩი!

ნინძა. რა, არა ვარ?

ჯიქი. /ხელება აუვარდება/ მორჩი-მეთქი! რა საყდარივით მივლი გარშემო!

ნინძა. აღარ მინდა, რა!

ჯიქი. /საყელოთი მოქაჩავს/. მე ჭლექი გამიჩნდა წყალში დგომით, ჭლექიანი ვარ და ხმას არ ვიღებ! გაიგე?!

ნინძა. მაგიტომ კი არ მითქვამს, მე დაზვერვაზე მერჩივნა წასვლა...

/შემოდის კაპიტანი კაპოტა/.

ჯიქი. ჰეი, კაპოტ!

კაპოტა. ვა, ჯიქი, შენა? ნინძაც მოსულა!

ნინძა. აი, ვინ არი ნაღდი მეტრუპე!

ჯიქი. აქეთ მოდი!

კაპოტა. სალამი ბიჭებს, ტუელები გვიჭერს!

ნინძა. მაიცა რა, კაპოტ, ახლა ხუმრობის გუნებაზე არა ვარ!

კაპოტა. რა იყო, ბიჭო, რა მოგივიდათ?

ნინძა. სამი კაცი კიდევ დაგვიბრიდეს წუხელ.

კაპოტა. ვინა?

ჯიქი. ბაგირა, მანაგუა და რემბო.

კაპოტა. უჰ, უჰ, ეგ რა მითხარით! როგორ?

ჯიქი. ნაღმზე აფეთქდნენ!

კაპოტა. საცოდავები! იმათ მშობლებს რა უნდა ვუთხრათ! ომის მომგონის დედა...

ნინძა. ახლა შენთან გვაქვს საქმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯიძი. კაროჩე, ეს კაცი შალიკას მამაა. იქით უნდა გადაიყვანო, შვილს ეძებს.

კაპოტა. ტყვეებში ნახეთ?

ნინძა. მოგვივიდა სია გუდაუთიდან, იქ არაა.

კაპოტა. ბოლოს რომელ მხარეს იბრძოდა?

ჯიძი. კამანთან.

კაპოტა. შეიძლება გადარჩა, შეიძლება ვერა! ძნელი სათქმელია. უფრო პირველი მგონია.

პეტრე. შენს პირს შაქარი.

კაპოტა. რატომ, იცი? ყველაზე მეტი შრომის მიმართულებით ჩაიხოცნენ. უიარაღო ხალხი სახლებიდან გამორბოდა და ზურგში ესროდნენ... ჰესი ხო იცით? აქ პატიმრები მიაყარეს, დიდ სასჯელს რომ იხდიდნენ, და ერთიც არ გამოსულა ცოცხალი.

პეტრე. მკვდრებში მოვძებნი და, თუ ვერ ვიპოვე, ცოცხალი ყოფილა მაშინ! თუ არადა, გვამი მაინც გამოვიტანო, საფლავი ვაღირსო. /ისმის მანქანის ხმა, მოტორი ჩაქრება/.

კაპოტა. აი, ისინიც მოვიდნენ. თქვენ ბარი წამოიღეთ და წამოდით. აბა, ჩემები აქეთ! /სამი ჯარისკაცი ბარებითა და საკაცით შემოდიან/.

ჯიძი. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. /ხელს ჩამოართმევს/.

ნინძა. ბოდიში, ჩვენ რომ ვერ მოგყვებით!

პეტრე. კარგად იყავით, ბიჭებო! თბილისში რომ ჩამოხვალთ, აუცილებლად მნახეთ!

ჯიძი. ვნახოთ, იქნებ საღამოსაც გამოგიაროთ, როცა დაბრუნდებით.

ნინძა. წავედით /ორივენი გადიან/.

კაპოტა. ბატონო, თქვენი სახელი?

პეტრე. პეტრე.

კაპოტა. ბატონო პეტრე, ესენი გაფრთხილებულნი მყავნან და თქვენც უნდა გითხრათ. რაც უნდა შეურაცხყოფა მოგაყენონ, არ გამოიწვიოთ, მოითმინეთ. მთავარია, მიცვალებულები მაინც გადმოვუსვენოთ ამ გამწარებულ მშობლებს. ხომ გესმით?

პეტრე. გასაგებია. ოღონდ ლევანი ვიპოვო და ამასაც გავუძლებ. /მოდის ორი ავტომატიანი აფხაზი, პეტრესა და სამ ჯარისკაცს თვალებს აუხვევენ და მიყავთ. გაიყვანენ მკვდრებით მოფენილ მინდორზე. ავტომატიანები ურტყამენ, აფურთხებენ, აგინებენ - „ვაშუ მამუ..." წიხლებსა და კონდახებს ურტყამენ.

პეტრე თხრის და თხრის გვამებს. დახედავს, თავს გაიქნევს - მისი შვილი არ არის. ჯარისკაცებს საკაცით მიაქვთ. ახლა სხვას თხრის პეტრე, ამოიღებს/.

ჯარისკაცი იპოვეთ, ბიძაჩემო?

პეტრე. არა! /ფეხზე ადგება, დაბარბაცდება/.

ჯარისკაცი. რა მოგივიდა, ჩამოჯექი, დაისვენე, /მათარას გაუწვდის/ აჰა, წყალი დალიე.

პეტრე. /დალევს, შუბლზე ისვამს სველ ხელს/ კარგია, თუ გულმა არ მიმტყუნა!

ჯარისკაცი. გამაგრდი, ბიძაჩემო!

ავტომატიანი. ვსტავაი, გრუზინ, ტვოიუ მამუ ი კაპაი!. /ავტომატის კონდახს ჩაარტყამს/ კაპაი, გავარიუ!

/პეტრე თხრას განაგრძობს. გააქვთ გვამები/.

ჯარისკაცი. ეს მეჩვიდმეტეა უკვე!

პეტრე. ამასაც გავთხრი და ვიკმაროთ დღეს! /გათხრის, სახეზე დახედავს/.

ჯარისკაცი. არც ეს არის?

პეტრე. არა, არა.

/ორი ჯარისკაცი გვამს საკაცეზე დაასვენებს, გააქვთ/

ჯარისკაცი. წამოდით, ბიძაჩემო, ეგებ ცოცხალიც იყოს!

/ავტომატიანები თვალს აუხვევენ ისევ და უკან ბრუნდებიან. დაძაბულები ელოდებიან მანქანის მოსვლას მშობლები. ერთ მათგანს გული შეუღონდება და დაეცემა. ავტომატიანები სახვევებს შემოხსნიან პეტრესა და სამ ჯარისკაცს, მიდიან. ერთი მათგანი კაპოტას მიცვალებულთა საბუთებს აწვდის. კაპოტა ათვალიერებს ყოველ მათგანს და ხმამაღლა აცხადებს გვარებს/.

კაპოტა. დემურ კარტოზია... ზურაბ წიქარიძე, ჯამბულ ქობალავა, დათო ზივზივაძე... /ისმის მშობელთა შეცხადებები, მიდიან და თავის მიცვალებულები გაჰყავთ/, მურთაზ გაბიძაშვილი... რეზო დარსანია... ბიჭიკო ახალაია... ნოდარ ბეჭვაია... ვასო გახარია... ბადრი თორდინავა... თემურ ტყებუჩავა... სოსო ყალიჩავა... დათო ბებია... შანგვერაძე... გვილავა... სანაია... ქობალავა...

/პეტრეს გულზე უდევს ხელი და თავჩაღუნული ზის/.

შავოსანი. /ლოყებს იხოკავს/ ვაი, ვაი, ვაი, ჩემო გაჭირვებულო ბიჭოო! ჩემო ვაჟკაცო! მთელი ზამთარი წყალ-ტალახში იბრძოდი, სიცივეში, ძილი შენ არ იცოდი! ყველგან ყველას ეხმარებოდი, შვილოო! რისთვის გაგზარდე საწვალებლად! ან მე რაღა ვქნა, შვილო, ვისთვის ვიცოცხლო, ცოლი ან შვი-

ლი მაინც დაგეტოვებია, შვილოო!

/შემოდის ჯიქი, დაინახავს პეტრეს/

ჯიქი. /მივა, შეანჯღრევს/ ბატონო პეტრე, ბატონო პეტრე! /მათარას იხსნის, წყალს ასმევს, სახეზეც ასხამს/ როგორ უცემიათ, იმათი დედა... ბატონო პეტრე!

პეტრე. არაფერია, უკვე კარგად ვარ.

ჯიქი. ეს რა არი, კაპოტ, ეს როგორ უცემიათ!

კაპოტა. აბა, მე რა ვქნა? ურტყამენ, უნდათ გამოიწვიონ, რომ მოკვლის მიზეზი ჰქონდეთ... ვერ იპოვეთ, არა?

პეტრე. ვერა. თუ კამანში იბრძოდა, იქ უნდა მოვძებნო.

ჯიქი. რა ვქნათ, კაპოტ, როგორ მოვიქცეთ?

კაპოტა. რა ვქნა, კამანთან საიდუმლო ნაწილი უდგათ, ჩემებს იქ არ შეუშვებენ.

პეტრე. მაშ, რა ვქნა?

კაპოტა. ქანრი ქარდავა ნახეთ, იქნება იმან გიშველოთ.

პეტრე. უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე?

კაპოტა. კი.

სცენა 5

/თვალებდაწითლებული ქანრი ქარდავა მაგიდასთან ზის, რაღაც საბუთებს აწესრიგებს. შემოდის ნაცემი პეტრე/.

ქანრი. /წამოდგება, მიეგებება, ხელს ჩამოართმევს/ გამარჯობა!

პეტრე. გამარჯობა, ბატონო ქანრი, /ფურცლებს გაუწვდის/. სიტყვიერად თქმა გამიჭირდება და იქნებ ეს განცხადება წაგეკითხათ.

ქანრი. /ფურცელს ჩამოართმევს/ არ გინდათ, ბატონო, ეს განცხადება. მე თქვენს გაჭირვებას თქვენს სახეზე ვკითხულობ.

პეტრე. /დალურჯებულ თვალზე ხელს იდებს/ ავტომატის კონდახი დამარტყეს, გვამების გადმოსვენებაზე რომ ვიყავი.

ქანრი. წამობრძანდით, დაბრძანდით, /დასვამს, თვითონაც დაჯდება, გადაათვალიერებს განცხადებას/ თქვენ პროფესორი შალიკაშვილი ხომ არ ბრძანდებით?

პეტრე. გახლავართ.

ქანრი. სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! /დაამთქნარებს/ მაპატიეთ, მთელი ღამე არ მიძინია.

პეტრე. არა უშავს.

ქანრი აბა, მითხარით, რა გაგჭირვებიათ.

პეტრე. შვილს ვეძებ, ბატონო ქანრი. იმის ძებნაში ჩვიდმეტი გვამი გადმოვასვენე...

ქანრი. ვერ პოულობთ?

პეტრე. ბოლოს სადაც იბრძოდა, იქ ვერ შევსულვარ, საიდუმლო ნაწილი დგასო და არ გვიშვებენ.

ქანრი. იქნებ ცოცხალია? გუდაუთაში დარეკეს? ტყვეთა სიები მოვიდა?

პეტრე. მოვიდა, მაგრამ იქ არ არის.

ქანრი. რამდენჯერმე უნდა გენახათ.

პეტრე. ვნახეთ, მაგრამ არ არის... არადა, სამშვიდობო ვადა იწურება...

ქანრი. ესე იგი, იმ საიდუმლო ნაწილთან მისვლაა საჭირო, ხომ?

პეტრე. დიახ, სოფელ კამანთან.

ქანრი. /ჩაფიქრდება/ გუდაუთაში უნდა დავრეკოთ... თუმცა, მოიცა, გაეროს დამკვირვებლები ხომ არ გამოგვეყენებინა?

პეტრე. თუკი ისინი გამომყვებიან...

ქანრი კარგი აზრია! მე თვითონ ვთხოვდი... მოიცა, თქვენ იმ გენერლის ნათესავი ხომ არ ხართ?

პეტრე. თუ ჯონ მალხაზ შალიკაშვილს გულისხმობთ, კი, ბატონო.

ქანრი. აბა, აგაშენათ ღმერთმა! თუ ვერ დავარეკინებთ, იმისი სახელით ვთხოვოთ, ხომ შეიძლება?

პეტრე. იმასთან დაკავშირება თბილისიდანაც ჭირს ხოლმე და ამ დაბომბილი სოხუმიდან უფრო არ გაგვიძნელდება?

ქანრი. ეგ მე მომანდეთ, ბატონო პროფესორო! /ზარს დარეკავს/. გარდა ამისა, იქით გადასასვლელად ყალბი პასპორტიც უნდა მოვამზადოთ, ვინ იცის, რაში გამოგადგეთ! აი, ახლა ჩემი თანამშრომელი მოვა უშიშროებიდან და ის დაგვეხმარება ყველაფერში. გული არ გაიტეხოთ, ბატონო პეტრე, ყველაფერი კარგად იქნება.

პეტრე. დიდი მადლობა, ბატონო ქანრი, თქვენს სიკეთეს არასოდეს დავივიწყებ!

ქანრი. რისი მადლობა, ჩემო ბატონო, აბა, აქ რისთვის ვარ, თუ არ დაგეხმარეთ!

პეტრე. ღმერთო, ის მაინც მაცოდინა, ცოცხალია თუ არა...

ქანრი. ღმერთმა ქნას, ცოცხალი იყოს, ღმერთმა...

## II მოქმედება

სცენა 6

/ერთფეროვნად წვიმს. სამნი მოდიან მისაბმელიანი „ჯიპით", რომელზეც გაეროს დროშაა აღმართული. გაუჩერებლად მუშაობენ საქარე მინის გამწმენდები. საჭეს ახალგაზრდა კაპიტანი ტომ სიბბერი მართავს. მის გვერდით ისეთივე გაფოთლილ ფორმაშივე გამოწყობილი, ოქროსფერჩარჩოიანი სათვალით ზის ვიცე-პოლკოვნიკი ჯერი ადამსი, უკან კი პროფესორი პეტრე შალიკაშვილია/.

ჯერი. ...ახლა საშიში არაფერია, სერ! როგორც იქნა ჩვენი მოსკოველი თარჯიმანი მისიაში დავტოვე, რუსული თვითონაც ვიცი-მეთქი.

პეტრე. თუ რაიმე კიდევ გაინტერესებთ, მზად ვარ დავაკმაყოფილო თქვენი ცნობისმოყვარეობა.

ჯერი. სხვისი პასპორტით რატომ მობრძანდით?

პეტრე. ჩვენი დაზვერვა შიშობდა. დიდი საფრთხის ქვეშ ვიგდებდი თავს, აქეთ რომ მოვდიოდი.

ჯერი. თუ თქვენი დალურჯებული თვალის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს შიში არცაა უსაფუძვლო...

პეტრე. გვამების გადმოსვენებაზე ყოფნისას ავტომატის კონდახი მომხვდა... იმათი ჯარისკაცები შეურაცხყოფას გვაყენებდნენ, რათა ჩვენი მოკვლის მიზეზი ჰქონოდათ მერმე...

ჯერი. რას იზამთ, ომია... გენერლის ნათესავი რომ ხართ, უკვე ვიცი, მაგრამ რანაირი?

პეტრე. ბიძაშვილად მერგება.

ჯერი. პირადად იცნობთ?

პეტრე. რამდენიმე წლის წინათ მქონდა ეგ ბედნიერება, ლექციების ციკლს რომ ვკითხულობდი ამერიკის უნივერსიტეტში.

ტომი. რის შესახებ?

პეტრე. სელინჯერის შემოქმედებაზე... ოდა, მაშინ გამაცნეს გენერალი.

ტომი. ოო, დიდ პატივს ვცემ!

ჯერი. ჩინებულია, მისტერ პიტ! მე მის მეგობრად ვთვლი თავს... ერთად დავამთავრეთ სამხედრო აკადემია... თქვენ სამშობლოში გრაფები იყავით, ხომ მართალია?

პეტრე. დიახ, სერ.

ჯერი. ერთხელ ურჩიეს, გვარი გადაეკეთებინა... გრძელია და გვიჭირს გამოთქმაო. და იცით, რა უპასუხა? /პაუზა/ ეგ თქვენი პრობლემაა და არა ჩემიო.

პეტრე. კარგად მოქცეულა.

/პაუზა/.

ჯერი. ისე, თუ არ მიწყენთ, ერთ რამესაც გეტყვით...

პეტრე. ბრძანეთ.

ჯერი. გენერლის ნათესაობა ვერ გიშველიდათ, ჩვენს მოვალეობაში რომ არ შედიოდეს ეს საქმე!

პეტრე. ვიცი, სერ.

ჯერი. მიახლოებით მაინც იცით, სად დაიღუპა თქვენი შვილი?

პეტრე. თუ თანამებრძოლთა მონათხრობს ვერწმუნებით, სწორედ იმ სოფლის მისადგომებთან, საითაც ახლა გვიჭირავს გეზი...

ტომი. კამანში.

ჯერი. არცთუ უხიფათო ექსპედიციას ვაწყობთ! მართალია თქვენი დაზვერვა და ჩვენი წამოსვლაც აუცილებელი იყო, ახლა უფრო დავრწმუნდი ამაში.

ტომი. ალბათ, როგორ მოგენატრათ, პროფესორო.

პეტრე. წუხელ სიზმარში გამომეცხადა.

ტომი. გელაპარაკათ?

პეტრე. თავს გავწირავ შენთვის-მეთქი, ვარწმუნებდი. არ მიჯერებდა, ეცინებოდა...

ჯერი. რას ამბობენ, რა ვითარებაში დაიღუპა?

პეტრე. იერიშზე წამოსულ მტერს მარტო დახვედრია ერთ გორაკზე და ასეულისთვის უკან დახევის საშუალება მიუცია, ასე ჰყვებიან, მაგრამ ვინ იცის...

ჯერი. ეგებ ტყვედ ჩავარდა და ცოცხალია? ასეც ხდება ხოლმე!

პეტრე. შეიძლება, სერ.

ტომი. თქვენი შვილი გმირი ყოფილა!

ჯერი. თქვენი საქციელიც შეიცავს გმირობის ელემენტს, პროფესორო!

პეტრე. რას გულისხმობთ?

ჯერი. შვილის ძებნაში უკვე ჩვიდმეტი გვამი რომ დაუბრუნეთ გამწარებულ მშობლებს.

პეტრე. შვილზე გეთანხმებით, ჩემზე კი არა მგონია! ერთი გამწარებული მამა ვარ, დღენიადაგ ღმერთს რომ შესთხოვს შვილის დაბრუნებას... უფრო მკვდარს ველი, ვიდრე

ცოცხალს... ოდნავლა ბჟუტავს იმედი... თუმცა უფლის ნებაა ყოველივე.

ჯერი. ოჰო, თქვენ მორწმუნეც ყოფილხართ!

ჯერი. მეც, ჩემი წინაპრებივით, ორთოდოქსი ქრისტიანი ვარ, ლევანსაც ასე ვზრდიდი...

ჯერი. ჩვენ კი, ადამსები, ოდითგან პროტესტანტები ვყოფილვართ... /ტომი მოულოდნელად დაამუხრუჭებს მანქანას. ჯერი კინაღამ საქარე მინას მიარტყამს თავს/.

ჯერი. რა მოხდა, ტომ?

ტომი. გზა ჭურვებითაა გადათხრილი, სერ!

სცენა 7

/წვიმს. სოფლის მოედანზე ყოფილი ავტობუსების მოსაცდელს შეჰფარებია გუშაგი ჯიბრაილი, თვალებდაელმებული უკეთებს „ყამბეგის" ღერს პლანს, მოუკიდებს და ეწევა/

ჯიბრაილი. ალ-ლაჰ, აქბარ! კიდევ რომ გავაბოლებ, შიმშილიც დამავიწყდება და აღარც ათას უბედურებაზე ვიფიქრებ... კარგია, ტაჯიკისტანის ჰაშიშია... შეიძლება სამარყანდისაც... კაი მაყუთიც მივეცით იმ გიაურს, აჰ, ნეტავი აქ იყვნენ ის საცოდავი მოვლადი და ჩერჩეტი იუსუფი, მოწევდნენ, გაიხარებდნენ... ანდა მე ვიყო იმათთან... მოიცა, იქ რომ ვიყო, ხომ მკვდარი ვიქნებოდი... რა მნიშვნელობა აქვს... არა, მაინც იქ სჯობს... არც მომშივდებოდა, არც არაფერი, შეიხივით ვიქნებოდი... ამ გატიალებულ სოფელსაც მოვცილდებოდი, მარტო კაციჭამია ღორები რომ დაშლიგინობენ... /ისმის მამლის ყივილი/ ყივილი იყო თუ მომეჩვენა? /წამოდგება, ავტომატს მოიმარჯვებს, „ზატვორს" გამოუწევს/. დავიჯერო, აქ მამალი გადარჩა?.. არა, ხომ შეიძლება სამოთხიდან გამოეგზავნათ? მგონი ჩემი თხოვნა გაიგეს მოვლადმა და იუსუფმა და გამომიგზავნეს! /გაფაციცდება/. აგერ, გამორბის, /ავტომატს ისვრის. ისმის მამლის ფრთების ფართხუნი და თავისებური ქოთქოთი/. წავიდა! თქვე დალოცვილებო, თუ მიგზავნიდით, პირდაპირ ხელში მოგეცათ! არც მანდ მოგმატებიათ ჭკუა!.. შეგშურდათ, სამარყანდული რომ მოვწიე, არა? ოხ, თქვენი დედა... ჩემზე კარგი მოსაწევი მანდ გექნებათ, რა ხალხი ხართ! ერთხელაც იქნება, მოვალ მანდ და ამასაც გაგიხსენებთ!.. ნეტავი, მართლა მამალი იყო თუ მომეჩვენა? ყივილიც რომ გავიგე? იყო, მგონი იყო. თუ არ იყო? იყო, იყო...

კაზაკი. /ქოშინით მოირბენს/ რა მოხდა?

ჯიბრაილი. წადი, გაიარე, ვიღაცა ხარ...

კაზაკი. ვიღაცა კი არა, კაზაკი ვარ და მითხარი, რატომ ისროლე!

ჯიბრაილი. რა შენი საქმეა?

კაზაკი. უბაიდმა გამომაგზავნა!

ჯიბრაილი. ერთი იმისი დედაც იქ ვატირე, აქ კი შენი!

კაზაკი. ძლივს არ მიცნო!

ჯიბრაილი. რა დიდი საცნობი შენ მყავხარ!

კაზაკი. სანამ უბაიდისთვის ამბავი მიმიტანია, მითხარი, რა მოგივიდა!

ჯიბრაილი. არა გრცხვენია, კაზაკო, „ბრატები" ტყუილად ვართ?!

კაზაკი. თუ ვართ, თქვი.

ჯიბრაილი. შენ საცოდავი მოვლადი და ჩერჩეტი იუსუფი ხომ გახსოვს?

კაზაკი. როგორ არ მახსოვს!

ჯიბრაილი. ჰოდა, ისინი მეხუმრნენ.

კაზაკი. რაო?

ჯიბრაილი. აბა, რა ვიცი! აი, როცა მეც იქ მივალ, მაშინ გავუსწორებ ანგარიშს!

კაზაკი. მაინც რა ქნეს?

ჯიბრაილი. მშიოდა და ვითომ მამალი გამომიგზავნეს.

კაზაკი. ეგ როგორ?

ჯიბრაილი. ჯერ ყივილი გავიგე, მერე მამალი დავინახე, ღორი მოსდევდა. ვესროლე და ავაცილე...

კაზაკი. ღორს?

ჯიბრაილი. ღორი რად მინდოდა, მამალს... ჰო, მგონი მამალი იყო, იმ მესერზე გადაფრინდა.. დანარჩენი ორი საით წავიდა, ვეღარ დავინახე.

კაზაკი. /გაეცინება/ მაგარ კაიფში ხარ, ჯიბრაილ! ჩვენ მამალი გადაგვირჩებოდა? თანაც სამი?

ჯიბრაილი. შეიძლება არც ყოფილა, მაგრამ... იყო, იყო-მეთქი!

კაზაკი. მეტს ნუღარ მოწევ!

ჯიბრაილი. ალბათ, მომეჩვენა...

კაზაკი. მოგშივდა, არა?

ჯიბრაილი. ისე რა... აღარც მახსოვს.

კაზაკი. იბრაჰიმმა ცხვარი მოგვიყვანა, შტაბიდან გამოუგზავნიათ.

ჯიბრაილი. ეს უკვე მომწონს!

კაზაკი. გინდა, შეგცვალო?

ჯიბრაილი. არა, წადი და, როგორც წესია, ერთ საათში.

კაზაკი. წავალ, ოღონდ ტყუილ-უბრალოდ სროლა აღარ ატეხო, თუნდაც მთელი ფერმა გამოჩნდეს. კარგი?

ჯიბრაილი. მამალი რაღად მინდა, ცხვარი გვექონია!

სცენა 8

/ყოფილი სკოლის ჩამონგრეული შენობა. ერთ ოთახში სნაიპერი ქალი, გიურზა ზის და გამოციებული თვალებით უყურებს ლოცვად დამდგარ პოლკოვნიკ იბრაჰიმ ბეკ-იდრისოვს; თავგადაპარსული და წვერმოშვებული იბრაჰიმი წელს ზემოთ გაშიშვლებულა და ახლა ფეხზე იხდის/.

იბრაჰიმი. /შესძახებს/ ალ-ლაჰ აქბარ!* /სასოებით/ სახელითა ალ-ლაჰისა მოწყალისა, მწყალობლისა! /განბანის რიტუალს დაიწყებს - ტაშტიდან ორივე პეშვით ამოღებულ წყალს რამდენჯერმე ისხურებს სახეზე, პირშიც გამოივლებს, ცხვირსა და ყურებს გამოირეცხავს, ხშირ წვერს დაილაგებს თითებით, ჯერ მარჯვენა ფეხს განიბანს, მერე მარცხენას. ასევე ხელებსაც. შეიმშრალებს/.

ვამოწმებ, რომ არრა არს ღმერთი თვინიერ ალ-ლაჰისა - ერთადერთისა და მოზიარის არმყოლისა. ვამოწმებ, რომ მუჰამმედია მონა და მოციქული მისი. ღმერთო, შემრთე მონანიებულთა და განწმენდილთა. ქება შენ, ალ-ლაჰ, გადიდებ და ვამოწმებ, რომ არრა არს ღმერთი შენს გარდა. გევაჯები ცოდვათა მოტევებას, სინანულით მოვიდრეკ თავს.

/სასოებით აღაპყრობს ხელებს და გაიმეორებს/

ალ-ლაჰ აქბარ!

/მარცხენა ხელს მარჯვენაში ჩაიდებს და ყურანის პირველ სურას ამბობს/

სახელითა ალ-ლაჰისა, მოწყალისა, მწყალობლისა... აქებდით ალ-ლაჰსა, ქვეყნის მეუფესა, მოწყალესა, მწყალობელსა. უფალსა განკითხვის დღესა. შენ თაყვანსა გცემთ, შენ გევედრებით შეწევნასა. დაგვადგინე სიმართლის გზასა. გზასა მათსა, რომელნიც აღავსე შენის სიკეთითა. არა მათსა, რომელთაც მოაწიეს შენი რისხვა, არცა მათსა, რომელნიც სცდებიან. /აწრიალებული გიურზა წინ და უკან დააბიჯებს. იბრაჰიმი ყურადღებას არ აქცევს, ექსტაზშია. წელში მოიხრება, ხელის გულებს მუხლებზე დაიდებს, მერე გასწორდება, ისევ ზეაღმართავს ხელებს და შესძახებს/.

სამი ალ ლაჰუ ლიმან ჰამიდაჰუ!*

/დაიჩოქებს. იატაკს დაებჯინება იდაყვებით. მერე ისე განერთხმება, ცხვირით შეეხება ქვეშ გაფენილ ნატს, პატარა ხალიჩას, წამოჯდება, დაჩოქილია ისევ. კიდევ განერთხმება და ისევ წამოჯდება - ეს ერთი „რაქათი“ აღასრულა. ახლა მეორე „რაქათი“ დაიწყო - ეს ყველაფერი ხელახლა გაიმეორა და ფეხმორთხმით დაჯდა/.

ვამოწმებ, რომ არრა არს ღმერთი თვინიერ ალ-ლაჰისა და ვამოწმებ, რომ მუჰამმედია მოციქული მისი.

/ჩუმად ბუტბუტებს განსაკუთრებულ ლოცვას წინასწარმეტყველზე. მერე ორჯერ, მარჯვნივ და მარცხნივ შესძახებს/

ას-სალამუ ალაიქუმ ვა რაჰმათუ-ლ ლაჰი!**

გიურზა. /მოუთმენლად/. წელან ავტომატი ისროლეს!

იბრაჰიმი. /წინდებს ჩაიცმევს. მაღალყელიან „ბატინკებში“ წაყოფს ფეხებს/ არ გამიგია.

გიურზა. /უკმაყოფილოდ/ წავალ, გავიგებ! /ხელში „ესვედეს“ სნაიპერის ოპტიკურსამიზნიან კარაბინს აიღებს და გარეთ გამოდის/.

სცენა 9

/წვიმს. ერთ სახელდახელო ფარდულში ცეცხლი ანთია და ზედ შემოდგმული ქვაბით წყალი დუღდება. ასსა ერთ სკოლის მერხს მიდგომია ნაჯახით, ჩეხავს და საცეცხლედ ამზადებს. მოშორებით მაგიდა და სკამებია. იქვე კაუჭზე ცხვარი ჰკიდია, რომელსაც ბასრი ხანჯლით ქნის უფორმო, ჩალმიანი და ხალათიანი უბაიდი, ყოფილი მუეძინი. კოცონის გარშემო გაფოთლილფორმიანი ჯარისკაცები სხედან: შუბლნაიარევი კაზაკი, ოქროსკბილებიანი ასსა და აკულა, რომელსაც ადამიანის ყურებისგან დამზადებული მძივი ჩამოუკონწიალე-

- - - - - -

* არაბ. „დიდ არს ალ-ლაჰი“

- - - - -

* არაბ. „ალ-ლაჰიმც შეისმენს მისი მადიდებლის ნათქვამს“.

** არაბ. „მშვიდობა თქვენდა და წყალობა ალ-ალაჰისა“.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბია ყელზე. არაყს სვამენ რიგ-რიგობით, შეკეთებულ „ტარიანს“ ატრიალებენ წრეში, მონაცვლეობით ურტყამენ ნაფაზს, ეულმდებათ თვალები. ხან ერთს აუტყდება სიცილი და ხანაც მეორეს/.

ბიურზა. /მკაცრად, უბაიდს/ რატომ ისროლეს?

უბაიდი. შორს ჩემგან, სატანავ! გამცილდი! გამცილდი-მეთქი!

ასსა. გუშაგმა ისროლა, გიურზა!

აკულა. /უცინის/ მამალი მოსჩვენებია!

ბიურზა. ვინ დგას?

კაზაკი. ჯიბრაილი... საცოდავმა მოვლადმა და ჩერჩეტმა იუსუფმა სამოთხიდან გამომიგზავნესო!

ბიურზა. გათიშულია, არა?

ასსა. /იკრიჭება/ ყველანი შარაფში არ ვართ არაყითა და ჰაშიშით...

ბიურზა. ვინ მოიტანა?

კაზაკი. იმათიანმა...

ბიურზა. მერე როგორ ენდეთ!

ასსა. /აღშფოთებული/ ჯაჰანამის* კერძი ვიყო, თუ ვენდობოდე! ჯერ იმას მოვაწევინე!

კაზაკი. ისეთი კაცია, შენ ჰაშიშს ნუ მოაკლებ და აქედან იქით იომებს!

აკულა. შენ ის გვითხარი, პოლკოვნიკი რას აკეთებს.

ბიურზა. ისევ ლოცულობს!

ასსა. ჰაშიში უნდა გაგვეგზავნა, მაგრამ შეგვეშინდა, ვაითუ ისევ გადაგვიყაროს!

კაზაკი. ეგ კაცი თავის თავს აღარ ჰგავს, რაღაც მოუვიდა!

ბიურზა. /ამოიოხრა/ მეც ეგ მაწუხებს.

უბაიდი. /ცხვრის აქნა დაამთავრა, ქვაბში ჩაუშვა ხორცი/ მალე მაინც გაგრძელდეს ეს ომი, მოგვბეზრდა უსაქმობა!

ყველანი. ინ შა ალ-ლაჰ!**

/გიურზა მიდის. ყველანი, უბაიდის გარდა, თვალს გააყოლებენ ქალის გამოკვალთულ თეძოებს. აკულა წამოხტება, დაედევნება და შეაჩერებს/

აკულა. /გაუწვდის ჯიბიდან ამოღებულ ნივთს/ ეს ოქროს საყურეები შენთვის მიჩუქნია, ლამაზო!

ბიურზა. /გამოართმევს, ათვალიერებს/ რა მშვენიერია! /გაიკეთებს/ მიხდება?

აკულა. გხატავს!

ბიურზა. საიდან?

აკულა. იმათაც ჰყოლიათ თავიანთი გიურზა! /თავის მძივზე ახალ ყურს აჩვენებს/, იმას მოვაჭერი! ძალიან მოგიხდა!

ბიურზა. დიდი მადლობა! /წასვლას აპირებს/

აკულა. მოიცა! ასსამ რომ „კალგოტკები“ გაჩუქა, იმას ხომ სჯობია?!

ბიურზა. კი, კი.

აკულა. /ჯიბიდან პრეზერვატივს ამოიღებს/ ჩვენ კი ესენი ჩამოგვირიგა!

ბიურზა. ეგენიც იმ ჩემოდნიან ტყვეს ჰქონდა?

აკულა. ჰო, იმას... ნეტავი რამეში გამომადგებოდეს!

ბიურზა. /ღიმილით/ ენახოთ, შეიძლება გამოგადგეს კიდეც! /მიდის/.

აკულა. /კოცონთან ჯდება/ დაილოცოს გავაგანიერი ქალი! არაფერი შეედრება დედამიწის ზურგზე!

კაზაკი. ეგ ფიქრი თავიდან ამოიგდე, აკულა!

ასსა. მაგ ქალის გულისთვის ერთი შენნაირი მოუსავლეთში გაისტუმრა პოლკოვნიკმა!

აკულა. /გაოცებული/ მართლა?! /პაუზა/ აფსუს, რა ქალი მოვკალი! ჩემი რა ბრალია - მოჭრილ ყურზე საყურე რომ ვიპოვე, მაშინ მივხვდი!

კაზაკი. ნუ დარდობ, აკულა. ბრძოლები კიდევ იქნება და ქალებიც ბლომად ჩაგვივარდება ხელში!

უბაიდი. რა ადვილად მივიტყუეთ მაგნიტოფონით ის გიაურები!

კაზაკი. ექვსი-შვიდი მაინც აფეთქდებოდა.

აკულა. ხომ არ შევარჩინე ჩემი ძმების სისხლი!

ასსა. უბაიდ, ყურანში ბრძოლაზე როგორ წერია?

უბაიდი. /რიხიანად/ ვინც თავიანთი ქვეყანა დატოვეს, ვინც იბრძვიან ალ-ლაჰის გზაზე თავიანთი ქონებითა და თავიანთი კაცებითა, ალ-ლაჰის წინაშე უმაღლესი ხარისხი დაიჭირონ, ცხონებულ იქმნენ. სურა ათი. აია ოცი.

აკულა. ისიც გვითხარი, ლოცვისას როგორ არის?

უბაიდი. როცა მართლმორწმუნე განბანისათვის მოემზადება, მარჯვნიდან ანგელოზები, მარცხნიდან შეითნები ამოუდგებიან. ალ-ლაჰს რომ ახსენებს, შეითნები დაფრთხებიან, ანგელოზები დაეუფლებიან, სინათ-

- - - - -

* არაბ. „ჯოჯოხეთს“.

** არაბ. „ღმერთმა ინებოს“.

ლის კარავს დადგამენ, ქებას შეასხამენ მაღ-ალ ღმერთს და კაცის ცოდვათა მიტევებას შესთხოვენ...

ასსა. მოდით, ალ-ლაჰი ვადიდოთ!

/ყველანი წრეზე ტრიალებენ და ერთად იმეორებენ: „ალ-ლაჰ აქბარ! ალ-ლაჰ აქბარ! ალ-ლაჰ აქბარ!“

/პოლკოვნიკი სავარძელში ზის, რაღაც ქაღალდს კითხულობს და თან სიგარას ეწევა. უკანალის ნაზი რხევით შემოდის გიურზა, „ესვეღეს“ კუთხეში მიაყუდებს/.

გიურზა. ჯიბრაილს მამალი მოსჩვენებია.

იბრაჰიმი. მაგას მალე ჯინები და შეით-ნებიც მოეჩვენება! /სასწრაფოდ წამოკრეფს ქაღ-ალდებს, კონვერტში შეინახავს და გულისჯიბეში ჩაიდებს/.

გიურზა. რა შეინახე?

იბრაჰიმი. წერილებია!

გიურზა. ვისი?

იბრაჰიმი. ცოლის.

გიურზა. ხომ წამაკითხებ?

იბრაჰიმი. მერე იყოს... /პაუზა/ ალბათ, ბევრი მოწია ჯიბრაილმა!

გიურზა. უნდა აკრძალო ჰაშიში, კაცს აღარ ჰგავს არც ერთი!

იბრაჰიმი. არ გამოვა!

გიურზა. რატომ?

იბრაჰიმი. ასი კაციდან ცამეტიღა დამრჩა, რომ ავკრძალო, მე, შენ და უბაიდი დავრჩ-ებით...

გიურზა. აბა, როდემდე იყვნენ ასე?

იბრაჰიმი. სანამ შევსება მომივა... მპირ-დებიან.

გიურზა. ისე, ომი მოენატრათ ბიჭებს!

იბრაჰიმი. ეს ზავი დიდხანს არ გასტანს! კიდევ ვიბრძოლებთ და გიაურების სისხლსაც დალევენ!

/პაუზა/.

გიურზა. დალევენ?

იბრაჰიმი. ჰო.

გიურზა. შენ?

/აურზაური ისმის. აღრიანცელებულ მეომრებს შუაში ტყვე ჩუმადანა ჩაუყენებიათ და რიგრიგობით ურტყამენ. გიურზა გრძელ კარტუზიან ქუდს მოიხ-დის, გაიხდის ქურთუკს. ულიფო მკერდზე მჭიდროდ შემოკვალთული ლაქებიანი მაისური აცვია. კალ-თაში ჩაუჯდება პოლკოვნიკს და საკოცნელად მიეტანება/.

იბრაჰიმი. /შეუღრენს/ მომცილდი!

გიურზა. /წამოხტება განრისხებული/ ერთი კვირაა უარზე ხარ, რა გემართება/.

იბრაჰიმი. არაფერი.

გიურზა. იცოდე, ამდენს არ მოვითმენ!

იბრაჰიმი. მერე, მე რა ვქნა.

გიურზა. შენ - არაფერი, აი, მე კი აკუ-ლასთან წავალ! არც კი შეგიმჩნევია, ნახე, როგორი საყურეები მაჩუქა! ოქროსია!

იბრაჰიმი. ისემც გიქნია, უბაიდს ჩას-წოლიხარ! შენი გულისთვის აღარავის მოვ-კლავ!

გიურზა. გამაგებინე, რა მოგდის!

იბრაჰიმი. არაფერი-მეთქი!

/პაუზა/.

გიურზა. განა არ ვიცი, ისევ შეითან-გურჯზე ფიქრობ!

/პაუზა/.

იბრაჰიმი. მართალი მითხრა იმ ცხონე-ბულმა...

გიურზა. ცხონებულმაო?! შენი გამკვირვე-ბია, იბრაჰიმ! რაც შენ მტრის ცხელი სისხლი გისვამს! მოჭრილი თავით ფეხბურთიც გითა-მაშია!

იბრაჰიმი. მტრისთვის სიკვდილი თვითონ ალ-ლაჰს გაუჩენია, იდიდოს მისი სახელი! მაგრამ ვაჟკაცი აღმოჩნდა ის ცინგლიანი!

გიურზა. იმის საფლავს ხუთ კაცს დავაკ-ლავო, ხომ დაიფიცე?!

იბრაჰიმი. ასეც ვიზამ! აგერ, ერთს უკვე ამზადებენ!

გიურზა. ლამაზი ბიჭი იყო შეითან-გურჯი! იმას კი სიამოვნებით ჩავუწვებოდი!

იბრაჰიმი. შენ მაგის მეტი არაფერი გახსოვს, მე კი სიზმრებში მეცხადება!

გიურზა. როგორ?

იბრაჰიმი. ვესვრი და ვერ ვკლავ!

გიურზა. თავს ნუ აიტკივებ იმაზე ფიქრით! /ქურთუკს ჩაიცმევს, ქუდს დაიხურავს, კარაბინს აიღებს და გარეთ გამოდის. მებრძოლთა წრეში აბარბაცებული ჩუმადანა დგას. გიურზა ფარდულში წრიალებს. მერე კვერცხს აიღებს მაგიდიდან, ავად იღიმის/ ჰეი, მოიცადეთ! გამოიხედეთ! /კვერცხს შეათამაშებს ხელში/ ამას ოცი ნაბიჯიდან გავ-ტეხავ!

ასსა. დიდი ამბავი!

გიურზა. კვერცხი ტყვეს დაადეთ თავზე!

აკულა. არ გაუჩერდება!

გიურზა. ჯერ ქუდი ჩამოაფხატეთ და მერე კვერცხი!

ასსა. ეს ჩემი მოყვანილი ტყვეა და შენ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოგაკვლევინო?!

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. თუ შემოგაკვდათ, იბრაჰიმთან გექნებათ საქმე!

ᲒᲘᲣᲠᲖᲐ. აიმ მესერზე მიაყუდეთ და კვერცხი დაადეთ!

ᲐᲡᲡᲐ. არა-მეთქი!

ᲐᲙᲣᲚᲐ. მოეშვი, სამაგიეროდ ორ ტყვეს მოგიყვან! /ასსა ხელს ჩაიქნევს. აკულა გიურზადან ოც ნაბიჯს გადათვლის, ტყვე ჩუმადანას იქ დააყენებს, ქუდს დაახურავს, ზედ კვერცხს დაადებს/ მზადაა!

ᲐᲡᲡᲐ. /ჩუმადანას დაუყვირებს/ არ გაინძრე, თორემ მოკვდები!

/გიურზა კარაბინს მოიმარჯვებს, ცალ თვალს მოხუჭავს, ოპტიკურ სამიზნეში გაიხედავს და ისვრის. ჩუმადანას ყვითლად გადაელებება თავი. ტაშს დასცხებენ მეომრები, აყაყანდებიან. ისმის „ჯიპის“ მოტორის ხმა/.

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. /იყვირებს/ ჩუმად! ჩუმად-მეთქი! მანქანის ხმაა!

/გაირინდებიან, მიაყურადებენ/.

ᲐᲡᲡᲐ. ჰო, მანქანა! ჩქარა, ტყვე დავმალოთ!

ᲐᲙᲣᲚᲐ. /ჩუმადანასთან მიირბენს/. ჩაუსვრია, ამისი დედა... /გაჰყავს/.

/მანქანის ხმა მახლობლად წყდება. ასიგნალებენ/.

სცენა 10

/შემოდის ჯიბრაილი რწევა-რწევით/.

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. რატომ მიატოვე პოსტი?

ᲯᲘᲑᲠᲐᲘᲚᲘ. უკვე კაზაკის ჯერია და თანაც გაეროს დამკვირვებლები მოვიყვანე!

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. კაზაკო, პოსტზე! /კაზაკი მიდის/.

ᲒᲘᲣᲠᲖᲐ. ჰო, ვიცანი დროშა!

ᲯᲘᲑᲠᲐᲘᲚᲘ. უკან იმათიანი ზის...

ᲒᲘᲣᲠᲖᲐ. რა ქნათ?

ᲯᲘᲑᲠᲐᲘᲚᲘ. პოლკოვნიკთან ავიყვანოთ... ოღონდ მოიცა... ჭადარას დააკვირდი!

ᲒᲘᲣᲠᲖᲐ. რა იყო?

ᲯᲘᲑᲠᲐᲘᲚᲘ. იბლისის* ლუკმა ვიყო, თუ ეგ შეითან-გურჯის მამა არ იყოს!

ᲒᲘᲣᲠᲖᲐ. ვითომ? რაც შენ მოწიე!

ᲯᲘᲑᲠᲐᲘᲚᲘ. /აღშფოთებული/ დააკვირდი-მეთქი! /მანქანაში მსხდომებს ანიშნებს, რომ გადმოვიდნენ. სამივენი შემოდიან შიგნით. ფარდულში ეფარებიან წვიმას. გიურზას გამომეტყველება ეცვლება/.

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. ვინ არიან?

ᲯᲘᲑᲠᲐᲘᲚᲘ. /პეტრეზე ანიშნებს/ გვამის გადასვენება უნდა და სამხედრო დამკვირვებლები მოიყოლია!

ᲐᲙᲣᲚᲐ. /ჩაიცინებს/. ამასწინათ არ იყო, სამი დამკვირვებელი რომ გაასაღეს? ვის ეშინია მაგათი?

ᲒᲘᲣᲠᲖᲐ. /იკივლებს/ ერთი ამ ძაღლს შეხედეთ! /მივარდება და სახეს ჩამოაკაწრავს პეტრეს/.

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. /ხელს დაუჭერს/ რა მოგეჩვენა, ქალო?!

ᲒᲘᲣᲠᲖᲐ. ეს ხომ შეითან-გურჯის მამაა!

ᲐᲡᲡᲐ. მიაგავს ხომ იცით!

ᲐᲙᲣᲚᲐ. მიაგავს კი არა, ისაა!

ᲯᲘᲑᲠᲐᲘᲚᲘ. თავისი ფეხით გამოგვეცხადა!

/ტომ სიბბერი ქამარზე ჩამოიღებს მარჯვენა ხელს, სადაც რევოლვერი უნდა ჰქონდეს. დამკვირვებლებს ეკრძალებათ იარაღის ტარება/.

ᲯᲔᲠᲘ. ვინაა აქ მეთაური?

ᲐᲡᲡᲐ. /ქირქილი/ რუსულიც რომ სცოდნია!

ᲞᲔᲢᲠᲔ. /გიურზას საყურეებს მიაშტერდება/ ეს ბაგირასია!

ᲐᲙᲣᲚᲐ. /პეტრეს სახეში შეაბოლებს. პეტრე ახლა იმის გაშავებულ ყურებს მიაშტერდება/ ამისი სისხლი უნდა დავლიო! რა იყო, ჩემი მძივი მოგეწონა? /ცხვირწინ უტრიალებს/ აი, ეს სულ ახალია! ერთ თქვენებურ ქალს დავაჭერი! /აკულა მოულოდნელად დაარტყამს პეტრეს და ძირს დასცემს/.

ᲞᲔᲢᲠᲔ. ბაგირას ყური! ღმერთო, მაღალო!

ᲯᲔᲠᲘ. უიარაღო კაცს როგორ სცემთ! მეთაური მოიყვანეთ!

/გიურზა შიგნით შედის და უკან მოკლულის წიგნაკით დაბრუნდება/

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. ამისმა შვილმა თვრამეტი კაცი მოგვიკლა! /წიხლს ჩაარტყამს წაქცეულ პეტრეს/.

/გაეროს დამკვირვებლები წინ ეღობებიან გააფთრებულ მეომრებს/.

ᲯᲔᲠᲘ. რა გვარი იყო მოკლული, საბუთი არ ჰქონდა?

ᲒᲘᲣᲠᲖᲐ. აი, საბუთი! /სამხედრო წიგნაკს გადაშლის/. ლევან შალიკაშვილი!

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. დაფიცებული გვაქვს, საფლავზე უნდა დავაკლათ მამამისი!

ᲞᲔᲢᲠᲔ. მე შალიკაშვილი არა ვარ! /ჯიბიდან წვალებით ამოიღებს პასპორტს, გაუწვდის/ ნახეთ!

ᲒᲘᲣᲠᲖᲐ. /გადაშლის/ სიმონ ჩალაძე!

ᲯᲔᲠᲘ. ხომ გაიგეთ?! ტყუილად სცემთ! ამ კაცმა უკვე ვიდმეტი გვამი გადაასვენა, ამ

---------

* არაბ. „ეშმაკის“.

საქმეზე დადის!

ბიურზა. პასპორტი ყალბია! შეითან-გურჯის მამაა! ამისი გაზრდილია ის ძაღლის ლეკვი!

ასსა. ისაა, ის!

ჯერი. ეს პასპორტი ნამდვილია, ბატონ-ებო! ყალბი რომ იყოს, ჩვენ არ გამოვყვე-ბოდით!

ბიურზა. /ჩუმად, აკულას/ სანამ იბრაჰიმი გამოვა, მანამდე უნდა აუგო ანდერძი!

აკულა. /ამოიგმინებს/ ოხხ, ამის დედა... /დანას იძრობს და პეტრესკენ გაიწევს. წინ ტომ სიბბერი გადაუდგება, მოკრივესავით შემართავს მუშტებს/.

ჯერი. მეთაური მოიყვანეთ!

იბრაჰიმი. /შემოდის/ შეჩერდით! /მიუახლოვ-დება/ დანა შეინახე, აკულა! /აკულა დანას ინახავს, ზიზღით უმზერს ტომ სიბბერს/.

ჯერი. /აღშფოთებული/ ბატონო პოლკოვ-ნიკო, კინაღამ მოკლეს ეს მშვიდობიანი კაცი!

ტომი. /წამოაყენებს პეტრეს, ცხვირსახოცს მასცემს/ რაიმე კარგზე იფიქრეთ, პროფე-სორო! ნუ შეშინდებით!

იბრაჰიმი. /უბაიდს/ მუეძინო, შენ რაღამ გადაგრია?

უბაიდი. იმისი სახე აქვს, იმ ძაღლის ლე-კვის! ერთი შეხედე!

ასსა. თვრამეტი კაცი რომ მოგვიკლა

ჯერი. საბუთები შევადარეთ, პოლკოვ-ნიკო! არ ემთხვევა!

იბრაჰიმი. მანახეთ! /გიურზა ორივეს მისცემს. ადარებს/ საქმეს მიხედეთ! თქვენ კი, ბატო-ნებო, ჩემთან მობრძანდით! /გადიან პოლკოვ-ნიკის ოთახში/.

აკულა. რა ვქნა, გიურზა, მომისწრო!

ბიურზა. /ფეხებს შუა უთითებს/. აი, ამისი ჭკუით დადიხარ! კაცი კი არა, აეგა ხარ!

აკულა. რატომ მეუბნები!

ბიურზა. დანას რომ ამოიღებ, უნდა მოიხმარო კიდეც! ვერ ივარგე! /უბაიდთან მიდის/. ხომ ხედავ, იმ გველის წიწილის გამზრდელია! შენ შარიათის კანონები იცი და გვითხარი, რა ეკუთვნის!

უბაიდი. მე შენთან საქმე არა მაქვს!

ასსა. გვითხარი, უბაიდ!

უბაიდი. შარიათის კანონებით იმას სიკვ-დილი ეკუთვნის, აი, ამას კი /გიურზაზე უთი-თებს/ ჩაქვავება!

ბიურზა. ჩემგან რაღა გინდა?

უბაიდი. შენნაირებს ვირზე უკუღმა შეს-ვამდნენ, მერე კი სწორედ ისე დასჯიდნენ, როგორც გითხარი! შორს ჩემგან, შორს!

იბრაჰიმი. /გამოსძახებს/. გიურზა, ჭიქები და არაყი მოგვიტანე!

/გიურზა ამ ყველაფერს აიღებს და პოლკოვ-ნიკთან შედის, მაგიდაზე აწყობს ჭიქებს, შეავსებს/.

იბრაჰიმი. გისმენთ, ბატონებო!

ჯერი. ჩვენ სამშვიდობო მისიით მოვედით. გვამის გადასვენება გვინდა. ბატონმა სიმონ ჩალაძემ უკვე ჩვიდმეტი ნეშტი დაუბრუნა მშობლებს... ასე რომ, ჩემთვის გაუგებარია თქვენი ჯარისკაცების ასეთი მწვავე რეაქცია, სერ!

იბრაჰიმი. ბოდიშს გიხდით, გაუგებრობა მოხდა...

ჯერი. ამ გაუგებრობას კინაღამ შეეწირა ეს პატიოსანი ადამიანი! ან ამის შემდეგ რა გარანტია გვაქვს?

იბრაჰიმი. /ერთხანს შეყოყმანდება და მერე კი მტკიცედ ამბობს/ ალ-ლაჰსა ვფიცავ, ცუდი არაფერი მოხდება... საფლავსაც ვაჩვენებთ...

ჯერი. ოფიცრის პატიოსან სიტყვას მაძლ-ევთ?

იბრაჰიმი. /მკაცრად/ მე ალ-ლაჰი დავიფიცე! ეს საკმარისზე მეტიცაა!

ჯერი. თქვენ ვერ გამიგეთ, სერ...

იბრაჰიმი. /მოლბება/ ნუღარ გავაგრძელ-ებთ! /ჭიქას ასწევს/ დაღუპულთა ხსოვნისა იყოს, ბატონებო!

/ჭიქებს მიუჭახუნებენ და ყველანი უხმოდ სვამენ. გარეთ გამოდიან. წვიმს. ქუხს და გველივით იკლაკნება ელვა/.

სცენა II

/შემოდის პეტრე ნიჩბით ხელში. აგრეთვე, პოლკოვნიკი იბრაჰიმ ბეკ-იდისოვი/.

იბრაჰიმი. /სცენის მიღმა მიმართავს/ ამ გორაკზეა! ნუ დასველდებით, ბატონებო, აქ იყავით! ამას მე წავიყვან ზემოთ!

ჯერი. /სცენის გარედან ეძახის/ ოღონდ თუ შეიძლება, ცემა-ტყეპის გარეშე! სირცხვილია!

იბრაჰიმი. ნუ შიშობთ!

/შემოდიან უბაიდი, აკულა და გიურზა/.

ბიურზა. ერთი წუთით, იბრაჰიმ!

იბრაჰიმი. /მათთან მიდის/ რა გინდა?

უბაიდი. მე მაინც იმისი მამა მგონია, იბრაჰიმ!

ეროვნული ბიბლიოთეკა



აკულა. ასპროცენტიანი ის არის!

გიურზა. ხომ დაიფიცე, შეითან-გურჯის საფლავზე დავაკლავო?!

იბრაჰიმი. საბუთები რომ არ ემთხვევა?

უბაიდი. ნუ დაუჯერებ! შეითან-გურჯის მამაა მეთქი! /პეტრეს/ გიაურო, შენ ხომ შალიკაშვილის მამა ხარ! და აქაც იმიტომ მოხვედი!

აკულა. სიმართლე თქვი, ძაღლო!

/პაუზა/.

პეტრე. მე სიმონ ჩალაძე ვარ, ხომ ნახეთ პასპორტი!

გიურზა. მაშ, აქ რამ მოგიყვანა?

პეტრე. გვამი უნდა გადავასვენო!

იბრაჰიმი. კარგი, განზე გადექი!

/პეტრე მოსაუბრეებს მოშორდება/.

უბაიდი. ვერ ხედავ, რომ იმის ნაკვთები აქვს!

იბრაჰიმი. თქვენ, ყველანი გიურზამ აგიყოლიათ, უბაიდ!

უბაიდი. ეს ჩასაქვავებელი მე ვერ ამიყოლიებდა, იბრაჰიმ!

გიურზა. /იბრაჰიმს/ თავს ნუ იტყუებ! ამ შუამავლებსაც წამში ავაფეთქებთ თავიანთი „ჯიპიანად“, სხვა რა გაწუხებს?

აკულა. კარგი აზრია და მერე იმათ დავაბრალებთ!

იბრაჰიმი. /მრისხანედ/ კმარა! /უბაიდს/ შენ და აკულა აქ დარჩებით, გიურზა მე წამომყვება!

უბაიდი. მაგრამ, პოლკოვნიკო...

იბრაჰიმი. /აწყვეტინებს/ არ უნდა ამას ამდენი ყბედობა! წავედით!

/პეტრე, იბრაჰიმი და გიურზა მიდიან. იბრაჰიმი რევოლვერს ამოიღებს და საფლავისკენ ისვრის/.

იბრაჰიმი. ნეტავი ამის ხორცს როგორ ჭამთ ქრისტიანები? /პაუზის მერე/ მანდ დავასაფლავეთ.

პეტრე /დაიბნა/ ხად?

იბრაჰიმი. სადაც ეგ კაციჭამია ღორი თხრიდა!

პეტრე. მადლობელი ვარ. /მოკლულ ღორს დაეჭიდება საფლავიდან გადასათრევად. შემოირბენენ ჯერი ადამსი, ტომ სიბბერი, უბაიდი და აკულა/.

ტომი. ცოცხალია! კიდევ ერთ უსიამოვნებას გადავრჩით, სერ!

იბრაჰიმი. /წყენით, ჯერის/ ბატონო ვიცე-პოლკოვნიკო, ხომ გითხარით, არაფერი მოუვა-მეთქი?!

ჯერი. ბოდიშს გიხდით, სერ! იქნებ ჩვენც დავსწრებოდით...

გიურზა. სჯობს მანქანაში დაიცადოთ! რა სახალისოა გვამის ცქერა?

ჯერი. წავედით, ტომ!

ტომი. მე დავრჩები, სერ. ამ ველურებთან მარტო ნუ დავტოვებთ!

ჯერი. ეგ უნდობლობა იქნება ჩვენი მხრიდან... უნდა წავიდეთ!

ტომი. მე არ წამოვალ!

ჯერი. /ბრაზით/ ეგ ბრძანებაა, კაპიტანო! /გადის. ტომ სიბბერი ცოტა ხანს იყოყმანებს და ისიც გადის/.

იბრაჰიმი. /აკულასა და უბაიდს/. თქვენც უკან დაბრუნდით! და სულაც რომ აფეთქდეს აქაურობა, ამოსვლა აღარ გაბედოთ! გასაგებია?

აკულა. გასაგებია! /გადის/.

უბაიდი. ალ-ლაჰი იყოს შენი შემწე! /ისიც გადის/.

სცენა 12

/პეტრე საფლავს თხრის. თავზე იბრაჰიმი და გიურზა ადგანან. წვიმს, ელავს, ქუხს. პეტრე თხრას მოათავებს, პოლიეთილენში გახვეულ ნეშტს ამოიღებს, დაასვენებს და ცელოფანს მოაცილებს ფრთხილად. გიურზა სასწრაფოდ ცხვირზე მიიჭერს თითებს. პეტრე დაიჩოქებს, ცრემლები მოსდის. უცებ საზარელი ქვითინი აღმოხდება/.

გიურზა. /გახარებული/ აკი ვთქვი, მამაამეთქი! /კარაბინს შეათამაშებს ხელში/.

იბრაჰიმი. წყნარად იყავი, შენი დროც მოვა! /პეტრეს, პაუზის შემდეგ/ ყური დამიგდე, გიაურო! კარგად მომისმინე!

პეტრე. გისმენ.

იბრაჰიმი. ამ ღლაპს შეითან-გურჯი შეეარქვით. აქ იყო გამაგრებული, ქვემოდან ჩვენ ვუტევდით. კარგად იბრძოდა და ბევრიც მოგვიკლა. მერე სროლა შეწყდა და სიმღერა შემოგვესმა /სცენის მიღმიდან ვიღაცა „შავლეგოს“ მღერის/ - სულ სხვანაირი, სულის შემძვრელი. ასე მამაჩემი მღეროდა, როცა ძალით გვასახლებდნენ ჩვენი მთებიდან უდაბნოში... /„შავლეგო“ წყდება/. მივხვდით, ტყვიები გაუთავდა. ხუთი ჩვენიანი შემოერტყა შემართული ავტომატებით. ახლოს რომ მივიდნენ, „ლიმონკას“ დამცველი გამოგლიჯა, თავიც აიფეთქა და ის ხუთიც შეიწირა... აქ რომ მოეირბინე, ფეხი მუხლს ქვემოთ ჰქონდა მოგ-

ლეჯილი. დაფლეთილი მუცლიდანაც სდიოდა სისხლი..., მთელი ხმით ვღრიალებდი - რამდენი კაცი მომიკალი-მეთქი! ხუთი აქ იწვა, ქვემოთ კიდევ ცამეტი! შეშლილი ვიყავი, ჭკუიდან გადასული! /ყანწს ამოიღებს/ აი, ეს ყანწი გავავსე იმისი სისხლით და შევსვი... ზიზღით დამანჭა სახე, ერთხანს დაჟინებით დამაცქერდა და წვალებით მითხრა: „შენც ჩემსავით იბრძოლებდი, ურჯულო!" ასე მოკვდა... რამდენჯერაც სიზმარში ვნახავ, ამ სიტყვებს მიმეორებს...

/პაუზა. კვლავ იქუხებს და სადღაც ახლოს მეხიც დაეცემა/.

ბიურზა. მამაა! ხომ დააკლავ საფლავზე? ფიცი გაქვს დადებული!

იბრაჰიმი. მოიცა გიურზა! მისმინე, გიაურო! ცხოვრება ხანდახან საკვირველ დამთხვევებს გვთავაზობს... ამის ხნის ვიქნებოდი, ავღანეთში რომ ვიბრძოდი. მეც შეითანგურჯივით შემომერტყა მტერი. მეც „ლიმონკა" მეჭირა და „დაგვნებდიო!" - მიყვიროდნენ... ვერ გავბედე იმ წყეული „ეფადინის" ძირს დანარცხება! ტყვედ ამიყვანეს რუსებმა და ახლა იმათ ვოლიერებში გამოყვანილი ნადირი ვარ! /პაუზა. იბრაჰიმი ძირს დაჯდება. გამტყრებულ გიურზას დაინახავს, გულის ჯიბიდან კონვერტს ამოიღებს და დამცინავი ღიმილით გაუწვდის / ჩემი ცოლის წერილების წაკითხვის დრო მოვიდა, გიურზა! რომელიც, სხვათა შორის, არცა მყავს!

/შეცბუნებული გიურზა კონვერტს ჩამოართმევს, გახსნის, ნაჩქარევად გადაათვალიერებს/.

იბრაჰიმი. /პეტრეს/ რუსების ვოლიერებში გამოყვანილი ნადირი კი ვარ, მაგრამ მაინც არ მენდობიან. ეს ჯაშუში მომიჩინეს, დაშიფრულ ბარათებს აგზავნის ხოლმე აკულას ხელით!

ბიურზა. /ათრთოლებული/ მაშ, მიღალატა აკულამ? /უცებ კარაბინს მოიმარჯვებს, იბრაჰიმს მიუშვერს ლულას და სასხლეტს ფეხს გამოსწევს. მხოლოდ ჩხაკუნი ისმის/.

იბრაჰიმი /მშვიდად/ შხამი გამოგაცალე, ველარავის დაგესლავ!

ბიურზა. /ქვითინით დაემხობა ძირს, იბრაჰიმს ფეხებზე ჰკოცნის/ ჩემი რა ბრალია! შემიბრალე, იბრაჰიმ! არ ვიცოდი! გემუდარები! შემიბრალე! ნუ მომკლავ! ნუ!

/პაუზა/.

იბრაჰიმი. უნდა მომეკალი! მაგრამ წადი და... შეითან-გურჯს უმადლოდე!

/გიურზა თავდაპირველად ძირს მიხოხავს, მერე წამოიწევს, წამოდგება და უკანმოუხედავად გარბის წელში მოხრილი/.

იბრაჰიმი. /ჩაიცინებს/ შეხედე, გიაურო, როგორ გარბის... წელში მოხრილი! მაგას ჰგონია, ტყვიას დავადევნებ! იცოდე, თვითონ არ დამინდობდა!..

/პაუზა/.

იბრაჰიმი. /ყანწს გაუწვდის პეტრეს/ ეს კი შენთვის მიჩუქნია, გიაურო! ამიერიდან იბრაჰიმ ბეკ-იდრისოვი აღარავის სისხლს აღარ დალევს! /ერთხანს წვიმას შეუშვერს სახეს. პაუზა/. ახლა საბოლოოდ გეკითხები, შენი შვილია?

/პაუზა. პეტრეს ყანწი გაყინვია ხელებში, დასცქერის/.

იბრაჰიმი. მიპასუხე!

პეტრე. /უცნაურად ეცვლება ხმა/ ჩემი არ არის!

იბრაჰიმი. წეღან ტყუილად ქვითინებდი?

პეტრე. შემებრალა!

/პაუზა/.

იბრაჰიმი. /სინანულით/ შეითან-გურჯი კი გამოზარდე, მაგრამ იმისთანა ვაჟკაცი შენ ვერ ყოფილხარ!.. ჟეტონი მოხსენი?

პეტრე. არა ჰქონია!

იბრაჰიმი. მოიტა! კისერზე რომ ძეწკვი აქვს, იქ დაეკიდე, როცა ვმარხავდი! /პეტრე გვამს ჟეტონს მოხსნის და გაუწვდის, იბრაჰიმი დაჰყურებს/. ალ-ლაჰმა აცხონოს! ვაჟკაცი იყო! სიმღერით მოკვდა! /პაუზის შემდეგ/ როგორც ამ გორაკზე შეითან-გურჯი, ისე უნდა მოვმკვდარიყავი ავღანეთში! ჩემზე ძლიერი ყოფილა! შენც კი დაგამარცხა, უარი გაიქმევინა საკუთარ სისხლსა და ხორცზე, მერას მიზამდა?

/პეტრე უყურებს იბრაჰიმს და ხმა ვეღარ ამოუღია. აუტანელი სიჩუმეა/.

იბრაჰიმი. /ფეხზე წამოდგება, სამხედრო წიგნაკსა და პასპორტს ამოიღებს, გაუწვდის/ ლევან შალიკაშვილი ასეთი საფლავის ღირსი არ არის! წაიღე! /პაუზა/. წაიღე და შენი თავი ამისთვის მიჩუქნია!

/პეტრე ჯიბეში ინახავს საბუთებს, ნაჩუქარ ყანწს, ისევ ცელოფანში გაახვევს ცხედარს, აიყვანს და მიდის. იბრაჰიმი ნიჩაბს აიღებს და მიჰყვება/.

უბაიდი. რა მოხდა?

აკულა. მეგონა, უკან შენ და გიურზა დაბრუნდებოდით!

იბრაჰიმი. /აკულას/ ეგ ყურები გადაყარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყარს, შვილო! /აკულა მოულოდნელობისაგან შეხტება, მერე იბრაჰიმის დაჟინებულ მზერას რომ წააწყდება, გატყდება, მძივს ჩამოიწყვეტს და მოისვრის/.

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. რა ქენი, ჩააქვავე?

ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛᲘ. გავუშვი!

/უბაიდი გაშრება. ამ დროს მამლის ყივილი გაისმის, მკვეთრად და ხმამაღლა/.

ᲐᲙᲣᲚᲐ. /იდიოტის გამომეტყველება გაუქრება/ გაიგონეთ? ჯიბრაილს არ მოსჩვენებია! სოფელში მამალია!

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. /გაჯავრებული/ რა დროს მამალია?! /იბრაჰიმს/ „წინასწარმეტყველო, მორწმუნენი აღძარ საბრძოლველად. ოცმა ძალოვანმა კაცმა მათ შორის ორასი ურჯულო დააწვინოს, ასმა ათასი გააქციოს, რადგან ურჯულოებს არაფერი გაეგებათ“. სურა მერვე, აია სამოცდაექვსი!

ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛᲘ. /მრისხანედ/ „ვფიცავ ღამეს, ყოვლის საფარველს და დღეს აკაშკაშებულს“ სურა ოთხმოცდათორმეტი, აია პირველი! ეგ მოწოდება მე არ მჭირდება, უბაიდ!

ᲣᲑᲐᲘᲓᲘ. ვითომ რატომ?

ᲘᲑᲠᲐᲰᲘᲛᲘ. ბრძოლის მეტს არაფერს ვაკეთებ!

/პაუზა. „ჯიპი“ დაიძვრება და მიდის. იბრაჰიმი ჯიბიდან ლევან შალიკაშვილის ჟეტონს ამოიღებს, გაწმენდს, თავისასაც შეიხსნის, ორივეს ერთად ჩამოკიდებს და ისევ კისერზე შეიბამს/.

სცენა 13

/„ჯიპში“ ისევ სამნი სხედან. ვიცე პოლკოვნიკი ჯერი ადამსი გრძელ სიგარას ეწევა და წამდაუწუმ იყუდებს შოტლანდიური ვისკის ოთხკუთხა ბოთლს/.

ᲯᲔᲠᲘ. „ლონგ ჯონი“ ჩინებული ვისკია! ტყუილად ამბობთ უარს!.. სარისკო საქმე იყო, მაგრამ წარმატებით დაგვირგვინდა, არა, ტომ?

ᲢᲝᲛᲘ. დიახ, სერ.

ᲯᲔᲠᲘ. იმ გორაკზე კი გამიჯიუტდი, მაგრამ, დამიჯერე, ჩვენი იქ დარჩენა არ შეიძლებოდა...

ᲢᲝᲛᲘ. მართალს ბრძანებთ, სერ.

ᲯᲔᲠᲘ. პროფესორო, ახლა უკვე შეგიძლიათ თქვენს ნათესავს, გენერალ ჯონ მალხაზ შალიკაშვილს მოახსენოთ ამ საქმის შესახებ.. და თუ ღმერთი გწამთ, ნურც ჩემი და ტომის დამსახურებას დაივიწყებთ... /პაუზა/ შენ რას იტყვი, ტომ?

ᲢᲝᲛᲘ. თქვენი არ ვიცი, სერ, და მე იმ დროზე ვოცნებობ, როცა ჩემს მშობლიურ კონექტიკუტში დავბრუნდები, სელინჯერივით განვმარტოვდები და ამ ყველაფერზე დავწერ...

ᲯᲔᲠᲘ. ვერაფერს ვიტყვი, არც ეგ უნდა იყოს მთლად ცუდი... თქვენი გამარჯვებისა იყოს! /მოსვამს/, ხოლო რაც შეეხება გენერალს, უნდა ვთქვა, პროფესორო, რომ...

/ვიცე-პოლკოვნიკის სიტყვები ყრუდ ისმის. უკანა სავარძელში ზის მზერაგაყინული პეტრე, ცრემლები სდის. მონოტონურად წვიმს. გაუჩერებლად მიდიმოდიან საქარე მინის გამწმენდები. უცებ სიჩუმე ჩამოვარდება. და მოულოდნელად ისმის მამლის ყივილი/.

/იდუმალი ხმაა ზემოდან/ „ამენ, ამენ, გეტყვი შენ, არღარა ეყივლოს ქათამსა, ვიდრემდის უვარ-მყო სამ-გზის“.

/ჩანს პეტრეს ცრემლიანი სახე. თითქოს რაღაცას მიხვდაო, იღიმის, იღიმის/.

პეტრე. /ჩურჩულით/ დიდება შენდა, მეუფეო, დიდება შენდა...

დასასრული: სცენაზე ვერხვის ფოთლები ცვივა. გამოდიან პერსონაჟები, დაასხდებიან ფოთოლცვენაში. გიტარით გამოდის ჯიქი, ჩამოჯდება, უკრავს და ჩახლეჩილი ხმით მღერის გალაკტიონ ტაბიძის „ვერხვებს“.

*1997 წლის ნოემბერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დავით მჭედლური

## ოქროს ხანა

### /ანუ ეროვნული იდეის კრიზისი XII საუკუნეში/



*ეს წერილი არ გახლავთ მეცნიერული ნარკვევი, იგი მხოლოდ ავტორის პირად მოსაზრებებს წარმოადგენს საქართველოს ისტორიის ერთი მონაკვეთის გარშემო.*

*შესაძლოა, ამ მოსაზრებებში მკითხველთა გარკვეული ნაწილისათვის სადავო ან მიუღებელი იყოს, მაგრამ ისტორიული ფაქტების, მოვლენებისა და, თუ გნებავთ, მთელი ეპოქების ახლებური ინტერპრეტაციის მცდელობა, ალბათ, არასოდეს არის ზედმეტი.*

*ავტორი.*

„ოქროს ხანად“ წოდებული ამ ეპოქისადმი ინტერესი არასოდეს განელებულა, მაგრამ თვით უდიდეს მწერლებთან და მკვლევარებთანაც კი არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ სწორედ „ოქროს ხანაში“ გამოჩნდა საქართველოს მომავალი კატასტროფის პირველი ნიშნები, უფრო მეტიც, მომზადდა საფუძვლები, ჩამოყალიბდა მიზეზები, რომელთაც უეცრად დაამხეს მაშინდელი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი იმპერია. ყოველი ავტორი ოდენ სიამაყემორევით იწყებს თხრობას და ხშირად ობიექტურობას კარგავს. ეს მეხოტბეობა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ემოციური მრავალსიტყვაობიდან იღებს სათავეს, ხოლო უფრო თავშეკავებულ ბასილი ეზოსმოძღვარს მრავალი ისეთი ფაქტი და მოვლენა აქვს გამოტოვებული, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ეპოქის ნამდვილი სულისკვეთების შესაცნობად.

„ოქროს ხანა“ თამარის სახელით არის გასხივოსნებული, მთელს ამ შავბნელ ამბებზე - აჯანყებებზე, ომებზე, შეთქმულებებზე მშვენიერი დედოფლის ხატება ამაღლებულა, მას დაუჩრდილავს სისხლიანი ტრაგედიები, ქვეყნის ზნეობრივი დეგრადაციის ნიშნები, ზღვარგადასული ეროვნული სიამაყე, აგრესიულობა და, რაც ყველაზე მთავარია, ეროვნული იდეის, თუ გნებავთ, ეროვნული დოქტრინის კრიზისი.

ამაოდ არ გარჯილან თამარის მეხოტბენი. მართლაც, კაცობრიობის ისტორიამ, ალბათ, იშვიათად იცის იმ რანგის პოლიტიკოსი, როგორიც თამარ მეფე ბრძანდებოდა. შუა საუკუნეების მონარქთა პოლიტიკა მუდამ ძალას ემყარებოდა, დაპირისპირებულ მხარეებს ხელთ მახვილი ეპყრათ და, ვინც უფრო ძლიერად შეძლებდა მოქნევას, სიმართლეც იმის მხარეზე იყო.

თამარი ქალი იყო და მახვილს ვერ აიღებდა, სამაგიეროდ, გამჭრიახი გონება ჰქონდა და მთელი თავისი მეფობის განმავლობაში უკვე საფუძვლებმორყეული ქვეყანა ისე ატარა, რომ მის მსოფლიო დიდებას და ავტორიტეტს ჩრდილი არ მიდგომია. იმ ძლევამოსილების სათავეებთან, რომელმაც შვა „ოქროს ხანა“, დიდი დავით აღმაშენებელი დგას, მრისხანე მონარქი და მთლიანი პიროვნება, უებრო მხედართმთავარი, პოლიტიკოსი და განმანათლებელი, რომელმაც თავისი არცთუ სანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მოასწრო და განადგურებული ქვეყნიდან შექმნა აღმოსავლეთის უძლიერესი სახელმწიფო, სათავე დაუდო კავკასიაში საქართველოს, როგორც რეგიონის პოლიტიკური ცენტრის დომინირებას. დავით აღმაშენებლის მემკვიდრეთა მთელი მოღვაწეობა, თამარ მეფის ჩათვლით, დავითის მიერ მოსაზღვრული სახელმწიფოს მთლიანობის შენარჩუნებისაკენ იყო მიმართული; საქართველოს ლაშქარი ზოგჯერ განმათავისუფლებლის, ზოგჯერ აშკარა აგრესორის დროშით არბევდა მახლობელი აღმოსავლეთის მხარეებსა და ციხე-ქალაქებს, მაგრამ გამუდმებული გამარჯვებებისა და უზარმაზარი სიმდიდრის მოხვეჭის კვალობაზე თანდათან კნინდებოდა აღმაშენებლისეული ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა, მის ადგილს იკავებდა აგრესიული და დამპყრობლური ჟინი.

ამ წარმატებულმა ომებმა დროთა განმავლობაში წარმოშვა აგრეთვე სამხედროთა მრავალრიცხოვანი სოციალური ფენა, რომელიც თავის ერთადერთ ხელობად ლაშქრობას, რბევას და ალაფის მოხვეჭას თვლიდა. ამ ლაშქრობების, გამარჯვებებისა და ალაფის მოხვეჭის

ეროვნული ბიბლიოთეკა



მიღმა უნდა ვიგულისხმოთ ადამიანთა ცხოვრების ის წესი, რომელიც, ჩვეულებრივ, მკვიდრდება სიმდიდრისა და ფუფუნების, ეროვნული სიფხიზლის საყოველთაო მოდუნების პირობებში; ამგვარ ვითარებაში ტრადიციულად მძლავრობს მდაბალი ვნებები, ეცემა ზნეობა, თავს იჩენს ადამიანთა მიდრეკილება ბოროტების, მომხვეჭელობის, კარიერიზმისაკენ. ამ სენისაგან საქართველოც არ ყოფილა დაზღვეული. გამოხდება ხანი და პირუთვნელი მემატიანე უკვე ლაშას დროის აღწერისას აღიარებს: „ვინათგან ჩვენ შევაწუხეთ ღმერთი საქმითა ბოროტითა, ეგრეთვე ღმერთმან აღავსო გული ჩვენი მწუხარებითა და წინაშე მტერთა ჩვენთა სირცხვილეულ გვყო". ეს, რაღა თქმა უნდა, მარტოოდენ ლაშას მეფობის რამდენიმე წელს არ ეხება და თამარის დროს დაწყებული პრობლემებიც იგულისხმება.

ქვეყანა, რომელმაც მთელი საუკუნენახევრის მანძილზე არ იცოდა დამარცხების სიმწარე, სხვა ხალხების მიმართ თანდათან აღივსო ცინიზმამდე მისული ეროვნული აღმატებულობის გრძნობით და ზღვარდაუდებელი ეროვნული ამბიციებით, იმალა დაუსჯელობის რწმენამ, თაობები აღიზარდნენ შეჭირვების გარეშე, ფუფუნებასა და კეთილდღეობაში, ქვეყანა აივსო ნაძარცვ-ნაალაფევით, საყოველთაო სიმდიდრემ და ბედკეთილობამ თანდათან შეარყია სახელმწიფოს ზნეობრივი საფუძვლები. სამწუხაროდ, საქართველოს არ ჰყოლია რომაელთა მსგავსი მამხილებელი ორატორები, თუმცა მათმა მჭევრმეტყველებამაც ვერ იხსნა ოქროსგან ზნეობაშერყვნილი მარადიული ქალაქი. ამ ბედნიერი და უზრუნველი თაობის ტიპიური წარმომადგენელი იყო თვით უფლისწული ლაშა გიორგი, რომლის უპასუხისმგებლობამ და თავკერძობამ ბევრად განაპირობა ძლევამოსილი ქვეყნის უეცარი კრახი, ხოლო თუ უფრო შორს გავიხედავთ, – მისი დაშლა-დანაწევრება.

დავით აღმაშენებლის მემკვიდრე დემეტრე I თავისი მამის ცადაწვდილი დიდების ჩრდილში ერთობ მოკრძალებულ ფიგურად გამოიყურება. მან გაჭირვებით შეძლო დავითისდროინდელი სახელმწიფოს საზღვრების შენარჩუნება, მაგრამ ყველაზე უარესი, რაც ჩაიდინა, სამეფო სახლში განხეთქილების ჩამოგდება იყო. მან დაარღვია მემკვიდრეობის ტრადიციული წესი და სამეფო ტახტის გადაცემა უმცროსი შვილისთვის განიზრახა: „მრჩეველი ძმისა უმცროსისა, მლირწველი, მკიცხველი იქმნა, ვითარ ისაკი იაკობისადმი."

სამემკვიდრეო კანონის დარღვევა თავად დავით აღმაშენებლისგან იღებს სათავეს. როგორც ჩანს, მეფე დავითს და დემეტრეს განსაკუთრებული სინაზით ჰყვარებიათ უმცროსი შვილები. დავითმაც ხომ დემეტრეს ანდერძად დაუტოვა, თუ ვარგ იყოს, ტახტი შენს შემდეგ ცვატს /აღმაშენებლის უმცროსი ძე ვახტანგი/ გადაეცი, მხოლოდ მერე დაჯდეს შენი ძე მეფედო. დავითის გარდაცვალებისას ვახტანგი /დედით ყივჩაღი/ შვიდი წლისა იყო, რაღა თქმა უნდა, ანდერძი ცნობილი იქნებოდა დემეტრეს შვილების დავითისა და გიორგისათვის, ისინი კი ორნივ ულმობელნი და დაუნდობელნი იყვნენ, ყოველნაირად იბრძოდნენ ტახტისა და ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ჯერ კიდევ დემეტრეს სიცოცხლეში. მათი ბუნებიდან გამომდინარე, ყოვლად შეუძლებელია მშვიდად შერიგებოდნენ ტახტის დაკარგვის პერსპექტივას. ვინ იცის, იქნებ ამ მიზეზით საქართველოს სამეფო კარზეც გათამაშდა კლასიკური ტრაგედია ძალაუფლებისათვის ბრძოლისა და სწორედ ამას მოჰყვა ვახტანგცვატა უფლისწულის უდროო სიკვდილი.

დემეტრე I სიმპათიები თავისი უმცროსი შვილისადმი, ალბათ, მხოლოდ ემოციების ნაყოფი არ იყო. როგორც ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობს, შესაძლოა, უფლისწულ დავითს რაიმე ისეთი პიროვნული ნაკლი გააჩნდა, რამაც დემეტრე მეფეს ეგზომ რადიკალური ზომების მიღება გადააწყვეტინა. უფრო საფიქრებელია, რომ დავითი იმ უზრუნველად აღზრდილი ბედისნებიერი თაობის წარმომადგენელი იყო, რომელიც გაიზარდა ახალ ძლევამოსილ ქვეყანაში, არ გააჩნდა სამეფო ღირსებები და ამიტომ აითვალწუნა მეფე-მამამ, რაც ამ უკანასკნელს ძვირად დაუჯდა. უფლისწულმა დავითმა გამუდმებული შეთქმულებებით და ინტრიგებით აიძულა დემეტრე, ტახტიდან გადამდგარიყო და მონასტრისათვის შეეფარებინა თავი.

ადვილი წარმოსადგენია იმ სამეფო სახლის ცხოვრება, იქაური ზნეობა და მორალური ატმოსფერო, სადაც დიდი აღმაშენებლის ხანდაზმულ ძეს, კანონიერ მეფეს თავნება შვილი მონასტერში გაქცევას აიძულებს.

მეფე დემეტრე რომ ერთობ ლმობიერი და სუსტი ნებისყოფის მონარქი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ, მიუხედავად ჩადენილი საშინელი დანაშაულისა, მან დასასჯელად ვერ გაიმეტა მტრად მოკიდებული პირმშო და, როგორც მატიანე გვაუწყებს, მხოლოდღა ღმერთის ევედრებოდა მეამბოხე უფლისწულის დღეთა შემოკლებას. უფალმაც, როგორც ჩანს, ისმინა მეფეყოფილი ბერის ვედრება და, სავარაუდოა, უმცროსი უფლისწულის გიორგისა და მისი რომელიმე მსახურის ხელით აღასრულა სასჯელი; ყოველ შემთხვევაში, დავითი გამეფებიდან ექვსი თვის შემდეგ გარდაიცვალა. დემეტრე მეფე კვლავ დაბრუნდა ტახტზე და თანამეფედ დაისვა საყვარელი შვილი გიორგი. ეს მოხდა 1156 წელს, როცა დავით აღმაშენებლის გარდაცვალებიდან სულ რაღაც 31 წელი იყო გასული.

ამრიგად, მოხდა უპრეცედენტო თვითნებობა, ნაცვლად იმისა, რომ ტახტზე ასულიყო დემეტრე, იგივე დემნა უფლისწული, დავითის ძე, მეფე შეიქმნა გიორგი, რომელიც მამის დასტურით უზურპატორად მოევლინა ქვეყანას და სათავე დაუდო ეროვნულ განხეთქილებას, შემდგომში არაერთხელ რომ იჩინა თავი.

გიორგი მესამე ტიპიური უზურპატორის სისასტიკით იცავდა თავის ხელისუფლებას და ბოლოს საკუთარი ძმის ერთადერთი შვილი, ტახტის კანონიერი მემკვიდრე, როცა ამ უკანასკნელმა თავისი უფლების აღდგენა სცადა, საშინელი სიკვდილით მოაკვლევინა.

ბუნებრივია, გიორგის მიერ ძალაუფლების უზურპაციამ დიდი შუღლი ჩამოაგდო სამეფო კარზე. ერთ მხარეს იყვნენ დემნა უფლისწულის მომხრეები, ზოგი კანონიერებისადმი ერთგულებით, ზოგი ანგარებით, ზოგიც ნათესაობით /სიმამრი ივანე ორბელი/, მეორე მხარეს, რაღა თქმა უნდა, იყო მეფის დაჯგუფება, ხოლო კარის არისტოკრატიის მიღმა იყო ხალხი, ასე იშვიათად რომ ახსენებდნენ მემატიანენი, რომელიც ან ერთ, ან მეორე მხარეს იდგა და, რაც მთავარია, იყო პროფესიონალ სამხედროთა კასტა, რომელსაც თავისი ინტერესები ჰქონდა და გადამწყვეტი სიტყვის თქმა შეეძლო ნებისმიერი პოლიტიკური ძალის სასარგებლოდ, მათი რჩეული კი, უპირველეს ყოვლისა, იქნებოდა ის, ვინც ახალ და ახალ მარბიელ ლაშქრობებში წარუძღვებოდა.

მემატიანეთა მწირი ცნობების მიღმა უნდა წარმოვიდგინოთ ის ვნებათაღელვა, რომელიც მთელს ამ პროცესს, ტახტის მიტაცებას, სასახლის კარის ინტრიგებს და ხელისუფლების ზედა ეშელონების მერყეობას მოჰ-

ყვებოდა მთელს ქვეყანაში.

უეჭველია, ხელისუფლების უზურპაციამ წარმოშვა ეროვნული განხეთქილება, რამაც ვერტიკალურად, უბრალო, ანუ საზეპურო ერიდან დაწყებული უმაღლეს არისტოკრატიამდე ორად გახლიჩა ქვეყანა. თუმცა გიორგი სამეფო ღირსებებით აღჭურვილი კაცი ჩანს, მკაცრი, ნიჭიერი და განათლებული, მაგრამ ამ თვისებებით მაინც ვერ შეძლო მოწინააღმდეგეთა მოხიბვლა და თავისი სიმამრის ივანე ორბელის მიერ წაქეზებული ღუმნა უფლისწულის აჯანყებისას ლამის სულ მარტო დარჩა, მხოლოდ საკუთარმა გაბედულებამ, სწრაფმა და საზრიანმა მოქმედებამ იხსნა დაღუპვისაგან.

საერთოდ, გიორგი III ერთობ საინტერესო პიროვნებად გამოიყურება. მან მამის სიცოცხლეშივე შეირთო ოსთა მეფის ხუდადონეს ასული ბურდუხანი; საქართველოს ახალგაზრდა დედოფალი მშვენებით თავისი „ტანლომი“ და „პირმზე“ მეუღლის შესაფერისი ყოფილა, მაგრამ გიორგი მეფე, როგორც ჩანს, კანონიერი ცოლის ღირსებას არად აგდებდა და სარჭებთან ნებივრობა უყვარდა; ყოველ შემთხვევაში, მას ჰყავდა უკანონო შვილები, მოგვიანებით ერთი ქალიშვილთაგანი, თამარის ნახევარი და არზრუმელ უფლისწულს მუტაფრადინს გაატანეს ცოლად. გარდა სარჭამრავლობისა, გიორგი III ნადირობის ჟინით ყოფილა შეპყრობილი. მისი სანადირო ასპარეზი ერთობ ვრცელი იყო: „ოდესმე ჟამსა ზამთრისასა გარდვიდის ლიხთიმერეს და მიუწიოს ზღვად პონტისა, მოიწიოს და მოინადიროს ალანთა ქვეყანა, რომელი არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღვამდის“. მთელს ამიერკავკასიაში, კასპიიდან შავ ზღვამდე მონადირე მეფე, ალბათ, მარტოოდენ ირმებსა და ტახებს არ დასდევდა, გზადაგზა ქვეშევრდომ მხარეებსაც მოივლიდა და იქაურ საქმეებს განაგებდა. როგორც ჩანს, გიორგის არც განათლება აკლდა, ყოველ შემთხვევაში, მან ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა თავისი მცირერიცხოვანი ლაშქრის წინაშე, როცა შარიარმან სულტანი ანისს მოადგა და ქართველთა მეფემ სულზე მიუსწრო თითქმის განწირულ ქალაქს.

ეს სიტყვა თავისი აღმაფრთოვანებელი მუხტით აღემატება დავით აღმაშენებლის მიერ დიდგორის ომის წინ წარმოთქმულ სიტყვას /თუ მას უცხოელი ისტორიკოსი ზუსტად გადმოგვცემს/:

„ - კაცნო, ძმანო, ერთსულნო და ერთრჯულნო, - მიმართა ბრძოლის წინ ჯარს მეფე გიორგიმ, - დიდად კეთილ არს საღმრთოთა სჯულთა და ქრისტეს სახარებისთვის სიკვდილი, რომელნი სამარადისოდ ვნატრით ქრისტეს კვალთა შემდგომთა და მომკვდართა მათ თვით ბუნებითა მკვდართა სხეულთაგან და ხედავთ თუ რაოდენ უფრო სასახელო არს მხნეობრივ სიკვდილი, ვიდრელა სენითა განდნობითა განლეულობასა შინა, რამეთუ სახე და სხეული საუკუნოდ გზად გვყვების? რამეთუ ჩვესმის ძალთა მომთხრობელთაგან, თუ რაოდენნი კვეთებანი თავს იხსნეს საღმრთოთა სჯულითათვის ტომმან ებრაელთამან არტაქსერქსეს ზე, ელინთა-ოდეს-იგი ირღვნებოდეს თემისტოკლეს მიერ უცთომელისა სპასპეტისაგან სოფლისა მქონებელსა მძლესა არატაქსერქეს ზედა, რომელმან ზღვაცა მტკიცე ყო უომრად სპაებთათვის, ხოლო ათენელთა ერთისა ოდენ ქალაქისაგან უკუნრღვეულ იქმნა. აწ ფრთოვანნო ლომნო ჩემნო, ჩემთვის განლახვრილისა აღიხვენით ლახვარნი და ოროლნი და უგმირენით ურწმუნოთა ღვთაებისა მისისათა!“.

ასე დაასრულა თავისი მჭევრმეტყველური მოწოდება მეფემ „მუნცა ღიმილითა და სიცილითა მლაღობელმან“ და ერთი სტრატეგიული დავალებაც მისცა თავის მეომრებს: მათ პირველ რიგში მტრის მედროშე უნდა ჩამოეგდოთ და ამით არეულობა შეეტანათ მოწინააღმდეგის ბანაკში, რაც ბრძოლის დაწყების უმალვე შესრულდა და გამარჯვება არგუნა ქართველებს.

რაც შეეხება გიორგის სიტყვას მეტად სახიფათო ბრძოლის წინ, იგრძნობა, რომ ქართველთა მეფეს ბრწყინვალედ სცოდნია ისტორია, ახსენებს ბერძენ-სპარსელთა ომების მხედართმთავრებს, არტაქსერქსესა და თემისტოკლეს, იცის დეტალები იმ საომარი ხერხებისა, რომელსაც ეს სარდლები იყენებდნენ.

თუ არ ვცდები, ქართულ მატიანეში ეს ამ პიროვნებათა პირველი და ერთადერთი მოხსენიებაა, ძველი დროის ქართველი ისტორიკოსები სარდლისა და ძლევამოსილი გმირის ეტალონად ალექსანდრე მაკედონელსა და აქილევსს მოიხსენიებდნენ. გიორგი გამეფებისთანავე შეუდგა ლაშქრობებს, იგი გამჭრიახი მხედართმთავარი ყოფილა, გართობასა და მოლხენასთან ერთად უყვარდა სახიფათო რისკიანი შეტევები.

თავისი გამეფების წელს /1156/ გიორგი ქალაქ კარნუ-ქალაქის კალზევანზე გაილაშქრა და დაარბია იგი, - 1161 წელს კვლავ აიღო ანისი, რომელიც დემეტრე მეფის დროს საქართველოს შემადგენლობიდან გავიდა და მხოლოდ ყმადნაფიცობა შეინარჩუნა. ანისის გარემომდგომ მხარეთა მუსულმანმა მთავრებმა ეს მარცხი იოლად ვერ მოინელეს და სულტან სალდუხის წინამძღოლობით გარს შემოადგნენ ანისს. საქართველოს მეფემ ეს ამბავი ნაჭარმაგევის სასახლეში გაიგო. სასწრაფოდ ლაშქრის შეყრა ბრძანა, მაგრამ სრულიად საქართველოს ლაშქრის მოსვლას აღარ დაუცადა და მცირერიცხოვანი მხედრობით გაემართა ანისისაკენ. სწორედ ამ ბრძოლის წინ წარმოთქვა მან ზემოთ მოყვანილი სიტყვა, რომელსაც, შესაძლოა, მართლაც ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან ქართველთა მცირე მხედრობით მრავალრიცხოვან მტერთან ბრძოლის დაწყება ერთობ სარისკო საქმე იყო. გამარჯვების სასწორიც დიდხანს მერყეობდა, მაგრამ დაისის ჟამს ქართველებისკენ გადაიხარა. მუსულმანთა ლაშქრის ნარჩენები გაიფანტნენ.

1162 წელს გიორგი მეფემ აიღო და სასტიკად ააოხრა ქალაქი დვინი, იბნ ალ ასარის ცნობით, ქართველებს ათი ათასი კაცი დაუხოციათ და ტყვედ წაუსხამთ. ანისისა და დვინის დაკარგვამ მუსულმანი ამირები გააერთიანა, მათ დიდძალი ლაშქარი შეჰყარეს ელდიგუზ ათაბაგის მეთაურობით და 100-ათასიანი არმიით შეიჭრნენ სომხეთში, აიღეს გაგის ციხე. ამას მოჰყვა გიორგი მეფის ელვისებური მოქმედება. მან სასწრაფოდ შეკრიბა ლაშქარი, ოსებიც მოიშველია და საომრად გაეშურა, მაგრამ მტერს ველარ მიუსწრო.

არა არს კაცი დღეს პირისპირ შემბმელი გიორგისა და მისთა ლაშქართა, მოვრიდოთ თავი და ვეფაროთო, - დაესკვნათ ამირებს და უკუქცეულიყვნენ. სანაცვლოდ ვერაგული გეგმა მოუფიქრებინათ: ქართველთა ბანაკში ვითომ მოციქული, სინამდვილეში ჯაშუში გაგზავნეს, რომელმაც დაზვერა საქართველოს მეფის ადგილსამყოფელი და მისი ლაშქრის „დგომა“. ეს „დგომა“ კი ერთობ უდარდელი და არასამხედრო იყო, რახან ელდიგუზის ჯარი უკუქცეული დახვდათ, მეფე გიორგის თავისმა სარდლებმა /იქნებ მოღალატეებმა/ ურჩიეს: „ვინათგან გაქცეულა სულტანი ყოვლითა სპითა; ნუღა აღზევებულ მკადრებლობ ღვთისა“. მეფემაც ისმინა უადგილო რჩევა და ჯარის დიდი ნაწილი შინ გაუშვა, თვითონ კი

ელექტრონული ბიბლიოთეკა



მცირედი ლაშქრით დმანისსა და ლორეს მთებს შუა დადგა და ნადირობას მიჰყო ხელი; იდგა გვიანი შემოდგომა.

როგორც ჩანს, ქართველებს ისე ჰქონდათ გამჯდარი საკუთარი უძლეველობის რწმენა, ისიც კი არად ჩააგდეს, რომ ელდიგუზ ათაბაგის უზარმაზარმა ლაშქარმა უბრძოლველად დაიხია უკან, იგი არც დაშლილა და არც დამარცხებულა, ალბათ, სადმე ლორეს მიდამოებში იდგა და გარსმომდგარი მთებიდან ორიოდე მზირს სულ იოლად შეეძლო ქართველთა ბანაკისათვის თვალის დევნება, თანაც ქართველთა ბანაკში ელჩის სახით მოსული ჯაშუში ერთ ღამეს გაუჩინარდა და თავის სარდალს უტყუარი ცნობები მიუტანა, მაგრამ ნადირობით გატაცებულ მეფეს, როგორც ჩანს, სიფხიზლე გადაავიწყდა, ამ უდარდელობის მწარე ნაყოფიც მალე მოიმკო. ერთ სავალალო განთიადზე მუსულმანთა ლაშქარი უეცრად დაესხა თავს ქართველთა ბანაკს და ერთიანად ამოჟლიტა იქ მყოფნი, მეფე გიორგიმ ძლივს მოასწრო აღჭურვა და ამხედრება, თუმცა ფიცხელი მეომარი იყო, ძლივს განარიდეს საშინელ სვრემს: „ნუუკვე, მეფევ, ჟამი არს ომისა და ჟამი არს სივლტოლისა, რამეთუ ყოველსა საქმესა ჟამი მიაჩენს", - უთხრა ვინმე ბრძენმა მხლებელმა და ბრძოლიდან გაიყვანა.

დიალაც საშინელი ჟამი დამდგარიყო, რადგან დავით აღმაშენებლის დროიდან ქართველთა ლაშქარმა, მით უფრო მეფის მონაწილეობით ომში, არ იცოდა დამარცხების სიმწარე, არასოდეს დამდგარიყვნენ სალტოლვილო გზაზე და მუდამ ამაყად ფრიალებდა დროშა გორგასლიანი და დავითიანი, „აროდეს მობერილი წინაალმდგომთა ნიავთაგან".

ახლა კი, გიორგის წინდაუხედაობით, პირველად იგემეს დამარცხება. საშინელი შურისძიებით შეპყრობილი მეფე სასახლეში მობრუნდა და ლაშქრის შეყრა ბრძანა, მაგრამ ელდიგუზ ათაბაგი, როგორც ჩანს, ერთობ შეაძრწუნა თავისმა გამარჯვებამ. მან ვერ მიაღწია მთავარ მიზანს, ხელთ ვერ იგდო და ვერც მოკლა მეფე გიორგი, ხოლო სანამ იგი ცოცხალი იყო, რამდენიმე ათეული ქართველი მეომრის ამოწყვეტა რა შვებას მისცემდა, როცა ხვალ მეფე გიორგი ათეულ ათასობით მოლაშქრეს შეჰყრიდა და ელდიგუზის აღსასრულიც დადგებოდა. მან ალბათ მადლობა შესწირა ალაჰს, რომელმაც ქართველკაზე თუნდაც ხანმოკლე გამარჯვება არგუნა და საკუთარ ქვეყანაში უკუიქცა ერთობ შთამბეჭდავი სიტყვებით: „ვინათაგან უბრძნობლად დამსხმელთა ხელთ ვერ ვიგდეთ აწ გარძნობილისა დევნა არს აჩრდილთა და წიაღით პყრობა ქართა". გიორგისაგან შურის ძიება დამოკლეს მახვილივით ეკიდა მის თავზე, ბოლოს ზავს შემოეხვეწა ელდიგუზ ათაბაგი, მან სულტნის ცოლყოფილს, გიორგის დაქვრივებულ დას რუსუდანს სთხოვა მეფის წინაშე შუამდგომლობა. მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა და მხარეები დაზავდნენ. მეფე კვლავ ნადირობასა და მოლხენას მიეცა, მაგრამ აქ თავი იჩინა სწორედ იმ აგრესიულმა ძალამ, რომელიც ბევრწილად განაპირობებდა ქართველთა საერთო განწყობასა და სულისკვეთებას. ეს ძალა იყო წარმატებულ ომებში ჩამოყალიბებული პროფესიონალ სამხედროთა კასტა, რომელსაც აღარ შეეძლო მშვიდი სამოქალაქო ცხოვრებით ეცხოვრა და თავის ერთადერთ მოწოდებად ომს, მოსაზღვრე ქვეყნების რბევას და ალაფის შოვნას თვლიდა. სწორედ მათ წაუყენეს მეფეს კატეგორიული მოთხოვნა - წამოეწყო ახალი ლაშქრობა: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა, თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა". გიორგის, როგორც ჩანს, რაღაც შინაური პრობლემები ჰქონდა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ძალაუფლების მიმტაცებელს მუდამ ეყოლებოდა ანგარიშგასაწევი ოპოზიცია. ამიტომ იძულებული გახდა სწრაფად განემუხტა დაძაბული საშინაო ვითარება: „წარსცნა ზავნი და ფიცნი" და სამხედროთა მოთხოვნას დაჰყვა.

ქართველთა აგრესია რამდენიმე მიმართულებით წარიმართა. მეფემ ტაოელებს, კლარჯებს და შავშებს უბრძანა მოერბიათ ოლთისი და ბანა, მესხები და თორელები კარისა და აშორნიის დასარბევად გაგზავნა, ქვემო ქართლელებს ებრძანა განძის მხარის მორბევა, ქართლელებსა და იმერლებს საქართველოს მიღმა მდებარე მტკვრის გამოღმა მხარე უნდა მოერბიათ, ხოლო ჰერ-კახნი ალაზანს უნდა დაჰყოლოდნენ ვიდრე შირვანამდე. მემატიანე სწორად შენიშნავს, ეს იყო ლაშქრობა, რომლის სიგრძე აროდეს ვის ეხილაო. და მართლაც, საქართველოს მთელი საზღვრის გაყოლებით 1165-66 წლებში გამოჩნდა ზვავად დაძრული მარბიელი ლაშქარი, რომელიც წალეკვას უქადდა ყველასა და ყველაფერს. ქვემოქართლელებმა რომ ნამდვილად მიაღწიეს განძამდის, ცნობილია, მაგრამ, როგორ განვითარდა შეტევები დანარჩენი მიმართულებით, ცნობები არ შემონახულა.

თვით მეფე გიორგის შირვანისაკენ მოუწია გალაშქრება, რადგან მისი მამიდაშვილი, შირვანშა აღსართანი შველას შემოეხვეწა და ხაზართაგან დაცვა სთხოვა. გიორგი ჩვეული მხნეობითა და სისწრაფით შეიჭრა კასპიის სანაპიროზე და დარუბანდის კარამდე მივიდა.

ქართველთა აგრესია სამხრეთის სახანო-სამთავროთა მიმართ არც მომდევნო წლებში შეწყვეტილა; მემატიანის ცნობიდან ისე ჩანს, რომ ამ ლაშქრობებმა პერმანენტული ხასიათი მიიღო და ქართველთა მარბიელმა ლაშქარმა არაერთხელ მოაოხრა ნახიჭევანი, მასისი, ღალვი, ბარდვი და ბელაყუნი.

თვით მეფე ერთხანს უჯარმას დამკვიდრებულა და კვლავ თავისი საყვარელი ნადირობისთვის მიუყვია ხელი, კარგადაც გაუმართავს ეს საქმე, იმდენად კარგად, რომ „სანადიროთა ქორთა და ძაღლთა სიმრავლე და სიტურფე და მოკაზმულობა აროდეს ვისგან ქმნილა".

ქართველთა მიერ ამ წლებში წამოწყებული ლაშქრობები აშკარად აგრესიული და მძარცველური ხასიათის იყო; მთელი ეს ომები ახალი მიწების დაპყრობას და ქვეყნის საზღვრების გაფართოებას როდი ისახავდა მიზნად, არამედ მხოლოდ მარცვას, ნადავლის შოვნას, ტყვეთა წამოსხმას ემსახურებოდა. ეს არ იყო სასელმწიფო ინტერესებით ნაკარნახევი სამხედრო მოქმედებები, არამედ იმ პროფესიონალ მეომართა ინტერესებს ემსახურებოდა, რომელნიც გულს ვეღარ უდებდნენ მშვიდობიან მეურნეობას, უცხო მხარეთა ძარცვას ამჯობინებდნენ და ამ ფაქტში იყო მეტად საშიში ნიშნები ქვეყნის ზნეობრივი დეგრადაციისა, რლევვას იწყებდა დავით აღმაშენებლისდროინდელი განმათავისუფლებლური ბრძოლის კონცეფცია, მკვიდრდებოდა მძარცველური ომების დოქტრინა და იმპერიის სამხედრო მანქანა მეფეს ულტიმატუმს უყენებდა - მარბიელად გაგვიშვიო.

ამრიგად, მთელი სამხედრო მექანიზმი და მის უკან მდგომი სოციალური სპექტრი: დიდაზნაურთა და მოლაშქრეთა ოჯახები, სამეფო კარის მოხელეთა ფენა იქცა ერთიან პარაზიტულ ორგანიზმად, რომელიც თავის

კეთილდღეობას მოსაზღვრე ქვეყნებში სისხლიანი თარეშითა და ძარცვით მონაგრებულ ქონებას უკავშირებდა. იმ ლაშქრობების ხსოვნა ჩვენი მეზობელი ხალხების ისტორიას დღემდე შემორჩა „ქართველთა შემოსევების“ სახელით. ამ სულისკვეთებით, როგორც ჩანს, მთლიანად განიმსჭვალა ქვეყანა და მავნე სენი თავის საქმეს აკეთებდა თვით თამარის ერთი შეხედვით ბრწყინვალებით მოსილ ეპოქაშიც.

ცნობილია, რომ ქართველ /და არამარტო ქართველ/ ფეოდალებს კანონიერი მეფისადმი მორჩილებაც არ უყვარდათ და, რაღა თქმა უნდა, უზურპატორი მეფე გულზე არ ეხატათ; მათი ერთადერთი ნუგეში, ალბათ, ის იყო, რომ გიორგის ვაჟი არა ჰყავდა და მცირედი იმედი მაინც რჩებოდათ, მეფე ტახტის მემკვიდრედ თავის ძმისშვილს დემეტრეს, იგივე დემნა უფლისწულს გამოაცხადებდა, რადგან მაშინ გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, რომ საქართველოს ტახტზე ოდესმე ქალი დაჯდებოდა.

არაორდინალურად მოაზროვნე და საოცრად გაბედული მეფე გიორგი კი თურმე სხვაგვარად ფიქრობდა. ვინ იცის, როდის გახდა ცნობილი მისი განზრახვა ტახტზე თავისი მშვენიერი ასულის აყვანის შესახებ; სავარაუდოა, რომ ამაზე არაერთხელ იქნებოდა ბჭობა როგორც მეფის დანდასწრებით, ასევე მის გარეშე; ალბათ, ბჭობდნენ მეფის კარზე, საზოგადოების როგორც მაღალ, ასევე დაბალ ფენებში და დაუცხრომელი ინტერესით ელოდნენ, რა მოხდებოდა ხვალ.

სავარაუდოა, რომ მეფე გიორგიმ თავისი განზრახვა დაახლოებულ პირებს გააცნო, რამაც საბოლოოდ გაუცრუა იმედი დემნა ბატონიშვილის მომხრეებს. დემნას გამეფებას რომ ბევრი მოელოდა, ამას მისი ნათესაური კავშირებიც ადასტურებს, როცა ცოლად შეურთავს ამირსპასალარ ივანე ორბელის ქალიშვილი, რაშიც უთუოდ იყო საქართველოს ჯარების მთავარსარდლის წვლილი, რადგან იგი, ალბათ, ტახტის კანონიერ მემკვიდრედ თავის სიძეს მიიჩნევდა, რაც პატივმოყვარე ორბელს მუდმივი პირველკაცობის გარანტიას ჰპირდებოდა. სხვაგვარად ეს დიდმოხელე და პატივმოყვარე ფეოდალი არ ისურვებდა განწირულ და უმომავლო უფლისწულთან დანათესავებას.

ივანე ჯავახიშვილს მოხმობილი აქვს სტეფანოზ ორბელიანის სიტყვები, თითქოს გიორგი III უფროს ძმას დავითს სიკვდილის წინ ტახტი თავისი შვილისთვის ეანდერძებინოს, მის რეგენტად კი დაენიშნოს გიორგი, იმ პირობით, რომ სრულწლოვანების მიღწევისთანავე მონარქის მთელი ძალაუფლება დემნას გადასცემოდა. სომეხ ისტორიკოსს, რომელიც წარმოშობით ქართველ ორბელთა შთამომავალი იყო, აშკარად ეტყობოდა ივანე ორბელის მოქმედების გამართლების წადილი. იგი ასევე ამტკიცებს, რომ ეს ფაქტი დიდებულთა წრეში საყოველთაოდ ცნობილი იყო.

ქართველი მემატიანენი ამაზე დუმან, ივანე ჯავახიშვილიც არ იზიარებს ამგვარ შესაძლებლობას, უფრო იმ მოტივით, სამეფოდ გამზადებულ დემნას ქვეშევრდომის - ივანე ორბელის ქალს არ შერთავდნენო. მაგრამ ეს ფაქტი გაცილებით ნაკლებად ანგარიშგასაწევი ჩანს, ვიდრე გიორგის განზრახვა - ტახტზე აეყვანა თავისი ქალიშვილი. სულ რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ კი წარმოუდგენელი რამ მოხდა: ვინმე ველისციხელი ქალის ტრფიალით გონდაკარგულმა ლაშა გიორგიმ საერთოდ უარი თქვა კანონიერი ცოლის შერთვაზე და უფლებამოსილი მემკვიდრის ყოლაზე, რასაც გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვა საქართველოს სახელმწიფოსათვის. ისიც ხომ ცხადია, რომ ამბოხებულებმა დემნას გამეფება მოინდომეს; მაშასადამე, მეფის თანამეცხედრედ ქვეშევრდომის ყოლას ისინი გადაულახავ დაბრკოლებად არ თვლიდნენ.

გიორგის მიერ თავისი ქალიშვილის გამეფების განზრახვამ ცივი წყალი გადაასხა ივანე ორბელს და მის მხარდამჭერ დიდებულებს, მათ ერთადერთი გამოსავალი რჩებოდათ: ამბოხების გზით დაემხოთ უზურპატორი.

იდგა 1177 წელი; სახატეს მყოფი მეფე გიორგი უდარდელად ისვენებდა, რაღა თქმა უნდა, საქვეყნოდ განთქმულ „ტურფა“ და „მოკაზმულ“ სანადირო ძაღლებს უქმად ვერ ამყოფებდა - ალბათ, ნადირობით ერთობოდა. მან ეჭვადაც არ იცოდა, რა განსაცდელი ელოდა წინ. როგორც ჩანს, გიორგი მეფის ბუნება განსხვავდებოდა სხვა უზურპატორთაგან და სიფრთხილე აკლდა, ამ უდარდელობითა და გაუფრთხილებლობით მან ერთხელ უკვე ჩაიგდო თავი განსაცდელში, როცა კინაღამ ელდიგუზ ათაბაგმა დაატყვევა. არც ის ფაქტია მეფის წინდახედულების მაუწყებელი, როცა მან ძირითად ძალებს აღარ დაუცადა და სამიათასი მეომრით მიადგა ანისს მაშინ, როცა მუსულმანთა ლაშქრის რაოდენობა თურმე ორმოცი ათასს აღწევდა.

ამ დროისათვის, ეტყობა, უკვე მოშლილი იყო დავით აღმაშენებლის დროინდელი სადაზვერვო სისტემა, თორემ მეფის მზვერავთა ფხიზელ თვალს არ უნდა გამოჰპარვოდა ამბოხების სამზადისი, რომელშიც ლამის მთელი სამეფო კარი იყო ჩაბმული.

ამბოხების მეთაურის ამირსპასალარ ივანე ორბელის მხარეზე იყვნენ დიდებულები: ივანე ვარდანის ძე და შოთა ართავაზის ძე, ქართლის ერისთავი ლიპარიტი, მეჯინიბეთუხუცესი ქავთარ ივანეს ძე, ანანია დვინელი, სარგის მხარგრძელი, ჯავახეთის პატრონი კახაი, შვილებითურთ, დიდი გამრეკელი, მემნა ჯაყელი, ჰასან, - კაეტანისა პატრონი და გრიგოლ ანელი, - აპირატის ძე. მეამბოხეებმა უზარმაზარი - ოცდაათიათასიანი ჯარი შეჰყარეს; მეისტორიე არას ამბობს თუ სად მოხდა ამბოხებულთა მთავარი ძალების თავმოყრა, თუმცა ყველაფარიდან ჩანს, რომ მათ თავი მოიყარეს სადღაც დედაქალაქის გარეთ და თბილისზე გალაშქრებას აპირებდნენ; მეფე გიორგიმ, რომელსაც გადამწყვეტ წუთებში შეეძლო საოცარი სიმამაცითა და გამჭრიახობით მოქმედება, დაასწრო მეამბოხეებს, თბილისში დაბრუნდა და ჯარის შეყრას შეუდგა. მან პირველ რიგში ყივჩაღთა რაზმი იხმო ყუბასარის მეთაურობით, მალე მეფის სხვა მომხრეებიც გამოჩნდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ისინი დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენელნი, უგვარონი იყვნენ ყუბასარივით და მემატიანე სახელებით არც კი ახსენებს. მეამბოხეებმა თბილისზე გალაშქრება ველარ გაბედეს და სომხეთის მთებში გამაგრდნენ /შესაძლოა ისინი თავიდანაც იქ იდგნენ/. მეფის გადაჭრილმა მოქმედებამ დააბნია და გათიშა მეამბოხეთა ბანაკი, მრავალი დიდებული ისევ მეფის მხარეზე გადმოვიდა, მანაც აღარ დააყოვნა და სასწრაფოდ შეუტია მოწინააღმდეგეთა ბანაკს, მოარბია ტაშირი და ლორე, მაგრამ ამბოხებულნი გაურბოდნენ გადამწყვეტ ბრძოლას, ამ დროს ივანე ორბელს თავისი ძმის მეთაურობით დელეგაცია გაუგზავნა შაჰარმენთან და ელდიგუზ სულტანთან დახმარების სათხოვნელად, მაგრამ დამხმარე ძალა არ ჩანდა. მეფემ აგარას დაიბანაკა, ახალი ძალები მოირთო, შესაძლოა, თავად აღარ იკადრა ქვეშევრდომებთან ომი ან სხვა რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოსაზრებით ერთხანს ბანაკში დარჩა და შეამბოხეთა გასანადგურებლად თავისი გაზრდილი ჭიაბერი გაგზავნა.

შევიწროებული და ძალებდაშრეტილი შეამბოხენი ლორეს ციხეში ჩაიკეტნენ, მალე იქვე გამოჩნდა თავად მეფე და საეჭვო აღარ იყო, რომ ამბოხებულთა აღსასრული დადგა. რაღაცნაირად მოახერხეს ივანე ორბელისა და შოთა ართავაზოს ძის /ჩამომავლობით ორბელიანი/ შეპყრობა, ხოლო დემნა უფლისწული საბლით ჩამოეშვა ციხიდან და ქედმოდრეკილი ეახლა თავის მრისხანე ბიძას. მეფის მსჯავრი საშინელი იყო, დემნას თვალები დათხარეს და დაასაჭურისეს, რათა აღარასოდეს დაბადებულიყო ტახტის პირდაპირი მემკვიდრე. ახალგაზრდა კაცმა ამ სასტიკ სასჯელს ვერ გაუძლო და გარდაიცვალა. უზურპატორი მეფის სინდისს კიდევ ერთი უმძიმესი ცოდვა დააწვა. ივანე ამირსპასალარს რატომღაც თვალთდათხრა აკმარეს, ხოლო ამბოხებულთა სხვა თავკაცები სიკვდილით დასაჯეს. ამგვარი სისასტიკით გიორგიმ აღმოფხვრა პირდაპირი სამეფო შტო და საბოლოოდ გაუკვალა გზა ტახტისაკენ თავის ერთადერთ ასულს.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი: თბილისში მობრუნებულ მეფეს სამღვდელოთა დელეგაცია დახვდა და სახელმწიფო გადასახადებისგან განთავისუფლება მოსთხოვა, რაც მეფემ დაუყოვნებლივ აღასრულა. უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ კიდევ ერთი უზნეო გარიგება შედგა. ალბათ, ითქვა, რომ ეკლესია გაჩუმდებოდა მეფის უკანონობასა და სისასტიკეზე, თუ კი იგი მათ პირობებს დააკმაყოფილებდა, სხვაგვარად, სისხლიანი სამოქალაქო შეჯახების კვალდაკვალ ამგვარი მოთხოვნების წამოყენების არავითარი საჭიროება არ არსებობდა და უხერხულიც კი იყო.

ტახტის კანონიერი მემკვიდრისა და მხარდამჭერთა განადგურებით მეფე გიორგიმ დააკანონა ძალადობის კულტი, ამავე დროს მიიღო სარისკო და არგაგონილი გადაწყვეტილება, ქვეყნის სათავეში უნდა მოქცეულიყო ქალი, რომელსაც, მართალია, ტახტის მოცილე აღარ ჰყავდა, მაგრამ სად იყო იმის გარანტია, რომ ამაყი დიდებულები შეურიგდებოდნენ მის მეფობას, მათ ხომ თვით სასტიკი და ძლევამოსილი გიორგი მეფის დამხობაც კი განიზრახეს.

მემატიანე დემნა უფლისწულს ახასიათებს, როგორც „სახეკეთილს“, „ყოვლითა ხელითა მარჯვეს“ და „ნასწავლს“, იგი, როგორც ჩანს, მართლაც კეთილშობილი ჭაბუკი იყო, შესაძლოა, არც ტახტზე აცხადებდა პრეტენზიას, მაგრამ ივანე ორბელმა და მისმა წრემ აიძულა გადაედგა საბედისწერო ნაბიჯი. რაღა თქმა უნდა, მის მოძალადე ბიძას აჯანყებამდეც არ მოსვლია აზრად, თუნდაც უძეობის გამო ტახტი კანონიერი მფლობელისათვის ეანდერძებინა და ამით მოესპო განხეთქილება სამეფო სახლში.

დემნა უფლისწულის აჯანყებამ კი უფრო დააჩქარა გიორგი მეფის გადაწყვეტილების აღსრულება და მან 1178 წელს მეფედ აკურთხებინა და თანამოსაყდრედ დაისვა თავისი 18 წლის ქალიშვილი თამარი. ამავე პერიოდში გარდაცვლილა დედოფალი ბურდუხანი, თამარი დედით დაობლდა და დიდ მწუხარებაში ჩავარდა. მეფე გიორგიმ ერთხანს საგარეო ომებს თავი დაანება, საშინაო საქმეთა მოწესრიგებას მიჰყო ხელი. მან, შეიძლება ითქვას, რევოლუციური ნაბიჯი გადადგა, როცა მთლიანად შეცვალა მთავრობა.

დიდგვაროვანი ფეოდალები, რომელნიც, გარდა იმისა, რომ, ალბათ, ცუდი მოხელეები იყვნენ, გამუდმებით მერყეობდნენ, შეთქმულებასა და სახელმწიფო გადატრიალებაზე ეჭირათ თვალი, მათი ფეოდალური ბუნება ხშირად არ ითვალისწინებდა მეფისა და სახელმწიფოს ინტერესებს.

თუმცა ისტორიამ პირადი თვისებების წყალობით დაწინაურებულ უგვაროთა ღალატის ბევრი ფაქტი იცის, მაგრამ გიორგი მესამემ თავისი ცხოვრების მანძილზე იმდენი არაპოპულარული ნაბიჯი გადადგა, რომ მისგან უძლიერესი ფეოდალების მტრად მოკიდება, როცა თავად აღსასრულს უახლოვდებოდა და ტახტზე 18 წლის ქალიშვილს ტოვებდა, მეტისმეტად გაბედული ნაბიჯი იყო.

შესაძლოა მეფე სხვაგვარად სჯიდა; ეშინოდა, ვაითუ დიდმა ფეოდალებმა თამარს მეფობა არ დაანებონო, ამიტომ უგვაროთა წამოწევა იყო ერთადერთი დამცავი საშუალება, რადგან დაბალი ფენებიდან გამოსულ დიდმოხელეთა კეთილდღეობა მხოლოდ მონარქის კეთილდღეობაზე და სვესვიანობაზე იყო დამოკიდებული და თუ მას რაიმე დაუშავდებოდა, უმალ მათი დიდებაც გაცამტვერდებოდა. ამიტომ იყო, რომ მოხელეთა ეს კასტა დიდი ერთგულებით გამოირჩეოდა.

თამარის გამეფებისას მეფე გიორგის მიერ ჩამოყალიბებულ მთავრობაში საკმაოდ იყვნენ „უგვარო“, დაბალი წრის ადამიანები, ამირსპასალარის თანამდებობა ეჭირა ყუბასარს - ყივჩაღური წარმოშობის პროფესიონალ სამხედროს; ფინანსთა მინისტრი იყო ყუთლუ-ასლანი, - ვაჭართა წრიდან გამოსული „სიმდიდრით ამაღლებული“ კაცი; მეჯინიბეთუხუცესობა ეჭირა წვრილ აზნაურთა წრიდან გამოსულ ჭიაბერს; მსახურთუხუცესი იყო აფრიდონი - ასევე აზნაურის ნაყმევი... ყველა ისინი მეფე გიორგიმ დააწინაურა პირადი ერთგულების ნიშნით და არა გვარით ან მემკვიდრეობით.

• ამ დროს საქართველოში ყველაზე დიდი პრობლემა ყოფილა ქვეყანას მოდებული ქურდობა და ავაზაკობა. ეს კი შემთხვევით არ ხდება, ქურდობა -ავაზაკობა ან ქვეყნის საყოველთაო სიღატაკისას ვრცელდება, როცა ადამიანს სხვა საარსებო საშუალება აღარ გააჩნია, ან მაშინ, როცა ქვეყანა ორ უკიდურეს ფენად - მდიდრებად და ღატაკებად არის დაყოფილი. ამ დროს საქართველოში არც ერთი და არც მეორე საფუძველი არ არსებობდა. ქვეყანა მდიდარი იყო, ყველა ფენა, დიდაზნაურობიდან დაწყებული, უბრალო გლეხებამდე არათუ შეძლებულად, ფუფუნებითაც კი ცხოვრობდა: „გააზნაურდეს ქვეყნისა მოქმედნი და გადიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი მეფობისა შინა ამისასა“.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქვეყანაში დამნაშავეობის ზრდას ხელი შეუწყო წელთა განმავლობაში ჩამოყალიბებულმა მეომართა სოციალურმა ფენამ. რაღა თქმა უნდა, გარეშე ქვეყნების რბევა ყოველთვის ვერ ხერხდებოდა, მათ კი მიწაზე შრომა არც შეეძლო და, ალბათ, არც საამისო სურვილი ჰქონდათ, უსაქმოდ ყოფნას კი ვერ ურიგდებოდნენ და საკუთარ თანამემამულეთა ძარცვას მიჰყვეს ხელი, ქვეყანას მოედო შეიარაღებული ავაზაკური ჯგუფები.

მეფე გიორგიმ კიდევ ერთხელ გამოიჩინა სისასტიკე და გადამწყვეტი მოქმედების უნარი, ავაზაკობაში შემჩნეულთ სასჯელად ჩამოხრჩობა დაუდგინა მიუხედავად სოციალური კუთვნილებისა. ამგვარი გადაწყვეტილება კიდევ უფრო განამტკიცებს აზრს, რომ ბანდიტები მეომართა წრიდან იყვნენ, რადგან მათ შორის აზნაურებიც ყოფილან, რომელნიც მეფის ბრძანებით უგვარო

ავაზაკთა დარად უნდა დაესაჯათ. აზნაურებს ცხოვრების სიდუხჭირე როდი აიძულებდა შარაგზის ყაჩაღობას, არამედ, ეტყობა, თავის მეომრულ ჩვეულებას მისდევდნენ, სხვისი ქონების მიტაცება და კაცთა კვლა მათ ბუნებად და მოთხოვნილებად იყო ქცეული.

მეფე გიორგიმ, როგორც ჩანს, სასტიკი სასჯელით მალე დააცხრო ბანდიტების მადა, ბევრმა მათგანმა უახლოეს ხეზე ჰპოვა აღსასრული.

გიორგი მესამე 1184 წლის 27 მარტს გარდაიცვალა კახეთის სტაგირში, სადაც, ალბათ, ისევ სანადიროდ იყო წასული; მემატიანეც ხომ გვაუწყებს, რომ მეფე მოხუცებულობის ჟამსაც მისდევდა თავის საყვარელ გასართობს: „...კვალად იშვებდა მონადირე მთათა და ბართა, ბრძანებითა მპყრობელი აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ჩრდილოსა და სამხარისა“. მეფე მოულოდნელად გარდაცვლილა, რადგან ისნის სასახლეში მყოფ თამარს თავზარი დასცა ამ სამწუხარო ცნობამ; გიორგი რომ დასნეულებული ყოფილიყო, ქარბუქიან მარტში სტაგერში რა უნდოდა, იქ არც მეფეთა აგარაკი ყოფილა და არც დრო იყო საგარაკო.

მისი დაკრძალვისას კიდევ ერთი მოულოდნელობა მოხდა: საშინელი თოვლისა და ქარბუქის გამო მეფის ნეშტის გელათში წასვენება ვერ მოხერხდა და დროებით მცხეთაში დაკრძალეს, სადაც განისვენებდა მისი მსხვერპლი - უფლისწული დემნა; როცა გამოზაფხულდა, მეფის ცხედარი სამეფო ნეკროპოლში გადაასვენეს.

გიორგი მესამის პიროვნებისადმი სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება არსებობს ქართველ მწერალთა და მეცნიერთა შორის. მეფის ფრესკულ გამოხატულებაზე დაკვირვებით ვახტანგ ჭელიძე წერს: „მთელი მისი სხეული, დგომის მანერა, ის თავისებური დინამიზმი, რითაც ფრესკებზე მისი გამოსახულება გამოირჩევა, უსათუოდ მიგვანიშნებს ამ ადამიანის განსაკუთრებულ ენერგიაზე, დაუდგრომელ ხასიათზე, შეუპოვრობასა და იქნებ ცბიერება-სისასტიკეზეც“.

მართლაც, ვარძიის ფრესკაზე გამოხატული მეფე გიორგის პორტრეტი ერთობ რთულ პიროვნებად წარმოაჩენს მას: უნიკაპო სახე, მოკლე წვერი, გრძლად მოშვებული თმა, მკაცრად მოკუმული ჯიუტი ბაგე, ეჭვნეული და სასტიკი მზერა, გამომწვევად აწეული თავი... ასეთია იგი ახალგაზრდა. ბეთანიის ფრესკაზე მეფე უკვე ხანდაზმულრა, მხცით მოსილი და უფრო სათნო სახით. ეს პორტრეტი, ალბათ, მოგვიანებით არის შესრულებული, რადგან გიორგი დგას თამარისა და ლაშას გვერდით, რომელსაც იგი არც კი მოსწრებია. ამრიგად, გამოდის, რომ მეფის პორტრეტი არ არის ნატურიდან შესრულებული და უფრო მხატვრის წარმოსახვის ნაყოფი სჭარბობს. სამწუხაროდ, გიორგი მესამეს არ გამოუჩნდა თავისი შექსპირი, თორმე მისი ცხოვრება ბრწყინვალე ტრაგედიის თემა გახლავთ.

მისი მეფობის ოცდაცამეტმა წელმა დაიტია რადიკალური ცვლილებები და გარდატეხები საქართველოს პოლიტიკურ, სოციალურ და ზნეობრივ ცხოვრებაში, შეიცვალა ადამიანთა მსოფლმხედველობა, წარმოდგენები ხელისუფლებასა და მმართველობის სისტემაზე, კანონიერებაზე, ომსა და მშვიდობაზე, მაგრამ ეს არ იყო მეფე გიორგის რეფორმატული მოღვაწეობის შედეგი; იგი რეფორმატორი არ ყოფილა. ერთადერთი რევოლუციური ნაბიჯი, რაც გადადგა, უგვაროთა დაწინაურება იყო, მაგრამ ეს პროცესიც დავით აღმაშენებლიდან იღებს სათავეს. მისი ყველა სხვა მოქმედება პირადი ძალაუფლების განმტკიცებას და მისი ქალიშვილის აუცილებელი გამეფების საქმეს ემსახურებოდა.

* * *

გიორგი III გარდაცვალებისთანავე სამეფოში მთავარ პოლიტიკურ ფიგურად იქცა მეფის ქვრივი და რუსუდანი. მან სამშვილდეში შეიტყო თავსდამტყდარი უბედურება და უმალ თბილისისკენ გამოეშურა. ეს დარბაისელი ქალბატონი, ეტყობა, ადრეც მონაწილეობდა პოლიტიკაში, რადგან დმანისის ხევში მეფე გიორგიზე გამარჯვებით დამფრთხალმა ელდიგუზ სულტანმა სწორედ მას სთხოვა ქართველთა მეფესთან დაზავებაზე შუამდგომლობა, ქვრივი დედოფლის ეს მისია წარმატებით დაგვირგვინდა, რადგან ორივე მხარეს სურდა ზავი.

როგორც კი ისნის სასახლეში გლოვის ზარი მიწყდა, კარის დიდებულები რუსუდან დედოფალს ეახლნენ და სთხოვეს, გადაეცა თამარისათვის, სასწრაფოდ დაეკავებინა ტახტი, თუმცა იგი ტახტის თანამფლობლად უკვე ექვსი წლის მანძილზე ითვლებოდა. რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, უნდა ეთხოვათ, რომ თამარი თავისი მოვალეობის აღსრულებას შედგომოდა, თუ ასეთი თხოვნა საჭირო იყო საერთოდ.

თამარს თავი არ გამოუდვია, თუმცა გამოირკვა, რომ მას მეფის მოვალეობის აღსრულებას კი არ სთხოვდნენ, არამედ ხელახლა უპირებდნენ კურთხევას. ეს იყო დიდებულთა მხრიდან მეფეზე ძალმომრეობის პირველი მცდელობა. დიდებულთა საკრებულომ ანგარიში არ გაუწია მეფე გიორგის ნებით მომხდარ პოლიტიკურ აქტს, ფაქტობრივად, გააუქმა იგი და ყმაწვილ ქალს აგრძნობინა, რომ მისი ბედი მხოლოდ დიდებულთა ნებაზე იყო დამოკიდებული და, რადგან თამარისადმი კეთილად იყვნენ განწყობილნი, მოწყალედ დართეს ნება, თავზე გვირგვინი დაედგა.

როგორც მისი ფრესკული პორტრეტიდან ჩანს, თამარი მომხიბლავი ქალწული ყოფილა, არაფრით ჩამოჰგავს მამას - მეფე გიორგი მესამეს, რომელიც, ისევ ფრესკით თუ ვიმსჯელებთ, თვალადობით არ გამოირჩეოდა. იქნებ თამარი დედას ჩამოჰგავდა - ოსთა მეფის ასულ ბურდუხანს, ვინც ეგოდენ მომხიბლავი ყოფილა, რომ „სძალი სხვა მისებრი მაშინ არა ეხილვა ქართლისა თემსა“.

თამარი, ეტყობა, მომცრო ტანის იყო, რადგან მემატიანე „ტანად ზომიერს“ უწოდებს; მაღალი რომ ყოფილიყო, მემატიანენი უსათუოდ აღტაცებით აღნიშნავდნენ ამას, ალვასა და საროს შეადარებდნენ, თუმცა, რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ბასილი ეზოსმოძღვარი მშვენივრად აღწერს თამარის გარეგნობას: „ტანსა ზომიერსა, გვრემანობა თვალთა და ლაწვთა სპეტაკთა ზედა, ვარდებრივ ფეროვნება, მორცხვი გამოხედვა, ლაღი მიმოხედვა, ტკბილი პირი, მხიარული და ულიზღო სიტყვის სინარნარე და ზრახვათა უჩეკუნობა“. ბედის განგებით, სიყვარულისა და უზრუნველი ცხოვრებისათვის გაჩენილი ეს ქალიშვილი აღმოჩნდა უზარმაზარი იმპერიის სათავეში, რომელიც მთელ ამიერკავკასიასა და მახლობელ აღმოსავლეთს აზანზარებდა. იგი გახდა მეთაური და მთავარსარდალი მრისხანე არმიისა, რომელსაც სისხლში გასჯდომოდა ომისა და რბევის ჟინი, არაფრით არ სურდა, მიბრუნებოდა სამოქალაქო ცხოვრებას და გლეხური შრომისათვის მიეყო ხელი, არამედ ახალი მძარცველური ომებისა და ალაფის ხვეჭ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ისაკენ მიილტვოდა.

მაგრამ სანამ მთელს ამ ძალებზე აღზევდებოდა, თამარს მძიმე დაბრკოლებები ჰქონდა გადასალახავი, გარკვეული პოლიტიკური ძალები თავის მხრივ, მის მძევლად აყვანას აპირებდნენ.

თამარი „არაყმაწვილებრივი“ გონებით გამოირჩეოდა და არ შეიძლებოდა, არ მიმხვდარიყო დიდებულთა ვერაგულ ხრიკებს, მით უფრო, გვერდით ედგა გამოცდილი მამიდა რუსუდანი, მაგრამ არ არსებობს რაიმე საბუთი, რომ თამარს პროტესტი განეცხადებინოს ან ემტკიცებინოს - მე ხომ უკვე ვარ მეფეო. მიჰყვა დიდებულთა ნებას და დიდი ზარ-ზეიმით ხელახლა აკურთხეს, წელზე ხმალიც კი შემოარტყეს, როგორც საქართველოს ჯარების მთავარსარდალს.

ადვილი წარმოსადგენია მთელი ამ პროცესის პომპეზურობა ღამის თევებით, დაძაბული კამათით, შეხლა-შემოხლით... ოდნავ მოქანცული ახოვანი ფეოდალები პირმოთნე ღიმილით იდრეკენ ქედს ლოყებშეფაკლული მშვენიერი ქალწულის წინაშე, რომელსაც ამიერიდან საქართველოს მეფე ჰქვია; იციან, რომ მალე ამ სუსტ არსებასთან მძიმე საუბარი მოუწევთ; მათ უკვე შეუდგენიათ ახალი მთავრობა: ბევრი ვინმე უნდა გაიწიროს, ბევრიც აღზევდეს; რაც მთავარია, უსიტყვოდ უნდა შესრულდეს მათი განზრახვები და სურვილი, წინააღმდეგ შემთხვევაში...

ეს იყო საქართველოს მმართველობის უმაღლეს ეშელონში გამეფებული უზნეობისა და კარიერიზმის მორიგი გამოხატულება და, ფაქტობრივად, ხელისუფლების კრიზისი; თავის დროზე მეფე გიორგიმ შეძლო მისი დათრგუნვა და თავისი სიცოცხლის ბოლო წლებში სრულიად ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა „ახალი ადამიანებისაგან“. თამარმა ეს ვერ მოახერხა, მთელი თავისი მეფობის მანძილზე მან ვერ შეძლო საკუთარი პარტიის შექმნა და მხოლოდ მაღალნიჭიერი პოლიტიკოსის მოქნილობით ახდენდა ძალთა ბალანსირებასა, რასაც ზედ ერთვოდა მისი პირადი ავტორიტეტი, ქალური მომხიბლაობა და ადამიანებთან ურთიერთობის უნარი.

ხელმეორედ მეფედ კურთხევისთანავე თამარს ახალი მოულოდნელობა ელოდა: მეფეს აუწყეს დიდებულთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის შემონათვალი - ისინი ამიერიდან აღარ აპირებდნენ ძველ ხელისუფალთა და გამგებელთა მორჩილებას, თავიანთი გვარისა და ღირსების შეურაცხყოფად მიაჩნდათ მთავრობაში უგვარო მოხელეთა ყოფნა და მათ განდევნას ითხოვდნენ. დიდებულთა პირველი სამიზნეები იყვნენ ამირსპასალარი და მანდატურთუხუცესი ყუბასარი, ყივჩაღური წარმოშობის კაცი, რომელიც პირველი ეახლა გიორგი მესამეს მისთვის მძიმე ჟამს და, ფაქტობრივად, იხსნა იგი. მეფის უყოყმანო მხარდაჭერისთვის ჯილდოც ღირსეული მიუღია - ორ უმაღლეს თანამდებობას ფლობდა ერთდროულად, მაგრამ ძალ-ღონე აღარ მოსდევდა, ფილენჯის ქარით სნეულს, ენა და ხელ-ფეხი ერთმეოდა და, რასაკვირველია, საქმის გაძღოლა უჭირდა, თუმცა მისი დევნის მიზეზი არც ყივჩაღური წარმოშობა იყო და არც ფილენჯის ქარი, არამედ უფრო სავარაუდოა, რომ გარკვეულ ძალებს ყუბასარისთვის ვერ ეპატიებინათ ტახტის კანონიერი მემკვიდრის, დემნა უფლისწულის დაღუპვა და ის გადამწყვეტი როლი, რომელიც მან შეასრულა უზურპატორის გადარჩენაში. ტახტის პირდაპირ მემკვიდრეთაგან ვინმე ცოცხალი რომ ყოფილიყო, ეჭვი არ არის, იგივე ძალები თამარის ნაცვლად ახლაც სიამოვნებით შეეცდებოდნენ მის გამეფებას.

მეორე, ვის გადაყენებასაც დიდებულები მოითხოვდნენ, აზნაურის ნაყმევი აფრიდონი იყო, რომელსაც გიორგის მთავრობაში მსახურთუხუცესის თანამდებობა ეკავა.

უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილმა თამარმა გასწირა დავრდომილი ამირსპასალარი ყუბასარი, მასთან ერთად გადააყენა აფრიდონიც და ოპოზიციის პირველი დარტყმა კომპრომისით შეანელა.

მთავრობის ახალი წევრები ჯერაც არ დაენიშნათ, რომ მეფის თავზე შეთქმულების ახალი მრისხანე ტალღა წამოიმართა. მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა ისნის სამეფო სასახლის მახლობლად „კარვის“ დადგმა მოითხოვა, სადაც უნდა შეკრებილიყო დიდებულთა საბჭო, ყველა სახელმწიფო საკითხი გადაეწყვიტა და მეფისგან მისი აღსრულება მოეთხოვა. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური მოძრაობა არსებითად მმართველობის სისტემის შეცვლას ისახავდა მიზნად. ამ მოძრაობაში იყო კონსტიტუციური მონარქიისა და პარლამენტარიზმის ჩანასახი, რითაც ქართულმა იდეამ მთელი ორი საუკუნით გაუსწრო ევროპული დემოკრატიის მამებს, მაგრამ მას გამარჯვება არ ეწერა, რადგან ის ფენა, რომელსაც ყუთლუ-არსლანი ეყრდნობოდა, პოლიტიკურად სუსტი იყო. ფეოდალთა მაღალ წრეებში, რაღა თქმა უნდა, წმინდა და ხელშეუხებელი იყო „ერთის“, „პირველის“ იდეა; მათ არ შეეძლოთ შეხებოდნენ აბსოლუტიზმს, როგორც მმართველობის ფორმას, თუნდაც ამ იდეის განსახიერება უმწეო ქალიშვილი ყოფილიყო.

ყუთლუ-არსლანი, როგორც ჩანს, წარმატებული ომებისა და მსუყე მშვიდობიანობის დროს ვაჭრობითა და აღებ-მიცემობით გამდიდრებული ფენის, ანუ იმდროინდელი „სავაჭრო ბურჟუაზიის“, მემატიანის სიტყვით „სიმდიდრით ამაღლებული“ ფენის წარმომადგენელი იყო. სავარაუდოა, რომ წარმოშობითაც არ იყო ქართველი და იმ სოციალური ფენების ინტერესებს განასახიერებდა, რომელთაც მეფესა და ფეოდალებთან ერთად სურდათ ხელისუფლების გადანაწილება, ეტყობა, იგი ამავე ძალების წყალობით გახდა მეჭურჭლეთუხუცესი და სახელმწიფოს მთელი ფინანსური საქმიანობის სათავეში მოექცა.

ამბოხებული ფეოდალები, მიუხედავად მისი უგვარობისა, როგორც ჩანს ყუთლუ-არსლანის დამხობას არ აპირებდნენ, რადგან სახელმწიფოს უმდიდრეს კაცთან და ფინანსთა მინისტრთან გარკვეული ინტერესებით იქნებოდნენ დაკავშირებული, მაგრამ ამ ნაადრევად დაბადებული დემოკრატის ბანაკში მოხსენიებული არ არის არც ერთი დიდგვაროვანი, თუმცა ყუთლუ-არსლანს ჯარიც ჰყოლია და მრავალი მომხრეც. ფეოდალთათვის ყუთლუ-არსლანის მოძრაობაში ის იდეა იყო მომხიბლავი, რომელსაც იგი სთავაზობდა, ანუ სამეფო ხელისუფლების დასუსტება და მეფის ცერემონიულ ფიგურად გადაქცევა. ეს მათ მოქმედების სრულ თავისუფლებას ანიჭებდა, რადგან „კარავში“ გამართულ სხდომებზე რიცხობრივადაც და ძალითაც დიდი უპირატესობა ექნებოდათ, რაც უზრუნველყოფდა სასურველი გადაწყვეტილებების მიღებას.

თავად ყუთლუ-არსლანი გამარჯვების შემთხვევაში თურმე ფინანსთა მინისტრის მოკრძალებული თანამდებობის ამირსპასალარობასა და სომხეთის მეფისნაცვლობაზე გაცვლას აპირებდა.

ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს მმართველობის უმაღლეს ეშელონში მოხელეთა და დიდგვაროვანთა შორის ერთგვარ დიფერენციაციაზე. ეს მეტად

ეროვნული ბიბლიოთეკა



საყურადღებო მომენტი ჩანს. თვალსაჩინოა, რომ სახელმწიფოში ჩამოყალიბდა ყოვლისშემძლე ბიუროკრატიული აპარატი, რომელსაც საკუთარი ინტერესები გაუჩნდა, მან შეადგინა გარკვეული სოციალური ფენა და დაიწყო ბრძოლა ძალაუფლების რაღაც ნაწილის მონარქის ხელიდან გამოგლეჯისათვის. იგრძნობა, რომ მოხელეთა ამ ფენის ფარული თუ აშკარა ძალაუფლება ბევრად აღემატებოდა თანამდებობის არმქონე დიდგვაროვანთა ძალაუფლებასა და შესაძლებლობებს. დიდგვაროვანი კაცი ხელისუფლების მაღალ ეშელონებში მხოლოდ მაშინ იყო ანგარიშგასაწევი, თუ მას დიდი თანამდებობაც ეკავა. ამიტომ იბრძოდნენ მსხვილი ფეოდალები უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობათა ხელში ჩასაგდებად; რაც შეხება სამღვდელოებას, მისი პოზიცია ყუთლუ-არსლანის იდეების მიმართ არა ჩანს, ხოლო მოსახლეობის ძირითადი ნაწილი - გლეხობა, ალბათ, ამ მოძრაობისგან შორს იდგა. ქვეყნის სოციალურ სპექტრში, რაღა თქმა უნდა, მეტად ანგარიშგასაწევი ძალა იყო სამხედროთა ფენა. მათი ერთი ნაწილი, როგორც ჩანს, მხარს უჭერდა ყუთლუ-არსლანის მიერ წამოწყებულ მოძრაობას, ყოველ შემთხვევაში, მეამბოხე ფინანსთა მინისტრს საკმაო სამხედრო ძალა ჰყავდა და, იმ შემთხვევაში, თუ მეფე არ დაემორჩილებოდა, ისნის სასახლეზე შეტევით, ანუ სამხედრო გადატრიალებით იმუქრებოდა.

სამხედრო ძალების ხელმძღვანელი ამირსპასალარი იყო და მეჭურჭლეთუხუცესს მასთან არაფერი აკავშირებდა, მაგრამ, ეტყობა, დიდი ხნის წინ ჩამოყალიბებული „ომის პარტიის" წარმომადგენლები მასთან ერთად ამზადებდნენ გამოსვლას და მოძრაობა სამხედრო ძალითაც უზრუნველჰყვეს. მათ თვალში ქალი-მეფე მშვიდობისმოყვარე არსებას განასახიერებდა, მაშინ, როცა სამხედროებს ომი და თარეში სწყუროდათ, რის დასტურსაც ამ პატარა ქალისგან ძნელად თუ მიიღებდნენ.

თამარის ჭკუამახვილობის ერთი ნიშანი ისიც იყო, რომ იგი ბრწყინვალედ ფლობდა როგორც უკანდახევის, ისე შეტევის ხელოვნებას. იცოდა ის ზღვარი, რომლის იქით უკანდახევა აღარ შეიძლებოდა. მან ორჯერ უკვე დაუთმო მოწინააღმდეგე ძალებს, მაგრამ იმის შესრულება, რასაც ახლა ითხოვდნენ, სამეფო ხელისუფლების კრახს ნიშნავდა და თამარმა მამაცური ნაბიჯი გადადგა: მან როგორღაც შესძლო ყუთლუ-არსლანის დაპატიმრება, რაც იმ მომენტში თითქმის წარმოუდგენელი იყო, რადგან ძნელად მოიძებნებოდა იმის გარანტია, რომ მეჭურჭლეთუხუცესის მომხრეები უმალვე არ შეუტევდნენ მეფის სასახლეს. ვითარება მეტად კრიტიკული იყო. გაურკვეველია, სად იყო ამ დროს მთავარი სამხედრო ძალები, მოსდა თუ არა მათი მობილიზაცია ან ვის ემორჩილებოდნენ, როცა ყუბასარის ნაცვლად ახალი ამირსპასალარი ჯერ კიდევ არ იყო დანიშნული. ამ დანიშვნას, ალბათ, ხელს უშლიდა თვით ყუთლუ-არსლანი, რადგან ამირსპასალარობა თავისთვის ჰქონდა დაგულებული. ყუთლუ-არსლანის შეპყრობაც, ჩანს, ჯიქურ არ მომხდარა; მემატიანე როგორღაც ორჭოფულად ამბობს: „მოიღონა ხელთ გდება". ალბათ, მეამბოხე ფარულად, მოტყუებით თუ თავისივე მომხრეთა ღალატით შეიპყრეს, რასაც უმალვე მოჰყვა პოლიტიკური სიტუაციის ჯერ კიდევ გამწვავება. ყუთლუ-არსლანის მომხრეთა დიდი ჯგუფი წარუდგა თამარს და ულტიმატუმი წაუყენა: ან უვნებლად გაუშვი ჩვენი ბელადი, ან სასახლეზე იერიშს დავიწყებთო, „განემზადნეს ისნისაცა შემობმად". ახალგაზრდა დედოფალს მთელი თავისი მომხიბლაობისა და მჭევრმეტყველების გამოყენება დასჭირდა მეამბოხეთა დასამშვიდებლად, მაგრამ რაც იმ მომენტში იყო მთავარი, ის კი შეძლო და ცოტაოდენი დრო მოიგო; მეამბოხეთა ბანაკში სასწრაფოდ წარგზავნა საყოველთაოდ პატივცემული ქალბატონების ხუაშაქ ცოქალისა და კრავაი ჯაყელისაგან შემდგარი დელეგაცია, რომელთაც ყუთლუ-არსლანის ჭრელ ბანაკში ერთობ გაბედული წინადადება მიიტანეს. მეფე მეამბოხეებს უთვლიდა, ყუთლუ-არსლანის გარდა არავის არაფერს დავუშავებ, ოღონდ დამშვიდდით და დაიშალეთო. ამ კრიტიკულ დროს, როცა მეამბოხეთა მეთაური შეპყრობილი იყო და მისი ყოველი მომხრის ბედი სასწორზე იდო, დედოფლის შემონათვალი ეფექტური გამოდგა.

თამარის მხრიდან ეს დიპლომატიური მანევრი გიორგი მესამისაგან უკვე გამოყენებული იმ ხერხის გამეორება იყო როცა მეფეს დემნა უფლისწულის მომხრენი ლორეს ციხეში ჰყავდა მომწყვდეული და დაუსჯელობის პირობით მეამბოხეებს რიგრიგობით იბარებდა, სანამ თავად უფლისწულიც არ ეახლა.

საკუთარი ტყავის გადარჩენის ინსტინქტით შეპყრობილმა „დემოკრატებმა" ულმობლად გასწირეს ყუთლუ-არსლანი, თამარს ეახლნენ და ერთგულება შეჰფიცეს. რა ბედი ეწია ყუთლუ-არსლანს, ცნობილი არ არის, მის დასჯაზე არაფერს ამბობენ, ალბათ, ქვეყნიდან გააძევესო, ვარაუდობს ივანე ჯავახიშვილი.

ყუთლუ-არსლანის მოძრაობა თავისთავად სახელმწიფოს შიგნით კრიზისის მაუწყებელი იყო თუნდაც იმ აზრის წარმოშობის გამო, რომ მეფის ხელისუფლების შეზღუდვაც შეიძლებოდა, თუმცა ეს კრიზისი მალე იქნა დაძლეული, მაგრამ წარმოსადგენია ის აჟიოტაჟი, რასაც დემოკრატთა გამოსვლა გამოიწვევდა მთელს ქვეყანაში.

ჩაიარა კატასტროფის საფრთხემ და თამარმა შეძლო გარკვეული ძალაუფლების ხელში აღება, თუმცა თვითმპყრობელობის ეს დონე შორს იყო მისი მრისხანე წინაპრების ძალაუფლებისაგან. ყმაწვილი დედოფალი კვლავ ფეოდალური, სამხედრო და ბიუროკრატიული მონსტრის პირისპირ დარჩა, ერთ მთლიანად რო იყო შეკრული და ნიადაგ ცდილობდა თავის ნებაზე მის დაყოლიებას.

თამარი ყუთლუ-არსლანის დამარცხებისთანავე ახალი მთავრობის შედგენას შეუდგა, ფაქტობრივად, შეცვალა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობის მქონე პირთა უმეტესობა.

როგორც გამორკვეულია, გიორგი III დროიდან სახელმწიფოს 4 ვეზირი ჰყავდა; ივანე ჯავახიშვილი მათ თანამედროვე ტერმინით - მინისტრობით მოიხსენიებს, ჩვენც ასე მოვიქცეთ: სამხედრო მინისტრი, ფინანსთა მინისტრი, სასახლის მინისტრი და შინაგან საქმეთა მინისტრი, მოგვიანებით ამას დაემატა ათაბაგი და მსახურთუხუცესი. ამრიგად მთავრობის წევრთა რაოდენობა ექვსამდე გაიზარდა. მთავრობის მეთაური იყო პირველი ვეზირი, ანუ მწიგნობართუხუცესი, თანამედროვე ტერმინით - პრემიერ-მინისტრი, რაღა თქმა უნდა, მინისტრებს ჰყავდათ მოადგილეები, თანაშემწეები, ჰქონდათ თავიანთი აპარატი, ხელმწიფის კარზე იყო მაღალი რანგის სხვა თანამდებობებიც.

ახალ მთავრობაში ჭყონდიდელისა და მწიგნობართუხუცესის პოსტი გარდაცვლილი მედროვის მიქაელ მირიანის ძის ნაცვლად დაიკავა ანტონ საღირის-ძემ, ქუთათელმა მთავარეპისკოპოსმა; ამირსპასალარი გახდა სარგის მხარგრძელი; ჭიაბერი მეჯინიბეთუხუცესობიდან მანდატურთუხუცესად, ანუ შინაგან საქმეთა მინისტრად

ეროვნული ბიბლიოთეკა



დააწინაურეს; ფინანსთა მინისტრად დაინიშნა კახაბერ ვარდანის ძე; ვარდან დადიანი გახდა მსახურთუხუცესი. ახალი პირები დაინიშნენ ვაზირთა მოადგილეებად და სხვა სამოხელეო თანამდებობებზე, ამირახორი, ანუ დღევანდელი ტერმინით, გენერალური შტაბის უფროსი გახდა გამრეკელი თორელი; ჩუხჩარეხის - ანუ უშიშროების სამსახურის უფროსის თანამდებობა მარუშისძემ დაიკავა.

ახალი მთავრობის ჩამოყალიბებით თამარმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას დამოუკიდებელი მოქმედების უნარი შესწევდა და საჭირო მომენტში, მით უფრო, როცა საქმე მის ბედს ეხებოდა, გადამწყვეტი მოქმედება შეეძლო, თუმცა, როგორც ჩანს, მთავრობის ახალ წევრთა დანიშვნა დიდაზნაურებთან შეთანხმებით, ანთუ მათი „ერთნებობით“ მოხდა. მაშასადამე, ყუთლუ-არსლანის დემოკრატიულ მოძრაობას მაინც დაუტოვებია თავისი კვალი.

თამარის მთავრობაში, ფაქტობრივად, თავი მოიყარა იმ ხალხმა, ვინც დაწინაურდა გიორგი მესამის დროს, ვინც ერთხელ უკვე დაამტკიცა უზურპატორი მეფისა და მისი ოჯახისადმი ერთგულება; ისინი ვის მუდმივ თანადგომაშიც თამარს ეჭვიც არ ეპარებოდა.

ამრიგად, ახალგაზრდა დედოფალმა წარმატებით დასძლია ხელისუფლების კრიზისი, უზრუნველჰყო თავისი უსაფრთხოება, ამბოხებებისაგან დააზღვია ქვეყანა და განამტკიცა პირადი ძალაუფლება.

საქართველოს სამეფო კარს კი მშვიდი ძილი მაინც არ ეწერა. აშკარად ჩანდა, რომ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის ბედი ბეწვზე ეკიდა. ჯერ ერით, ქალის გამეფება მოასწავებდა სამეფო გვარის დაკნინებას, ისიც მხოლოდშობილი იყო და რაიმე მოულოდნელობის შემთხვევაში დინასტია არსებობას შეწყვეტდა. ალბათ, გასათვალისწინებელია მეორე გარემოებაც, რაც აჩქარებდა გადაწყვეტილების მიღებას: უმაღლეს სახელმწიფო ბიუროკრატიას ბოლოს და ბოლოს სურდა ეხილა ის, ვინც თამარის ქმარი და, ამრიგად, სახელმწიფოში მეორე კაცი გახდებოდა, მის ხასიათსა და განწყობაზე კი დიდად იქნებოდა დამოკიდებული თითოეული მაღალჩინოსნის ბედი. სამეფო კარი გაფაციცებით შეუდგა თამარის გათხოვების სამზადისს. თამარს, როგორც ჩანს, ესმოდა ვითარების მთელი სერიოზულობა და ამ ჩანაფიქრს არ ეწინააღმდეგებოდა, თუმცა დიდი ენთუზიაზმით არ ეკიდებოდა და სრულიად სამართლიანად ფრთხილობდა, მაგრამ დიდმოხელეთა დაოკება ჭირდა. თამარის გათხოვებით დაინტერესებული ყოფილან სამხედრო წრეებიც და ეს არც არის გასაკვირი; მათ ომი, მარბიელი ლაშქრობები ეწადათ, და თამარის ქმრის სახით ელოდნენ სამხედრო წინამძღოლს, რომელიც მათებრ მონდომებული იქნებოდა საბრძოლველად და აღმოსავლეთის სამეფო-სამთავროთა დასარბევად წაიყვანდა. სამხედრო და სამოქალაქო პირთა თათბირზე, რომელიც თამარის გათხოვებას ეძღვნებოდა თურმე, ამდგარა ვინმე აბულასანი, ტფილისის ამირა და საბჭოსათვის მოუხსენებია რუსეთის ბოგოლუბსკოა გვარის დევნილი უფლისწულის ამბავი, რომელიც იმხანად ყივჩაღებს აფარებდა თავს და ქალაქ სუნჯაში იმყოფებოდა. ეს ამბავი თბილისის მერს, ალბათ, ვაჭართაგან ჰქონდა გაგონილი და, რახან დიდებულთა საკრებულოს ჭკუაში დაუჯდა რუსთა მთავრებთან დამოყვრება, ამ საქმის გადაწყვეტაც ისევ დიდვაჭარს, ვინმე ზანქან ზორაბაბელს დაავალეს. როგორც ჩანს, ზანქანმა მკაცრი ბრძანება მიიღო - რაც შეიძლებოდა სწრაფად ჩამოეყვანა რუსი უფლისწული, მანაც სწრაფი მოგზაურობის იმ დროს არსებული ერთადერთი საშუალება იხმარა, ცხენების ცვლით ჩავიდა სუნჯაში და ასეთივე სისწრაფით ჩამოიყვანა სასიძო. ზანქან ზორაბაბელს ალბათ იმდენი ხანიც არ დაუყვია ყივჩაღთა ბანაკში, რომ მცირე ინფორმაცია მაინც მიეღო საქართველოს მომავალ მეფეზე ანდა ასეთი დავალება არა ჰქონია, თავადაც თურმე დიდი ჭკუა-გონებით არ გამოირჩეოდა, რადგან მემატიანე შენიშნავს „ესე ვერა კეთილად განაგეს, ვერც კაცი იგი ღირსი საქმისა წარავლინეს“.

საქართველოს სამეფო კარი რუსთა მთავრებთან დამოყვრებით პოლიტიკურ მოკავშირეობასა და სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივას სრულიად გამორიცხავდა. ძნელი არ იყო იმის მიხვედრა, რომ რუსთა დაუძინებელი მტრების ყივჩაღთა ბანაკში თავშეფარებული დევნილი ბოგოლუბსკის უკან არავითარი სამხედრო და პოლიტიკური ძალა არ იდგა. არც ის არის ცნობილი, რუსეთის მთავარმა ვსევოლოდმა /1178-1212/ შეიტყო თუ არა ამ ქორწინების შესახებ ან როგორ შეხვდა მისგან განდევნილი ნათესავის საქართველოს თანამეფედ დასმას.

საერთოდ, მთელ ამ საქმეს სამეფო კარი ერთობ არასერიოზულად ეკიდებოდა, ესოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეხედესო, - წერდა მემატიანე, თითქოს თამარის თანამეცხედრეს სხვა არა მოეთხოვებოდა რა, გარდა იმისა, რომ საქართველოს მომავალი მეფის მამა გამხდარიყო. იმის საფუძველიც არსებობს, რომ უმაღლეს ეშელონებში გამეფებულ ფუსფუსს ეჭვით შევხედოთ, ვინძლო დაინტერესებული პირები ცდილობდნენ დედოფლისათვის სწორედ ისეთი ქმარი შეერთოთ, რომლის უკან არავითარი ძალა არ იდგა, რაც მათ საშუალებას აძლევდა, შეენარჩუნებინათ მონარქზე ზეგავლენა.

საქართველოს სამეფო კარზე აშკარა წინდაუხედაობა კარგა ხანია წესად ქცეულიყო, ამპარტავნობასა და საკუთარ ძლიერებაზე გადამეტებული წარმოდგენები დამკვიდრებულიყო, მოდუნებულიყო დავითის მიერ ქვეყნიერების ოთხივე მხრისკენ მიმართული ყურადღება და ახლა უფრო ემოცია სჭარბობდა პოლიტიკაში, ვიდრე გონიერება და ანალიზი.

საღად მოაზროვნე პოლიტიკოსთა ჯგუფმა, ვინც თამარის გათხოვებას ასე ესწრაფოდა, ხომ კარგად იცოდა, რომ ჩრდილოეთიდან საქართველოს საფრთხე არ ემუქრებოდა, ოსთა სამეფო თამარის დედულეთი იყო, ხოლო ჩრდილო კავკასიელი ტომები, რომელნიც სახელმწიფოებს არ წარმოადგენდნენ, საქართველოს ყმადნაფიცი და მისი ერთგულნი იყვნენ; რუსეთ-საქართველოს შორის მომთაბარე ყივჩაღთა უზარმაზარი სამფლობელოები იდო და რუსთა მთავრებს საქართველოსთან არც მტრობისა და არც მეგობრობისთვის არ ეცალათ, რადგან სამხრეთის სტეპებში მოთარეშე ყივჩაღ-პაჭანიკთა თავდასხმების გარდა, დასავლეთიდან იწყებოდა გერმანელ რაინდთა შემოტევები. საერთოდ, საფიქრებელია, რომ ნოვგოროდში მაშინ ცოტა რამ იცოდნენ თუ რა ხდებოდა კავკასიონის გადმოღმა.

პოლიტიკური თვალსაზრისით თამარის გათხოვება უფრო გამართლებული იქნებოდა აღმოსავლეთის რომელიმე სამეფო გვარის კაცზე, რაც მახლობელი აღმოსავლეთის მუსულმანურ სამყაროში პროქართულ განწყობილებას შექმნიდა. რაღა თქმა უნდა, არსებობდა სარწმუნოებრივი ბარიერი, მაგრამ ბევრი შეყვარებული ყმაწვილი დიდებული ხომ მზად იყო სარწმუნოების გა-

მოსაცვლელად, ოღონდ თამარის ქმრობას ღირსებოდა. ბოლოს და ბოლოს, არსებობდა კიდევ ერთი ტრადიციული სამოყვრო ქვეყანა - ბიზანტია, სადაც, როგორც მანამდეც არაერთხელ მომხდარა, ალბათ, მაშინაც მოიძებნებოდა ღირსეული საქმრო.

უეჭველია, საქართველოს სამეფო კარის გადაწყვეტილებამ, საქართველოს მეფედ ყველასათვის უცნობი რუსთა მთავრების დევნილი შთამომავლის ჩამოყვანის შესახებ, გააქარწყლა ბაგრატიონებთან დამოყვრების იმედი; ამან ძალიან გაალიზიანა და შურისძიების წყურვილით აღავსო მახლობელი აღმოსავლეთის მბრძანებლები, რამაც შემდგომში საქართველოს წინააღმდეგ მათს კოალიციურ ლაშქრობებში, უდავოა, გარკვეული როლი ითამაშა.

საქართველოს სამეფო კარზე კი ისეთი სულსწრაფობა იყო გამეფებული, რომ მზად იყვნენ, ზანქან ზორაბაბელის მიერ ჩამოყვანილი უცხო კაცი იმავე დღეს დაესვათ საქართველოს მეფედ. ერთადერთი ჭკვიანი და გონიერი არსება მთელს ამ მოთმინებადაკარგულ დარბაისლებში ისევ თამარი იყო, რომელიც სრულიად სამართლიანად მოითხოვდა ქორწილის გადადებას. ჯერ ერთი, არავინ, და მათ შორის საპატარძლომაც, არ იცოდა, რა ზნისა და ხასიათისა იყო რუსი; მეორეც: მას, როგორც ქალს, ალბათ, სურდა, ახლოს გაეცნო და შეგუებოდა უცხო ტომის კაცს, ვისთანაც სარეცელი უნდა გაეყო, მერე რა, რომ ეს „მოყმე სახეკეკლუცი, სრული აღნაგობითა და საჩინო“ იყო, მისი ზნეობა და ღირსებები არავინ უწყოდა და თამარიც დაცდას არჩევდა; მასში გონიერი ხელმწიფე და პოლიტიკოსი სჭარბობდა საპატარძლოდ გამზადებულ ემოციურ ქალწულს. მის მეტს კი ყველას დალეოდა მოთმინება; საგულისხმოა, რომ სამღვდელოების, დიდებულებისა და ვაზირთა გარდა, საკითხის გადაწყვეტაში დიდ როლს თამაშობდა სამხედრო წრე, სპა, ანუ „ომის პარტია“, რომლის ინტერესებს სრულიად არ შეესაბამებოდა ისეთი მშვიდობიანი საქმიანობის დიდხანს გაგრძელება, როგორიც ქორწილისთვის სამზადისი იყო.

მთელმა ამ ძალებმა თამარის ნების გარეშე გადაწყვიტეს ქორწილის საქმე და ისიც, ამ დარბაისელი ხალხის აცუნდრუკებით გაოცებული, იძულებული გახდა, დაეთმო.

თამარი რომ მთელს ამ სახელმწიფო ბიუროკრატიაზე ჭკვიანი იყო, შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურა. სამწუხაროდ, მას არ ეყო ნებისყოფა, უფრო კატეგორიულად დაეცვა თავისი მოსაზრებები და, თუ გნებავთ, ღირსება. ამით ახალგაზრდა დედოფალი აიცილებდა ჯერ პიროვნულ, შემდეგ კი სახელმწიფოებრივ ტრაგედიას, არ გახდებოდა გარყვნილი კაცის ცოლი და არ მოხდებოდა ის სისხლისღვრა, ფაქტობრივი სამოქალაქო ომი, რაც მოგვიანებით განდევნილი რუსის საქართვე-ლოში დაბრუნების მცდელობას მოჰყვა.

როგორც ჩანს, სასიძოს არჩევისას ერთსულოვნება მაინც არ იყო; მეორე ჯგუფს თამარის ბერძენთა მეფის ბიძაშვილ ალექსიზე გათხოვებია ნდომებია. შესაძლოა თვით თამარიც ამ ვარიანტს ემხრობოდა, მაგრამ ბერძნებთან დამოყვრების მომხრენი, ალბათ, ცოტანი იყვნენ ან უფრო დაბალ წოდებას ეკუთვნოდნენ, რადგან გარდა „დაღონებულობისა“ სხვა რამ ძალა არ შესწევდათ. რუსის მხარეს კი რატომღაც მთელი დიდებულობა და, მათ შორის, სამხედროები იდგნენ, მის მხარეზე ჩანს თამარის მფარველი მამიდა რუსუდანიც.

საბოლოოდ საქმეც მათვე გადაუწყვეტიათ: „არა მშვებელმან დედოფალმან /ე. ი. რუსუდანმა/ და სპათა აიძულეს ქმნად“ ამბობს მემატიანე. მათ თამარის ნების გარეშე დათქვეს ქორწილი. ამ ვითარებაში ერთობ საყურადღებოა „სპათა“, ანუ სამხედროთა მონაწილეობა ამ სრულიადაც „არასამხედრო“ საქმეში. რაღა თქმა უნდა, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საქართველოს მთელი ლაშქარი ერთხმად და ერთბაშად მოითხოვდა დედოფალი რუსს მისთხოვებოდა. აქ უნდა იგულისხმებოდეს სამხედროთა პრივილეგირებული ზედა ფენა, რომელიც, ფაქტობრივად, წყვეტდა ომისა და მშვიდობის საკითხს, მაგრამ უფრო ხშირად ომისაკენ მიისწრაფოდა, რასაც მისთვის სახელსა და კარიერასთან ერთად, უზარმაზარი სიმდიდრე მოჰქონდა.

შესაძლოა, ისიც ვივარაუდოთ, რომ მათ ამის გამოც არ უნდოდათ თამარის ქმრად აღმოსავლეთის რომელიმე უფლისწულის მოყვანა, რომ ეს ხელებს შეუკრავდა ქართველთა მარბიელ ლაშქრობებს. აღმოსავლელი უფლისწული, თუნდაც მას ქრისტიანობა მიეღო და საქართველოს მეფეც გამხდარიყო, თავის თანამოძმეთა წინააღმდეგ ხალისით არასოდეს წარუძღვებოდა საქართველოს ჯარებს, ყოველთვის ეცდებოდა მშვიდობის ჩამოგდებას. ქართველ სამხედროებს კი ომი სურდათ და ხელს აძლევდათ მისთვის უცნობ სამყაროში აღმოჩენილი რუსი მთავრების შთამომავალი, ვინც არაფერი უწყოდა იმ ქვეყნისა, რომლის მეფეც ბედის განგებით უნდა გამხდარიყო. იგი უმაღლესი სამხედრო ეშელონების ხელში ცერემონიალური სარდალი იქნებოდა, რომლის დროშის ქვეშ მათ თავისი აგრესიული ზრახვების განხორციელების საშუალება მიეცემოდათ.

ქორწილი იყო უხვი, იგავმიუწვდომელი და უყაირათო. მთელი საქართველო საყოველთაო ზეიმს მისცემოდა; საქვეყნოდ გამოეფინათ არნახული სიმდიდრე; იყო სანახაობათა მრავალფეროვნება, „ძღვნობანი და ნიჭებანი თვალთანი და მარგალიტთანი, ოქრო-ჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლართა, კერულთა და უკერთულთა, მსგეფსამდი სიხარული, შუება, ძღვნობანი, გაცემა“. ისტორიკოსის ამ მშვენიერ რიტორიკას რომ ყური უგდოს კაცმა, ძღვენი მარტოოდენ ნეფე-დედოფლისათვის როდი მიურთმევიათ - მთელი საქართველო ერთი კვირის მანძილზე არა მარტო თავდავიწყებით ღრეობდა, არამედ დაუფიქრებლად ფანტავდა ათასნაირ საგანძურსა და ძვირფასეულობას; არნახულ აღტკინებას მოეცვა ქვეყანა და ამ ზეიმში იყო მეტად საშიში სიმპტომები - ზღვარგადასული ფუფუნებისა და საერთო ეროვნული ამპარტავნობის დემონსტრაცია.

საქართველოში დიდი ხანია დავიწყებოდათ აღმაშენებლის მკაცრი გაფრთხილება: „არა მწვანილოვანსა ზედა მორთხმითა“. თავად დავითმა ორჯერ იქორწინა, მაგრამ მის მემატიანეს ერთი სიტყვაც არ დასცდენია რაიმე გრანდიოზულ ქორწილზე, თუმცა მეორე ცოლი - ყივჩაღთა მთავრის ასული მეფემ დიდების მწვერვალზე ყოფნისას შერითო და დიალაც შეშვენოდა გრანდიოზული ცერემონია, მაგრამ არც დავითი და არც მისი გარემოცვა არ დაუშვებდა, რომ თუნდაც რამდენიმე დღით თავდავიწყებას მისცემოდნენ. ისინი განმათავისუფლებელი მხედრები იყვნენ და მარბიელი ლაშქრობებით მონაგრებული ფუფუნება მათთვის უცხო იყო, ხოლო იმისი უყაირათოდ ფლანგვა კი, რაც საკუთარი სისხლითა და ოფლით ჰქონდათ მოპოვებული, არ სურდათ. თამარის დროს ქვეყანა ფუფუნებისა და სიმდიდრის დემონსტრირების საშუალებას ეძებდა და აბა, საამისოდ უკეთესი დრო როდისღა დაუდგებოდა, ვიდრე სათაყვანო დედოფლის ქორწილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავაწყვეტილ ღრეობაში გავიდა ერთი კვირა. გულმოკლული სასიძოები, ქვეყნიერების ყველა მხრიდან რომ შემოკრებილიყვნენ სასახლეში და თამარის მოხიბვლას ცდილობდნენ, თავის გზას ეწივნენ. მათ თან მიჰქონდათ შეყვარებულთა აღუსრულებელი წადილით ტანჯვა, შურისძიება და გამბოროტება იმ ამპარტავანი ხალხის მიმართ, ვინც სრულიად უცნობი ქვეყნიდან ჩამოყვანილი საეჭვო ღირსების კაცი არჩია მათს კავკასიურ თავდადებასა და სიყვარულს. მათ შორის იყვნენ ოვსთა მეფის შვილნი, „მშვენიერი და სახეკეთილი მოყმენი, მოჰაჯენი და მოხოვნელნი, ღირსნი და მინდობილნი ჭაბუკობისანი". მემატიანის სიტყვიდან ისე გამოდის, რომ ოვსთა მეფის რამდენიმე ძეს ერთდროულად ჰყვარებია თამარი; რომელ მათგანს მიანიჭებდა უპირატესობას საქართველოს დედოფალი, ეს, ალბათ, მისი საქმე იყო, თანაც ისინი ნათესავად მოხვდებოდნენ და სრულიად მართებული იქნებოდა, თუ საქართველოს თანამეფედ ოსი უფლისწული დაჯდებოდა, რადგან ოსთა მეფეები მტკიცე მეგობრობით იყვნენ დაკავშირებული საქართველოს სამეფო კართან, აღიარებდნენ ქართველ მეფეთა სიუზერენობას და ერთგულებდნენ მათ. მოხდა ისე, რომ თამარის ქორწილის შემდეგ გულმოკლული ოსი უფლისწულები უკან გაბრუნდნენ, ერთმა მათგანმა კი ვეღარ გაუძლო ეგოდენ ტანჯვას, გზად მიმავალი ნიქოზში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

სხვა ხელმწიფეთა შვილებსაც მეტი რაღა დარჩენოდათ და თავ-თავიანთ ქვეყნებში გაემგზავრნენ საბოლოოდ სასოწარკვეთილნი. მათ, რაღა თქმა უნდა, არ უწყოდნენ, რომ თამარის ბედი სხვაგვარად სჯიდა, რომ აღმოსავლეთის ხელმწიფეთა შვილებს ორიოდე წლის შემდეგ კვლავ განუახლდებოდათ მიყუჩებული ჭრილობები, თამარის ქმართან განშორება კიდევ ერთხელ აღავსებდათ ტრფიალით და იმედით, კიდევ ერთხელ მოადგებოდნენ ისნის სასახლეს და მოუთმენლად დაელოდებოდნენ, ვის აღირსებდა წყალობას საქართველოს დედოფალი.

ამგვარად იქცა ყოვლად უზნეო, მამათმავალი, ლოთი და უხიაგი რუსი უმშვენიერესი ქალწულის თანამეცხედრედ და საქართველოს თანამეფედ, თუმცა მთელს იმ ტრაგედიას, რაც თამარის საწოლ ოთახში ტრიალებდა, იგი დიდხანს მოთმინებით იტანდა და მალავდა უცხო თვალთაგან.

როგორც კი ჩათავდა ქორწილი, ასპარეზზე გამოვიდა „ომის პარტია", სამხედროებმა მიზანს მიაღწიეს, გიორგი რუსის სახით მთავარსარდალი იშოვეს და დაუყოვნებლივ შეუდგნენ ომისათვის სამზადისს. დაიწყო ახალი აგრესიული და მარბიელი ომების სერია. სულ რაღაც ორიოდე წელიწადში ქართველებმა დალაშქრეს ქვეყანა კარისა და კარნიფორისა ვიდრე ბასიანამდე, დაარბიეს დვინი და მისი მიმდგომი მხარეები, აიღეს გელაქუნი, მოარბიეს განძა ვიდრე ბელაყუნამდე. ამ ძნელსა და ხანგრძლივ ლაშქრობებს გარდა იყო მცირე, ლოკალური ომები და რბევა, როცა „ლაშქრობდეს ქვემონი ქვემოთ და ზემონი ზემოთ, და შუანი შუათ".

ძნელია იმის თქმა, ბრძოლებში მაინც გამოიჩინა თუ არა თავი გიორგი რუსმა, მაგრამ სამხედროთა კასტამ და თვით სამეფო კარმა უდიდესი ალაფი იშოვა, ქვეყანაში კვლავ ღვარად წამოვიდა ნაძარცვი ქონება, ოქრო და თვალმარგალიტი, საქონელი და საჭურველსამოსელი. ამ პერიოდში საქართველო უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა, როგორც აგრესორი, მძარცველი და მტაცებელი ქვეყანა, რომლის მთელი სამხედრო საქმიანობა მიმართული იყო მეზობელი ქვეყნების ძარცვარბევისაკენ, თუმცა ეს ქვეყნებიც იოლად არ ურიგდებოდნენ ჩრდილოელ აგრესორთა შემოსევებს და თავადაც ცდილობდნენ არა მარტო მოგერიებასა, არამედ შეტევაზე გადასვლასაც, მაგრამ მათი ყოველგვარი ცდა ქართული სამხედრო მანქანის წინაშე განწირული იყო.

ქართველთა აგრესია დროებით შეაჩერა სამეფო კარზე გახმიანებულმა საშინელმა საიდუმლომ. გიორგი რუსი, როგორც სკვითური მოდგმის კაცის ბუნებას შეეფერებოდა, სასტიკი და უხეში ქმარი გამოდგა თავისი სათნო და მშვენიერი მეუღლისა, რომელსაც მისი ცოლობის გარდა კიდევ ერთი მძიმე მოვალეობა აწვა, - იგი საქართველოს დედოფალი იყო. მემატიანე მორცხვად შენიშნავს „სიტყვით აღიძრა წყენად თამარისა". ე. ი. უშვერად ლანძღავდა, როგორც ვინმე სანიადაგო დედაკაცს. გარყვნილი რუსი ლოთობდა, მამათმავლობდა, სცემდა მოსამსახურეებს, მთელს სამეფო კარს აწიოკებდა და ათასგვარ სხვა სისაძაგლეს სჩადიოდა.

ამ საშინელი კაცის ძალადობას თურმე ორ წელიწადს ითმენდა თამარი, მაგრამ მისი ტანჯვა-წამების ამბავი ნებსით თუ უნებლიეთ გასცდა მეფეთა საწოლის ფარგლებს და მთელ ქვეყანას მოეფინა. ერთხანს რუსის განკურნებაც უცდიათ, მაგრამ მას ორი უკურნებელი სენი-ალკოჰოლიზმი და ჰომოსექსუალიზმი სჭირდა, ამ ავადმყოფობათა განკურნების საშუალება კი დღესაც არ გააჩნია კაცობრიობას და, აბა, მაშინ ვის რა უნდა ეშველა? მკურნალობის მცდელობას, პირიქით, უფრო გაუავებია პაციენტი „არამედ უფრო გამძვინდებოდა რუსი", ამბობს მემატიანე. ასე, რომ საქართველოს მთელი ძალმოსილება რომლის „შიშით განძას ღდას ყმაწვილი ვერ აუტირდებოდა" ამ სკვითმა ფეხქვეშ გაიგდო და გათელა.

საშველი აღარ იყო და ბოლოს და ბოლოს თამარმაც წარმოთქვა საუკუნის ფრაზა: „განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრო შენ მიერ"!.. ალბათ, დედოფლისავე სურვილითა და ბრძანებით, ამ გარყვნილ ბარბაროსს, რომელიც ძელზე გასმას თუ არა, ხაროში ჩამწყვდევას მაინც იმსახურებდა „აურაცხელი ლარი, სიმდიდრე და საჭურჭლე" უბოძეს, ნავში ჩასვეს და კონსტანტინოპოლს გაამგზავრეს". ეს გულმოწყალება მოგვიანებით თამარსა და მთელს ქვეყანას ერთობ ძვირად დაუჯდა.

ყოველივე, რაც მოხდა, იყო არა მარტო თამარის, როგორც მეფის, როგორც ქალის პირადი შეურაცხყოფა და ტრაგედია, არამედ ქვეყნიერებაზე გახმაურებული სკანდალი მთელი თავისი შორს მიმავალი შედეგებით.

უპირველეს ყოვლისა, თვალსაჩინო გახდა, რომ ფუფუნებაში ჩაფლულ ქვეყანაში ერთობ დაეცა ზნეობა. საქართველოს სამეფო კარი რომ ზნემაღალი და პატიოსანი ყოფილიყო, უცხო კაცი, თუნდაც უმაღლესი სამეფო უფლებებით აღჭურვილი, ვერ გაბედავდა საქვეყნოდ გამოეფინა თავისი უზნეობა, ვერც სოდომურ ცოდვებს ჩაიდენდა მარტო; მაშასადამე, პარტნიორები ჰყავდა, ხოლო თამარი მთელს ამ პროცესში გამოიყურება, როგორც უმწეო, ქმრის ძალმომრეობით დაჩაგრული ცოლი და არა თვითმპყრობელი მონარქი, რომლის ერთი ხელის აქნევას შეეძლო მისი შეურაცხმყოფელის მოსოპობა. რაღა თქმა უნდა, იგი ქალი იყო, ქრისტიანულ ზნეობაზე აღზრდილი და ქალური ინსტინქტით მიდრეკილი იქნებოდა ოჯახური სიამტკბილობისაკენ, რისი საშუალებაც არა და არ მიეცა რუსის ხელში. ვახუშტის ისტორიაში არის ერთი დეტალი, რომელიც მოწმობს, რომ თამარს მაშინვე შეუწყვეტია რუსთან ცოლქმრული ურთიერ-

თობა, როგორც კი მისი გარყვნილება შეიტყო, თუმცა, მზად იყო, დარჩენილიყო მასთან ქორწინებაში, ოღონდ „არღა შეეგინებინა ხორციელი ტაძარი“, ანუ აღარ გაეყო სარეცელი, მაგრამ ქვეყანას ტახტის მემკვიდრე სჭირდებოდა და თამარი თავს უფლებას არ მისცემდა, პირადი ინტერესები სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა. ბოლოს და ბოლოს, გარყვნილი რუსის განდევნაც, როცა მისი ატანა შეუძლებელი შეიქმნა, ისევ ვაზირთა საბჭომ, დარბაზმა გადაწყვიტა.

თამარის ცხოვრების ეს პერიოდი, ვიდრე დავით სოსლანზე გათხოვდებოდა, მოწმობს, რომ იგი, როგორც თვითმპყრობელი, ვერ ფლობდა მთელ ძალაუფლებას და დიდებულთა ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეფის ხელისუფლება ერთობ მწვავე კრიზისს განიცდიდა, რასაც ზედ დაერთო სკანდალური ქორწინება, თუმცა ეს ხელისუფლება შემდგომში შედარებით განმტკიცდა შამქორისა და ბასიანის დიდი ომების მოგების, აგრეთვე, დავით სოსლანის ღირსეული პიროვნების წყალობით.

გიორგი რუსის განდევნის შემდეგ საქართველოს სამეფო კარი კვლავ უდარდელ განცხრომას მიეცა: „არს მარჯვება, სიხარული, სიყვარული, შვება და ნადირობა მთათა და ბართა“. საზრუნავი მხოლოდ ერთი ჰქონდათ – თამარისათვის ახალი საქმრო უნდა მოეძებნათ. არადა, სასიძოების მეტი რა იყო - როგორც კი თამარის ქმართან განშორების ამბავი შეიტყვეს, თბილისს ქვეყნიერების ყველა კუთხიდან ისევ მოაწყდნენ დედოფალზე გამიჯნურებული უფლისწულები. მათ შორის იყო სულტან ყიზილ არსლანის შვილი, რომელსაც მამამ ძლივს გადაათქმევინა ქრისტიანობაზე მოქცევა. სასიძოთა შორის ყველაზე კოლორიტულად გამოიყურება არზრუმელი უფლისწული მუტაფრადინი. თამარის ტრფობით გონმიხდილმა, მან არად ჩააგდო მშობლების წინააღმდეგობა, ქრისტიანობა მიიღო და საქართველოს სამეფო კარს მოადგა უამრავი ძღვენითა და მრავალრიცხოვანი ამალით. ეტყობა, მუტაფრადინი ანგარიშგასაწევი უფლისწული იყო და ქართველებმა დიდი ამბით მიიღეს, ქვეყანა შემოატარეს, მთელ წელს აქეიფეს და ანადირეს. ალბათ, რაღაც ძალებს სურდათ კიდეც მუტაფრადინის თამარისათვის გარიგება და პატივშიც ამიტომ ჰყავდათ, მაგრამ ყველა ცდა ამაო გამოდგა, დედოფალს მასზე გული არ შეუვარდა. ბოლოს და ბოლოს, „დაამხვეს ქედმაღლობა ტრფიალებისა მისისა“, მაგრამ ხელცარიელი მაინც არ გაუშვიათ, თამარის ნახევარი და, გიორგი მეფის ხარჭის ნაშობი რუსუდანი შერთეს და სამშობლოში გაამგზავრეს. რაღა თქმა უნდა, მუტაფრადინი საქართველოში ამ ქალის წასაყვანად არ ჩამოსულა და, თუ ფაქტს ფსიქოლოგიური კუთხით შევხედავთ, იყო მასში რაღაც ცინიკური, ძლევამოსილთა ქედმაღლობისა და ამპარტავნობის გამოხატულება, რაც საქართველოს მმართველი ზედაფენის ზოგად ბუნებასა და სულისკვეთებას განასახიერებდა.

მთელს ამ მაჭანკლობა-მარებლობაში ვიღაცას ეყო ჭკუა და მანამდე შეუმჩნეველი, ოსი ბატონიშვილი დავით სოსლანი შეამჩნია, რუსუდან დედოფლის გაზრდილი, ბაგრატიონთა ნათესავი, ქართულ სამყაროსთან ნაზიარები ღირსეული ჭაბუკი; თამარიც, ეტყობა, არ იყო გულგრილი მის მიმართ და პირველსავე წინადადებაზე დათანხმდა, თანაც ამ საქმეში ფრიად აქტიურობდა რუსუდან დედოფალი, რომელიც, ვინ იცის, ნანობდა კიდეც ეს საქმე თავიდანვე რატომ ვერ მოვიფიქრეო.

1189 წელს თამარი დავით სოსლანზე დააქორწინეს. საქორწილო ცერემონიალი დიდუბეში ჩატარდა; მემატიანე ოდნავ თავშეკავებულია ამ ზარ-ზეიმის აღწერაში, ვიდრე თამარის პირველი ქორწილისას. საქორწილო თადარიგს ისევ მამიდა რუსუდანი ხელმძღვანელობდა და, ალბათ, დიდი სიამოვნებითაც. ქორწინებაც წარმატებული გამოდგა და სამეფოში სიმშვიდემ დაისადგურა.

გამოხდა წელიწადი და საქართველო შეაზანზარა ერთობ უცნაურმა და მოულოდნელმა ამბავმა. ბიზანტიაში განდევნილი გიორგი რუსი კარნუ ქალაქს მოსულიყო, იქვე რაღაც სამსახურებრივ საქმეზე ყოფილა ჩასული საქართველოს მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი, რომლის სახელი არ შემონახულა, ოღონდ მემატიანე „სჯულით ბარბაროსს და ქცევით ტარტაროზს“ უწოდებს; ეტყობა, წარმოშობით ქართველი არ იყო.

საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე შემთხვევით თუ განგებ შეხვდა განდევნილ რუსს, რომელმაც მას დაუფარავად გაანდო გულისწადილი - საქართველოს მეფედ დაბრუნება მსურსო. ეს არის ფაქტი, რასაც ისტორია იუწყება. მაგრამ ისიც ცხადია, რომ ამგვარი საკითხები ერთი მოხელის დონეზე არ წყდება; არც მეჭურჭლეთუხუცესის ნაცვალი იყო იმ მდგომარეობის კაცი, რომ განდევნილი რუსისთვის დასტური მიეცა ან აეკრძალა საქართველოში დაბრუნება. სრულიად ლოგიკური იქნებოდა ვარაუდი, რომ დიდებულთა იმ ნაწილისთვის, რომელნიც გიორგი რუსის საქართველოში დაბრუნებას გეგმავდნენ, ადრევე იყო ცნობილი მისი კარნუ ქალაქში ყოფნა და არც ფინანსთა მინისტრის მოადგილე ჩასულა იქ მხოლოდ საფინანსო საქმეთა სარევიზიოდ. რუსთან მისი შეხვედრა წინასწარ უნდა ყოფილიყო დაგეგმილი. მაშასადამე, მომზადებული იყო შეთქმულება თამარის წინააღმდეგ, რასაც ადასტურებს მოვლენების შემდგომი ელვისებური განვითარება. კარნუ ქალაქში, როგორც ჩანს, დაზუსტდა მოქმედების დეტალები, რასაც მოჰყვა რუსის სასწრაფო გამომგზავრება საქართველოსაკენ 1190 წელს. აქ მას პირველი მიემხრო გუზენ ტაოელი; აჯანყებას შეუერთდნენ სამცხის სპასალარი ბოცო ჯაყელი; მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, რომელიც ლამის მთელი დასავლეთ საქართველოს მმართველი იყო - მას ემორჩილებოდა სვანეთი, აფხაზეთი, საეგარო, გურია, სამოქალაქო, რაჭა, თაკვერი და არგვეთი. აჯანყებულთა უზარმაზარი ლაშქარი, რომელშიც სანიგები და ქაშაგებიც ყოფილან, გეგუთს მივიდა.

ამ არნახული ვერაგობით თამარი ერთობ გაკვირვებული დარჩა და ჰქონდა კიდეც საამისო მიზეზი. უპირველესად, მეტად დაფასებულ და აღზევებულ დიდებულთა აჯანყება უამრავ კითხვას ბადებდა: რისთვის სჭირდებოდათ მათ გიორგი რუსის გამეფება, რომელსაც თავისი გარყვნილებით საქართველოში საყოველთაოდ ჰქონდა სახელი გატეხილი; ან რატომ არავინ კითხულობდა - სურდა თუ არა თამარს პირველი ქმრის დაბრუნება, რომელთანაც მტანჯველი დღეები და ღამეები ჰქონდა გატარებული; ან რა ბედი ელოდა დავით სოსლანს, თამარის იმჟამინდელ კანონიერ ქმარს. ეს აჯანყება იყო დედოფლისა და მის ხელისუფლებაზე ძალადობის არნახული ფაქტი. თუმცა ეს ძალადობა თამარის მეფობის მთელ მანძილზე შესამჩნევი და აშკარა იყო, მაგრამ სამოქალაქო ომის დაწყება და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა მაინც მეტისმეტი და მოულოდნელი იყო.

ამ აჯანყების მიზეზი დღემდე გამოცანად რჩება, შეიძლება მხოლოდ ვარაუდი, რომ რუსი, ხელახალი გამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფების შემთხვევაში, რაღაც პრივილეგიებს ჰპირდებოდა თავის მომხრეებს, მაგრამ განა მათ პრივილეგიები აკლდათ? კიდევ რა უნდა მიეცა ვარდან დადიანისთვის ან სამცხის, ტაოს და შავშეთ-კლარჯეთის მფლობელის ბოცო ჯაყელისთვის?

საეჭვოა, რომ ისეთ მრავალნაცად პოლიტიკოსებს, როგორიც რუსის მხარეზე გადასული დიდმოხელეები იყვნენ, ჰომოსექსუალისტი და ლოთი დევნილისათვის მხარდაჭერით სასწორზე შეეგდოთ თავიანთი შეურყეველი კეთილდღეობა.

რჩება მხოლოდ ერთადერთი მოტივი: დავით სოსლანის ხელისუფლების სათავეში მოქცევით საფრთხე შეექმნა დიდებულთა თვითნებობას; დავითმა მტკიცედ მოჰკიდა ხელი სახელმწიფო დისციპლინისა და სამეფო ძალაუფლების განმტკიცებას, რაც ვერა და ვერ შეძლო ახალგაზრდა დედოფალმა. ეს კი დიდმოხელეთა ინტერესებს არაფრით არ შეესაბამებოდა და გადაწყვიტეს, ტახტზე ისევ ცერემონიალური თანამეფე გიორგი რუსი დაესვათ, რითაც კვლავ გახლეჩილი აღმოჩნდებოდა სამეფო ძალაუფლება თამარსა და რუსს შორის არსებული ურთიერთობის გამო. უფრო მეტიც, ეს იყო თამარის ხელისუფლებიდან ჩამოშორებისა და იზოლაციაში მოქცევის ცდა, რადგან მას, აჯანყების წარმატებით დაგვირგვინების შემთხვევაში, აღარავითარი გავლენა არ ექნებოდა საძულველ ქმარსა და მის ზურგს უკან მდგომ პოლიტიკურ და სამხედრო ძალებზე. არის კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტიც: თამარს რუსთან ცხოვრების ორი ძლის მანძილზე შვილი არ მიეცა და არც გარანტია იყო, რომ მისი ძალად მობრუნების შემდეგ მიეცემოდა; ასეთ შემთხვევაში გაურკვეველი იყო, ვის დარჩებოდა სამეფო ტახტი?!

საბედნიეროდ, ჯანსაღად მოაზროვნე და თამარის მომხრე ძალებმა, უმეტესად აღმოსავლეთ საქართველოდან, გაჭირვებით, მაგრამ მაინც აღკვეთეს შეთქმულთა ავანტიურა. დედოფლის ერთგულმა დიდებულებმა სასწრაფოდ შეჰყარეს ჯარი და აჯანყებულთა წინააღმდეგ დაიძრნენ. თამარმა მაინც სცადა უსისხლოდ მორიგებოდა რუსის ბანაკს. არაერთგზის წარგზავნა საპატიო დელეგაცია, მაგრამ იქ არაფრის გაგონება არ სურდათ. პირიქით, მეტად ჩქარობდნენ და ორი მიმართულებით დაიწყეს თბილისზე შეტევა. აჯანყებულთა დიდმა სამხედრო ძალებმა გადმოლახეს ლიხის მთა, თავის გზაზე ყველაფრის „ამწყვეტელნი და ამაოხრებელნი" გორამდის მივიდნენ, მეორე ნაწილი სამხრეთიდან დაიძრა, რკინისჯვარი გადმოლახა და დაწვა ქალაქი ოძრხე /დღევანდელი აბასთუმანი/.

ყველაზე საშინელი ამ ლაშქრობაში ის იყო, რომ აჯანყებულნი თითქოს მტრის ქვეყანაში მოძრაობდნენ, ერთიანად ანადგურებდნენ, ყველაფერს ძარცვავდნენ და სპობდნენ გზად.

თამარის ბრძანებით ამირსპასალარი გამრეკელი თორელი მეფის ერთგული ძალებით ჯავახეთისკენ გაემართა აჯანყებულთა იმ ნაწილის შესაჩერებლად, რომელიც სამხრეთ-დასავლეთიდან მოიწევდა. წყაროთა უქონლობის გამო ძნელია ომის დეტალებისა და სამხედრო ძალების მოძრაობის დადგენა. როგორც ჩანს გორამდის მოსულმა დადიანის ლაშქარმა პირი იბრუნა და ბოცო ჯაყელის მისაშველებლად გაემართა, რადგან შეიქმნა ომის საფრთხე, რომ ამირსპასალარი აჯანყებულთა ძალებს ცალ-ცალკე უფრო ადვილად გაანადგურებდა. გადამწყვეტი ბრძოლა თმოგვსა და ერუშეთს შორის, ნაილის ველზე მოხდა. მძიმე ბრძოლაში მეფის ლაშქარმა გაიმარჯვა.

ეს იყო საშინელი და გაუგებარი მიზეზით წარმოშობილი სამოქალაქო ომი. მსგავსი რამ საქართველოს თავს გადახდა გიორგი მესამის დროსაც, მაგრამ იქ აჯანყებულთა მიზანი ნათელი იყო - ტახტზე უნდა აეყვანათ კანონიერი მემკვიდრე დემნა უფლისწული. ამ აჯანყებისას კი რატომ მიემხრო დიდებულთა უმეტესი ნაწილი და ერთობ მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები ყოვლად სახელგატეხილ რუსს?! ეს საკითხი დედოფალსაც ძალიან აინტერესებდა, „იკითხავდა მიზეზსა მკვიდრთა მისთაგან", მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

თამარს არ მოსდევდა მამის სისასტიკე და გადამწყვეტი მოქმედების უნარი. თუ გიორგიმ საგვარეულოებიანად ამოჟლიტა აჯანყების მოთავენი, არ დაინდო თვით ღვიძლი ძმის შვილიც, თამარს არავინ დაუსჯია. უფრო მეტიც, სასახლეში მოყვანილი ტყვედჩავარდნილი რუსი კვლავ საბოძვარით აღავსო და ისევ ბიზანტიის გზას გაუყენა.

გიორგი რუსის აჯანყებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა მეფის ხელისუფლების სისუსტე და მისი განმტკიცების აუცილებლობა, მაგრამ დედოფალს რაიმე რადიკალური ცვლილებები არ განუხორციელებია. მოხდა მხოლოდ გადაადგილებანი მთავრობაში მეფის ერთგულთა შერჩევის ნიშნით. გადანაწილდა სამფლობელოებიც. თუმცა აჯანყების ექო არ დამცხრალა. გუზენ ტაოელმა თავისი სამფლობელოს ერთი ნაწილის თურქებისათვის გადაცემა მოინდომა, მაგრამ მისი მოღალატური საქმიანობა აღკვეთეს მეფის ერთგულმა ძალებმა ზაქარია ფანასკერტელის მეთაურობით.

გუზენ ტაოელი მაინც გამოუსწორებელ მოღალატედ დარჩა და ბოლოს თამარის შემწყნარებლობით თავგაბეზრებულმა დავით სოსლანმა მას დედოფლის უკითხავად დათხარა თვალები. შეიძლება ითქვას, რომ თამარის მთელი მეფობის მანძილზე იგი იყო ერთადერთი დამნაშავე, რომელიც ფიზიკურად დაისაჯა და ისიც თამართან შეთანხმების გარეშე.

მალე საქართველოს ახალი ზეიმის საბაბი გაუჩნდა. ტაბახმელას მყოფმა დედოფალმა შვა ტახტის მემკვიდრე /1192 წ./, რომელსაც პაპი სახელი - გიორგი დაარქვეს, მოფერებით კი ლაშას - ანუ ქვეყნის მანათობელს ეძახდნენ. მაშინ არავინ უწყოდა, რომ სწორედ მისი ხანმოკლე მეფობის დროს ჩაესვენებოდა საქართველოს დიდების მზე და დიდი ხნით დაისადგურებდა წყვდიადი, რომ ეს დედის ნებიერი ყმაწვილი თავისი თავკერძობითა და უზნეობით საბოლოოდ დაამხობდა მისი წინაპრების მიერ სისხლით შექმნილ უძლიერეს იმპერიას.

ივანე ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ მკრეხელობაზე, რასაც „აზმანი შარავანდედთანის" ავტორი სჩადის, როცა ლაშას დაბადებას ქრისტეს შობას ადარებს: „...შვა ტაბახმელისა ბეთლემ მყოფელმან, მუნ შვა ძე სწორი ძისა ღვთისა". სამწუხაროდ ისტორიკოსის ქადილი არ გამართლდა.

ლაშას დაბადება ახალი მარბიელი ლაშქრობის საბაბად იქცა; ქართველთა ლაშქარი კვლავ შეესია აღმოსავლეთის სახანოებს. დაარბიეს ბარდავი, მთელი არანის მხარე და ურიცხვ ნადავლთან ერთად საქართველოში ჩამოიყვანეს 30 000 ტყვე, ადამიანთა ეს უზარმაზარი მასა დაჩოქილი ალოცეს ახალშობილი უფლისწულის დღეგრძელობისთვის და უვნებლად გაუშვეს. ესეც ძალის დემონსტრაციის, ცინიზმისა და ამპარტავნობის კიდევ ერთი გამოხატულება.

ცოტა ხნის შესვენების შემდეგ საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლაშქარი არზრუმისაკენ დაიძრა, აიღო და მოაოხრა კარნუ ქალაქის მიმდგომი მხარეები, სასტიკად გაანადგურა თვით კარნუ ქალაქი, წამოასხა უამრავი ტყვე, საქონლის ჯოგი, წამოიღო დიდძალი განძეული. იქიდან მობრუნებული, ძარცვა-რბევის ჟინით შეპყრობილი ქართველთა მხედრობა უსაქმოდ დიდხანს არ გაჩერებულა, მალე ბელაყუნისაკენ დაიძრნენ, რბევით გაიარეს საჩინი და ბელაყუნამდე მივიდნენ; მოაოხრეს არუზის მხარე, აიღეს ქალაქი განძა. ამ ლაქრობას თვით დავით სოსლანი სარდლობდა. დამოუკიდებელი სამხედრო ექსპედიცია განახორციელეს ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა: მათმა ლაშქარმა მოარბია რახსის ჩაპირები, მათივე წინადადებით დავით სოსლანი კვლავ წარუძღვა მარბიელს და აიღო სპარსი-ბზარი და გორლაუქი.

ქართველთა შესევა იყო სასტიკი და ამაოხრებელი: „დამსხმელთა აღიღეს ტყვისა, ჯოგისა, აქლემისა, ზროხისა და ცხვრისა სიმრავლე, შემსგავსებული ქვიშათა და სადაცა ვის ლაშქარნი და მეშველნი თვისა დედაწულთანი გარდეკიდეს, დააქცივნეს, ამოსწყვიტეს და დახოცეს“, - მჭევრმეტყველურად გვაუწყებს „აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი.

ამ დროს საქართველოს სამხრეთით ისევ გამოჩნდა მოუსვენარი გიორგი რუსი /1193 წ./, მას, როგორც ჩანს, არაფრად ეპიტნავებოდა ჯვაროსანთა წინაშე ძრწოლით შეპყრობილ კონსტანტინეპოლში ყოფნა, ერთობ ტკბილ მოგონებად ჰქონდა დარჩენილი საქართველოს სამეფო კარზე ნებივრობა და, რადაც უნდა დასჯდომოდა, კვლავ ცდილობდა დედოფლის პალატებამდე მიღწევას.

რუსი კონსტანტინეპოლიდან არანში /დღევანდელი განჯის მხარე/ ჩავიდა, სადაც ერთხანს ცხოვრობდა იქაური ათაბაგის ნებართვით, მისივე ლოცვა კურთხევითა და ჯარით შემოესია საქართველოს, მოარბია ქიზიყი, მაგრამ ხორნაბუჯის პატრონმა სალირ მახატელის ძემ სასწრაფოდ შეჰყარა ლაშქარი, მოთარეშე რუსს გზად მიეწია და გაანადგურა მისი ძალები. თავად რუსმა ძლივს გაასწრო და საბოლოოდ გადაიხვეწა. ამ დღიდან ისტორიის ფურცლებზე ქრება ამ გზაარეული ჩრდილოელი ავანტიურისტის კვალი.

როგორც ჩანს, „ომის პარტიამ“ ერთხანს შესვენება გადაწყვეიტა, მაგრამ მალე კვლავ ატყდა იარაღის ჟღარუნი. პირველი დიდი ომი, რომელშიც ქართველებს მუსულმანთა კოალიციურ ლაშქართან მოუწია ბრძოლა, 1195 წელს, შამქორთან მოხდა. ამ ომის საჭიროება, ისევე როგორც სხვა მარბიელი ლაშქრობებისა, საქართველოს მხრიდან არ არსებობდა, მის უსაფრთხოებას არავინ ემუქრებოდა, მაგრამ საქართველოს სამეფო კარი და თვით დედოფალი დიდი თანაგრძნობით მოეკიდა ყმადნაფიცი ნათესავის შირვანშას და მისი სიძის ამირ მირმანის თხოვნას, რომელსაც თავისი ძმა აბუბაქარი ავიწროებდა. საქმე იმაში იყო, რომ, როცა მულიდებმა სპარსეთის მბრძანებელი ყიზელ-არსლანი მოკლეს, სპარსეთი მისმა სამმა შვილმა გაიყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ძმებს შორის მალე შუღლი ჩამოვარდა; საშუალო ძმამ, ადარბადაგანის მფლობელმა აბუ-ბაქარმა მოკლა უფროსი ძმა - ხუტლუ-ინანჩი, დაიჭირა მისი სამფლობელო ერაყი და იგივე განიზრახა უმცროსი ძმის ამირ-მირმანის მიმართაც, რომელიც შირვანშაჰის სიძე იყო და სიმამრს შველა სთხოვა, ხოლო შირვანშა დევნილ სიძესთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა დახმარების სათხოვნელად. ქართველებს სტუმრების მიღების ცერემონიალი რატომღაც მეტად მაღალ დონეზე მოუწყვიათ, მათი ჩამოსვლაც, ალბათ, წინასწარ იყო ცნობილი. შირვანის მბრძანებელი დედოფალმა აგარის სასახლეში მიიღო. მანამდე კი თბილისიდან წამოსულ სტუმრებს წინ ჯერ ოსებისა და ყივჩაღების რაზმები მიეგებნენ, შემდეგ ჰერეთელები და კახელები; მათ რიგრიგობით მოჰყვნენ ქართლელები, მესხები, თორელები; შავშეთ-კლარჯეთელები, ტაოელები, სომხითირნი, აფხაზები, სვანები, მეგრელები, გურულები, რაჭველები, თაკვერელები და მარგვეთელები, „პარადი“ დასრულდა სასახლის კარის დიდებულთა მისალმებით. მთელი ეს ცერემონიალი, ალბათ, საქართველოს ერთიანობისა და მონოლითურობის, ძლიერებისა და სიმდიდრის დემონსტრაცია იყო, მაგრამ ვინ მოაწყო ან რისთვის დასჭირდა ყოველივე ამის ჩვენება შირვანის მბრძანებლისთვის, რომელთაც ქართველებთან მუდამ მეგობრულ-ნათესაური დამოკიდებულება ჰქონდა და ყოველმხრივ მარბიელებს დაურბეველი გადაურჩა?!

ზეიმით მოხიბლულმა შირვანელმა სტუმრებმა ქართველ მეფეებს ერთობ უცნაური წინადადება შესთავაზეს - ბარემ სპარსეთი დავიპყროთ და თქვენი ასული დედოფლად დავსვათო. /ერთი წლის რუსუდანი/; იგულისხმებოდა, რომ მეფე შირვანშას მემკვიდრე იქნებოდა. ამაზე თამარმა დიპლომატიურად აგრძნობინა, ყმადნაფიცზე ჩემს ასულს ვერ დავწიდნავო. სამაგიეროდ, ერთკვირიანი ნადიმის შემდეგ მეფეებმა შირვანშას დახმარება აღუთქვეს და ლაშქარი ისმეს. მოგვიანებით რუსუდანი კინაღამ მართლა გახდა შირვანის დედოფალი, მისი ქორწილი შირვანელ უფლისწულთან უკვე დანიშნული იყო, რომ ამ დროს გარდაიცვალა ლაშა გიორგი და რუსუდანს საქართველოში გამეფება მოუწია. ომის მომლოდინე მხედრობასაც მეტი რაღა უნდოდა და „ვითარცა გაროი შევარდნისა, მოფრინდა ყოველი მხედარი, ყოვლის კერძო, სავსენი სიხარულითა, რომელნი ძალით იპყრობდეს თავსა შინა თვისითა“. რაოდენ შთამბეჭდავი და ბევრისმთქმელი სიტყვებია! ისეთი შთაბეჭილება რჩება, რომ გამუდმებულ ომს მიჩვეული ქართულ მხედრობას თითქოს შეჭურვილს ეძინა, ძალზე ემძიმებოდა მშვიდობიანი ყოფა და საომრად წვევამ უდიდესი სიხარული მიანიჭა.

უქმად არც აბუ-ბაქარი იყო, მან მთელს მუსულმანურ აღმოსავლეთში უზარმაზარი ჯარი შეჰყარა და შამქორს დადგა, მალე იქ ქართველთა ლაშქარიც გამოჩნდა. ხანგრძლივი და სისხლისმღვრელი ბრძოლა ამ ომის მთავარსარდლის დავით სოსლანის გამარჯვებით დამთავრდა. თვით ბრძოლის პერიპეტიები „აზმანი შარავანდედთანის“ ავტორს ისე შთამბეჭდავად აქვს აღწერილი, განმეორება ზედმეტად მიმაჩნია. შამქორის ბრძოლაში ქართულ ლაშქარს უამრავი ალაფი ერგო. არსებობს ამ ქონების ზუსტი აღწერა: 12 ათასი ტყვე, ორმოცი ავაზა, ოცი ათასი ცხენი, შვიდი ათასი ჯორი, თხუთმეტი ათასი აქლემი... ოქრო-ვერცხლი და ჭურჭელი კი ვინლა აღრიცხოსო - ამბობს ეგოდენ პუნქტუალური მემატიანე. როგორც ჩანს, აბუ-ბაქარის მეომრებს მთელი თავისი საგვარეულო ქონება ბრძოლის ველზე ჰქონდათ წამოღებული.

შამქორის ბრძოლამ, როგორც ივანე ჯავახიშვილი შენიშნავს, ქართველები ხანგრძლივ კონფლიქტებში ჩაება, თუმცა მათ ლაშქრობა მაინც არ ეზარებოდათ. ნახიჭევანში გადახვეწილმა აბუ-ბაქარმა შეძლო და მოაწამვლინა თავისი ძმა, თანაც რევანში სწყუროდა და ახალი ომისთვის ემზადებოდა. მან ერთხანს განძაც კი აიღო. ქართველებს სხვადასხვა დროს მოუხდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა



განძის, დვინის, გელაქუნის, ამბერდის, ბიჯნისის დაბრუნება. საგულისხმოა, რომ დვინის აღებისას ლაშქარს თამარიც თან ხლებია.

1204 წლიდან ქართველთა აგრესია ბიზანტიის შავიზღვისპირა სამფლობელოებისკენ მიიმართა. ამის საბაბად იქცა ბიზანტიის იმპერატორისაგან იერუსალიმს მიმავალი ქართველი ბერების გაძარცვა, რომელთაც უფლის საფლავზე თამარისგან შეწირული დიდძალი ოქრო მიჰქონდათ.

ქართველთა ლაშქარი შეესია ბიზანტიის პონტისპირა სამფლობელოებს. ბერძენთა კეისარს წაართვეს ლაზიკა, ტრაპიზონი, ლიმინი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, ჰერიკლია და სხვა. წართმეული მხარეებისგან შეიქმნა ტრაპიზონის საკეისრო. ამ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის მნიშვნელობა, ალბათ, სწორად არის ახსნილი: იგი ერთგვარ ბუფერულ ზონას ქმნიდა ბიზანტიასა და საქართველოს შორის.

ქართველთა ეროვნულ ამპარტავნობას, რაღა თქმა უნდა, ახალი ძალა შემატა რუმის სულტან რუქნადინზე გამარჯვებამ. ეს სასულტნო სელჯუკიანთა იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა მცირე აზიაში და ერთხანს დიდ ძლიერებას მიაღწია. სასულტნოს სათავეში მოქცეულმა ახალგაზრდა რუქნადინმა, ეტყობა, მეტისმეტად გააზვიადა თავისი შესაძლებლობები, როცა ქართველებისგან შევიწროებულ მუსულმანთა ქომაგობა ითავა. ალბათ, გამოუცდელობითვე იყო განპირობებული მისგან ყოვლად არაპოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა და საქართველოს დედოფლისადმი სასტიკად შეურაცხმყოფელი წერილის გამოგზავნა /მოგვიანებით რუქნადინს საქართველოს სამეფო კართან დანათესავება მოუწია, თუმცა ამ დროს იგი ცოცხალი აღარ იყო - მისმა შვილმა სულტან ყიასდინმა ცოლად შეირთო რუსუდან მეფის ასული თამარი; მათივე კარზე აღმოჩნდა ლაშას ძე დავითი, შემდგომში ულუდ წოდებული, რომელიც, მამიდა რუსუდანის ინტრიგების წყალობით, სულტანმა სასტიკად აწამა და სიკვდილის პირას მისული ჩამოიყვანეს საქართველოში/.

რუქნადინის ელჩიც არანაკლებ თავხედი გამოდგა. მან მთელი სამეფო დარბაზის წინ კიდევ ერთხელ შეურაცხყო თამარი და მას რუქნადინის ხარჭობა უწინასწარმეტყველა. ამ სხდომას უსათუოდ დავით სოსლანიც ესწრებოდა, პირველ რიგში ხელიც მას უნდა გამოეღო და დაეცვა მეუღლე-დედოფლის ღირსება, მაგრამ, სანამ მეფენი სიტყვას დასძრავდნენ, თავგასულ ელჩს ზაქარია მხარგრძელმა ისეთი ალიყური აჭამა, რომ რუქნადინის დესპანი ძლივსღა მოასულიერეს, ხოლო, როცა ცნობას მოვიდა, იმავე ზაქარია ამირსპასალარმა, „ომის პარტიის“ მაშინდელმა ბელადმა, მეფეებთან შეუთანხმებლად გამოუცხადა რუქნადინს ომი: „ესე წიგნი მიართვი რუქნადინს და არქვი: ჩუენ მზა ვართ წყობად და წინამოგებებად“. თანაც დაექადნა, წიგნი რომ არ გქონდეს წასაღები, ჯერ ენას მოგჭრიდი, მერე კი თავს წაგაცლიდიო. ერთი სიტყვით, დიპლომატიური ეტიკეტი ორივე მხრიდან მეტისმეტად დაირღვა, თანაც ზაქარიას წერილი მზად არა ჰქონდა და, რუქნადინის ელჩი მანამდე დააყოვნეს, სანამ ლაშქარს შეჰყრიდნენ. სამეფო დარბაზში იმ დღეს გათამაშებული სცენა ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ სამხედროები აშკარად აძლევდნენ თავს უფლებას, თამარის დაუკითხავად გადაეწყვიტათ ომის დაწყების საკითხი, თუმცა ეს ომი მეტად სარისკო, და სახიფათო იყო: ქართველებმაც ისევე ცოტა რამ იცოდნენ ახლად გამოჩენილ მტერზე, როგორც რუქნადინმა ქართველებზე.

მთელს ამ საომარ კამპანიაში ყველაზე ფრთხილი და წინდახედული თამარი აღმოჩნდა. იგი, როგორც ჩანს სხვებზე უკეთესად გრძნობდა რუმის სასულტანოსგან მომდინარე საფრთხეს და გადამწყვეტი ბრძოლის წინ ქართული ჯარის საომარი სულისკვეთების ასამაღლებლად რამდენიმე ეფექტური ფსიქოლოგიური მანევრი განახორციელა: დედოფალი თავად ჩავიდა საბრძოლო მოქმედებათა რაიონში, ვარძიას დადგა და ცრემლმდინარმა ღვთისმშობელს შეავედრა დავით სოსლანი და საქართველოს ლაშქარი, ხოლო, როცა არმია საბრძოლველად გაემართა, უკლებლივ ყველა მეომარი დედოფლის წინაშე წარსდგა და მისი ხელით გამოწვდილ ჯვარს ემთხვია. ვარძიიდან თამარი ოძრხეს გადავიდა, სადაც „დღესა და ღამე ლოცვითა, ფსალმუნებითა, ღამისთევითა დაუძინებლად და ყოველთა ღამეთა დღე - ლიტანიობდა და არა სცხრებოდა. და ყოველგან საყდართა, მონასტერთა და სოფელთა უბრძანა ლიტანობა და ვედრება ღმრთისა“. სხვათა შორის, ამ მძიმე ჟამს დედოფლის გვერდით იყო მისი დაუცხრომელი მეხოტბე, პოეტი იოანე შავთელი.

არც ერთი ბრძოლის წინ დედოფალს ეგოდენი მტანჯველი განცდები არ გამოუმჟღავნებია. მისი შიში კი სულაც არ იყო უსაფუძვლო. საქართველოს ლაშქარი, რომლის რიცხვი არ ვიცით, მუსულმანთა კოალიციურ ოთხაისიათასიან არმიასთან საბრძოლველად მიემართებოდა, რომელსაც უშიშარი სარდალი რუქნადინი ედგა სათავეში და, თუმცა საქართველოს ჯარებსაც დიდი მხედართმთავრები: დავით სოსლანი, ზაქარია მხარგრძელი, თაყაიადინ თმოგველი, ივანე და შალვა ახალციხელები სარდლობდნენ, გამარჯვებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. დედოფლის ახლო ყოფნა, მისი ცრემლიანი თვალები, ლოცვა და ღამისთევა, უეჭველია, გამარჯვების ერთ-ერთ ფაქტორად იქცა. ბრძოლა კი მართლაც სასტიკი იყო. რუქნადინი თავისივე გაუფრთხილებლობამ და თავდაჯერებამ დაღუპა. მან ბასიანთან ღამის სათევად ისე დააბანაკა თავისი ჯარი, რომ გუშაგებიც კი არ დაუყენებია და დიდად გაოცდა, როცა დილით სულ ახლოს საომარი წყობით მომავალი ქართველთა მხედრობა იხილა. ეს მოულოდნელობა რომ არა, არავინ იცის, საით გადაიხრებოდა ბრძოლის სასწორი. ქართველთა გამარჯვება ერთხანს ბეწვზე ეკიდა. როგორც ჩანს, გადამწყვეტი როლი შეასრულა დავით სოსლანისა და ზაქარია მხარგრძელის მანევრმა - ისინი გაეცალნენ ბრძოლის შუაგულს, სადაც ქართველებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ და რუქნადინის ლაშქარს ფლანგებიდან შეუტიეს. ამან გადაწყვიტა ბრძოლის ბედი.

უზომო იყო გამარჯვების სიხარული, დაიწყო დაუსრულებელი ზეიმი. ქართველებს დარჩათ რუქნადინის მიერ მიტოვებული უამრავი ქონება. დადგა შვების, დასვენებისა და განცხრომის ჟამი, მაგრამ მალე სამეფოზე მწუხარება მოიწია, - გარდაიცვალა დავით სოსლანი /1207 წ./ ამ დროს იგი კვლავ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რა სენი მოერია, არ ვიცით.

უზარმაზარი სამხედრო მონსტრის წინაშე დარჩენილი ქვრივი დედოფალი, რასაკვირველია, სახარბიელო მდგომარეობაში ვერ იქნებოდა. მალე საქართველოს სამხრეთ კოლონიებს არდევილის სულტანი შემოესია, აიღო ანისი და მუსულმანებმა შიგ ეკლესიაში დაკლეს ორი ათასი ქრისტიანი. ქართველთა შურისძიებაც ასევე სასტიკი იყო. სასწრაფოდ შეყრილმა ლაშქარმა არა მარტო ანისი გაანთავისუფლა, არამედ აიღო არდევილი, ხელთ იგდო სულტანი და მისი ცოლ-შვილი. სულტანი სიკვდილით

დასაჯეს, ხოლო თორმეტი ათასი მუსულმანი მიზგითში შერეკეს და ამოჟლიტეს. ერთხანს კვლავ სიმშვიდემ დაისადგურა და სამეფო კარიც განცხრომას მიეცა, მაგრამ „ომის პარტიისათვის“ ეს იყო ყველაზე მოსაწყენი დრო, მას ახალი ომი, რბევა და ალაფი სწყუროდა. მოთმინება მალე დაიშრიტა და ერთ დღესაც დედოფალს უმაღლესი სამხედრო ეშელონის სამი წარმომადგენელი - ზაქარია მხარგრძელი, მისი ძმა ივანე და ვარამ გაგელი -ეახლა.

ომს მოწყურებულ მხედართმთავრებს ერთობ ამბიციური და შორმიმავალი სამხედრო გეგმები ჰქონდათ დასახული, რაც თამარს მაღალფარდოვნად მოახსენეს: „ძლიერო ხელმწიფეო, შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებულო! იხილე და განიცადე სამეფო თქვენი და ტანსიმხნე და სიქველე სპათა შენთა. გულისხმა ყავ, რამეთუ მრავალი ახოვანი, მხნენი და რჩეულნი იპოებიან სპათა შენთა შორის, რამეთუ არა არს წინააღმდგომი მათი. აწ ბრძანოს მეფობამან თქვენმან, რათა არა ცუდად დავიწყებასა მიეცნეს სადმე სპათა შენთა საქმენი, არამედ აღვიმხედროთ ერაყს, რომგურსა ზედა, რომელ არს ხვარსან და ცნან ყოველთა სპათა აღმოსავლეთისათა ძალი და სიმხნე ჩვენი, და უბრძანე სპათა საქართველოსათა - მზა იყვნენ ლაშქრობად ხვარასანს, დაღათუ არავინ ქართველთაგანი მიწევნულ არს ხვირისანს და ერაყს, არამედ ბრძანე, რათა ნიკოფსით დარუბან-დამდე აღიჭურვნენ და მზა იყვნენ“.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მხედართმთავრებს ამ ლაშქრობის გეგმა წინასწარ დეტალურად ჰქონიათ განხილული და გადაწყვეტილი, მაგრამ ამის შესახებ დედოფალს არაფერი სცოდნია. ეს სამხედროთა ერთგვარი ულტიმატუმი იყო, რაც დედოფლის წინაშე ჯარისკაცულ პირფერობას ეზავებოდა. ჩვენ არ ვიცით, თამარი უმალ დათანხმდა თუ დრო ითხოვა მოსაფიქრებლად; ფაქტია, რომ დაიწყო ახალი მძარცველური ომი: საქართველოს ლაშქარი დაიძრა შორეული და უცნობი მხარეებისაკენ, სადაც ჯერ არასოდეს დაედგა ფეხი.

დედოფალს რაღაც სამხედრო საბჭოს მსგავსი სხდომა მოუწვევია, სადაც ამერ და იმერ დიდებულებს გააცნო „ომის პარტიის“ მოთხოვნა; როგორც ჩანს, საბჭომ სამხედროთა წინადადებას მხარი დაუჭირა.

სამხრეთის ეს დიდი ექსპედიცია 1210 წლის შემოდგომაზე დაწყებულა, ალბათ, იმ მოსაზრებით, რომ ქართულ ლაშქარს ზაფხულში გაუჭირდებოდა სპარსეთის მცხუნვარე უდაბნოთა გადალახვა. საქართველოს ჯარებს შორეულ ლაშქრობაში თვით ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი მიუძღოდა.

ქართველთა ლაშქარმა გაიარა ნახიჭევანი, გავიდა მდინარე რახსის პირას, განვლო დურდუზის ვიწრო ხეობა და ქალაქ მარანდს მიადგა. მარანდელებმა ქალაქი მიატოვეს და მახლობელ მთებს შეაფარეს თავი. აქ თაყაიადინ თმოგველმა თვითნებურად დაარღვია სამხედრო დისციპლინა. ზაქარია მხარგრძელმა, იგი ხუთასი მხედრით გაგზავნა გახიზნულ მარანდელთა ადგილსამყოფელის დასადგენად, თან დააბარა - თუ სადმე გადაეყარო, მაშინვე მაცნობეო. როგორც კი მარანდელებმა ქართველთა მცირერიცხოვანი მხედრობა იხილეს, უმალ გამოცვივდნენ კლდე-ღრეებიდან და თავს დაესხნენ, მაგრამ ეს სითამამე ძვირად დაუჯდათ. მზვერავი რაზმის დაგვიანებით შეფიქრიანებულ ქართველთა მთავარი ძალები მათ საძებნელად გაემართნენ და მალე წააწყდნენ გვამებით მოფენილ ტაფობს, სადაც ხუთას მარანდელს ხუთასი ქართული შუბი ჰქონდა გაჩრილი. ეს ფაქტი გაკვირვებას იწვევს და მოწმობს, რომ ქართველებს ომი მართლაც „თამაშად და უჩნდა მღერად“. ყოველ შემთხვევაში, მარანდელთა გვამებში შუბების ჩატოვება იყო მეტისმეტი ამპარტავნობა, თვითდაჯერებულობა და არტისტიზმი. სხვა თუ არაფერი, ეს იარაღი მათ ხომ კიდევ არაერთხელ დასჭირდებოდათ. გაქცეულ მარანდელებს გამო-დევნებული რაზმი მალე მობრუნდა, მაგრამ ეგოდენ მა-მაცმა სარდალმა თაყაიადინ თმოგველმა თვითნებობისათვის ამირსპასალარის „მქისე“ სიტყვები დაიმსახურა.

აგრესიის შემდგომი ობიექტი თავრიზი იყო. ეს დიდი ქალაქი უომრად დანებდა ქართველებს და მშვიდობა უზარმაზარი ძღვენით იყიდა. ამირსპასალარმა მცირე გარნიზონი დატოვა თავრიზში და გზა განაგრძო. ასევე ძღვენით იყიდეს მშვიდობა მაიანელებმა; აქაც ქართველთა მცირე გარნიზონი ჩადგა და მთავარი ძალები ზანგანს მიადგნენ. ზანგანელებმა ფიცხელი ბრძოლა გაუმართეს მოძალადეებს, მაგრამ დამარცხდნენ, ქალაქის კედლებს მედგრად შეუტიეს მესხებმა, აიღეს და გაძარცვეს მოსახლეობა.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ქართველთა ლაშქარი ხორასნისაკენ დაიძრა, იმ მხარისაკენ, სადაც ოდესღაც პართიის განთქმული სამეფო მდებარეობდა, ძველი პართები ალბათ, ძნელად წარმოიდგენდნენ, რომ მათ შთამომავლებს ოდესმე იბერთა მოდგმის ხალხი დაარბევდა. ქართველები ბოლოს კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროებთან გავიდნენ, მაგრამ ნაძარცვმა ქონებამ იმდენად დაამძიმა ლაშქარი, რომ მეტი წინსვლა აღარ შეეძლო. ინდოეთს მიმდგარი ალექსანდრე მაკედონელი ასეთ ვითარებაში სხვაგვარად მოიქცა. მან ჯერ თავისი დაწვა, შემდეგ კი მეგობრების საზიდრები მისცა ცეცხლს, მერე კი მთელ ლაშქარს უბრძანა - დაეწვათ ყველაფერი, რაც წინსვლაში ხელს უშლიდათ.

ქართველებს კი არ სურდათ და არც შეეძლოთ იგივე ჩაედინათ; ისინი მაკედონელებზე მცირერიცხოვანი როდი იყვნენ, მაგრამ მიზნები ჰქონდათ სხვადასხვა: ალექსანდრე უზარმაზარ სახელმწიფოს ქმნიდა და ყოველ დაპყრობილ ქვეყანას თავის „მსოფლიო იმპერიაში“ აერთიანებდა არა მარტო სამხედრო ძალით, არამედ ხალხთა შერწყმა-შერევითა და ცივილიზაციათა კავშირით ქმნიდა მომავალი იმპერიის საფუძვლებს.

ქართველებს კი ვერ მოეფიქრებინათ ან არ სურდათ დიდი იმპერიის შექმნა, ისინი მხოლოდ თავისი სიუზერენული გავლენის გაფართოებით კმაყოფილდებოდნენ. და ძირითადად ძარცვას, უცხო ხალხთა ქონების საკუთარ სამშობლოში გამოზიდვას ესწრაფოდნენ.

1210 წლის ავანტიურისტული ექსპედიციაც თავისი შინაარსით მძარცველური იყო და ზღვისპირს მიღწეულმა მარბიელმა ლაშქარმა, რომელსაც ტვირთი დაუმძიმდა, სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. წინ კვლავ შურისძიებით, ბოღმითა და სარწმუნოებრივი სიძულვილით გაქლენთილი სოფლები და ქალაქები იდო, რომელნიც შიშითა და ძრწოლით ელოდნენ სასტიკი და ამპარტავანი მხედრობის მობრუნებას, უკანასკნელ სარჩო-საბადებელს მალავდნენ, კვლავ იძულებითი მორჩილებისა და ქედის მოდრეკისათვის ემზადებოდნენ.

ამ ლაშქრობის დროს მოხდა ფაქტი, რომელიც თვალნათლივ ადასტურებს იმ საშინელ სიძულვილს, რაც ქართველებმა დაიმსახურეს მათ მიერ გადათქერილსა და გაძარცვულ ხალხებში. ქალაქ მაიანაში გამოჩნდა ვიღაც ცრუ კაცი, რომელმაც განგებ თუ შეცდომით აუწყა ქალაქის მელიქს - ქართველებს გილანელებმა თვით დიდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სულტნის წინამძღოლობით გზა შეუკრეს, ალყაში მოამწყვდიეს და ერთიანად ამოჟლიტეს, საქართველოში ამბის წამღებიც კი არ დაუტოვებიათო. მაიანელთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მათ ელვისებურად შეიპყრეს ქალაქში დატოვებული ქართული გარნიზონის ჯარისკაცები, რომელნიც, ალბათ, ათას სისაძაგლეს სჩადიოდნენ, ცოცხლებს გააძვრეს ტყავი და ძელებზე ჩამოჰკიდეს. ეს იყო ჭეშმარიტად აღმოსავლური შურისძიება დამპყრობელთა მიმართ. გადარჩა მხოლოდ ერთი ჯარისკაცი, რომელმაც მოახერხა დამალვა სიძულვილითა და შურისძიებით აღსავსე პატარა ქალაქში, დიდხანს, მოუთმენლად ელოდა თანამებრძოლთა გამოჩენას და ბოლოს ეს დღეც დადგა: ნაძარცვით დამძიმებული ქართული მხედრობა ქალაქს მოადგა და ამირსპასალარმა თავისი გარნიზონი მოიკითხა. თავრიზს წავიდნენ თქვენს მიერ იქ დატოვებულ მცველებთანო, - მლიქვნელური ღიმილით იცრუა დამფრთხალმა მელიქმა, მაგრამ ამ დროს მხარგრძელის წინაშე წარსდგა ის გადარჩენილი ჯარისკაცი და მომხდარი აუწყა.

საერთოდ გულმხეცი ამირსპასალარის მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა. წამსვე შეიპყრო მელიქი თავისი ცოლ-შვილით, ქალაქის სხვა თავკაცები, იმათაც ცოცხლად გახადეს ტყავი და მინარეთზე ჩამოჰკიდეს, მიწასთან გაასწორეს ქალაქი მაიანა და თავრიზისაკენ წავიდნენ. გზადაგზა კვლავ მოაოხრეს და გაძარცვეს, ზოგან „ნებით" მიიღეს ძღვენი და აურაცხელი სიმდიდრით დატვირთულნი მოვიდნენ თბილის-ქალაქში. ამ ნაძარცვი ქონების ხილვა-გამოფენის ცერემონიაც რაღაც რომაული ტრიუმფის მსგავსი იყო: „შევიდეს ისანთა, დაჯდა მეფე ტახტსა სამეფოსა, შეუძღვა ამირსპასალარი და შევიდეს თავადნი და დასხდეს წესისამებრ და მოიღეს არმაღანი ურიცხვი და დადვეს მეფის წინაშე. განკვირდა მეფე, არავის ქართველთაგანს ენახა ეზომი სიმდიდრე და აურაცხელი თვალნი და მარგალიტნი" - და ეს იმ ქვეყანაში, სადაც „აზნაურნი გადიდებულდეს და დიდებულნი გახელმწიფდეს".

მთელს იმ ცოდვა-ბრალს, რაც ქართველებმა ამ ლაშქრობისას დაატრიალეს, ოდნავ ამსუბუქებს თამარის მოწყალე გულით ეკლესიებისათვის შეწირული განძი და, აგრეთვე, გლახაკთა და უპოვართათვის გაცემული უხვი საბოძვარი - სახელმწიფოს მთელი შემოსავლის, ანუ ბიუჯეტის 10 პროცენტი ხომ დედოფლის ნებით მათთვის იყო განკუთვნილი.

...და საქართველოში მალე ისევ დადგა მწუხარების ჟამი - 1212 წელს გარდაიცვალა ზაქარია მხარგრძელი; ვინ იცის, იქნებ ამირსპასალარი იმ შორეულმა სპარსულმა ლაშქრობამ, აღმოსავლეთის უდაბნოთა ქარმა, მრავალ თვეს სალაშქრო კარავში ან ღია ცის ქვეშ ღამისთევამ დაასნეულა.

საქართველომ დაკარგა დიდი მხედართმთავარი, ხოლო ქართველ სამხედროებს მთელს „ომის პარტიას" მოუკვდა უშიშარი ბელადი და გამჭრიახი წინამძღოლი, ვის სახელთანაც დაკავშირებული იყო ათობით ახლო და შორეული ლაშქრობა, ათობით ომი და გამარჯვება. დიდი მწუხარებით ეთხოვებოდა საქართველო ამ უცხო ტომისა და სარწმუნოების კაცს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე საქართველოს ძლიერებას შესწირა. მემატიანე მას „გულმხეცსაც" უწოდებს, სხვაგან ამბობს მტრის ლაშქარი დათვივით დატორაო. ეტყობა, ამირსპასალარი დიდი ფიზიკური შეძლების მქონე და უშიშარი მეომარი იყო, როგორც სამხედრო მოღვაწე - გამჭრიახი, დისციპლინის მოყვარული, ომისკენ მიმსწრაფი და სისხლისღვრის მოტრფიალე. 1191 წლიდან ზაქარია მხარგრძელი საქართველოს ჯარების მთავარსარდალი იყო. მთელი ამ ხნის განმავლობაში არ დაუსვენია, თითქოს მშვიდობა სტანჯავდა, ახალ და ახალ ლაშქრობათა გეგმებს აწყობდა, სულ სამხედრო ბანაკში და საომარ ველზე იყო; გასჭირვებია, მაგრამ არასოდეს დამარცხებულა, სირცხვილი არასოდეს უჭმევია ქართული მხედრობისათვის.

ვინ იყო იგი? - ქართული ცნობიერებით აღზრდილი, გაქართველებული უცხო ტომელი, რომელიც პატრიოტული გრძნობებით ემსახურებოდა საქართველოს თუ კონდოტიერი, რომლისთვისაც ამ უძლიერესი ქვეყნის სამსახური და უსათნოესი დედოფლის კარისკაცობა დიდებისა და ქონების მოხვეჭის საშუალება იყო?

ამტკიცებენ, რომ მხარგრძელები გასომხებული ქურთები იყვნენ, თუმცა ზაქარია თავისი ცნობიერებით უფრო სომეხი ჩანს. ფაქტია, რომ კაცმა, რომელმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანა საქართველოს სამხედრო დიდებაში, არ ისურვა გრიგორიანული სარწმუნოების დაგდება და მართლმადიდებლობაზე მოქცევა. მემატიანე ვრცლად, უფრო ვრცლად, ვიდრე ბასიანისა და შამქორის ომებზე, მოგვითხრობს იმ სარწმუნოებრივი პაექრობის შესახებ, რომელიც ზაქარია მხარგრძელის ინიციატივით გაჩაღდა ქართველთა და სომეხთა შორის.

ამ დავას ერთმა კომიკურმა შემთხვევამ დაუდო სათავე: ერთხელ, რაღაც რელიგიურ დღესასწაულზე კათალიკოს იოანეს ნებით წირვაზე შეკრებილ დიდებულებს სეფისკვერები ჩამოურიგეს; სეფისკვერს ზაქარიაც მიეტანა, მაგრამ არ დაანებეს - შენ სარწმუნოებით სომეხი ხარ და არ გეკუთვნისო. მაშინ ზაქარიამ სეფისკვერი ძალით აიტაცა და შეჭამა. განრისხებულმა კათალიკოსმა მას ერთობ მკვახედ შეუძახა: მერჩივნა, ძაღლს შეეჭამა ეგ სეფისკვერი, ვიდრე თქვენ, შეილგზის წყეულთა სომეხთაო.

ზაქარია დარცხვენილი გამობრუნდა, მაგრამ შეურაცხყოფა ვერ მოინელა. სამეფო დარბაზში კვლავ გაუგრძელებია დავა და ქართველთა სარწმუნოების გმობა, თუმცა მის არგუმენტებს იოლად აბათილებდა განსწავლული კათალიკოსი იოანე. ზაქარია კი არა და არ ცხრებოდა, რახან თავად აღარ შესწევდა კათალიკოსთან კამათის უნარი, განაცხადა - მე სამხედრო კაცი ვარ, მეცნიერული კამათისა არაფერი გამეგება, ჩვენს მოძღვრებს მოვიწვევ და იმათ „სირცხვილეულ ჰყონო". სიტყვა და საქმე ერთი იყო. ზაქარიამ სასწრაფოდ გამოიძახა ვანის კათალიკოსი და „ყოველნი ვარდაპეტნი". ქართველ და სომეხ მღვდელმთავრებს შორის ფიცხელი დისკუსია გაიმართა. სომეხ სამღვდელოთა დელეგაციის მასპინძლები ზაქარია და ივანე მხარგრძელები იყვნენ, ბინადაც მათთან იდგნენ. დავა მრავალ დღეს გაგრძელდა, ბოლოს გამარჯვების სასწორი იოანე კათალიკოსის მხარეს გადაიხარა. მაშინ ივანე მხარგრძელი ძმას გამოუტყდა - მგონია ქართველები ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დგანან, ხომ არ შევიწყნაროთ და ქართველი კათალიკოსისაგან ნათელვიღოთო?

ზაქარიას პასუხი მტკიცე და კატეგორიული იყო:

- მე არა შევერთვი ქართველთა!

აი, ეს კაცი წინამძღოლობდა მრავალი წლის მანძილზე საქართველოს სამხედრო ძალებს, არბევდა მთელს მახლობელ აღმოსავლეთს, იხვეჭდა და ახვეჭინებდა, თავნებობდა კიდეც მეფეთა წინაშე /რუქნადინის ელჩთან ინციდენტი/, მაგრამ ღალატით არასოდეს უღალატია. თავად დიდი ფეოდალი, ფაქტობრივად, სომხეთის მეფის

ნაცვალი, „სომეხთა მეფის ადგილზე მჯდომი" იყო, ფლობდა ლორის პროვინციის, ქვემო ქართლსა და ქალაქ რუსთავს; იყო უმდიდრესი კაცი, უდიდესი საგანძურის მფლობელი, რაც ხანგრძლივ მარბიელ ლაშქრობებში ჰქონდა მოხვეჭილი. აწ კი სიკვდილს გაეცამტვერებინა მისი დიდება, ყოველივე უქმი და უსარგებლო გამხდარიყო; ერთადერთი შვილი დარჩა, შანშე - რომლის შთამომავლებმაც სათავე დაუდეს ჩრდილოეთ სომხური სამეფოს ზაქარიდების დინასტიას.

თამარის ბრძანებით საქართველოს სამხედრო უწყებას სათავეში ჩაუდგა ივანე მხარგრძელი, რომელმაც ამირსპასალარობა არ იკმარა და დედოფალს საქართველოს სამოხელეო ინსტიტუტისთვის მანამდე უცნობი ათაბაგობა გამოსთხოვა, მაგრამ, როგორც შემდგომმა მოვლენებმა ცხადყო, მას თავისი უფროსი ძმის არც სამხედრო ნიჭი, არც ადამიანური ღირსებები არ მოსდგამდა.

დაუცხრომელი ზაქარია ამირსპასალარის გარდაცვალებასთან ერთად თითქოს დაცხრა ომის ჟინიც და ქვეყნად მშვიდობამ დაისადგურა. როგორღაც ისე ჩანს, რომ იმ ათეულობით მარბიელი ლაშქრობისა და ექსპანსიის სულისჩამდგმელი, რასაც მე-12-მე-13 საუკუნეთა მიჯნაზე ახორციელებდა საქართველო, ზაქარია მხარგრძელი იყო. მისი გარდაცვალების შემდეგ, თამარის სიცოცხლეში მხოლოდ ერთი ომი ატყდა: ივანე ათაბაგი სამხედრო მოღვაწეობას ქართველებთან ბრძოლით შეუდგა: მან სასტიკად დაარბია საქართველოს მთიანეთი, კერძოდ, ფხოვი, დალეწა მისი წარმართული სიწმინდეები და ამაყად წარსდგა დედოფლის წინაშე: „ძლიერო მეფეო იქმნა ბრძანება შენი, მოვაოხრენ ურჩნი შენნი, დიდოეთი და ფხოვეთი". ბრძანა თუ არა გულმოწყალე თამარმა მთის პროვინციების დაუნდობელი მოოხრება, არავინ იცის, მაგრამ ათაბაგის სისასტიკესა და გამანადგურებელ შემოსევაზე, მის მიერ წმინდა სალოცავების ხელყოფაზე ამ კუთხეში დღემდე შემოინახა ლეგენდები. სხვა საკითხია ამ ომის სოციალური და რელიგიური საფუძველი, რაც ასე თუ ისე გამოკვლეულია.

საკუთარ თანამემამულეებთან ბრძოლა თითქოს იმ საშინელ ავბედობათა პროლოგად იქცა, რომელიც საქართველოს უახლოვდებოდა, მუდმივი გამარჯვებითა და სიმდიდრით უზომოდ გაამპარტავნებული, სიფხიზლედაკარგული იმპერიის დიდების მზე დაისს მიეჯარა.

თამარს რაღაც სნეულებამ დარია ხელი და 1213 წელს 53 წლისა გარდაიცვალა.

* * *

თამარის გარდაცვალებით დასრულდა მთელი ისტორიული ეპოქა, რომელიც დავით აღმაშენებლის გამეფებიდან /1089 წ./ იღებდა სათავეს. ეს იყო ქართული იდეის მრავალმხრივი ტრანსფორმაციის ათწლეულები. ამ იდეამ აღმაშენებლის სასტიკი ნებით უმაღლეს მწვერვალს მიაღწია, წმინდა და შეუბღალავ ეროვნულ ღირებულებად, ნაციონალური აღმავლობის მუხტად იქცა. სწორედ მისი წყალობით იყო, რომ თითქმის არარსებული ქვეყანა სულ რაღაც სამ ათეულ წელში კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ამ ათწლეულებში ეროვნული იდეა იყო წმიდათაწმიდა და შეუბღალავი. მას თავისუფლების სახელი ერქვა და საქართველომ უკანასკნელი სასიცოცხლო ძალების დაძაბვით შეძლო მისი მიღება. თავის მხრივ, ამ იდეის მატარებელმა პიროვნებამ თავისი რკინისებური ნებისყოფითა და არაადამიანური ენერგიით გამარჯვების სული შთაბერა უძლურ ქვეყანას, გააღვიძა და აღაზევა. მასში ეროვნული თავმოყვარეობის და ღირსების გრძნობა. ყოველგვარ სისასტიკეს, რაც თან ახლდა ამ ბრძოლას, ზნეობრივი გამართლება ჰქონდა. ზნეობის კარნახით მოქმედი მეფე და მისი გარემოცვა, მხედართმთავრები და უბრალო ჯარისკაცები უშურველად სწირავდნენ საკუთარ კეთილდღეობასა და სიცოცხლეს; მათ მიერ წარმოებული ომები არ იყო განცხრომათა პირობა და საწინდარი, არც სიმდიდრის მოხვეჭის საშუალება გახლდათ და ყოველი მათი ნაბიჯი იყო უმაღლეს იდეალთან - სამშობლოს სრულ თავისუფლებასთან და დამოუკიდებლობასთან მიახლოვება, ხოლო განსწავლული მეფე ამ დიად იდეას არა მარტო იარაღით განამტკიცებდა, არამედ ქვეყანას სულიერადაც აღულაბებდა, როგორც საგანმანათლებლო, კულტურულ-ლიტერატურული საქმიანობის ორგანიზატორი. დავით აღმაშენებლის მემკვიდრეებმა ეს იდეა მზამზარეული მიიღეს და მათთვის ნაკლებმნიშვნელოვანი იყო, ანუ არ შეეძლოთ იმის ღირსეულად დაფასება და უპირველეს ღირებულებად აღიარება, რისი შემოქმედიც თვითონ არ იყვნენ. ქვეყნის თავისუფლება და დამოუკიდებლობა მიიჩნეოდა, როგორც ბუნებრივი მდგომარეობა და ამ იდეალს თანდათანობით შეენაცვლა დაპყრობისა და ექსპანსიის იდეალები, არა როგორც ქვეყნის განმტკიცებისა და გაფართოების, არამედ როგორც გამდიდრების, ალაფის ხვეჭის, ქონების მონაგრების აუცილებელი პირობა. ეს ორი იდეა თითქმის თანაბარ სიბრტყეზე არსებობდა გიორგი მესამის დროს, მაგრამ დემნა უფლისწულის განადგურების შემდეგ აშკარად იმძლავრა თვით მეფისგან წამოსულმა უკანონობის, ჩაგვრის, ძალმომრეობის ნაკადმა არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით არსებულ სოციალურ გარემოში, არამედ მეზობელი ხალხების მიმართაც. თანდათან გამოიკვეთა ეროვნული განსაკუთრებულობისა და ნაციონალური ამპარტავნობის ნიშნები, რომელთაც ფართო გასაქანი ჰპოვეს თამარის ეპოქაში.

თვით ქალის გამეფების ფაქტი იყო უდიდესი გარდატეხის მიზეზი ადამიანთა ცნობიერებასა და წარმოდგენაში. მსგავსი რამ ახალ დროს არავის სმენოდა ლეგენდარული კლეოპატრას შემდეგ. რაღა თქმა უნდა, ყოყმანიც, რომელსაც არისტოკრატული ელიტა ამჟღავნებდა თამარის გამეფებისას, სრულიად გამართლებული იყო. საქართველოს უნდა გაეკეთებინა ნახტომი შეუცნობელ სივრცეში, ხოლო ადამიანები, ვისაც თამარის მეფობაზე დასტური უნდა მიეცა, უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ სამშობლოს მომავალს. იქნებ ყუთლუ-არსლანისა და მისი გუნდის მოძრაობაც ნაწილობრივ ამ პასუხისმგებლობით იყო განპირობებული, რადგან დარწმუნებულნი არ იყვნენ, რომ ნორჩი დედოფალი, თუ მას ერთმმართველობას დაანებებდნენ, ყოველთვის სწორ გადაწყვეტილებას მიიღებდა. მიუხედავად იმისა, რომ ყუთლუ-არსლანის დემოკრატიული მოძრაობა დამარცხდა, თამარი ერთმმართველად მაინც ვერ იქცა. იგი მუდამ სამხედროებზე, მათ უმაღლეს ეშელონზე, ანუ „ომის პარტიაზე" იყო დამოკიდებული და ხშირად მათი ნების უსიტყვო აღმსრულებელადაც ქცეულა. ამ ვითარებაში თანდათანობით მოხდა ეროვნული იდეის გარდასახვა, მისი რადიკალური სახეცვლილება და ეროვნულ იდეალად დამკვიდრდა დაპყრობის, ეროვნული ძალმომრეობის, ნაციონალური განსაკუთრებულობის იდეალი. ამ იდეით შეპყრობილი ქვეყანა, რაღა თქმა უნდა, დასაღუპავად იყო განწირული.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



მაგრამ თავისუფლების იმ იდეას, რომელსაც ფრთები შეესხა დავით აღმაშენებლის ეპოქაში, მთლიანად არ დაუკარგავს სახე. მისი კეთილი საწყისები განსახიერდა იმ ჰუმანისტურ სულისკვეთებაში, რაც ახასიათებდა თამარის ეპოქას, ეს იყო ეპოქის მეორე მხარე, რომელიც მიიღო და გაიზიარა შთამომავლობამ, მისი წყალობით იოლად მიეცა დავიწყებას ოქროს საუკუნის უზარმაზარი ცოდვები და ჩვენამდე მოვიდა, როგორც სულიერი რენესანსის, კულტურულ-საგანმანათლებლო და ლიტერატურული აღმავლობის საუკუნე.

ეროვნული თავისუფლების იდეალის დევალვაცია და დამპყრობლურ-მაოხრებლური ცოდვები, უპირველეს ყოვილსა, სამხედროთა მხრიდან, „ომის პარტიიდან" მომდინარეობდა. გარდა უმაღლესი სამხედრო ეშელონებისა, ამ „პარტიის" აქტიურ წევრებად ჩანან მონაპირე მხარეთა გამგებლები, რომლებიც გამუდმებით არბევდნენ საქართველოს მოსაზღვრე ტერიტორიებს. მათ წესად ჰქონიათ დედოფლის წინაშე პირმოთნეობა და მლიქვნელობა. სახელის შოვნაზე გამეცადინებული მონაპირე ერისთავები გამუდმებით ცდილობდნენ მათ მიერ მეზობლებზე ყაჩაღური თავდასხმების სამეფო კარზე დემონსტრირებას. გამუდმებით მიჰქროდნენ მალემსრბოლები მეფეთა რეზიდენციისაკენ, რათა მონაპირეთა ახალ-ახალი გამარჯვებები ეუწყებინათ. დედოფლის წინაშე დღეში ორი-სამი მახარობელი მაინც მოდიოდა - გვაუწყებს მემატიანე, და მათ გასამრჯელოს სახელგანთქმული თბილისის ერთი წლის შემოსავალიც კი არ ჰყოფნიდაო. ძვირი კი ყოფილა გამარჯვებათა შესახებ ღვარად წამოსული ინფორმაცია, თუმცა ქვეყნისათვის სრულიად არ იყო სასარგებლო, რადგან სამეფო კარსა და მთელ ადმინისტრაციულ აპარატში ამკვიდრებდა უძლეველობისა და უზრუნველობის რწმენას, ადუნებდა თავდაცვისთვის მობილიზაციის უნარს, აღარავინ ფიქრობდა, რომ გამარჯვების მაუწყებელთა მიერ გატკეპნილი გზებით, შესაძლო იყო, ოდესმე სასტიკი დამარცხების მაცნეც მოვარდნილიყო.

თამარი, როგორც პოლიტიკური ძალა ბალანსირების დიდოსტატი, კარგად მცოდნე ქვეყნის მთელ სოციალურ სპექტრში გაბატონებული სულისკვეთებისა, ცდილობდა, მათი ინტერესების შესაბამისად მოქცეოდა „ომის პარტიასთან" დაკავშირებულ ძალებს. მონაპირეთა მიერ დაპყრობილ ციხე-ქალაქებს მათვე უტოვებდა, არც მოპოვებული ალაფი მიჰქონდა ცენტრალურ ხაზინაში.

დედოფალმა იცოდა, რომ, მონაპირე ფეოდალებს მარბიელი საგარეო ლაშქრობით სტიმულს არ მისცემდა, ისინი ერთმანეთს დაერეოდნენ და შინაომს ატეხდნენ, ამიტომაც ცდილობდა მათი აგრესიული სულისკვეთება და მეომრული ჟინი ქვეყნის გარეთ მიემართა.

ეს სიფრთხილე სულაც არ იყო ზედმეტი, რადგან ქვეყანა არც ისე მშვიდად და ზნეობრივად ცხოვრობდა, როგორც საუკუნეთა გადასახედიდან ჩანს, იმ ბრწყინვალე ეპოქაზე ჩამოფარებული ოქროქსოვილიდან ილანდება სასახლის კარის ინტრიგები, სასულიერო წრეებში მოკალათებულ „ქვაბავაზაკთა" ბოროტება, შარაგზის ყაჩაღობა, დაუნდობლობა და სისასტიკე, დაუოკებელი ამბიციები და სიხარბე, საშინელი ნაციონალური ამპარტავნობა, რაც ლამის მთელი ქვეყნის ბუნებად იქცა. მთელს ამ პირქუშ და სასტიკ სამყაროში ერთადერთი სათნო და გულმოწყალე ადამიანი თამარი იყო. დედოფალი ცდილობდა, ღვთაებრივი სიკეთით დაეცხრო თავის ქვეშევრდომთა მზაკვრობა და მზვაობრობა, მაგრამ ხშირად იძულებული ხდებოდა დაეთმო მათთვის და სავარეო ავანტიურისტული წამოწყებებიც ეკურთხებინა. შინაურ ავაზაკთა დაოკებაც როდი იყო ადვილი, მაგალითად, ლიპარიტიანთა მოდგმის ხუთნი ძმანი ერთ ბანდად შეკრულან, შარაგზის ყაჩაღობის, ძარცვისა და კაცისკვლისთვის მიუყვიათ ხელი. საკვირველია, რომ ამ საქმეზე დიდი ფეოდალური გვარის ჩამომავალნი დამდგარან, ალბათ, ჰქონდათ რაღაც სოციალური მიზეზი, დაუკმაყოფილებელი ამბიციები, მიუღწეველი სამოხელეო თანამდებობები, დაკარგული მამულები ან სხვა რამ. ყოველ შემთხვევაში, მათი სისასტიკე იქამდე მისულა, რომ თვით პირველი ვაზირის ანტონ მწიგნობართუხუცესის ორი ძმაც კი მოუკლავთ, მაგრამ თამარს ისინი სიკვდილით არ დაუსჯია, არამედ „თვითო თვითოსა ციხესა შესვა, რათა გამოიწვრთნეს", მაგრამ თუნდაც ცალკე საკნებში ჩამწყვდეულ ყაჩაღთა ამ ბანდის „გაწვრთნის იმედი, რაღა თქმა უნდა, ამაო იყო. როგორც კი გარეთ გამოუშვეს, და ეს მალე მომხდარა, ისევ ბანდიტობას მიჰყვეს ხელი. თამარს, როგორც ჩანს, მტკიცედ ჰქონია გადაწყვეტილი, თავის მეფობაში სიკვდილით არავინ დაესაჯა, თით გამოუსწორებელი რეციდივისტიც კი. ლიპარიტიანთა მოდგმის ყაჩაღებიც, რომელთაც თავად პრემიერის ორი ძმა ჰყავდათ მოკლული, რახან საქართველოში მათი გამოსწორების იმედი დაკარგა, საბერძნეთში განდევნა, სადაც ისინი ბიზანტიის იმპერატორის სამსახურში შესულან და პაჭანიკებთან ბრძოლაში სახელოვნად დაღუპულან.

გიორგი მესამის დროსვე აღზევებულა ისეთი საშინელი მედროვე, როგორიც იყო კათალიკოსი, მიქაელ მირიანის ძე. ეს ინტრიგანი, ხარბი და კარიერისტი კაცი მემკვიდრეობით მიიღო თამარის მთავრობამ. მან ერთობ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა თამარის თანამეფედ კურთხევაში გიორგი მესამის დროს, დაახლოებული ყოფილა რუსუდან დედოფალთან და ამის წყალობით მიქაელ მირიანის ძემ არათუ შეინარჩუნა წინანდელი პრივილეგიები, არამედ მოახერხა უპრეცედენტო მდგომარეობამდე მიღწევა, ხელთ იგდო „მოივერაგა" კათალიკოსობა და პირველვაზირობა, ანუ გახდა ქვეყნის სასულიერო და საერო ხელისუფალი. როგორც ჩანს, მიქაელი ის კაცი იყო, ვინც კარგად შეძლო ამ განუზომელი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით ტკბობა და, საერთოდ, იმდენი ბოროტება ჩაუდენია, რომ, როცა მოკვდა, „არავინ შეიწუხნა მისოვის, არცა დიდი და არცა მცირე, რამეთუ ყოველნი სძულობდეს".

ცხადია, ამ კაცის უკან, რასპუტინის ღირსეულ წინაპრად რომ ჩანს, გარკვეული ძალები იდგნენ, რომელთაც იგი დაიცვეს, როცა თამარი იძულებული გახდა, შებრძოლებოდა თავის ზნედაცემულ პირველ ვაზირს და საეკლესიო კრება მოიწვია; კრებამ წამოყენებული ბრალდებები არ გაიზიარა და მიქაელმა სიკვდილამდე შეინარჩუნა კათალიკოსობაც და ვაზირთა უპირველესობაც.

ადვილი წარმოსადგენია ის დაძაბული ატმოსფერო, რაც ამის შემდეგ ჩამოვარდებოდა მეფესა და მთავრობის მეთაურს შორის. საბედნიეროდ, ბოროტმოქმედი პრემიერი მალე გარდაიცვალა და თამარს საშუალება მიეცა, მის ნაცვლად ღირსეული კაცი დაენიშნა. მიქაელ მირიანის ძე, რაღა თქმა უნდა, მარტოხელა ბოროტმოქმედი არ იქნებოდა: ამავე საქმეს სჩადიოდნენ, ალბათ, მისი გუნდის წევრებიც, რომელთა ძალისმიერი ალაგმვა თამარმა ან ვერ შეძლო, ან არ ისურვა. საერთოდ, [illegible]ულის კეთილშობილება და შემწყნარებლობა [illegible]ად არ შეესაბამებოდა სახელმწიფო ინტერესებს

ეროვნული ბიბლიოთეკა



და მონარქის ძალაუფლებისათვის აუცილებელ სისასტიკეს, ერთხელ კი ისეთი ფაქტიც მოხდა, რომ დავით სოსლანმა და ზაქარია მხარგრძელმა თამარის უკითხავად დასაჯეს გუზენ ტაოელი, რადგან იმედი არა ჰქონდათ, რომ დედოფალი თუნდაც ამ გამოუსწორებელი მოღალატის დასჯის დასტურს მისცემდათ. თვითმპყრობელი მონარქის პოზას არაფრით არ ესადაგებოდა თამარის დამოკიდებულება ქვეშევრდომებთან. მისმა დემოკრატიზმმა შორს გაუსწრო ეპოქას, მაგრამ შუასაუკუნეების აბსოლუტიზმით დამუხტულ დროში, ალბათ, ყოველთვის არ შეეძლოთ, ღირსეულად აღექვათ დიდი დედოფლის დემოკრატიული სულისკვეთება და ქვეშევრდომთადმი მიმართვები, რომელთაც ის ჩვეულებრივ ასე იწყებდა: „ძმანო ჩემნო“, „კაცნო!“

მიმოქროდა მთელს აღმოსავლეთში ქართველ მხედართა მხრებზე აზიდული „დროშა დავითისი, აროდეს მიბერილი წინააღმდგოთა ნიავთაგან“ და ქვეყანაში ამკვიდრებდა ყოვლისშემძლეობის, დაუსჯელობის კომპლექსს. სამხედროთა პარტიამ თავისი ძლევამოსილების დემონსტრირებისათვის ტრიუმფები შემოიღო მორიგი გამარჯვების აღსანიშნავად. მაგალითად, შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ დიდუბის ველზე უზარმაზარი ტრიუმფი გადაიხადეს: გლდანისა და ავჭალის ველები გაავსეს ურიცხვი ტყვე-მეომრით, ნაალაფარი საქონლით, ცხენებითა და აქლემებით; გამოაფინეს განძი და ქონება, რაც ამ ომში ეშოვათ; მთელი ამ პომპეზური სპექტაკლის საჭვრეტად წაიყვანეს თამარი და მის წინაშე მოადრეკინეს მუხლი ტყვედჩავარდნილ სპარსელ დიდებულებს, რომელთაც, ალბათ, კიდევ ედოთ რაღაც ფასი, უბრალო ტყვე მეომარი კი იმ დღეებში თურმე სულ რაღაც ერთი კუტალი ღირდა. საღამოს სასახლეში გრანდიოზული ზეიმი გაიმართა: ტრიუმფიდან წამოღებული განძეული დედოფლის წინაშე დაახვავეს და მთელი ამ სანახაობით შეძრწუნებულ თამარს სასოწარკვეთით წამოუძახნია: „არა, არა ნუ იყოფინ!“ – მაგ საქმეს ნუ სჩადითო. იქნებ ეს იყო თამარში გახმიანებული დევიზი მისი დიდი წინაპრისა: „არა მწვანილოვანსა ზედა მორთხმითა, არა, ესრეთ არა!“ დედოფალმა ბრძანა, მთელი ეს განძი ეკლესიებისთვის შეეწირათ და გლახაკთათვის დაერიგებინათ.

ამპარტავნული გამოვლინების ფაქტი იყო ისიც, რომ შამქორის ომის შემდეგ ქართველებმა განძაში დიდი პურობა გადაიხადეს „ღორის ხორცით“. ეს იყო დამარცხებულ მუსულმანთა რელიგიური გრძნობების, მთელი მათი შინაგანი ბუნებისა და ადამიანური სამყაროს შეურაცხყოფა, რომელთან შერიგება გაცილებით ძნელია, ვიდრე ომში დამარცხებასთან. ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ მაიანის გარნიზონის ქართველი ჯარისკაცები ცოცხლად გაატყავეს. მოწინააღმდეგისადმი ცინიკური დამოკიდებულების გრძნობას არც თამარი ყოფილა მოკლებული, მაგალითად, მან ვირის ნალში გაცვალა რუქნადინის მომხრე ამირა ეზინკელი, რომელიც ქართველებმა ბასიანის ომში ტყვედ ჩაიგდეს.

საქართველო, როგორც იმპერიული სულისკვეთებით გაჟღენთილი ქვეყანა, მზად იყო, გადაეხარშა და თავის სამსახურში ჩაეყენებინა უცხო ეროვნული ენერგია. სრულიად ჩვეულებრივი მოვლენა იყო უმაღლეს სახელმწიფო თანამდებობაზე არაქართული წარმოშობის პირთა აღზევება. ასეთი იყო ნაყივჩაღარი ყუბასარი და ყივჩაღთა უზარმაზარი მასა, რომელიც დავით აღმაშენებელმა საქართველოში ჩამოასახლა, რასაკვირველია, თამარის დროს მთლიანად ვერ იქნებოდა ასიმილირებული, კვლავ ინახავდა ხსოვნას თავის წარმოშობაზე. ისინი, ალბათ, ისევ დიდ როლს ასრულებდენ საქართველოს სამხედრო ძალებში და შეიძლება ისიც კი ვივარაუდოთ, რომ მეომართა სოციალური ფენის ძირითად ნაწილს ყივჩაღური წარმოშობის პროფესიონალი მეომრები შეადგენდნენ. ალბათ, ყივჩაღური ჩამომავლობის არაერთი მოხელე იყო სახელმწიფო აპარატშიც, მათ შორის ყუბასარი, რომელსაც მინისტრობისთვის მიუღწევია და, როგორც ჩანს, ამაში უჩვეულო არაფერია, არც მისი დევნა დაუწყიათ ყივჩაღური წარმოშობის გამო. ასევე შეუფერხებლად დაიკავეს უმაღლესი თანამდებობები ზაქარია და ივანე მხარგრძელებმა, რომელნიც „სჯულითა სომეხნი“ იყვნენ, თუმცა მაშინ სომხეთის დიდი ნაწილი საქართველოს სახელმწიფოში შემოდიოდა და ამ ორ ხალხს ისტორიის არაერთ მონაკვეთზე საერთო ქვეყანა ჰქონდა, ამიტომ ზაქარია მხარგრძელი მთელი თავდადებით ემსახურებოდა საქართველოს ინტერესებს; სამაგიეროდ ივანემ, როგორც უკვე ათაბაგმა, საშინელი ღალატი ჩაიდინა. გარნისის ომში, რამაც განაპირობა ქართული სახელმწიფოს კატასტროფა. მათ არასოდეს დავიწყებიათ თავისი წარმოშობა, გავიხსენოთ ამირსპასალარის შეძახილი: „მე არა შევერთვი ქართველთა!“, ამავე დროს, ქართველებსაც მუდამ ახსოვდათ, რომ მხარგრძელები „შვიდგზის წყეული სომხები“ /იოანე კათალიკოსი/ იყვნენ, მაგრამ მხარგრძელთა კარიერისთვის პრობლემები არ შეუქმნიათ.

უზრუნველ ცხოვრებას მინებებული ქვეყანა გამუდმებით ეძებდა ზეიმის საბაბს: გადაიხადა ორი გრანდიოზული ქორწილი და ძეობა ლაშას დაბადებისას; ხელი მიჰყო ვარძიის ციხე-ქალაქის მშენებლობას, რომელიც, მიუხედავად თავისი დიდებულებისა, მოკლებული როდი იყო პომპეზურობასა და ამპარტავნულ სულს. და როგორც ყველა დროში, „ოქროს ხანაშიც“ იყო ღირებულებათა აღრევა. ამ ეპოქის ისტორიამ შემოინახა ენაწყლიანი მეხოტბის იოანე შავთელის, როგორც იმ დროის ინტელექტუალის და დედოფლის ამალის მუდმივი წევრის სახელი, მაგრამ „ოქროს საუკუნემ“ დაივიწყა ან ვერ შენიშნა ყველაზე დიდი ღირებულება – შოთა რუსთაველის ნიჭი, სახელი და მისი დიადი თხზულება. არც ერთი სიტყვა, არსად ხსენება, არანაირი მინიშნება „ვეფხისტყაოსნის“ ავტორზე. ის კი არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი ყოფილიყო, არ შეიძლებოდა ვინმე ასკეტ ბერს გენიალური ოსტატობით შეექმნა საკვირველი ვნებებისა და რაინდული სიჩაუქის მთელი ეს ამაღლებული ისტორია. იგი, ალბათ, დაუცხრომელი ბუნების კაცი იყო, რომლის შემჩნევა სრულიადაც არ იქნებოდა ძნელი, მაგრამ ეპოქამ იგი ვერ დაიმახსოვრა. სამაგიეროდ, მან აღბეჭდა ეპოქის გრანდიოზული სურათი. მთელს ამ შინაგან კატაკლიზმებს, რასაც ოქროს ხანაში განიცდიდა საქართველო, რაღა თქმა უნდა, შესაბამისი სოციალური ფონი ექნებოდა. საქართველოს ისტორიის მკვლევართაგან აღიარებულია, რომ მე-12 საუკუნეში სწრაფი ტემპით და, ალბათ, შინაგანი წინააღმდეგობების ფონზე მიმდინარეობდა ფეოდალიზაციის დამამთავრებელი პროცესი, მდაბიორ მოლაშქრეთა ფენა თანდათან ექცეოდა ფეოდალთა ყმობაში, რაც გულისხმობდა მათს მიწაზე დამაგრებას, ყმად გადაქცევას. ბუნებრივია, მოლაშქრეთა ფენა ცდილობდა თავისი გაცილებით პრივილეგირებული და თავისუფალი მდგომარეობის შენარჩუნებას, რაც არა მარტო დამოუკიდებლობას ანიჭებდა, არამედ მისი შემოსავლის წყაროც იყო. ალბათ, ეს გამუდმებული ომიანობა

ეროვნული ბიბლიოთეკა



და თარეში არა ოდენ სამხედროთა ზედა ფენის, არამედ მეომართა დაბალი წრეების ინტერესებსაც შეესაბამებოდა. აღიარებულ ისტორიკოსებს /ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი/ მიაჩნიათ, რომ ფეოდალიზაციის პროცესი საქართველოში მე-12 საუკუნის ბოლოს დასრულდა, მაგრამ ეს შესაძლოა უფრო მოგვიანებით მოხდა და მდაბიო-მოლაშქრეთა დაყმევება, მათი გლეხად ჩამოყალიბება განაპირობა ქვეყნის დასუსტებამ, როცა ამ ფენამ დაკარგა წინანდელი ფუნქცია, შეუძლებელი გახდა წარმატებული საგარეო ომების წარმოება და საქართველო მონღოლთა უღელქვეშ აღმოჩნდა. ამიტომ ქვეყნის მდაბიორი მოსახლეობისათვის არსებობის შენარჩუნების ერთადერთ საშაულებად მიწაზე მუშაობა იქცა. მის პირისპირ აღარ იდგა დიდი და ძლიერი სახელმწიფო, სელჯუკიანთა იმპერიის ნანგრევებზე ათობით წვრილი სახანო და სასულტნო აღმოცენებულიყო, ხოლო ბიზანტიის მთელი ყურადღება ჯვაროსანთა ომებისა და ბალკანეთიდან შემოსევების მოგერიებისკენ იყო მიმართული. ქართველთა პროფესიულ არმიას, უმეტესად, ბრძოლა უხდებოდა მომთაბარე მწყემსთაგან შემდგარ ლაშქართან, თუმცა ამ უწიგნური მწყემსებისა და ჭუჭყში ჩამხრჩვალი დაბა-ქალაქების მკვიდრთა უკან სპარსეთისა და მცირე აზიის ხალხთა დიდი ისტორია და კულტურა იდგა. ერთადერთი, შედარებით ცივილიზებული ქვეყანა საქართველოს აღმოსავლეთით ჰერეთიდან კასპიის ზღვამდე გადაჭიმული შირვანი იყო, ალბანთა ძველი სამკვიდრო, რომლის ეთნიკური და კულტურული სახე ასევე წაშალა თურქული მოდგმის ხალხთა შემოსევამ და ისლამმა, მაგრამ ქართველთა და ალბანთა ოდინდელი ძმობის ისტორიული ხსოვნა და მშვიდობიანი თანაარსებობა მაინც თავის საქმეს აკეთებდა, ამ ქვეყანასთან საქართველოს ომი არა ჰქონია.

და მაინც, ეპოქის გვირგვინი იყო თავად დედოფალი თამარი. მისი სახით მთელი ეპოქა თითქოს დროის რუტინული მდინარებიდან ამოვარდნას ესწრაფოდა. ამ საუკუნეში შობილი იდეალებიდან ბევრი ჩვენს დროშიც ნაადრევი და განუხორციელებელია, მთავარი მაინც ის არის, რომ ეს პლებსის დემოკრატიული მოძრაობა კი არ იყო, რომელიც საბოლოოდ ქაოსით, განუკითხაობით და უნუგეშო მარცხით მთავრდება. თამარის ეოპქაში დემოკრატიული სული ზემოდან, ერთმპყრობელი მონარქიდან მოდიოდა, თუმცა ამ ტერმინის ხმარება თამარის მიმართ უხერხულიც კია. გამარჯვებებით განებივრებული ქვეყანა თითქოს უეცრად გადავიდა ახალ განზომილებაში, გასცდა ფეოდალური ჩაკეტილობის საზღვრებს და დემოკრატიულ, სამოქალაქო საზოგადოებას მიუახლოვდა, მაგრამ მთელს ამ პროცესს ჩრდილავს სხვა ხალხებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება, რომელთაც საქართველომ თავისი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციათა და სოციალური იდეალებით შორს გაუსწრო. ამ უპირატესობის დემონსტრირებას ქართველები არასოდეს ერიდებოდნენ. როგორც ქვეყნის მმართველობაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები გვიჩვენებს, საქართველო არათუ მხარს უბამდა ევროპის ხალხთა დემოკრატიულ მოძრაობას, არამედ თითქმის მთელი ორი საუკუნით გაუსწრო წინ.

თვალსაჩინოა, რომ დავით აღმაშენებლის მიერ მთელი სისასტიკით განხორციელებული ხელისუფლების ცენტრალიზაცია იყო მონარქიის მწვერვალი, მომდევნო საუკუნეებში საქართველო უკვე მზად იყო ახალ სიბრტყეზე გადანაცვლებისათვის, ანუ შეზღუდული, გნებავთ, კონსტიტუციური მონარქიის შემოსაღებად, მაგრამ ახალ გეოპოლიტიკურ გარემოში აღმოცენებულ დემოკრატიზმის ყლორტებს /გაფურჩქვნა არ ეწერა, თუმცა მე-12 საუკუნის ქართველთათვის ამის გაცნობიერება, ალბათ, ერთობ ძნელი იყო. მით უფრო, რომ ეპოქის სულისკვეთებას უმშვენიერესი დედოფალი განასახიერებდა. მის ირგვლივ სათნოება, უსაფრთხოება და სილაღე სუფევდა. ის იყო დევნილთა, დასასჯელად გამეტებულთა ქომაგი და შემწყნარებელი; თითქოს სახელმწიფო აპარატი მეფის გარეშე მუშაობდა, ამზადებდა სისხლისმღვრელ ომებს, სდევნიდა დამნაშავეებს, ებრძოდა სახელმწიფოს დიდმოხელეთა ბოროტმოქმედებებს და, ვინც ყოველივე ამას სათავეში ედგა, სახელმწიფოს პირველი პირი, მხოლოდ მოსარჩლედ და მფარველად გამოდიოდა.

ეს იყო სრულიად ახალი დამოკიდებულება და წარმოდგენათა რადიკალური შეცვლა ისეთი სასტიკი მონარქის ფონზე, როგორიც იყვნენ დავით აღმაშენებელი და გიორგი მესამე. თამარის უზომო განდიდების წყაროდაც მისი ჰუმანიზმი და კაცობრიობის მარადიული იდეალების სათავეებთან დგომა იქცა.

გამოხდება ხანი და ამ იდეალებთან გაიგივებული დედოფლის სახება გაეხვევა ლეგენდების ბურუსში; მას უწოდებენ „ქართველთა დედას“ „შვიდმნათობიერს“, შერაცხავენ წმინდანად, მის სახელს დაარქმევენ სულ სხვა ეპოქებში აშენებულ ციხე-კოშკებს, სალოცავებს, წყაროებს... ლეგენდები შთანთქავენ მის უკანასკნელ განსასვენებელს, რათა საბოლოოდ გაქრეს თამარის, როგორც ხორციელი არსების კვალი და სამარადისოდ შეუერთდეს ღვთაებათა საუფლოს.

ხოლო თამარის ეპოქაში აღზევებული ქართული ბუნება სამუდამოდ შთაინერგავს ამპარტავნობაში გადაზრდილი ეროვნული სიამაყის გრძნობას. ეს გრძნობა იქცევა ხან უსაზღვრო და უადგილო ინდივიდუალიზმის, ხან ილუზიურ წარმოდგენათა წყაროდ, ხანაც დამანგრეველ, გამთიშველ მდინარებათა სათავედ მოევლინება ქვეყანას, მაგრამ, რაც მთავარია, ძნელბედობათა და ეროვნული კატასტროფების ჟამს არ მოგვცემს მოძალადეთა წინაშე მონურად დამხობის ნებას, რადგან ქართულ ცნობიერებაში ისევ და ისევ ფრიალებს დროშა გორგასლიან-დავითიან-თამარიანი, „ჴრთდეს მობერილი წინააღმდგოთა ნიავთაგან“.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი წიგნები

























8/56

ფასი 2 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნომერში გამოყენებულია გიორგი წერეთლის ნამუშევართა რეპროდუქციები

